საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№14 (201)

17 - 23 აპრილი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

6 ვის და რისთვის სჭირდება მესამე ძალა?



## მერაბიშვილი — ახალაიას: — მიშა რასაც მეუბნებოდა, მე მხოლოდ იმას გიმეორებდი, წადი ახლა და სააკაშვილმა გიშველოთ...

2



ზაალ კასრელიშვილი:

## დათა ახალაიას ბოლოდროინდელი განცხადება სააკაშვილის შესაძლო ლიკვიდაციის გეგმას უკავშირდება

3

ანდრო ჩხიკვიშვილი:

10



## ადეიშვილი შვეიცარიელი ბიზნესმენის ჩამოტყუებასა და დაპატიმრებას გეგმავდა

ჯონდი ბაღათურია:



## ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით სააკაშვილმა ახალ ხელისუფლებას შენელებული მოქმედების ნაღმი დაუტოვა

„მნიშვნელოვანია, რომ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგისას მთავარი მომლაპარაკებელი მომავალი პრეზიდენტი იყოს“

7



## «რესპუმიცინი» — საუკეთესო საშუალება რეიტინგის დასაგდებად...

8

## სტრატეგიული პარტნიორის ტაქტიკურად გარყვნა




9

ყველა ცივილიზაცია, რომელმაც ჰომოსექსუალიზმი «მოიწონა», უბრალოდ გაქრა!

## ირინა ენუქიძის მოძღვარი 19 აპრილს «ნაცმოძრაობის» აქციაზე მისვლის მსურველებს აფრთხილებს!

19

## სოდომ-გომორის ცოდვა ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია

16



ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალაიებმა გადაწყვიტეს, ვანო მერაბიშვილისა და სხვა ბოგბოლა „ნაციონალთა“ ჩაძირვით, დაალაგონ ურთიერთობა ივანიშვილის მთავრობასთან და, თუ ადრე მეგის ქარდავას ხელით „მეოცნებეების“ კომპრომეტირებას აპირებდნენ, ახლა პირიქით — თავის თანაგუნდელებს დაარტყამენ და მათ ისეთ კომპრომატებს დაუდებენ, საქართველოდან გასაქცევად ექნებათ საქმე.**

# მერაბიშვილი — ახალაიას:

# — მიშა რასაც მეუბნებოდა, მე მხოლოდ იმას გიმეორებდი, წადი ახლა და სააკაშვილმა გიშველოთ...

## თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესველს ეუბნება

**დათა ახალაიას სკანდალურმა წერილმა, „ნაციონალურ მოძრაობაში“ დიდი არეულობა შეიტანა. ახალაია „ნაციონალთა“ საპარლამენტო მარცხს ვანო მერაბიშვილს, მის შეცდომებსა და ძალაუფლებისკენ უზომო ლტოლვას აბრალებს. კუდის ყოფილი უფროსი მერაბიშვილს ასახელებს „რეჟისორად“ იმ სკანდალური დანაშაულობებისა, რომლებმაც „ნაციონალებს“ 1 ოქტომბერს წირვა გამოუყვანა — ე. წ. ციხის კადრები და ლაფანყურის სპეცოპერაცია. დათა ახალაია, ასევე, მერაბიშვილს ასახელებს იალღუჯას სამხედრო პოლიგონზე ჯარისკაცების წამების ინსპირატორად, რის გამოც ახლა მის ძმას, ბაჩო ახალაიას, ასამართლებენ. „დათა ახალაიას უსტარი“ უკვე იქცა კვირის თემად. დიდი შანსია, პროცესები ისე წარიმართოს, 19 აპრილს დაანონსებული დიდი „ნაცთავყრილობა“ აღარ გაიმართოს, თუ გაიმართება, უკეთეს შემთხვევაში, რუსთაველი მერაბიშვილის მომხრე-მოწინააღმდეგეთა საქმეების სახალხო გარჩევის ადგილად იქცევა.**





დაპირისპირება მერაბიშვილისა და ახალაიების კლანს შორის დიდი ხნის დაწყებულია. საზოგადოება უკვე ინფორმირებულია ამ დაპირისპირების დატალების თაობაზე, ამიტომ მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც ხალხმა არ იცის, რისი მოძიებაც, „ნაცმოძრაობის“ შიდა წყაროებზე დაყრდნობით მოვახერხე. მხოლოდ იმას დავძენ, რომ **ეს ინფორმაცია თავად „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ოფისიდან პარტიის იმ წევრებმა მომაწოდეს, რომლებიც ამ პარტიის დატოვებას შიდა დაპირისპირების გამო ისედაც აპირებდნენ და 19 აპრილის თავყრილობაზეც დიდი ენთუზიაზმით წასვლას არ ფიქრობდნენ. ეს ადამიანები, რომელთაც პარტიაში სოლიდური წონა გააჩნიათ, 19 აპრილამდე აპირებენ პარტიის დატოვებას.**

მერაბიშვილსა და ახალაიებს შორის დაპირისპირებამ კულმინაციას 11 აპრილს მიაღწია. სწორედ ამ დღეს შეხვდნენ „ნაცმოძრაობის“ ოფისში ვანო მერაბიშვილი და როლანდ ახალაია. **უფროსმა ახალაიამ გვარიანად გამოლანძღა მერაბიშვილი, უთხრა, რომ ყოფილი ხელისუფლების მთელი დანაშაულობებისთვის ჯერჯერობით მხოლოდ მისმა შვილებმა აგეს პასუხი. „ერთი დაჭერილია და მეორესაც დაიჭერენ, მერე არც მე დამინდობენ, მომიხსნიან დეპუტატის იმუნიტეტს და შენ ისევ სუფთა ჰაერზე ივლიო“, — მიუხლია როლანდ ახალაიას ვანოსთვის.**

მისთვის, ასევე, უთქვამს, რომ მისი შვილები სწორედ მერაბიშვილის დავალებების შესრულების გამო ისჯებოდნენ, ისიც შეუხსენებია, რომ ბაჩო ახალაია, თავის დროზე, სახალხო დამცველის მოადგილე იყო და სწორედ მერაბიშვილის თხოვნით გადავიდა ძალოვან უწყებაში სამუშაოდ. **როლანდ ახალაიამ ისიც შეახსენა მერაბიშვილს, რომ სწორედ მისი და მიხეილ სააკაშვილის თავდებობით ჩამოვიდა საქართველოში ძებნილი ბაჩო ახალაია. მათი დაპირებით, ბაჩო ან ციხეში არ უნდა ჩამჯდარიყო და თავდებით უნდა გაეთავისუფლებინათ, ანდა დაჩქარებული წესით უნდა წარემართათ მისი საქმის გამოძიება, სასამართლოც სასწრაფოდ მიუსჯიდა სასჯელს, შემდგომში კი პრეზიდენტი შეიწყალებდა. მიშამ და ვანომ კი ვერც ერთი პირობა ვერ შეასრულეს.**

მამა-ახალაიას საყვედურები კი მოისმინა მერაბიშვილმა, მაგრამ მოკლედ უპასუხა, — სულ ფეხებზე მკიდია შენი შვილები, პარტია მყავს გადასარჩენი და ამ საქმეს ვიღაც აუცილებლად შეეწირება, შესაძლოა, მალე მეც დამიჭირონო. რაც შეეხება დაპირებებს, **მიშა რასაც მეუბნებოდა, მე მხოლოდ იმას გიმეორებდი, წადი ახლა და სააკაშვილმა გიშველოთო. საუბარი ცხარე კამათში გადაზრდილა, რაც იმით დასრულებულა, რომ მერაბიშვილს კაბინეტიდან გამოუგდია როლანდ ახალაია (დაცვას უბრძანა მისი გაყვანა).**

ვანო მერაბიშვილმა, გარდა იმისა, რომ შეურაცხყო როლან ახალაია, საბოლოოდ აიღო ხელი ახალაიების დახმარებაზე. დიდი შემწე და მათთვის მდგომარეობის შემამსუბუქებელი, რომც მოინდომოს, შესაძლოა, არც არის ძალაუფლებადაკარგული მერაბიშვილი, მაგრამ მთავარია ფაქტი — მან ახალაიების დასახმარებლად ჯერ ხელი არ გაანძრია, მერე კი დაპირისპირების განსამუხტავად არაფერი გააკეთა. მეტიც, როლანდ ახალაიას შეურაცხყოფით მათ შორის არსებული უფსკრული უფრო გააღრმავა. როლანდ ახალაიასა და მერაბიშვილის ამ შეხვედრის, მათი ლაპარაკის შინაარსი ბაჩო ახალაიამ შეიტყო. სწორედ მან შეუთვალა ძმას, რომ მერაბიშვილმა ისინი საბოლოოდ გაწირა და მოქმედებისკენ მოუწოდა. დათა ახალაიას პირველი ნაბიჯი ზემოხსენებული წერილის გამოქვეყნება იყო, **თუმცა ეს დასაწყისია. ახალაიების კლანის არქივში უამრავი კომპრომატი ინახება არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ ლიდერებზე, არამედ თავად „ნაცმოძრაობის“ თავკაცებსა და პრეზიდენტზეც კი. წყაროები ირწმუნებიან, რომ ახალაიებმა გადაწყვიტეს, ვანო მერაბიშვილისა და სხვა ბოგბოლა „ნაციონალთა“ ჩაძირვით თავად დაალაგონ ურთიერთობა ივანიშვილის მთავრობასთან და, თუ ადრე მეგის ქარდავას ხელით „მეოცნებეების“ კომპრომეტირებას აპირებდნენ, ახლა პირიქით — თავის თანაგუნდელებს დაარტყამენ და მათ ისეთ კომპრომატებს დაუდებენ, საქართველოდან გასაქცევად ექნებათ საქმე.**

ვანო მერაბიშვილი როცა მთელ საქრთველოს, მათ შორის, ოპოზიციასა და თავის თანაგუნდელებს უსმენდა, ფარულად იღებდა მათ უღირს ქმედებებს, ამას სწორედ ახალაიებისა და მათი ქვეშევრდომების ხელით აკეთებდა. მას შემდეგ, რაც სოდის უფროსის პოსტიდან ვანო მერაბიშვილმა ერეკლე კოდუა მოხსნა, დათა ახალაია, ფაქტობრივად, ქვეყნის უშიშროების მინისტრად იქცა. ოფიციალურად კუდის თავმჯდომარე იყო და სოდსაც აკონტროლებდა. თავის მხრივ, ამ ორი დეპარტამენტის კურატორი, მერაბიშვილის მარჯვენა ხელი — ამირან მესხელი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მესხელი დიდი ვერაფერი მაკონტროლებელი ყოფილა. ახალაიების ხელთ უამრავი კომპრომატია. წყაროს ინფორმაციით, **ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილის პირად დაცვაშიც კი შეაღწია და პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების საძრახ საქციელზე უამრავი კომპრომატი აქვს. მთელი ეს მასალა დათა ახალაიას ხელში იყრიდა თავს, რადგან ნებისმიერ სპეცოპერაციას კუდი და სოდი ახორციელებდნენ. დათა ახალაია არჩევნებში „ნაციონალთა“ მარცხის შემდეგ ქვეყნიდან გაიქცა და კომპრომატებიც თან წაიღო. ვიდრე მერაბიშვილი ახალაიებს აიმედებდა, რომ მათ უსაფრთხოებას დაიცავდა, ხოლო ძმებსა და მამას ციხეს აარიდებდა, მანამდე ახალაიები საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ მერაბიშვილმა ახალაიების პატრონობაზე აიღო ხელი და დათა ახალაიაც ძმის მითითებით გააქტიურდა.**

დათა ახალაიას ხელთ აქვს ძალზე სერიოზული სექსუალური ხასიათის კომპრომატები „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ და პოლიტიკურ ლიდერ ქალბატონებზე. მათ შორის, ერთ-ერთი ყოფილი პარლამენტარი ქალბატონისა და ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლის აღვირახსნილობის სრული ჩანაწერი. **აღნიშნული ფარული ჩანაწერი, მერაბიშვილის ინიციატივით, სწორედ კუდმა გადაიღო პოლონეთში, ვარშავის ერთ-ერთ სასტუმროში. მეორე სკანდალური ჩანაწერია სააკაშვილის ყოფილი მინისტრის (მამაკაცის) და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის გეი-ორგიის ამსახველი კადრები. ეს ჩანაწერი თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაკეთდა. ამავე ქართველი მინისტრისა და სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის (სატრანსპორტო სფეროდან) სექსუალური აქტიც ამავე სასტუმროშია გადაღებული. სხვათა შორის, ამ პიროვნების სექსუალური ორიენტაციის შესახებ სააკაშვილმაც იცოდა, როდესაც მისი კანდიდატურა მინისტრის პოსტზე წარუდგინეს. თავიდან წინააღმდეგი იყო, დაენიშნა, მაგრამ ვანო მერაბიშვილისა და გიგა ბოკერიას რჩევას დათანხმდა, თან უხუმრია — თუ ევროკავშირში შევდივართ, ერთი პედერასტი მინისტრი ჩვენც გვყავდეს კაბინეტში, როგორმე ავიტანთო.**

ამ ნამინისტრალის შესახებ ამასლა ვიტყვი — იგი 1 ოქტომბრის არჩევნების წინ უკვე აღარ იყო პოსტზე და, თავის დროზე, ეკონომიკური ბლოკის ერთ-ერთი სამინისტროს ხელმძღვანელი გახლდათ. მაგრამ ამით არ მთავრდება ყოფილი ხელისუფლების „მამაკაცთა“ სექსუალური თავგადასავლები. **დათა ახალაიას ხელთ აქვს ერთ-ერთი მოქმედი „ნაციონალი“ დეპუტატისა და ევროპის „სახალხო პარტიის“ ერთ-ერთი ევროპარლამენტარის სექსუალური აქტის ჩანაწერი, რომელიც სტრასბურგის ერთ-ერთ სასტუმროშია გადაღებული. იმავე პარლამენტარისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი გეი-თანამშრომლის სექს-აქტის ფარული ჩანაწერიც დათა ახალაიას მრავალფეროვან არქივში ინახება. ეს ჩანაწერიც „სტრასბურგულია“.**

გარდა ამისა, დათა ახალაიას ხელთაა „ნაციონალი“ დეპუტატების ოჯახის წევრების — ცოლების, დედების, დების, რძლების, ქალიშვილების სექსსკანდალები, მათ შორის, ზოგიერთი მათგანის ლესბოსური ურთიერთობები მეგობარ ქალბატონებთან. **შემზარავია, რომ ვანო მერაბიშვილი ახალაიების ხელით საკუთარი მოადგილეებისა და შს სამინისტროს დეპარტამენტების უფროსების ოჯახის წევრებსაც უთვალთვალებდა და მათ უსაქციელობას ფარულად იღებდა. ასევე, ისმინებოდა ყველა მინისტრის, მინისტრის მოადგილის, ყველა დეპუტატის ტელეფონები და ცხადია, თუ რომელიმე მათგანზე საეჭვო ინფორმაციას ჩაიგდებდა მერაბიშვილი, დათა ახალაიას მის კონტროლზე აყვანას ავალებდა.**

ხანგრძლივი ფარული თვალთვალისა და მოსმენების შემდეგ, საჭირო დროსა და ადგილას, სპეცსამსახურები ახერხებდნენ ობიექტის იმ სიტუაციაში გადაღებას, რომელიც მისი კომპრომეტირებისთვის გამოადგებოდათ. მერაბიშვილს სააკაშვილის პირად დაცვაშიც ჰყავდა აგენტები. როდესაც სააკაშვილი უცხოეთში რომელიმე სასტუმროში ჩერდებოდა, დაცვა საგანგებოდ ამოწმებდა საპრეზიდენტო ნომერს, რომ მოსასმენი ან ფარული გადამღები აპარატურა არ ყოფილიყო იქ. მათ ძებნაში კი მერაბიშვილის აგენტები, სადაც საჭიროდ თვლიდნენ, იქ ამონტაჟებდნენ ფარულ გადამღებებს. ეს „დამონტაჟება“ ვინმეს ხანგრძლივი პროცესი არ ეგონოს. მაგალითად, კარადაზე შეიძლება დააგდო წამლის აბისხელა მოწყობილობა, რომელიც კარადის შეფერილობას თავისით მიიღებს და 24-საათიან რეჟიმში იღებს იმ არეალს...

**ვანო მერაბიშვილი იღებდა ყველა შეხვედრას, რომელიც თანაგუნდელებთან ჰქონდა. მათ შორის იმ შეხვედრებს, რომლებზეც ბიზნესწილების გადანაწილებაზე იყო საუბარი. ასევე, შეხვედრებს, რომლებზეც კონკრეტული პოლიტიკოსები საკუთარი ან ახლობლების ბიზნესის ლობირებას, ახლობელ-ნათესავთა დასაქმებას და დანაშაულებში გახვეული შინაუ-** ▶

„ნაცმოძრაობის“ ლიდერებში, უფრო კონკრეტულად კი მერაბიშვილი-უგულავას დაჯგუფებაში, ასევე მიხეილ სააკაშვილის დასავლელ პატრონებში და სხვა დაჯგუფებებში, რომელთაც სააკაშვილი პრობლემებსაც უქმნიდა და საფრთხეებსაც, ამ ბოლო დროს რაღაც ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა!.. საუბარია მიხეილ სააკაშვილის ფიზიკურ ლიკვიდაციაზე. ეს დაჯგუფებები მიიჩნევენ, რომ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან მიხეილ სააკაშვილი არ არის ის ადამიანი, რომელიც პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ შევარდნაძესავით კრწანისის რეზიდენციაში დაჯდება და გაჩუმდება.“

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზაალ კასრელიშვილი:**

# დათა ახალაიას ბოლოდროინდელი განცხადება სააკაშვილის შესაძლო ლიკვიდაციის გეგმას უკავშირდება

**◀რების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტას სთხოვდნენ მერაბიშვილს.** არსებობს კიდევ მრავალი ტიპის ფარული ჩანაწერი „ნაციონალ“ პოლიტიკოსებსა და ყოფილ ჩინოვნიკებზე, რომელთა ერთი ნაწილის გამომზეურება მათ ციხისკენ მიმავალ გზას გაუხსნის, მეორე ნაწილის გამოქვეყნება კი უამრავ უხერხულობას შეუქმნის. წყაროს ინფორმაციით, **ამ ჩანაწერებში ფიგურირებენ კახა ბენდუქიძე, დავით კეზერაშვილი, ძმები — გელა და დავით ბეჟუაშვილები, ზაზა გოგავა, გია ბარაბიძე, გიორგი მელაძე, გოკა გაბაშვილი, გიგი უგულავა, მამუკა ახვლედიანი, ლაშა მაქაცარია, ზაზა გოროზია, გურამ მისაბიშვილი, მერაბ სამადაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ზურაბ არსოშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, მარიკა ვერულაშვილი, ნუგზარ წიკლაური, პალიკო კუბლაშვილი, ხათუნა კალმახელიძე, გიორგი არველაძე, აჩიკო გეგენავა, აკაკი ბობოხიძე, ბადრი ბასიშვილი, დათო კირკიტაძე, დევი ოვაშვილი, გოჩა ენუქიძე, გიგი წერეთელი, გიორგი თევდორაძე, რამაზ ნიკოლეიშვილი, ანდრია ურუშაძე, კობა ხაბაზი, ლადო ვარძელაშვილი, პაპუნა დავითაია, ნიკა გილაური, ნიკა რურუა, ნუგზარ აბულაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, თემურ გრიგალაშვილი, ზაზა გამცემლიძე, ლევან ბეჟაშვილი, ნინო კალანდაძე, ვერა ქობალია, რატი სამყურაშვილი და კიდევ სხვა მრავალი „ნაციონალი“.**

აღნიშნული ჩანაწერები ახლა დათა ახალაიას ხელთაა. შეიძლება ითქვას, მას ის ბომბი უჭირავს ხელთ, რომლითაც **მთელი „ნაცმოძრაობის“ აფეთქება შეუძლია. თუ ეს გააკეთა დათა ახალაიამ, არ არის გამორიცხული, მართლა გადაირჩინოს თავი და ბაჩო ახალაიაც გამოიყვანოს ციხიდან. „ქართული ოცნების“ სოლიდურ ლიდერებს, ცხადია, ულირთ ,მათზე არსებული კომპრომატების სანაცვლოდ, დათა ახალაიამ „ნაციონალები“ საბოლოოდ ჩაძიროს.** დიდი შანსია, ახალი პილიტიკური გარიგების მოწმენი გავხდეთ — ახალაიები ციხეს გადარჩნენ და მერე ეს ყველაფერი პოლიტიკურ კაპიტაციად მოინათლება. ჩვენი წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: **რამდენიმე დღის წინ ახალაიების მარჯვენა ხელი, მეგის ქარდავა, „ქართული ოცნების“ ლიდერებზე კომპრომატების გამოქვეყნებით იმუქრებოდა** (აღნიშნული კომპრომატების არსებობა ბიძინა ივანიშვილმაც კი დაადასტურა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე), **დღეს კი აცხადებს, რომ მას ხელისუფლების წევრებზე არანაირი კომპრომატი არ გააჩნია.** ქარდავა ახალაიების მითითებით მოქმედებს, მეტიც, ყველა სარწმუნო წყაროს თანახმად, დღესაც მეგის ქარდავა და დათა ახალაია ერთად იმყოფებიან. ლოგიკითაც ასე გამოდის, რომ **ახალაიები ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობას ალაგებენ, ქარდავას პირით „ქართულ ოცნებას“ აღარ ემუქრებიან და ახლა მათ განადგურებას ეშურებიან, ვინც ისინი გაწირა — ვანო მერაბიშვილისა და მშობლიური „ნაციონალური მოძრაობისა“.**

**ლევან ჯავახიშვილი**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე, პოლიტოლოგი — ზაალ კასრელიშვილი.**







**«თუ უნდათ, რომ გადარჩნენ, ახალაიებმა უნდა დაასახელონ ლაფანყურის სისხლიან პროვოკაციაში მონაწილე ყველა ქართველი მაღალჩინოსანი!..»**

**— ზაალ ბატონო, რას ნიშნავს დათა ახალაიას ბოლოდროინდელი განცხადება და რაღა მაინცდამაინც ახლა მოხდა ეს ყოველივე, როცა 19 აპრილის ყბადაღებულ აქციამდე სამი დღეღა დარჩა? ახალაიამ, ფაქტობრივად, დაადასტურა ის, რაც თქვენ არაერთხელ გითქვამთ, კერძოდ, ლაფანყურის სისხლიან სპეცოპერაციაში საქართველოს ხელისუფლების მთავარი ფიგურა იყო გია ლორთქიფანიძე!..**

— დავიწყებ იმით, რაც სახარებაში წერია, — არა არს რა დამალული, რაიცა არა განცხადდეს!.. ლაფანყურის ოპერაცია რომ პროვოკაცია იყო, ეს იმთავითვე ჩანდა და ეს სპეცოპარაცია ჩავარდა იმიტომ, რომ ხელისუფლების შიგნით არსებობდა ძალიან სერიოზული დაპირისპირება. ლაფანყურის დიდი ხნის განმავლობაში შეუფერხებლად და კარგად მუშაობდა, მაგრამ მოაწყვეს ისე, რომ მაინცადამაინც ბოლო ჯგუფზე და თან არჩევნების წინ მოხდა ჩავარდნა; თუმცა მე და ჩემი თანამოაზრეები ადრეც მივიჩნევდით და ახლაც მივიჩნევთ, რომ **ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის ეს არ იყო მხოლოდ პიროვნული დაპირისპირება და დაპირისპირება რეალურად დაიწყო მათ პატრონებს შორის. სულ თავიდან ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირება იმაზე აგორდა, თუ რომელი დაჯგუფება უფრო ახლოს იქნებოდა მიხეილ სააკაშვილთან და ვინ უფრო გაძლიერდებოდა სააკაშვილის ფრთის ქვეშ.**

**— ძალიან დელიკატური თემაა, მაგრამ დათა ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს შორის ხომ არ იყო დაპირისპირების მიზეზი ქალი? მეტად ფრჩხილებს ველარ გავხსნი, დარწმუნებული ვარ, თქვენ ყველაფერს ხვდებით!..**

— რასაკვირველია, ვხვდები... დაპირისპირების საგნად და საბაბად შეიძლება ბევრი რამ დასახელდეს — ქალი, ფული, პირველობის მოპოვების სურვილი, მაგრამ მე ისევ იმ აზრზე ვარ, რის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, — **მთავარი არის ის, რომ დაიწყო ახალაიების, მერაბიშვილისა და სხვათა პატრონების დაპირისპირება!..** საქმე ისაა, რომ „ნაცმოძრაობა“ არასოდეს ყოფილა ერთიანი იდეისა და აზრის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ძალა, ეს იყო და არის ძალა, რომლის წევრებსაც აქვთ ერთადერთი მიზანი: იყვნენ ხელისუფლებაში!.. ამ მიზნის მისაღწევად ისინი, როგორც წესი, ყველაფერზე მიდიოდნენ და მიდიან!.. **„ნაცმოძრაობის“ წევრების ერთ ჯგუფს პატრონობს სომხური ლობი, მეორე გავლენიან ჯგუფს პატრონობს ებრაული ჯგუფი, მესამეს — თურქეთის სპეცსამსახურები, ხოლო მეოთხეს ევროპაში ჰყავს პატრონები(!!!)...**

**— შეგიძლიათ ამ ჯგუფების წევრების ჩამოთვლა?**

— რა თქმა უნდა, ჩემთვის ამის გაკეთება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას!.. ხომ ამდენი ლობი და სპეცსამსახური პატრონობდა და აკონტროლებდა „ნაცმოძრაობას“, მაგრამ სანამ მათი მიზანი იყო სააკაშვილის დახმარება და გაძლიერება, ისინი იყვნენ ერთად, რათა სააკაშვილს თავისი კერძო ინტერესები ქართველი ერისა და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ გაეტარებინა. როგორც კი სააკაშვილი დასუსტდა, მაშინვე ლობებმა დაიწყეს თავიანთი ინტერესჯგუფების გაძლიერება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ავტომატურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აი, ეს არის თავი და თავი და დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

**— ზაალ ბატონო, დათა ახალაიას წერილი, რომელიც „ფეისბუქზე“ გამოქვეყნდა და რომელშიც მან ვანო მერაბიშვილს ხელი დაადო, შეშინებული კაცის მიერ დაწერილი წერილია? ახალაიებს ჩეჩნებმა ლაფანყურის გამო ვერდიქტი გამოუტანეს? იქნებადა, იმ ტერორისტი პაპასკირისა არ იყოს, დათა ახალაიასაც ურჩევნია, ციხეში ჩაჯდეს, ვიდრე ვილაც კავკასიელმა ქუჩაში ყელი გამოსჭრას?**

— რა თქმა უნდა!.. როგორც ჩანს, დათა ახალაია უფრო დაფიქრებულად და მიზანმიმართულად მოქმედებს!.. პაპასკირივით მან ძმა ჩასვა ციხეში, ახლა კი თვითონ სიმართლის გარკვევას აპირებს, რადგან **მიხვდა, რომ ორივე ძმას განაჩენი აქვს გამოტანილი და თან იმასაც მიხვდა, რომ ლაფანყურის ოპერაციით ვანო მერაბიშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა ახალაიების დაჯგუფება გაწირეს!..** ლაფანყურის ოპერაციამდე ახალაიების დაჯგუფება მიხეილ სააკაშვილის ორბიტაზე ისე გაძლიერდა, რომ ყველას დისკომფორტი შეუქმნა, — უგულავასაც, ბოკერიასაც, მერაბიშვილსაც, სააკაშვილსაც!.. სააკაშვილი ახალაიებს არასდროს მიიჩნევდა მაღალი დონის ადამიანებად, მაგრამ იძულებული იყო, მათთან ეთანამშრომლა, როგორც შემსრულებლებთან. დროთა განმავლობაში ახალაიებმა შემსრულებლების როლის თამაში იუკადრისეს და „ნაცმოძრაობაში“ მოგვევლინნენ, როგორც დამგეგმავები და თავიანთი ორბიტის შემქმნელები. ამან ყველა გააღიზიანა და მოხდა ის, რაც მოხდა.

**— დათა ახალაიას წერილს ვანო მერაბიშვილი ჯერჯერობით დუმილით პასუხობს, რა ხდება?**

— ასე დუმდა და დღემდე ხმას არ იღებდა დათა ახალაიაც, მაგრამ ხომ ვხედავთ, დაჰკრა ვანო მერაბიშვილს!.. მე ძალიან მეეჭვება, რომ ეს ამბავი ასე ჩაიფარცხოს და დამთავრდეს!.. დაიმახსოვრეთ, თუ ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილის გარეშე ხდება, ანუ დათა ახალაია სააკაშვილთან შეთანხმების გარეშე ებრძლვნა ვანო მერაბიშვილს, მაშინ ახალაიები მალე სააკაშვილსაც დაარტყამენ, ხოლო, თუ ეს ყველაფერი სააკაშვილთან არის შეთანხმებული, მაშინ იცოდეთ, რომ მერაბიშვილი და უგულავა გაწირულები არიან!..(!!!) ორივე შემთხვევაში მომგებიან პოზიციაშია დათო ბაქრაძის დაჯგუფება!..(!!!)

**— ამ ბოლო დროს სააკაშვილის შესაძლო ლიკვიდაციაზე ალაპარაკდნენ და რა ხდება?**

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ **„ნაცმოძრაობის“ ლიდერებში, უფრო კონკრეტულად კი მერაბიშვილი-უგულავას დაჯგუფებაში, ასევე მიხეილ სააკაშვილის დასავლელ პატრონებში და სხვა დაჯგუფებებში, რომელთაც სააკაშვილი პრობლემებსაც უქმნიდა და საფრთხეებსაც, ამ ბოლო დროს რაღაც ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა!.. საუბარია მიხეილ სააკაშვილის ფიზიკურ ლიკვიდაციაზე. ეს დაჯგუფებები მიიჩნევენ, რომ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან მიხეილ სააკაშვილი არ არის ის ადამიანი, რომელიც პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ შევარდნაძესავით კრწანისის რეზიდენციაში დაჯდება და გაჩუმდება.** მათ აქვთ შიში, რომ სააკაშვილი არ მოისვენებს და გამწარებული ყველაფერს ილაპარაკებს. ამდენად, მათი აზრით, აუცილებელია სააკაშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია!.. ერთი სიტყვით ამ სამი მიმართულების ინტერესები, გინდა არ გინდა, ერთმანეთს ემთხვევა და ეს კი სააკაშვილისთვის დიდი საფრთხის მატარებელია!.. **დააკვირდით, მიხეილ სააკაშვილი სულ უფრო ხშირად არის დატოვებული დაცვის გარეშე... ველოსიპედით რომ შეეჯახა ტრაილერს, მაშინაც დაცვის გარეშე იყო, ანუ ვიღაცის უჩინარი ხელი მიშას დაცვის გარეშე ტოვებს და ეს რით შეიძლება დამთავრდეს, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს!..**

ჩვენი თანამოაზრეების ყურამდე მოაღწია ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ კავკასიელ მებრძოლთა შორის უკვე დაწყებულია გარკვეული მოძრაობა...

**— ვერ გავიგე, ზაალ ბატონო!..**

— საუბარია იმაზე, რომ ის ზემოხსენებული დაჯგუფებები კავკასიელ მებრძოლთა შორის ეძიებენ ისეთს, ვინც მათ დავალებას შეასრულებს!.. ჩვენმა თანამოაზრეებმა ამის შესახებ ყურმოკვრით შეიტყვეს თუ არა, ჩვენ ეს ყველაფერი მაშინვე გავახმაურეთ. მე მიმაჩნია, რომ **დათა ახალაიას ბოლოდროინდელი განცხადება სწორედ სააკაშვილის შესაძლო ლიკვიდაციის გეგმას უკავშირდება და ეს ყველაფერი ერთი ტალღიდან მოდის. დარწმუნებული ვარ, დათა ახალაიამ იცის, რაც ხდება და ამიტომაც გააკეთა ეს განცხადება.**

მინდა გითხრათ, რომ მან მიიღო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, ანუ დათა ახალაია ახლა რასაც აკეთებს, ეს არის სწორი ნაბიჯი და ის მოქმედებს თვითგადარჩენის ინსტიქტიდან გამომდინარე. **დათა ახალაია კავკასიელების წინაშე, ფაქტობრივად, თავს იმართლებს, რომ ლაფანყურის სისხლი კავკასიელი მებრძოლების სისხლი არ არის მისი და მისი ძმის კისერზე. თუ უნდათ, რომ გადარჩნენ, ახალაიებმა უნდა დაასახელონ ლაფანყურის სისხლიან პროვოკაციაში მონაწილე ყველა ქართველი მაღალჩინოსანი!.. ამით ისინი არა მარტო გადაირჩენენ თავს, გადაარჩენენ თავიანთ ოჯახის წევრებს და გადაარჩენენ საქართველოსაც მოსალოდნელი ტერაქტებისა და უბედურებისგან!..**

ესაუბრა
**ლუკა აბუსერიძე**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი განაგრძობს ყვირილს იმაზე, რომ ქართული გამოძიება „ანტისახელმწიფოებრივია“ და მასთან თანამშრომლობაზე უარს იტყვის, ეს ვერ მოხერხდება. არჩევანი სააკაშვილზეა; საბოლოო ჯამში, ეს დაცვის ხაზის პრობლემაა და თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ითანამშრომლებს ქართულ გამოძიებასთან, არ ითანამშრომლებს, თუ შეეცდება, დაამტკიცოს, რომ მენტალური სტაბილურობის დეფიციტს უჩივის ან 2008-ში უჩიოდა.**

# მიხეილ სააკაშვილს ჰააგაში გაასამართლებენ?



**რატომ ეწინააღმდეგება მიხეილ სააკაშვილი ასე ემოციურად მის შესაძლო დაკითხვას აგვისტოს ომთან დაკავშირებით? რა კითხვები შეიძლება დაუსვან მას ქართველმა გამომძიებლებმა და რა აინტერესებს ამ საქმეში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისს?**

**ამ კითხვებზე პასუხის გაცემის გარეშე, ალბათ, შეუძლებელი იქნება, როგორც შექმნილი სიტუაციის, ისე გამოძიების პერსპექტივების შეფასება. საინტერესოა და შესაძლოა, ერთობ პარადოქსულიც, რომ მოვლენათა განვითარების მრავალ ვარიანტს შორის არსებობს ისეთიც, რომლის ფარგლებში ქართული გამოძიება, რომელსაც სააკაშვილი დღეს ასე მწვავედ, ლამის ისტერიულად, უპირისპირდება, შეიძლება მისთვის ერთგვარი სამაშველო რგოლი გახდეს.**



**მიხეილ სააკაშვილისთვის, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, დადგინდება, რომ მას წვლილი მიუძღვის რომელიმე ნახსენები დანაშაულის ორგანიზებაში და, შესაბამისად, ჰააგაში ბრალს წაუყენებენ ომის დანაშაულთან ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით**

## რკალი ვიწროვდება

მიხეილ სააკაშვილზე ძალიან ცუდად მოქმედებს მისი შესაძლო დაკითხვის იდეა და ეს არამხოლოდ განხილულ საქმესთან დაკავშირებით გამოვლინდა. შეგვიძლია გავიხსენოთ 26 თებერვლის ეპიზოდი, როდესაც „მაესტროს“ ჟურნალისტის კითხვაზე: **ითანამშრომლებს თუ არა გამოძიებასთან „იმედის“ საქმეზე,** სააკაშვილმა უპასუხა: **„მე ვფიქრობ, რომ ძალიან არასერიოზულია ეს ყველაფერი და სამარცხვინო. ეს განცხადებები ძალიან არასერიოზული და ძალიან სამარცხვინოა. ეს არის ჩემი პასუხი ამ ყველაფერზე“,** და სწრაფად დატოვა დარბაზი. ეს მოხდა იმ პირობებში, როდესაც, პროკურატურის განცხადებით, საქმეში არის ჩვენება, რომლის თანახმად, სააკაშვილი ზეწოლას ახდენდა ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელზე, რათა ტელეკომპანია ხელისუფლებისთვის დაეთმო. იმის ნაცლად, რომ მშვიდად განეცხადებინა, რომ უპასუხებს გამოძიების ყველა კითხვას და თავის უდანაშაულობას იოლად დაამტკიცებს, ფიგურანტმა ემოციური რეპლიკით დარბაზის დატოვება არჩია. ასევე შეიძლება იმის გახსენება, რომ **იანვარსა და მარტში სააკაშვილი მოითხოვდა ყოფილი ჩინოვნიკების დაკითხვების შეწყვეტას. ყოველივე ამან შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ფიგურანტი დაკითხვას ზოგადად და რამდენად შეესაბამება მისი მიდგომა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.**

გამოძიება არ არის რეპრესირება, ხოლო დაბარება დაკითხვაზე ადამიანს დამნაშავის სტატუსს არ ანიჭებს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, თუმცა მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც თითქოსდა იურიდიული განათლება აქვს, მთელი არსებით ეწინააღმდეგება ყოფილი სახელმწიფო მოხელეების დაკითხვას, რითაც წინააღმდეგობაში შედის როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, რომელიც არ ცნობს რაიმე ტიპის „იმუნიტეტს დაკითხვისგან ყოფილი ჩინოვნიკებისთვის“, ისე კანონის უზენაესობის პრინციპთან, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, გულისხმობს იმასაც, რომ არავინ შეიძლება დადგეს კანონზე მაღლა. შესაძლოა, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ **იმ სისტემაში, რომელიც სააკაშვილმა თავის დროზე შექმნა, დაკითხვაზე დაბარება ძალიან ხშირად განიხილებოდა არა როგორც ნაბიჯი ჭეშმარიტების დადგენისკენ, არამედ როგორც დასჯის ერთგვარი პრელუდია, უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ამა თუ იმ ადამიანს მთელი სახელმწიფო მანქანა დააცხრა. შიში დაკითხვის მიმართ, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი წარსულში თესავდა, პარადოქსულად და, შესაძლოა, სამართლიანად აწმყოში მასვე მიუბრუნდა.**

„ერთი წამითაც არ ვითანამშრომლებ ამ ანტისახელმწიფოებრივ გამოძიებასთან. ამ გამოძიების მიზანი არის სახელმწიფოებრიობის შერყევა და პირდაპირ არის მიმართული ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აქ, ალბათ, უნდა მოვიყვანოთ რამდენიმე ციტატა, რომელიც უკეთ გაგვარკვევს იმაში, თუ რა გამოძიებაზეა საუბარი. თემა განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც **მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა** ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა: **„ჩვენ გვსტუმრობდნენ ჰააგის სასამართლოს პროკურატურის ოფისის წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენგან ითხოვენ ჯეროვანი გამოძიების წარმოებას აგვისტოს ომთან დაკავშირებით და ჩვენ ეს მოვალეობა გვაკისრია. აქამდე, წინა ხელისუფლება ეწეოდა ე.წ. რეზინის გაწელვის პოლიტიკას, ანუ გამოძიება ტარდებოდა გამოძიებისთვის და 4 წლის განმავლობაში არანაირი შედეგი არ იყო დამდგარი. ჩვენ წინაშე იყო კონკრეტული საკითხი დასმული, კერძოდ: აპირებს თუ არა საქართველოს ახალი ხელისუფლება, ჯეროვნად შეაფასოს და შეისწავლოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და გასცეს კითხვას პასუხი, ჰქონდა თუ არა ადგილი ომის დანაშაულებს. ახალმა ხელისუფლებამ და მისმა ხელმძღვანელმა პოლიტიკური ნება გამოხატა, რომ ეს საკითხი იქნება გამოძიებული ობიექტურად“.**

შემდეგ განცხადება ამავე საკითხზე **იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა** გაკეთა: **„აგვისტოს ომის გამოძიება ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებაა. საქართველო რომის სტატუტის მონაწილე მხარეა და, როდესაც ჩვენ მხარე გავხდით, გარკვეული ვალდებულებები ავიღეთ. ჰააგის სასამართლოში პროკურორთან შესულია არაერთი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ჩივიან მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნიდან და ამბობენ, რომ აგვისტოს ომის დროს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა თუ თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს, სავარაუდოდ, ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ან ის დანაშაული, რომელიც შეიძლება ომის დანაშაულად კვალიფიცირდებოდეს. ჩვენი ვალდებულებაა, ეს საქმე საერთაშორისო ტრიბუნალის განსახილველი არ გავხადოთ და ჩვენს პრობლემებს თვითონვე მოვუაროთ იმ ვალდებულებების ფარგლებში, რომლებიც გვაქვს. ჩემი და მთავარი პროკურორის მიზანია, რომ აგვისტოს ომი გამოვიძიოთ ჩვენ თვითონ, თუ ჩვენ ეს ვერ შევძელით და ვერ აღმოვჩნდით ან საკმარისი პროფესიონალები, ან საკმარისი პოლიტიკური ნება არ გვექნა ამისთვის, მაშინ იძულებულები ვიქნებით, ჰააგის პროცესს დავემორჩილოთ და ეს საქმე წავიდეს ჰააგის საერთაშორისო დონეზე განხილვის რეჟიმში. ეს ჩემი მიზანი არ არის და არა მგონია, რომ ეს ქართველი ხალხისთვის სასურველი რამ იყოს“.**

და ბოლოს, ამ თემას **პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი** შეეხო: **„საჭიროა, პასუხი გაეცეს ბევრ კითხვას, რომელიც ომთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების მიმართ არსებობს – რატომ ვერ შეძლო სააკაშვილმა აშკარა პროვოკაციის თავიდან აცილება? როგორ მოქმედებდა მთავარსარდალი და მთავრობა? რატომ ერეოდნენ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები სამხედრო ოპერაციის მართვაში, რამაც ქაოსი და არეულობა გამოიწვია? რატომ მოჰყვა ამხელა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის? რატომ ვერ შეძლო მთავრობამ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია? როგორ დარჩნენ მეთაურის გარეშე ჩვენი რეზერვისტები, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს და მრავალი სხვა“.**

თუ ჩვენ ერთმანეთს შევადარებთ წულუკიანისა და ივანიშვილის განცხადებებს, ვნახავთ, რომ მათში წინა პლანზე წამოწეულია სხვადასხვა საკითხი, ერთის მხრივ, **ის, რაც აქტუალურია პროკურორებისთვის ჰააგაში,** ხოლო მეორე მხრივ, **ის, რაც ქართულ საზოგადოებას აინტერესებს.**

ამ ძნელად შესამჩნევი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სხვაობის უკან შეიძლება ძალიან სერიოზული პოლიტიკური ქვეტექსტი იდგეს, ხოლო მისმა დაკვირვებამ საკმაოდ საინტერესო კითხვამდე მიგვიყვანოს: **რა ურჩევნია მიხეილ სააკაშვილს — დაკითხონ** (და შესაძლოა, გაასამართლონ) **თბილისში თუ ჰააგაში?** უდანაკარგოდ ამ სიტუაციიდან გამოსვლას ის, როგორც ჩანს, ვერ მოახერხებს.

## შემდეგი გაჩერება – ჰააგა

**გასულ კვირას არაერთგზის დაისვა კითხვა: რა ხდება ჰააგაში, რა საკითხებზე მუშაობენ იქაური პროკურორები? სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორები აწარმოებენ წინასწარ მოკვლევას შემდეგ ბრალდებებთან დაკავშირებით: ქართული მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, რუს სამშვიდობოებზე თავდასხმა ქართული ძალების მიერ, თავდასხმები მშვიდობიან მოსახლეობასა და სამოქალაქო ობიექტებზე, როგორც ქართული, ისე რუსული ძალების მხრიდან, ქონების განადგურება, ძარცვა საქართველოს სოფლებში აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, წამება და ცუდი მოპყრობის სხვა ფორმები** (2011 წლის დეკემბრის და 2012 წლის ნოემბრის მოხსენებები). ბოლო მოხსენებაში ნათქვამია, რომ **არსებობს „საკმარისი საფუძველი იმისთვის, ვირწმუნოთ“, რომ მხარეებმა ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, როგორიცაა წამება, ქონების განადგურება, ძარცვა, მოსახლეობის დეპორტაცია ან იძულებით გადაადგილება.** მხარეთა სხვა შესაძლო ქმედების შეფასებამ, მათ შორის ბრალდებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდა განზრახ შეტევა რუს სამშვიდობოებზე, შედეგი ვერ მოიტანა. ეს პირველადი შეფასება შეიძლება გადაიხედოს ახალი ფაქტების ან მტკიცებულებების გამოჩენის შემთხვევაში, — ნათქვამია მოხსენებაში.

**მიხეილ სააკაშვილისთვის, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, დადგინდება, რომ მას წვლილი მიუძღვის რომელიმე ნახსენები დანაშაულის ორგანიზებაში და, შესაბამისად, ჰააგაში ბრალს წაუყენებენ ომის დანაშაულთან ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით.** რაც შეეხება შესაძლო ბრალდებას თბილისში (იხ. „ივანიშვილის ჩამონათვალი“), ბრალდება შეიძლება იყოს როგორც შედარებით მსუბუქი, მაგალითად, სამსახურებრივი მოვალეობის არასათანადო შესრულების თაობაზე, ისე ძალიან მძიმე, როგორიცაა სამშობლოს ღალატი. მაგრამ ამ შემთხვევაში სააკაშვილს დარჩება შესაძლებლობა, ეჭვქვეშ დააყენოს გამოძიებისა და სასამართლოს მიუკერძოებლობა და განაცხადოს, რომ ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებაა, რის შესაძლებლობაც ჰააგაში ნაკლებად ექნება. ჯერჯერობით, როგორც მას, ▶

**ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროკურორებმა ჰააგაში ან თბილისში შესაძლებლობა მისცენ სააკაშვილს, გადააქციონ გამოძიება დისკუსიად თემაზე „ვინ დაიწყო ომი?“, რადგან მათ წინა პლანზე სულ სხვა თემები გამოაქვთ. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ის იმდენად მიეჩვია იმას, რომ ნებისმიერი საუბარი ომზე ამ პუნქტამდე დაიყვანოს, რომ ძნელი წარმოსადგენია, დაცვის ალტერნატიული ტაქტიკა აირჩიოს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის სხვა კითხვების დასმას აპირებენ.**

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ისე საქართველოს ახალ ხელისუფლებას აქვს სივრცე მანევრისთვის და შანსი, წინა პლანზე „შედარებით უმტკივნეულო“ (აგვისტოს ომში უმტკივნეულო არაფერი იყო, უბრალოდ, შეუძლებელია სხვა ტერმინის მოძებნა) თემები წამოწიოს. აქ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ საუბარია არა საკითხების ჩანაცვლებაზე, არამედ აქცენტების გადატანაზე, როგორც ფიგურანტის, ისე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რაზეც, შესაძლოა, მიანიშნა თავის განცხადებაში თეა წულუკიანმა.

მაგრამ **იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი განაგრძობს ყვირილს, ქართული გამოძიება „ანტისახელმწიფოებრივია“ და მასთან თანამშრომლობაზე უარს იტყვის, ეს ვერ მოხერხდება. არჩევანი სააკაშვილზეა; საბოლოო ჯამში, ეს დაცვის ხაზის პრობლემაა და თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ითანამშრომლებს ქართულ გამოძიებასთან, არ ითანამშრომლებს** (ეს არ ნიშნავს, რომ მისი დაკითხვა არ მოხდება; თუ თავისით არ მივა, მიიყვანენ, ხოლო თუ წინააღმდეგობას გაწევს, სავარაუდოდ, მიათრევენ), **თუ შეეცდება, დაამტკიცოს, რომ მენტალური სტაბილურობის დეფიციტს უჩივის ან 2008-ში უჩიოდა** (თეორიულად, ალბათ, არც ამ ტაქტიკის გამოყენება უნდა გამოვრიცხოთ).

ჯერჯერობით, სააკაშვილის მიერ არჩეული ქცევის სტილი მის შესაძლო დაკითხვასთან დაკავშირებით, თავისი ემოციური შეძახილებით, დარბაზის დატოვებით და ა.შ., მეტად უცნაური ჩანს და, რაც მთავარია, ის გაუგებარია დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლებისთვის, სადაც ყოფილი ჩინოვნიკების დაკითხვა ყოველდღიური თუ არა, სავსებით ბუნებრივი და ნორმალური მოვლენაა. **იმის ნაცვლად, რომ მშვიდად მოემზადოს შესაძლო ბრალდებების მოგერიებისთვის, სააკაშვილი იქცევა ისე, თითქოს დანაშაულის ფაქტზე წაასწრეს ან წარმოუდგენლად ძლიერ შიშს განიცდის. და ეს, გამოძიების საწყის ეტაპზე, როდესაც საზოგადოებას** (ადგილობრივს თუ საერთაშორისოს, ამ თუ ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით) **უყალიბდება მოსაზრება ფიგურანტის შესახებ, მის სასარგებლოდ, სავარაუდოდ, არ მუშაობს.**

## ადვოკატებს საქმე არ გამოელევათ

**„როგორც ჰააგის, ასევე სტრასბურგის სასამართლოებში შესულია არაერთი სარჩელი, რომელიც ეხება ომის დროს ადამიანის უფლებების დარღვევებს, ტყვეების უფლებების დარღვევას და სხვა სამხედრო დანაშაულებს. ამ საჩივრების საფუძველზე ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოებმა გამოძიების პროცესი დაიწყეს და ეს ეხება მხოლოდ ადამიანის უფლებებსა და ომის დანაშაულებს. აქ არ არის შესწავლის საგანი ის, თუ ვინ დაიწყო ომი და შესაძლებელი იყო თუ არა ამ ომის თავიდან აცილება“**, — განაცხადა კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ცნობილმა უფლებადამცველმა და დიპლომატმა თომას ჰამერბერგმა, რითაც, ალბათ, კიდევ ერთი მხვილი ხაზი გადაუსვა სააკაშვილის მომხრეების არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ახალი ხელისუფლების მთავარი მიზანია, მათ ბელადს, კრემლის დაკვეთიდან გამომდინარე, ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა დააკისროს.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართულმა გამოძიებამ ჰააგის სასამართლოსთან თანამშრომლობის ფარგლებში საკუთარი თავის წინაშე ეს ამოცანა დააყენოს, რადგან ჰააგაში ამას არავინ მოითხოვს. რაც შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა ჩამოთვალა (და შესაძლო „პარალელურ გამოძიებას“), ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროკურატურა გასცდეს იმ ჩარჩოს, რომელიც მონიშნულია ტალიავინის კომისიის დასკვნაში (სხვათა შორის, იმავე პრესკონფერენციაზე თომას ჰამერბერგმა მისი გადაკითხვა გვირჩია). **რა უნდა დაწერონ კბილაშვილმა და წულუკიანმა იმაზე უფრო მძიმე ომის საწყის პერიოდთან დაკავშირებით, რაც ამ დასკვნაში უკვე წერია,** მაგალითად, ეს (და არაერთი სხვა მონაკვეთი): **„არსებობს კითხვა იმის შესახებ, იყო თუ არა საერთაშორისო სამართლის მიხედვით გამართლებული საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენება, რომელიც სამხრეთ ოსეთში 2008 წლის 7/8 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვის ოპერაციით დაიწყო?** კითხვაზე პასუხია **არა**.

საქართველოს გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ პუნქტი, როგორც ეს განსაზღვრულია კონკრეტულ შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორიც არის 1992 წლის სოჭის ხელშეკრულება და 1996 წლის მემორანდუმი საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთნდობის გაძლიერებისა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის შესახებ, ვრცელდება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შემთხვევაშიც. **რომც დავუშვათ, რომ საქართველო განხორციელებულ შეტევას იგერიებდა, ანუ მისი რეაქცია სამხრეთ ოსეთის მხრიდან ქართველებით დასახლებულ სოფლებზე განხორციელებულ შეტევაზე პასუხს წარმოადგენდა, საერთაშორისო სამართლის თანახმად, საქართველოს შეიარაღებული პასუხი უნდა ყოფილიყო აუცილებელი და პროპორციული. შეუძლებელია დავუშვათ, რომ მთელი ღამის განმავლობაში ცხინვალის დაბომბვა გრადის ტიპის მასიური სარაკეტო დანადგარებითა და მძიმე არტილერიით შესაბამისობაშია აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნასთან იმისთვის, რომ დაცული ყოფილიყო სოფლები“.** ან რა უნდა მიუმატოს ქართულმა გამოძიებამ ტალიავინის კომისიის შემდეგ ფორმულირებას: **„ღია სამხედრო მოქმედებები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით, რომელიც განხორციელდა ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმართულებით 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამით“**, ან შემდეგს: **„საქართველოს მიერ ცხინვალში რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ ძალის გამოყენება 2008 წლის 7/8 აგვისტოს ღამეს საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებოდა“?**

მიხეილ სააკაშვილს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს გამოძიების პერიოდი და შესაძლო სასამართლო პროცესი, როგორც თავისებური ტრიბუნა, რათა გააკრიტიკოს ტალიავინის კომისიის დასკვნა და შეეცადოს კონკრეტული ფაქტებითა და საბუთებით გააქარწყლოს მასში დაფიქსირებული მოსაზრებები, მაგრამ მისი წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილის ხელისუფლება მას ომის დაწყებას (უხეშად რომ ვთქვათ) „ტენის“, ერთობ უადგილო და გაუგებარი ჩანს — იმაზე მეტი რაღა უნდა „შეტენოს“, რაც ტალიავინის კომისიამ უკვე „შეტენა“? მართალია, ეს დასკვნა არ წარმოადგენს ბრალდებას ან სასამართლოს განაჩენს იურიდიული თვალსაზრისით, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ სწორედ ამის საფუძველზე აყალიბებენ პირველად პოზიციას აგვისტოს ომის მიმართ ევროპელები. აგერ **თომას ჰამერბერგიც** ამბობს: **„დავუბრუნდეთ ტალიავინის ანგარიშს და წაიკითხეთ ის სრულად. ამ ანგარიშში არის ასახული, თუ რა გაკეთდა ან არ გაკეთდა იმისთვის, რომ 2008 წლის ომი თავიდან ყოფილიყო აცილებული“.** ამასთანავე, ჰამერბერგი მიიჩნევს, რომ უნდა დაიკითხოს ყველა, ვინც 2008 წლის ომის შესახებ რაიმე ინფორმაციას ფლობს.

**ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროკურორებმა ჰააგაში ან თბილისში შესაძლებლობა მისცენ სააკაშვილს, გადააქციონ გამოძიება დისკუსიად თემაზე „ვინ დაიწყო ომი?“, რადგან მათ წინა პლანზე სულ სხვა თემები გამოაქვთ. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ის იმდენად მიეჩვია იმას, რომ ნებისმიერი საუბარი ომზე ამ პუნქტამდე დაიყვანოს, რომ ძნელი წარმოსადგენია, დაცვის ალტერნატიული ტაქტიკა აირჩიოს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის სხვა კითხვების დასმას აპირებენ.**

საინტერესოა, დაეხმარება თუ არა სააკაშვილს იურიდიული განათლება იმაში, რომ ყველა შესაძლო ბრალდება მოიგერიოს? მან, ალბათ, უპირველესად, უნდა გააცნობიეროს, რომ ამჯერად მოქმედება არა პროპაგანდისტულ, არამედ სამართლებრივ სივრცეში მოუწევს (რაც, შესაძლოა, ბოლომდე გააზრებული არ აქვს). ერთი კი ფაქტია, **გამოძიების მატარებელი დაიძრა, მისი შეჩერება წარმოუდგენელი ჩანს და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ადეკვატურობაზეა დამოკიდებული, ჩაიყვანს ის მას ჰააგაში თუ სადმე სხვაგან.**

**დიმიტრი მონიავა**

# თეირანი-2013, ანუ ვიქცევით თუ არა გურჯისტანად?

## თეირანი ისტორიული ხელშეკრულებების გადახედვას აპირებს



**როგორც ჩანს, აზერბაიჯანის საგარეო კეკლუცობა ევროპასა და აშშ-თან საერთოდ არ ეხატება გულზე ირანს. საკუთარი ინტერესების დასაცავად თეირანი ყველა ხერხს მიმართავს. ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ბაქოს სტუმარ-მასპინძლობის შედეგების თავიდან ასაცილებლად თეირანმა ბაქოს გარკვეული ულტიმატუმიც კი წაუყენა. მსოფლიო მორიგი სკანდალის მოლოდინშია...**

**ირანის პარლამენტის დეპუტატი ნადირ გაზიპური:** „ვაფრთხილებთ ბაქოს ლიდერებს: თუ უარს არ იტყვიან თეირანის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე, ჩვენ გადავხედავთ სამარცხვინო და თავს მოხვეულ გულისტანისა და თურქმენჩაის ხელშეკრულებებს“.

დეპუტატის თქმით, თუ იმ ქალაქებში, რომლებიც ადრე ირანს ეკუთვნოდა, ხოლო ახლა აზერბაიჯანის შემადგენლობაშია, ჩატარდება რეფერენდუმი, მოქალაქეები უთუოდ ირანის შემადგენლობაში დაბრუნებას მისცემენ ხმას.

**გიულისტანის სამშვიდობო ხელშეკრულება 1813 წელს დაიდო რუსეთ-სპარსეთის ომის დამთავრების ნიშნად. მის თანახმად, რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა დაღესტანი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, ასევე ყარაბაყის, განჯის, შირვანის, დერბენტის, ბაქოსა და ტალიშის სახანოები. თურქმანჩაის ტრაქტატი კი 1828 წელს დაიდო, რითაც 1826-1828 წწ. რუსეთ-სპარსეთის ომი დასრულდა. ტრაქტატი გიულისტანის პირობებს ამტკიცებდა, გარდა ამისა რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ერევნისა და ნახჭევნის სახანოები (აღმოსავლეთ სომხეთი). სპარეთს ეკრძალებოდა სომხებისთვის რუსეთში გადასახლების საქმეში ხელის შეშლა. ტრაქტატი ასევე რუსეთს კასპიის ზღვაზე ფლოტის განთავსების ექსკლუზიურ უფლებას აძლევდა.**

**ექსპერტ-ირანისტი კარინე გევორქიანი:**

— ეს რთული საკითხია. რუსეთიც და ირანიც გაეროს წევრები არიან და გაწევრიანებისას მათ სცნეს აზერბაიჯანის დღევანდელი საზღვრები და, თუ ირანი ამ ხელშეკრულებების გადახედვას აპირებს, ეს მისთვის კიდევ ერთი სკანდალური თემა იქნება. წელს გიულისტანის ხელშეკრულების დადებიდან 200 წელი სრულდება და ირანს ამ თარიღის აღნიშვნა სურს. დაძაბულობა ირანის ირგვლივ შესუსტებულია, შეიმჩნევა გარკვეული პროგრესი ბირთვული პროგრამის თაობაზე წარმართულ მოლაპარაკებებში. ამას გარდა, თეირანის ერთ-ერთი საშიშროება — სირიის კონფლიქტი, გაჭიანურდა, ხოლო ამ კონფლიქტის „მმართველები“, საუდის არაბეთი და ყატარი ურთიერთწინააღმდეგობაში ეფლობიან; ირანისთვის კი, პირიქით, მეტად ხელსაყრელი პირობები იქმნება.

**პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

— ირანი მოითხოვს აზერბაიჯანისგან გარკვეული პოზიციების დაცვას, რომლებსაც აზერბაიჯანი არ იზიარებს. ირანი ეჭვობს, რომ აზერბაიჯანში ანტიირანული ჯგუფები მუშაობენ. აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონს შეადგენს (ბოლო მონაცემებით), რაც ირანის მოსახლეობაზე გაცილებით ნაკლებია. ამერიკა მოითხოვს გარკვეული პუნქტების შექმნას კასპიის ზღვაზე ბაქოს მიდამოებში, ასევე ყაზახეთში პრეზიდენტ ნაზარბაევზე ახდენენ ზეწოლას, რათა აქტაუშიც გახსნას მსგავსი პუნქტი. საბჭოთა კავშირის დროს ასეთი პრობლემები არ არსებობდა, რადგან საქმე უშუალოდ სსრკ-ს და ირანს შორის წყდებოდა. ახლა კი 5 ქვეყანაა კასპიის საქმეში ჩართული და ყველას საკუთარი ამბიცია და მადა აქვს. ამიტომ მოლაპარაკება და ერთიანობის მირწევა უკვე ისეთი ადვილი არაა. დამატებით სირთულეს ის წარმოადგენს, რომ კასპიის ზღვა არ არის დაყოფილი სექტორებად.

**ირანის გარშემო სიტუაციის დაძაბვას ამერიკა იწვევს, რადგან მას სურს აზიის პლაცდარმზე ფეხის მოკიდება, იქ ხომ მისი სტრატეგიული მოწინააღმდეგე ჩინეთია. ეს სავსებით ნორმალურია, რომ ირანს არ მოსწონს ის ფაქტი; არ მოსწონს, რომ ამერიკა აზერბაიჯანის მეშვეობით ცდილობს თავისი პოზიციების გამყარებას, ამიტომაც ახმოვანებს საკუთრ პოზიციებს.** ეს ერთგვარი შეპარული მესიჯია. ირანისა და რუსეთის პოზიციები გარკვეულწილად ემთხვევა კასპიის ფსკერზე ენერგომატარებლების გაყვანის თაობაზე. რუსეთში გარკვეული წრეები (კვლევითი ინსტიტუტები, პოლიტოლოგები) ამბობენ, რომ, თუ თურქმენეთი და აზერბაიჯანი დათანხმდებიან მილების გაყვანაზე და კასპიიდან ევროპაში მოხდება ენერგორესურსების გადაქაჩვა, მაშინ ეს სერიოზულ წინააღმდეგობას გამოიწვევს და არც იმას გამორიცხავენ, რომ დაბომბონ კიდეც ეს პროექტები.

ივნისში ირანში იგეგმება საპრეზიდენტო არჩევნები, ახმადინეჯადს მესამედ კენჭისყრის უფლება არ აქვს. უკვე კანტიკუნტად სახელდებიან კანდიდატები, მათ შორის ერთ-ერთი ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრია. ამიტომ ასეთ ვითარებაში ამერიკა, რა თქმა უნდა, პოზიციების შესანარჩუნებლად ირანის გარშემო დაძაბულობის გაძლიერებას ეცდება. ხოლო ირანი თავის მხრივ შეეცდება გაიმყაროს პოზიციები როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაში. **ირანის სურვილი ამ ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე იმავეს ნიშნავს, რასაც მაგალითად, თურქეთისთვის დიდი თურქეთის აღდგენის სურვილი მთელი ძველი ტერიტორიების შემადგენლობით.** ასე, ერთი ხელის მისმით ამის გაუქმება არ მოხდება, ეს ძალზე ფაქიზი და მრავალმხრივი საგანია. მსგავსი გზავნილების არსი სხვა არაფერია, თუ არა ყურადღების მიქცევის მცდელობა გარკვეული პრობლემის მიმართ.

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში — მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ ამგვარი მუქარა რუსეთ-ირანულ ურთიერთობებს დაძაბავს და საქართველოს დიპლომატიურ კონფრონტაციაში ჩააყენებს:**

— გიულისტანის შეთანხმების გადახედვით ან გაუქმებით ირანი პირველ რიგში რუსეთთან დაძაბავს ურთიერთობას, რაც არ შედის ირანის ინტერესებში. ამ ხელშეკრულებებში იმდენი პუნქტია ჩადებული, რომ მათი ასე მარტივად გაუქმება არ მოხდება. თეორიულადაც რომ მოხდეს ასე, რა თქმა უნდა, საქართველოს მოუწევს ირანთან დიპლომატიურ კონფრონტაციაში შესვლა. იმ დროს საქართველო სპარსეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, ამიტომ დღეს ის დეიურე ვერ მოხვდება ირანის შემადგენლობაში. თანაც, გეორგიევსკის ტრაქტატმაც გააუქმა ბევრი პუნქტი. ამდენად, საქართველოს მიმართ რაიმე მუქარის შესრულება, პირველ რიგში, ირანისთვის მრავალი პრობლემის მომტანი იქნება. ამიტომ ეს განცხადება ირანის ერთგვარ დემარშად უნდა აღვიქვათ.

**ასმათ ჯალმაიძე**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ავანსცენაზე მესამე ძალის გამოსვლა, სავარაუდოდ, სჭირდება ბიძინა ივანიშვილს არა იმის გამო, რომ „ნაცმოძრაობას“ ვერ უმკლავდება, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთმა მისმა მოკავშირემ შეიძლება მტერზე უარესი ზიანი მიაყენოს, თუ საზოგადოება და ახალი ოპოზიცია მათ მკაცრად არ გააკონტროლებს.**

# ვის და რისთვის სჭირდება მესამე ძალა?

**მესამე ძალა... ეს სიტყვები ამაყად კი ჟღერს, მაგრამ ეს არასაკმარისია იმისთვის, რომ მან ქართულ პოლიტიკურ არენაზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს. მისი პერსპექტივების შესაფასებლად, ალბათ, საჭიროა იმის დადგენა, არსებობს თუ არა მესამე გზა ან, თუ გნებავთ, მესამე იდეა, თუნდაც მონახაზის სახით, და ტრანსფორმაციის რა სტადიაში იმყოფებიან პირველი და მეორე ძალები, ისევე, როგორც პოლიტიკური სისტემა მთლიანობაში; მარტივად რომ ვთქვათ, მესამე ძალა არ არის „ნატალი პორტმანის თაყვანისმცემელთა წრე“ ან „მიხეილ სააკაშვილის ყველა ბრუნვაში მოხსენიების საზოგადოება“, რომელიც შეიძლება დააფუძნო მაშინვე, როდესაც მოგეხასიათება, რადგან წინაპირობები ამისთვის აშკარად მომწიფებულია.**




## დღეს ივანიშვილს სჭირდება დახმარება «გარედან» და მისი განცხადება წარმოადგენს სიგნალს მისი აღმოჩენის აუცილებლობაზე

დისკუსია მესამე ძალაზე გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა შემდეგი განცხადება გააკეთა: **„ჩემი ძალიან დიდი სურვილია, რომ მესამე ძალა გაჩნდეს. ამისთვის, გასაგებია, რომ სურვილი საკმარისი არ არის. არსებობენ პარტიები, რომლებთანაც შეხვედრაც მქონდა და მე ამას არ ვმალავ, თუნდაც სალომე ზურაბიშვილთან და ირმა ინაშვილთან. მათ აქვთ პარტია და კარგი იქნება, თუ განავითარებენ და გააქტიურდებიან. ნინო ბურჯანაძესაც შევუთვალე, რომ კარგი იქნება, თუ თავის პარტიას გააძლიერებს და გაააქტიურებს“.** იქვე პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ „ნაცმოძრაობის“ განადგურება არ სურს, თუმცა მიუთითა იმაზეც, რომ ის ვერ ასრულებს ოპოზიციური ძალის მთავარ ფუნქციას: **„გვჭირდება კონსტრუქციული ოპონირება, რასაც, სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ ახერხებს. ამიტომ საჭიროა ჯანსაღი ძალა, რომელიც კონსტრუქციულ ოპონირებას მოახერხებს. ესენი კრიტიკას ფასს უკარგავენ“.**

რა აერთიანებს სამ ჩამოთვლილ პიროვნებას? ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სამივეს რადიკალური, ძველად რომ იტყოდნენ, შეურიგებელი დამოკიდებულება აქვს ყოფილი მმართველებისა და მათი ნამოქმედარის მიმართ. იმ შემთხვევაში, **თუ ისინი გააქტიურდებიან, ახალ ხელისუფლებას, დიდი ალბათობით, უპირველესად, არასაკმარისი პრინციპულობისთვის გააკრიტიკებენ, იმისთვის, რომ სააკაშვილის ჯგუფს გადამეტებული ლმობიერებით ეპყრობა. რეალურად ეს იქნება შეტევა კოაბიტაციის პოლიტიკის და იმ ფსევდო-ორპარტიული სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ახლა „ჩაბეტონების“ სტადიაშია და ძალიან ბევრ ამომრჩეველს არ მოსწონს.** სამაგიეროდ, მოსწონს „ნაციონალებს“ და იმ სუსტ ჯგუფებს მმართველ კოალიციაში, რომლებიც დამოუკიდებლად, ახალ რეალობაში („ნაცრევანშის“ წარმოსახვითი საფრთხის მოხსნისა და კოალიციის დაშლის შემდეგ) ვერაფერს მიაღწევენ. მათ ხელს აძლევთ, რომ დღევანდელი მდგომარეობა რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნდეს. ბიძინა ივანიშვილის შესაძლებლობები, ეს ვითარება რადიკალურად შეცვალოს, ამ ეტაპზე შეზღუდულია, ის იძულებულია როგორც უცხოელი პარტნიორების, ისე კოალიციური პარტნიორების პოზიცია გაითვალისწინოს.

ამ ნიადაგზე შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ **დღეს ივანიშვილს სჭირდება დახმარება „გარედან“ და მისი განცხადება წარმოადგენს სიგნალს მისი აღმოჩენის აუცილებლობაზე.** ხვალ შეიძლება გვიანი იყოს; **სისტემა, რომელიც ჩვენ თვალწინ ყალიბდება და არსებითად პარაზიტულია, ათასი გამოგონილი, ობიექტური წინაპირობის არმქონე, შეზღუდვიდან გამომდინარე, პრემიერს ჯერ ეფექტური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას არ მისცემს, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ, უბრალოდ, გადაყლაპავს მას.**

ალბათ, ცდება ის, ვინც მიიჩნევს, რომ ხვალ ნინო ბურჯანაძე და, მითუმეტეს ირმა ინაშვილი, გააკრიტიკებენ ივანიშვილის მთავრობას, უპირველეს ყოვლისა, ზედმეტი მემარჯვენეობა-მემარცხენეობისთვის, ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვისთვის ან მურა დათვების უფლებების შელახვისთვის, იმის იმედით, რომ ელექტორატი ამას ადეკვატურად აღიქვამს. **დღეს აქტიურ ამომრჩეველს, მედიას და საექსპერტო საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს თუ როგორი იქნება ახალი სისტემა, ერთგვარი ფუნდამენტი,** რომელსაც შემდგომ დაეყრდნობა მთელი კონსტრუქცია თავისი მემარჯვენეებით, მემარცხენეებით, ბიუჯეტით და დათვებით. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება „ნაცმოძრაობის“ საკითხი, დაიმკვიდრებს თუ არა ის ანგარიშგასაწევ ადგილს საქართველოს მომავალში; ყველაფერი დანარჩენი თითქოსდა მეორეხარისხოვანია და მას ყურადღებას თითქმის არ აქცევენ. კონკრეტული მაგალითი: პარლამენტში მიმდინარეობს შრომის კოდექსში შესატანი, უმნიშვნელოვანესი ცვლილებების განხილვა, ეს უშუალოდ ეხება თითოეულ მოქალაქეს, მაგრამ ეს თემა საზოგადოების ყურადღების პერიფერიაზეა მოქცეული, მასზე ძალიან ცოტას საუბრობენ. **მართალია, არის კიდევ ერთი მიმართულება, სადაც ახალმა ოპოზიციამ შეიძლება ქულები დააგროვოს — ალვირახსნილი სოციალური დემაგოგია „მოგვატყუეს“ სტილში, რომლის გამოყენებაზე შეიძლება, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი დაფიქრდეს, მაგრამ ეს ივანიშვილის მიერ ჩამოთვლილი პოლიტიკოსების „საფირმო კერძი“ ნამდვილად არაა, მათთვის** (და ამავე დროს საკმაო რაოდენობის ამომრჩევლისთვის) **მთავარი იდეა სამართლიანობის აღდგენაა.**

ალბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის იდეა ტაქტიკური არსენალიდან, ის არ ქმნის სრულფასოვან ალტერნატივას და, შესაბამისად, ვერ გამოკვებავს „მესამე ძალას“ სტრატეგიულ პერსპექტივაში. რას გააკეთებენ სამართლიანობის აღდგენაზე ორიენტირებული ძალები მას შემდეგ, რაც ყოფილი ხელისუფლების ნამოქმედართან მიმართებაში, სამართლიანობა აღდგება? **დღეს მათ შეუძლიათ შეასრულონ ბიძინა ივანიშვილისთვის და საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სასურველი, ინსტრუმენტული როლი, მაგრამ ამავე დროს მომავალზეც უნდა იფიქრონ.**

ნინო ბურჯანაძემ საპასუხო განცხადებაში გააკრიტიკა პრემიერი იმის გამო, რომ „ნაცმოძრაობას“ საპატიო მეორე ადგილი მიაკუთვნა: **„რატომ არის „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე პოლიტიკური ძალა? პოლიტიკური ძალის რიგითობა უნდა განსაზღვროს საზოგადოებამ და მოსახლეობამ. მხოლოდ მათ შეუძლიათ რომელიმე პარტიას მიანიჭონ პირველი ნომერი ან მეთხუთმეტე“,** ხოლო მოგვიანებით „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა: **„საქართველოს მოსახლეობამ „ნაციონალურ მოძრაობას“ ნათლად უთხრა „არა“. პარლამენტში არსებული ბალანსი მოსახლეობის განწყობას არ ასახავს. „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმათა 40% არ მიუღია. გარდა ამისა, სამართლიანობის აღდგენა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ მოსახლეობას აქვს ლეგიტიმური, არგუმენტირებული პრეტენზია, რასაც ჯერ პასუხი არ გასცემია. ამ პასუხების გაცემის შემდეგ, გამოძიებების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ ლეგიტიმური ოპოზიცია ვერ იქნება“.**

თუ ბელეტრისტიკას გვერდზე გადავდებთ, ვნახავთ, რომ **ამ განცხადებაში ფიქსირდება სწორედ ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, როგორც ფრონტალური იერიში „ნაციონალების“ წინააღმდეგ, ისე მინიშნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე.** განხილული სქემის ფარგლებში ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც თანხმობა ტაქტიკურ (ფორმალურად ფარულ) ალიანსზე, რომლის მიზანი იქნება ჯერაც ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ბიპოლარული სისტემის დანგრევა, და, ამავე დროს, მომავალში მყარი პოზიციების დაკავების პრეტენზიაც. **ბურჯანაძემ ასევე ისაუბრა „პარტიების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე, რაც ისევე, როგორც სარჩევნო კოდექსის გადახედვა, შეიძლება საჭირო გახდეს იმისთვის, რომ სუსტი პარტიები გაძლიერდნენ.** მოწოდება ივანიშვილისადმი, რომ თანამშრომლობა „მესამეებთან“ ამ ტიპის კონკრეტული ნაბიჯებით დაიწყოს, რამაც, იდეაში, მისი წინადადების სერიოზულობა უნდა დაადასტუროს, რამდენიმე ექსპერტმა გაახმოვანა.

ცუდი კანონმდებლობის გარდა, არსებობს კიდევ ერთი შემაფერხებელი მიზეზი, რომელიც ფსიქოლოგიურ ხასიათის ატარებს. **საზოგადოება და მედია, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, მნიშვნელოვანწილად ბიპოლარული მოდელის ტყვეობაში მოექცა,** ორი შეურიგებელი, დაპირისპირებული ძალით, რომელთაგან ერთ-ერთი აღიქმება, როგორც აბსოლუტური სიკეთე, ხოლო მეორე — როგორც აბსოლუტური ბოროტება (თეთრი და შავი, ჩვენ და ისინი). უამრავი ამომრჩეველი წინასაარჩევნო კამპანიის დროს სამყაროს სწორედ ასე აღიქვამდა. **ეს ტრადიცია ჯერ კიდევ სამოქალაქო ომიდან მოდის და, შესაძლოა, 1999 წლის არჩევნებიდან, როდესაც ხელისუფლებამ ოსტატურად გამოიყენა ქართველების ლტოლვა სამყაროს სურათის გამარტივებისკენ და „ორი პოლუსის“** („აღორძინება“ და „მოქალაქეთა კავშირი“) **ცნობილი მოდელი შემოაგდო. სხვათა შორის, ამ მოდელის პროეცირება საგარეო პოლიტიკაზეც ხდება** (აშშ და რუსეთი — მორჩა და გათავდა, ჩინეთსა და ევროპას უბრალოდ ვერ ამჩნევენ).

ამ არაჯანსაღი, პოლიტიკური თვალსაზრისით დამღუპველი მიდგომიდან გამომდინარე, **საზოგადოება** (ყოველ შემთხვევაში, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი) **ზურგს აქცევს ყველაფერს, რაც შავ-თეთრი მოდელის ჩარჩოში არ ჯდება; „მესამე ხედვა“ და „მესამე აზრი“ მას ნაკლებად აინტერესებს.**

რეალურად, ეს პრობლემა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებისგან მომავალი საფრთხე და ნებისმიერი სხვა ტაქტიკური სირთულე, რადგან ის ხელს გვიშლის რეალური დემოკრატიის ჩამოყალიბებაში.

ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ ალტერნატიული იდეა „მესამე ძალისთვის“ ზედაპირზე დევს და ის განსხვავებულ საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციას (რუსეთზე ან ნეიტრალიტეტზე) უკავშირდება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე, საკმარისად მძლავრი გაერთიანება მას ძირითად იდეად გამოიყენებს, ეს აუცილებლად გამოიწვევს პოლარიზაციას, საზოგადოების გახლეჩას ორ ნაწილად და მწვავე დაპირისპირებას. საგარეო ორიენტაცია არ შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც დროშა ამომრჩეველთა მობილიზაციისთვის. **განსხვავებული იდეები ორიენტაციასთან დაკავშირებით შეიძლება** (და უნდა) **დაფიქსირდეს პარტიების პროგრამებსა და წინასაარჩევნო ლოზუნგებში, მაგრამ არ შეიძლება გახდეს ცენტრალური, რადგან ეს, ლოგიკურ განვითარებაში, სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანს და, მსგავსი უბედურება რომც არ მოხდეს, ეს გამოიწვევს შიდაპოლიტიკური პრობლემატიკის დაქვემდებარებას საგარეოპოლიტიკურისადმი, რაც, უახლესი გამოცდილებიდან გამომდინარე, კარგს არაფერს მოგვიტანს.**

**ავანსცენაზე მესამე ძალის გამოსვლა, სავარაუდოდ, სჭირდება ბიძინა ივანიშვილს არა იმის გამო, რომ „ნაცმოძრაობას“ ვერ უმკლავდება, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთმა მისმა მოკავშირემ შეიძლება მტერზე უარესი ზიანი მიაყენოს, თუ საზოგადოება და ახალი ოპოზიცია მათ მკაცრად არ გააკონტროლებს.** შეტევას „ნაციონალების“ პოზიციებზე, სავარაუდოდ, მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა აქვს, ხოლო მთავარი ამოცანა იმ არაჯანსაღი გარემოს ანიჰილაციაა, რომელშიც კოალიციაში შემავალმა ძალებმა შეიძლება მუტაცია განიცადონ და უარეს მონსტრებად ჩამოყალიბდნენ. გამორიცხული არაა, რომ **ივანიშვილმა სრულად გააცნობიერა საფრთხე, რომელიც სისტემის დღევანდელი მდგომარეობიდან მოდის და დახმარებისთვის „გარეთ დარჩენილ“ ძალებს მიმართა.** სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი და მესამე ძალა (პირობითად ასე ვუწოდოთ) დამოუკიდებლად არ გააქტიურდა, თითქოსდა ივანიშვილისგან რაღაც სანქციას ელოდა, თუმცა არსებითი მნიშვნელობა ამას უკვე აღარ აქვს: **სანქცია გაცემულია, მწვანე კი — ანთებული.**

„აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი როცა გაქვს დასაბრუნებელი, როცა იცი, რუსეთის ნების გარეშე ეს პრობლემები ვერ მოგვარდება და ამ დროს რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენოციდს აღიარებ, საკუთარი ქვეყნის მტერი ხარ და სხვა არაფერი. მეტიც, თავად ხომ დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებელ ყველა გზას იჭრი, შენს შემდგომ ხელისუფლებასაც უქმნი დამატებით და, შესაძლოა, გადაულახავ ბარიერს, ამ ტერიტორიების დაბრუნების საკითხში“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯონდი ბაღათურია: ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით სააკაშვილმა ახალ ხელისუფლებას შენელებული მოქმედების ნაღმი დაუტოვა



**2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა მორიგი ანტიეროვნული, ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილება მიიღო — მე-19 საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში ჩერქეზი ხალხის გენოციდი აღიარა. ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით, მიხეილ სააკაშვილმა პანდორას ყუთს თავი ახადაო, — წერდა მაშინ ყველა გავლენიანი უცხოური გამოცემა და მათ შორის იმ ქვეყნებისაც, დღენიადაგ რუსეთის დაშლა-დაქუცმაცებაზე რომ ოცნებობენ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, ჩვენგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენიციდი ჯერ არ ულიარებიათ. მიხეილ სააკაშვილი და მისი საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, რატომღაც საქართველოს ინტერესების ხარჯზე, ჩერქეზეთის იმაზე დიდი პატრიოტები გამოდგნენ, ვიდრე თავად ჩერქეზები არიან. არადა, არსებობს უამრავი არგუმენტი იმის დასასაბუთებლად, რომ ეს იყო სააკაშვილის მორიგი მიზანმიმართული პროვოკაცია, რომლის მიზანიც ამერიკის ხელისუფლების გარკვეული წრეების სიამოვნება იყო საქართველოს ინტერესების ხარჯზე. სააკაშვილმა ამით კიდევ ერთხელ დაარტყა რუსეთს და ეს სწორედ ამერიკელი გავლენიანი პოლიტიკოსების დაკვეთით გააკეთა.**

**დეპუტატი, რომელმაც ამ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების წინააღმდეგ მაშინ ხმა აღიმაღლა, ჯონდი ბაღათურია იყო. თუმცა ერთი პარლამენტარი რას მოერეოდა გავეშებულ „ნაციონალებს“, რომელთაც ერთი სული ჰქონდათ, ეს წმინდა წყლის პროვოკაცია კანონად ექციათ? იმასაც შეგახსენებთ, მაშინ ჯონდი ბაღათურია ცემასაც კი გადაურჩა — არაერთი „ნაციონალი“ ექაჩებოდა, როგორ გაბედე და ჩვენი მამამთავრის, სააკაშვილის, სურვილის მართებულობა ეჭვქვეშ დააყენეო.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ „ქართული დასის“ ლიდერი — ჯონდი ბაღათურია ესაუბრება.**

**— ბატონო ჯონდი, საკამათო არ არის, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით საქართველომ ბევრი წააგო. მოდით, კონკრეტულად მითხარით, რა საფრთხეებს შეიცავს ეს აღიარება?**

— დასაწყისში ჯერ იმას მოგახსენებთ, თუ რატომ გააკეთა ეს დე ფაქტო პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. დიახ, 2011 წელსაც ის დე ფაქტო პრეზიდენტი იყო, რადგან 2008 წელს მან არჩევნების გაყალბების გზით მიიტაცა ხელისუფლება და ერთპიროვნულ მმართველად, უზურპატორად მოევლინა ქვეყანას. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ჩერქეზთა გენოციდი აღიარეს ამერიკის ხელისუფლების გარკვეული ჯგუფების გულის მოსაგებად. ამერიკელთა სიმპათიები რომ დაემსახურებინა, სააკაშვილი რუსეთთან ხელოვნურ კონფლიქტებს წარმოშობდა და ესეც ერთ-ერთი მათგანი იყო. დიახ, ამერიკელებს ასიამოვნეს ამითაც — აი, საქართველომ, ამერიკის სტრატეგიულმა პარტნიორმა, რამხელა დარტყმა მიაყენა რუსეთს, ამერიკის მოწინააღმდეგესო. მათი გულის მოგება კი სააკაშვილსა და მის ბანდას ბევრი რამისთვის სჭირდებოდათ. უპირველესად, იმ დანაშაულობების ჩასაფარცხად, „გასაპრავებლად“, რაც მათ წლების მანძილზე ჩაიდინეს ქვეყანაში. ხომ ხედავთ, დღეს, როცა სააკაშვილსა და მის გუნდს ძალიან უჭირს, ამერიკის კონგრესიდან და სენატიდან ხან რომელი დაჯგუფება აქვეყნებს მათ მხარდამჭერ წერილებს და ხან რომელი. ისინი ვალს უბრუნებენ სააკაშვილს და მისი არა მარტო ჩერქეზთა გენოციდის აღიარების გამო მართებთ. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, ამერიკელი პოლიტიკოსების საამებლად, საქართველოსთვის საზიანო არა ერთი ნაბიჯი გადადგა.

ახლა იმ საფრთხეებზე მოგახსენებთ, რომლებიც ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას აუცილებლად მოჰყვება. **დღეს ახალი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს, ეს აღიარება კი მალე გადაულახავ თუ ძნელად გადასალახავ ბარიერად აღიმართება ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. სააკაშვილის ამ პროვოკაციულ საქციელზე დღევანდელ ან სხვა ხელისუფლებას მოუწევს პასუხისმგებლობის აღება.** საინტერესო რა არის, იცით? დედამიწის ზურგზე არავის უცვნია ჩერქეზთა გენოციდი, ევროპაში ჩერქეზთა უამრავი სათვისტომო არსებობს, ყველას ლიდერებს ვიცნობ და ჯერ არც ერთს არც კი დაუყენებია საკითხი რომელიმე ქვეყნის წინაშე, რომ მან აღიაროს რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენოციდი. მეტიც, ოფიციალურად, ჩერქეზულ დიასპორას თავადაც კი არ ულიარებია რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენოციდი. ახლა მეტი რაღა გითხრათ? „ნაციონალები“ პაპზე მეტად კათოლიკენი გამოდგნენ და რატომ, ეს უკვე გითხარით.

**აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი როცა გაქვს დასაბრუნებელი, როცა იცი, რუსეთის ნების გარეშე ეს პრობლემები ვერ მოგვარდება და ამ დროს რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენოციდს აღიარებ, საკუთარი ქვეყანის მტერი ხარ და სხვა არაფერი.** მეტიც, თავად ხომ დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებელ ყველა გზას იჭრი, შენს შემდგომ ხელისუფლებასაც უქმნი დამატებით და, შესაძლოა, გადაულახავ ბარიერს, ამ ტერიტორიების დაბრუნების საკითხში.

**— თამამად შეიძლება თქმა, რომ ეს აღიარება უტყუარი დასტურია იმისა, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებას არა თუ არ აპირებდნენ, ამაზე საერთოდ არც ფიქრობდნენ.**

— დამასწარით... სწორედ ეგ უნდა მეთქვა ახლა. დიახ, სააკაშვილი არც კი ფიქრობდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. ჩერქეზთა გენოციდის აღიარებაა ამის მართლა უტყუარი დასტური. მეტიც, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით სააკაშვილმა ახალ ხელისუფლებას შენელებული მოქმედების ნაღმი დაუტოვა და ეს აღიარება ხელოვნურად, სრულიად შეგნებულად დამატებით დაბრკოლებებს ქმნის იმ რთულ გზაზე, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია და რომლის გავლის პირობაც ახალმა ხელისუფლებამ დადო.

აქვე ერთ სერიოზულ საფრთხეზეც მოგახსენებთ, რომელიც ჩერქეზთა გენოციდის აღიარების გამო, ადრე თუ გვიან, კარს მოგვადგება. თურქეთის იმპერიის მიერ 1915 წელს სომეხთა გენოციდი რამდენიმე სახელმწიფომ უკვე აღიარა. საქართველოში საკმაოდ ბევრი სომეხი ცხოვრობს, თანაც კომპაქტურად. ეს ხალხი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან. რომ დაირაზმონ ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოს მიადგნენ და მოსთხოვონ, სომხების გენოციდი აღიარეთო, რას ვეუბნებით მერე? ამის კანონიერი უფლება აქვთ და ვერ წაართმევ. საფრანგეთის ხელისუფლებამ აღიარა ჩვენი გენოციდი და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება რატომ არ აღიარებსო, რომ გვეტყვიან, რა უნდა ვუპასუხოთ? სულ მცირე, გენოციდის საკითხის განხილვაზე ხომ ვერ ვეტყვით უარს? უარს ეტყვი და მაშინვე ჩერქეზების გენოციდის აღიარების ფაქტს შეგახსენებენ და პირში ბურთივით ჩაგჩრიან. ამ საკითხის განხილვას რა შედეგი მოჰყვება, ეს კიდევ ცალკე საკითხია. აღიარებ — თურქეთს გადაიკიდებ, არ აღიარებ და ღმერთმა იცის, აქ, ჯავახეთში რა პროცესებს დაიწყებენ სომხები. მოკლედ, სააკაშვილის ამ დანაშულებრივმა გადაწყვეტილებამ საშინაო პრობლემებიც შეგვიქმნა, რუსეთთან ისედაც გაფუჭებული ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესების გარდა.

**— დამეთანხმებით, საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს, რაც რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების გარეშე შეუძლებელია. ასევე, საქართველოს დასარეგულირებელი აქვს ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან. ამ ჭრილში „საქართველო და მსოფლიომ“ მეტად საინტერესო იდეა წამოჭრა — კერძოდ ის კონფლიქტური ტერიტორიების საკითხი უნდა ავიყვანოთ უმაღლეს რანგში და მათ მოსაგვარებლად უნდა გამოვიყენოთ პრეზიდენტის პოსტი. ცხადია, ახალ პრეზიდენტზეა ლაპარაკი, რომელსაც სააკაშვილის შემდგომ ავირჩევთ. ახალ პრეზიდენტს უნდა დაევალოს პოლიტიკის ამ მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარება. ამით პრეზიდენტის პოსტი აღარ იქნება ისეთი კომფორტული და პასუხისმგებლობით დაუტვირთავი, როგორც ეს არის განსაზღვრული. ახალ პრეზიდენტს მოუწევს ჩასვლა და მოლაპარაკებების გამართვა არა მხოლოდ ევროპასა და ამერიკაში, დაესწრება არა მხოლოდ მისთვის გამართულ ბალ-მასკარადებს, მოუწევს ჩასვლა სოხუმში, ცხინვალში, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქებში კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად. რას იტყვით ამ იდეაზე?**

— ვიდრე ჩემს აზრს მოგახსენებთ მაგ საკითხზე, მინდა პრეზიდენტის ინსტიტუტზე ვთქვა მოკლედ. ახალი პრეზიდენტი, რომელიც შემოდგომაზე გვეყოლება, ძალიან უუფლებო და დასუსტებული იქნება.

**— კი, ახალი პრეზიდენტი თითქმის ბუტაფორიული ფიგურა იქნება, მას, მგონი, იმაზე მეტი უფლებები არ ექნება, რაც შვედეთის პრინც კარლ ფილიპს თავის ქვეყანაში.**

— ეგ არ არის კარგი. ჩვენ უდიდესი შეცდომა დავუშვით. პრეზიდენტის ინსტიტუტი, საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, ფუნქციებისგან განიძარცვა და მთელი ავტორიტარული ძალაუფლება პრემიერ-მინისტრის ხელში გადავიდა. სააკაშვილი ფარაონის უფლებებით იყო აღჭურვილი, მაგრამ არანაკლები უფლებები შემოდგომიდან პრემიერს ექნება. ავტორიტარულ მმართველობას ქვეყანაში პრეზიდენტი დაამყარებს თუ პრემიერი, ქვეყნისა და ხალხისთვის სულერთია. კი, ჯერჯერობით აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილს არანაირი გადახრა და სურვილი არ აქვს, რომ ერთპიროვნული მმართველი იყოს, მაგრამ რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული თუნდაც ივანიშვილის კეთილ ნებაზე, გამოიყენებს თუ არა უსაზღვრო ძალაუფლებას, რომელიც მას მალე გადაეცემა? ანდა სულ ივანიშვილი ხომ არ იქნება პრემიერი? სად არის გარანტია, რომ პრემიერად ისეთი კაცი არ მოვა, რომელიც სააკაშვილზე უარესს არ დაგვმართებს? მე ვიყავი იმ კომისიაში, რომელმაც ეს საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო, პრეზიდენტის ინსტიტუტი დაასუსტა და მისი ლამის ყველა უფლებამოსილება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს გადასცა. კომისიის წევრთაგან ერთადერთი აღმოვჩნდი, რომელმაც ამ ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა და გააპროტესტა. ავტოკრატიული მმართველობის საფრთხე ისევ არსებობს საქართველოში და ახლა ეს საფრთხე პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტიდან მოდის. ამიტომ ჩვენ აუცილებლად უნდა შევიტანოთ ცვლილებები კონსტიტუციაში, პრემიერის მოჭარბებული უფლებები პრეზიდენტზე გადავანაწილოთ.

**ხელისუფლების ეს ორი შტო ამით დაბალანსდება. პრეზიდენტი აღარ იქნება ბუტაფორიული. ყველამ ვიცით, რომ პრემიერის ამ გაფართოებულ უფლებებს სააკაშვილი სათავისოდ იმზადებდა, რათა, რაც დარჩა დასანგრევი ამ ქვეყანაში, პრემიერის რანგში დაენგრია. ყველაფერს თავი დავანებოთ, სააკაშვილზე მოჭრილ-მოზომილი, თითქმის შეუზღუდავი უფლებების გამოყენება რამდენად ზნეობრივი იქნება?**

„საქართველო და მსოფლიოს“ წინადადებას პრეზიდენტის არჩევის კრიტერიუმებზე და მისთვის კონფლიქტური ტერიტორიების მიმართულებით პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მხოლოდ მივესალმები. მნიშვნელოვანია, რომ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგისას მთავარი მომლაპარაკებელი მომავალი პრეზიდენტი იყოს. ცხადია, ეს მოლაპარაკებები რუსეთის გარეშე არ ჩაივლის და, თუკი ჩვენი მხრიდან, ასე ვთქვათ, მთავარი მომლაპარაკებელი პრეზიდენტი იქნება, რუსეთი მას საგარეო საქმეთა სამინისტროს რომელიღაც დეპარტამენტის უფროსს ვერ დაუსვამს; მეორე მხარესაც წარმომადგენლობითი, რეალური პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ფიგურა უნდა ჩაერთოს დიალოგში. ეს საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის დადგენილი წესებია. რუსეთი კი ამ წესებს დაემორჩილება. **მართალს ბრძანებს თქვენი გაზეთი, ამით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში პოლიტიკური დონე ამაღლდება და შესაბამისად, პრობლემის მოგვარების პერსპექტივაც გაიზრდება. თუმცა, ჩემი აზრით, მომავალი პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებულად უნდა მუშაობდეს ამ საკითხებზე და ყველა სამინისტრო მაქსიმალურად უნდა ეხმარებოდეს მათ მოგვარებაში.**

კი, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთანაც დასარეგულირებელი გვაქვს ურთიერთობები, ესეც საჭირო და დროული საქმეა. თუ ამ საქმესაც პრეზიდენტი ითავებს, ძალიან კარგი იქნება. ესეც ხომ საგარეო პოლიტიკის ნაწილია, რაც ახალი პრეზიდენტის მთავარი საზრუნავი იქნება. ვფიქრობ, ეს ახლებური მიდგომა და იდეები საკმაოდ შორსგამიზნულია, კონკრეტულ მიზანს ემსახურება და სურვილი, რომ თუნდაც შეზღუდული უფლებების რანგში საქართველოს ახალ პრეზიდენტს სოლიდური, უმნიშვნელოვანესი ფუნქციები შევძინოთ, ბუნებრივი და მართებულია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე და საზრუნავი საქართველოს პრეზიდენტისთვის არც უნდა არსებობდეს.

**«მნიშვნელოვანია, რომ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგისას მთავარი მომლაპარაკებელი მომავალი პრეზიდენტი იყოს»**

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

ახალი მესაიდუმლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, 234-32-95

**სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელ განცხადებას მესამე ძალის შესახებ სწორედ ის დატვირთვა ჰქონდა, რომ მას მართლაც უნდა გარედან დახმარება. ის კი, რომ მის მიერ დასახელებული პარტიებიდან მხოლოდ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მონაწილეობს შუალედურ არჩევნებში, ამ ეტაპზე სწორედ ამ პარტიის პერსონალურ მხადაჭერას ნიშნავს პრემიერისგან.**

# «რესპუმიცინი» — საუკეთესო საშუალება რეიტინგის დასაგდებად...

**ხსენებული პრეპარატი, გნებავთ, პოლიტიკური ანტიბიოტიკი, მისი შემქმნელი მამების, ძმები ბერძენიშვილების, მტკიცებით, ჯერ კიდევ შორეულ 1978 წელს რესპუბლიკური პარტიის ეტიკეტით დაუპატენტებიათ საქართველოს პოლიტიკური ფარმაციის სივრცეში.**



ანუ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში უხუცესობას იჩემებენ. ჰოდა, როგორც იმერეთში იტყვიან ხოლმე, „ისემც არ ოუდგეთ გვერდები“, რადგანაც თავად ლევან ბერძენიშვილი აცხადებს 1984 წლის 6 იანვარს, საქართველოს სუკის იზოლატორში მიცემულ ჩვენებაში, ვციტირებ:

**„თვითნაბეჭდი ჟურნალი („სამრეკლო“ — დ.მ.) გამოცხადდა არარსებული პარტიის ორგანოდ, ხოლო პარტიას მოეძებნა პომპეზური და პრეტენზიული სახელი „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“...**

მოკლედ, როგორც ჩვენში იტყვიან, „რუჩკა ვერ გააგდებინეს ხელიდან“ და სხვა კიდევ რა აღიარა მაშინ რესპების დღევანდელმა ლიდერმა, როგორ ჩაუშვა ვ. ძაბირაძე, ვ. შონია და საკუთარი ძმაც ზედ მიაყოლა, ცოდვებმონანიებული როგორ უმღეროდა დითირამბებს დიად საბჭოეთს და მადლობას უხდიდა მამობრივი მზრუნველობის, ჰუმანური მოპყრობის გამო სუკის ოფიცრებს — პოლკოვნიკ ა. მირიანაშვილსა და კაპიტან გ. ცინცაძეს, თუ ვინმეს გაინტერესებთ, იხილეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2010 წლის მე-10 ნომერში ჩემი სტატია „როგორ იქცა სპილო კურდღლად“. მე კი ისევ „რესპუმიცინს“ მივუბრუნდები.

**ამ პრეპარატის კლინიკურ-ამბულატორიული გამოცდები გასული საუკუნის 80-იანების ბოლოს დაიწყო და განსაკუთრებით 90-ანების დასაწყისში მიიღო პერმანენტული ხასიათი, რომლის შედეგებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — რესპუმიცინის ინტენსიური მიღება იწვევს პირღებინებასა და გულძმარვას ყოველგვარი ეროვნულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის, ერთი სიტყვით, კაცურის მიმართ და პირიქით, რესპუმიცინი იწვევს ადრენალიდის ჭარბ გამოყოფას, ანუ, მდაბიურად თუ ვიტყვით, კაიფს, ყოველგვარი კოსმოპოლიტური, ლიბერასტული, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ლგბტ, ანუ პედერასტულხლისტურის გაგონებისას!**

ამიტომ იყო, რომ რესპები, რბილად რომ ვთქვათ, იმთავითვე კრიჭაში ჩაუდგნენ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იფიცებიან, იარაღი არ გვჭერიაო, ასეც რომ იყოს, მაინც ლომის წილი დაიდეს პირველი პრეზიდენტის დამხობაში!

მაგრამ რატომ ლომის, რას ვერჩით ამ კეთილშობილ ცხოველს? რაც უნდა იყოს, მეფეა! რესპებს, ალბათ, მართლაც არ აუღიათ ხელში ავტომატი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მხედრიონელ რურუებზე ნაკლებად სწყუროდათ ზვიადის სისხლი, არამედ იმიტომ, რომ ავტომატის სროლასაც ერთი ადგილის ქონა სჭირდება და ამიტომ არჩიეს „შაკალებივით“ მოლოდინი სისხლისღვრის დასრულებამდე. არც შემცდარან, შევარდნაძის პარლამენტში დეპუტატობაც გაიკრეს და, მიუხედავად სტაბილურად, პრაქტიკულად ნულოვანი რეიტინგისა, მას შემდეგ ტივტივებენ და ტივტივებენ ქართულ პოლიტიკაში, ხან ერთ და ხან მეორე პოლიტიკურ ლოკომოტივს ჩაბმულ-ატორლიალებულები!

ეს, რაც შეეხება უშუალოდ „რესპუმიცინის“ მწარმოებელ რესპუბლიკურ პატრიას, მაგრამ ვინც ნებით თუ უნებლიეთ ახლოს გაიარა რესპუბლიკელებთან, ანუ ეს „პრეპარატი“ თუნდაც მცირე დოზით მაინც მიიღო, მიუხედავად წარსულში დამსახურებებისა ან მომავალთან დაკავშირებული იმედებისა, განუხრელად და შეუქცევადად დაეწყოთ არსებული პოლიტიკური რეიტინგის ვარდნა!

**პირველი, ვინცა ამ მიმართებით მახსენდება, ჩვენი გამოჩენილი რეჟისორი და „ვაზის პარტია, რუსეთთან ერთად“ პოლიტიკური პარტიის შემქმნელი, ბატონი გიორგი შენგელაიაა, რომელმაც ერთ „მშვენიერ“ დღეს, სპეციალურ ბრიფინგზე რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრიანებაზე გააკეთა განცხადება.**

ამის შემდეგ, რაც მოგივიდოდა აზრად ყველა ნორმალურ ქართველს, ის იყო, რომ სად ვაზი, მითუმეტეს სად რუსეთი და სად რესპები, და შემდეგ, „პიპინიას ბიჭი მაინც არ იყო“-ს მსგავსად, მშვენიერი ნატო ვაჩნაძეც გაგახსენდებოდა. საბედნიეროდ, ეს გაუგებრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც „რესპუმიცინი“, როგორც ჩანს, იდეალური ანტიბიოტიკი ვერ არის და, როდესაც გულქართველი კაცი მიიღებს, ე. წ. პაბოჩნი იავლენიები იჩენს ხოლმე თავს და ეტყობა, ბატონ გიორგისაც ალერგია დაემართა და დღეს მხოლოდ ჩემნაირ „ჩასაფრებულ“ ჟურნალისტებს თუღა ახსოვთ ვაჟკაცი კაცის ის „იაღლიში“...

**თითქმის იმავეს თქმა შეიძლება ირაკლი ბათიაშვილზეც, როდესაც მან, ლამის ციხის კამერიდან, პირდაპირ რესპუბლიკელებში დურთა თავი, თუმცა მასაც, როგორც ჩანს, ალერგია დაეწყო, დროზე უშველა თავს და დღეს ისევ ის ირაკლია — 9 აპრილის და აგერ სულ ახლა, 26 მაისის ერთერთი გმირი, ერთი სიტყვით, ეროვნული კაცი!**

თუმცა კლასიკური მაგალითი „რესპუმიცინის“ მავნეობისა, მაინც ირაკლი ალასანიას ისტორიააა...

გახსოვთ, ალბათ, აგვისტოს ომის შემდეგ როგორი იმედიანი მოლოდინი იყო ალასანიას ამერიკიდან ჩამოსვლის მიმართ. რადგანაც, მიუხედავად ბატონი ირაკლის ამერიკაში ხანგრძლივად ყოფნისა, ქართველი საზოგადოების უმრავლესობას იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს ეროვნული გმირის შვილი ბოლომდე არ გაამერიკელდებოდა. და მართლაც, მამია ალასანიას გმირობის შლეიფთან ერთად, მიშა სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი ჩამოჰყვა ყმაწვილ კაცს, რომლისგანაც ლოგიკურად ელოდებოდნენ მეორე გმირის, ჟიული შარტავას, ვაჟთან გაერთიანებას და ორივესგან ერთად — ეროვნული ოპოზიციის სათავეში ჩადგომას. თუ მაინც და მაინც, ეროვნული ლიდერობის მცდელობას მაინც ელოდნენ მისგან, მაგრამ არც ერთი მოხდა და არც მეორე!

მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებად ელოდა და რაც ყველაზე ნაკლებად უნდოდა ხალხს — ირაკლი ალასანიამაც „რესპუმიცინის“ მიღება დაიწყო!

**არადა, თავად გახლავარ მოწმე, როგორ აფრთხილებდნენ, ურჩევდნენ ერის მოჭირნახულე კაცები, რომ არამც და არამც არ გაკარებოდა რესპუბლიკელებს, რადგან, თუ ვინმემ სადმე წინასწარ დაგეგმა, მოდით პირდაპირ ვთქვათ, ამერიკაში ალასანიას რეიტინგით ამოექაჩათ რესპუბლიკელები, პირიქით მოხდებოდა და მოხდა კიდეც — ჯერ ე. წ. საარჩევნო ალიანსში, შემდეგ და განსაკუთრებით რვიან-ექვსიანში განუხრელად იწყო რესპუბლიკელების ნულოვანმა რეიტინგმა ირაკლი ალასანიას მაღალი რეიტინგის დაწევა და ბიძინა ივანიშვილის მოსვლისთვის ბევრად აღარც აღემატებოდა ირაკლის რეიტინგი რესპუბლიკელებისას!**

ისიც გავიხსენოთ, თუ როგორი ფარული დესტრუქციული როლი ითამაშეს რესპებმა 2009 წლის საპროტესტო აქციებისას, რადგან აქციების გზით, ვაი და საააკაშვილი მართლა გადამდგარიყო — ასეთ შემთხვევაში ხომ რესპუბლიკელებს ბუს კვერცხები ერგებოდათ და არა სადეპუტატო მანდატები თუ მინისტრების პორთფელები მომავალ ხელისუფლებაში. ჰოდა, „რესპუმიცინით“ გაბრუებული ალასანიას ხელით ააშლევინეს საკნები ჯერ ტელესტუდიასთან და შემდეგ, ბაიდენის ჩამოსვლის წინა ღამეს, რუსთაველიც „დაალაგეს“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, სიმართლეა მავანი მოწმის ინფორმაცია: თინა ხიდაშელს წამოსცდა, — ღმერთმა ნუ ქნას სააკაშვილი მართლა გადადგესო!..

სხვაც ბევრი რამის გახსენება შეიძლება. მაგალითად იმის, თუ ლამის როგორ აცვეს ჯვარს ალასანია თინა დეიდამ და დათო ბიძიამ: როგორ თუ ნოლაიდელს ხელი ჩამოართვიო, ან ის, თუ ყოველნაირად როგორ უშლიდნენ ხელს ირაკლის ნინო ბურჯანაძესთან კონტაქტში. რატომ? იმიტომ, რომ ალასანია-ბურჯანაძის შესაძლო ალიანსის შემთხვევაში, რესპები „ნე უ დელ“, ანუ ლოკომოტივის გარეშე დარჩებოდნენ. სხვათა შორის, თითქმის ამავე მიზეზით, ანუ შიდა კონკურენციის შიშით, რომ იტყვიან, დანაზე წამოეხიენ და ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილთანაც დაბლოკეს!

**დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლი ალასანიას მოულოდნელი ჩამოლაზორანტებაც ვიცესპიკერის პოსტიდან რესპების მეცადინეობის გარეშე ვერ იქნებოდა, რადგანაც, ჯერ ერთი, ბიძინას კარზე პრემიერის აშკარა ფავორიტი ჩამოიშორეს და მეორე, იმის მიუხედავად, რომ ბოროტი ენები ირწმუნებიან, ალასანიაც კარგად ჰყავთ დასავლეთში „დაჭედილიო“, დიდი ალბათობით, კრიტიკულ დროს ირაკლიში გენეტიკური კოდი მაინც იმძლავრებდა და ეროვნულ ინტერესებს ვერ უღალატებდა მამია ალასანიას მემკვიდრე!**

ყველაზე დიდი შეცდომა ირაკლისა, რაც ისევ და ისევ „რესპუმიცინის“ გამო მოუვიდა, ის არის, რომ 26 მაისის ღამეს რუსთაველზე არ მივიდა!

უკვე მეორედ ვახსენე ბატონი ივანიშვილი და ახლა ამ მიმართებითაც ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ: რომ არა ბიძინა ივანიშვილი, პოლიტიკურ მორგში მყოფი რესპუბლიკელები უკვე კაი ხნის გასვენებულები იქნებოდნენ და იმის მაგივრად, რომ ახლა მაგათი 40-ის ან წლისთავისთვის ვეძებდეთ დარბაზს, მთელ პარლამენტს მართავს ეს ანტიეროვნული, მარად ურეიტინგო ხალხი!

უფრო მეტიც, სადმე ისეთ ეთერში თუ სხედან, სადაც სატელეფონო ზარები შესდით და, როგორც წესი, ლანძღავენ, მაინც ყინჩად და, მე ვიტყოდი, თავხედურად, დიახაც ასეა და ასევე გავაგრძელებთ, ამ ტონში პასუხობენ!

ალბათ, ამაზეა ნათქვამი, უნახავმა რა ნახა და...

სოციალურ ქსელში ხომ ხმის ამოღება თუ გაბედეს, იმხელა და იმდენი აგრესია ატყდებათ თავს, რომ თავქუდმოგლეჯილები „გარბიან“ „ფეისბუქიდან“!

**„ეს ურაპატრიოტების სასტავი არჩევნების წინ ფიქრობდა, ბიძინას რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები ამერიკელების დასაბოლებლად სჭირდება, მაგრამ ხელისუფლებაში რომ მოვა, მერე მაგათ გაყრის და ჩვენ მოგვიყვანსო. ჰოდა, ახლა ნელ-ნელ რწმუნდებიან, რომ თურმე ასე არ ყოფილა. არადა, რომ იცოდნენ, მე თვითონ გავავრცელე ის მესიჯი, წყნარად რომ ყოფილიყვნენ არჩევნებამდე და ხელი არ შეეშალათ“,** — აი, რას წერს ეს თავხედი, რესპების იდეოლოგიური მდივანი დავით ზურაბიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე! ანუ ეგ „პარაშა“ მე შემოვაგდე თქვენთვის, ურაპატრიოტებოო, ჩვენზე იძახის ეს ჩოლოხა, თორემ მაგათ ვის რას შევუგდებთ, მოკლე ხანში დაინახავენ და, რაც მთავარია, იგრძნობენ, რადგანაც...

არა სოციალურ-ეკონომიკური დაპირებების, არამედ ყბადაღებული კოაბიტაციის გამო, აგრეთვე, იმის გამო, რომ ხალხისთვის სასურველი რეაქციები არ ჩანს პარლამენტიდან ბათუმის მეჩეთი იქნება ეს, სომხური ენის სტატუსი, ქართული მიწების გასხვისება თუ უფრო შორეული, მესხეთელი თურქების შესაძლო ჩამოსახლება და ჩინური ქალაქის მშენებლობა, რამაც ჯერჯერობით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეურყია ავტორიტეტი ბიძინა ივანიშვილსაც. ბიძინას ჩვენი შველა უნდა გარედან, საშველი კი სწორედ თქვენს მოშორებაშია, ბატონო ზურაბიშვილო, და ურაპატრიოტების სახელით გპირდებით, რომ ამ წლის ბოლომდე ვადამდელ არჩევნებზე ნაცებთან ერთად ან სულ გაგიტანთ პარლამენტიდან, ან უარჩევნებოდ იმდენად გაგანეიტრალებთ, რომ რაღა თქვენ გიპარპაშიათ პარლამენტში და რაღა გოგისვანიძეების რესტორანს მიკედლებულ მაწანწალა ძაღლებს უყეფიათ — გადაწყვეტილებებს მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი მიიღებს და არა თქვენ, რესპები, რომლებიც არავის აურჩევიხართ!

**სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელ განცხადებას მესამე ძალის შესახებ სწორედ ის დატვირთვა ჰქონდა, რომ მას მართლაც უნდა გარედან დახმარება. ის კი, რომ მის მიერ დასახელებული პარტიებიდან მხოლოდ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მონაწილეობს შუალედურ არჩევნებში, ამ ეტაპზე სწორედ ამ პარტიის პერსონალურ მხადაჭერას ნიშნავს პრემიერისგან. სულ ახლახან შექმნილი პარტიისგან, რომელმაც უკვე მოახერხა და ქუთაისის საკრებულოში ნაცების უმრავლესობა დაშალა, „ხვალ“ იგივე ელის რიგ საკრებულოებსაც!**

დღევანდელ პარლამენტში, რა თქმა უნდა, არიან და მრავლადაც, ეროვნულად მოაზროვნე დეპუტატები, მაგრამ ისევ და ისევ დაწყევლილი „რესპუმიცინის“ გამო, როგორც იტყვიან, ამინდს ვერ ქმნიან. პოლიტიკურ ველზე, სადაც შუა გაიკრიფა, ბიძინა თანახმაა და, თუ ღმერთმაც ინება და პირველ ყლორტად პატრიოტთა კანდიდატი სოსო მანჯავიძე „აღმოცენდა“, ციხის კადრების ერთ-ერთი ავტორი იქნება ის დეპუტატი, რომლის გარშემოც დაირაზმებიან ეროვნულად მოაზროვნე დეპუტატები, რომლებიც „სპა“-ს ძლიერი ფრაქციის სახით, საკუთარ პარტია „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, გახდება პრემიერის მთავარი ეროვნული საყრდენი!

სხვანაირად შეუძლებელია, რადგანაც ვის, ვის და ბიძინა ივანიშვილს კარგად მოეხსენება „ნატო, ნატოს“ ძახილის უტოპიურობა. თუ მაინც და მაინც ნატო მთლად უტოპია არ არის, ის ხომ ცხადზე უცხადესია, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გასაღები არა ევროკავშირ-ნატოს ბრიუსელში ან ვაშინგტონის თეთრ სახლში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის კრემლშია!

ამ ყველაფერს ვერც ხმამაღლა იტყვის პრემიერი და ვერც „დაგუდულად“, ვიწრო წრეში, რადგან იმ ვიწროშიც ამერიკის მსტოვრები ჰყავს და ამიტომაც მას მართლაც სამართებლის პირზე უწევს სვლა — ბოლოს და ბოლოს, ბადრი პატარკაციშვილის ტრაგიკული მაგალითი წინ უდევს...

**თუ მაინც და მაინც წერილის ფინალი სასურველის რეალობად წარმოჩენის გულუბრყვილო ბჟუტურია, მაშინ „რესპუმიცინი“ ის საწამლავია, რომლის ზემოქმედებით ზემოთ თქმული დიდხანს ვერ გაგრძელდება და მალე ბიძინას რეიტინგიდანაც აღარაფერი დარჩება!**

**დავით მხეიძე**

**„ყველა მართლმადიდებელ ქრისტიან, ამ სიტყვათა მსმენელ სულს, რომელიც ამ ძეგლის წაკითხვის შემდეგ არათუ მარტო არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილწეს და საქმით არ მოიმოქმედებს ამას, არამედ თუნდაც ხუმრობით და სიტყვით იტყვის რაღაც საამისოს, ამის გამომხატველ და მიმსგავსებულ სიტყვას და საქმეს წარმოაჩენს, უთუოდ თავს დაატყდება ამ საწუთროში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამგდები რისხვა, გოგირდში არეული სოდომური ცეცხლის მსგავსად“.**

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტრატეგიული პარტნიორის ტაქტიკურად გარყვნა

## ყველა ცივილიზაცია, რომელმაც ჰომოსექსუალიზმი «მოიწონა», უზრალოდ გაქრა!

**2013 წლის 28 მარტს ამერიკული ჟურნალი „თაიმი“ საკმაოდ ექსტრავაგანტული ყდით გამოვიდა. კერძოდ, პრიალა გარეკანზე ერთსქესიანი ადამიანების კოცნაა დაფიქსირებული, ხოლო ჟურნალის ერთ-ერთი ვრცელი სტატია ერთსქესიანთა ქორწინებას ეხება. სტატია სათაურით „ერთსქესიანთა ქორწინებამ გაიმარჯვა — სასამართლოს არ გადაუწყვეტია, ხოლო ამერიკამ გადაიფიქრა“ იმ ამბით იწყება, რომ მოსამართლე ენტონი კენედიმ (სხვათაშორის, იგი კენედის კლანის წარმომადგენელი არ გახლავთ) მხარი ერთსქესიანთა ქორწინებას და ამ ადამიანთა უფლებებს დაუჭირა.**







**„და რას იტყვით იმ 40 ათას ბავშვზე, რომლებიც ჰომოსექსუალურ წყვილებს ჰყავთ კალიფორნიაში? მათ სურთ, მათი მშობლები იყვნენ, სრულიად აღიარებულები და ჰქონდეთ სრული სტატუსი,** — განაცხადა კენედიმ, — **ამ ბავშვების ხმა არის თუ არა საქმეში გასათვალისწინებელი, როგორ ფიქრობთ?“**

ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** 2012 წლის მაისში ტელეკომპანია ABC-ს განუცხადა: **„ბევრს ვფიქრობდი ამ თემაზე, ხშირად ვესაუბრებოდი მეგობრებსა და ახლობლებს და მივედი დასკვნამდე, რომ ერთსქესიან წყვილებს უნდა ჰქონდეთ ქორწინების უფლება“.**

ობამას თქმით, მან აზრი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მის ადმინისტრაციასა და სხვა საჯარო სამსახურებში დასაქმებულ ჰომოსექსუალებს დააკვირდა.

**„ეს ძლიერი მონოგამიური წყვილებია, რომლებიც თავს შებოჭილად გრძნობენ იმის გამო, რომ ქორწინების უფლება არ აქვთ,“** — თქვა ობამამ. ასევე, ვიცე-პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ მას **„არაფერი აქვს საწინააღმდეგო ჰომოსექსუალური ქორწინებისა“.** აღნიშნული განცხადების შემდეგ ჟურნალი **„ნიუსვიკი“** 2012 წლის 21 მაისს ყდაზე ახალი სათაურით **„ობამა — პირველი გეი-პრეზიდენტი“** გამოვიდა.

როგორც სტატიის ავტორი, ჰომოსექსუალი **ენდრიუ სალივანი** აღნიშნავს, ობამას სიტყვებმა ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ იგი აატირა. **„პრეზიდენტს კარგად უნდა ესმოდეს გეებისა და ლესბოსელების, რადგანაც იგი შავი მამის და თეთრი დედის შვილია. მან თბილი ადგილი გამოუნახა მათ, ვინც თვითიდენტიფიკაციის პრობლემებით იყო განადგურებული. მან დაუბრუნა მათ საყვარელი ოჯახები და პატივისცემა, რომელსაც ისინი იმსახურებენ,“** — წერს სალივანი.

საერთოდ, ბოლო პერიოდში ერთსქესიანთა თემების პოპულარიზაცია მწვავე და ხშირი გახდა აშშ-ში. **ჰომოსექსუალიზმი ჯერ კიდევ ქვის ხანის ეპოქიდანაა ცნობილი და ძველ ეგვიპტეში, ებრაულ საზოგადოებაში, ძველ საბერძნეთში, ჩინეთსა და რომში მოიხსენიებოდა. ასე თუ ისე, ყველა ის ცივილიზაცია, რომელშიც ჰომოსექსუალიზმი „მოწონებულად“ ითვლებოდა, უბრალოდ, აღარ არსებობს.** შემდეგი იმპერიები ყოველთვის უარყოფდნენ ჰომოსექსუალურ კავშირებს და, როგორც წესი, დევნიდნენ ერთსქესიანი ტრფობის მოყვარულთ.

**„რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს უზენაესმა სასამართლომ, ნათელია, რომ ამერიკელთა უმრავლესობას მიაჩნია: ქორწინება ძირითადი სამოქალაქო უფლებაა და ამ უფლების უარყოფა სექსუალური ორიენტაციის გამო სხვა არაფერია, თუ არა უფლების დარღვევა,“** – წერს „ტაიმის“ შეფ-რედაქტორი რიკ სტენგელი.

სტატიის ავტორს „სკანდალური“ სტატისტიკა მოჰყავს: **„როგორც მოსახლეობის აღწერის ბიურო გვამცნობს, დაახლოებით 600 ათასი ერთსქესიანი ამერიკული საოჯახო მეურნეობიდან 115 ათასი ბავშვს ზრდის“.**

**„სასამართლომ, უბრალოდ, იმის რატიფიცირება მოახდინა, რასაც ამერიკელები ყოველდღიურად აწყდებიან: რომ ჰომოსექსუალები და ლესბოსელები არ ყოფილან საზოგადოებისთვის უცხო. ისინი იყვნენ ოლიმპიური ოქროს მედალოსნები, როგორც გრეგ ლუგენისი; მილიარდერები, როგორც დევიდ გეფენი; კონფერანსიე, როგორც ელენ დეჯენერსი. ჰომოსექსუალი რაგბისტი მარკ ბენგჰემი იყო იმ გულად მგზავრებს შორის, რომლებიც 93-ე რეისის გამტაცებლებს დაუპირისპირდნენ 9/11-ის დროს. არქიეპისკოპოსი მილოუკი გეი იყო,“** — წერს სტატიის ავტორი.

როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტის სტრატეგიული პარტნიორები ცალსახად ცისფერ-ვარდისფერი გეზის გაოფიციალურების გზას ირჩევენ და მათ, როგორც დემოკრატიის შუქურას, ამაში ხელს ვერავინ შეუშლის. რადგან ჰომოსექსუალური ქორწინება დემოკრატიული ფასეულობების განვითარებითაა გამოწვეული და ამას „ტაიმში“ დაბეჭდილი სტატიაც ადასტურებს, ძია სემმა შესაძლოა ჩათვალოს, რომ სხვა „დემოკრატიულ“ მოთხოვნებს შორის ესეც უნდა წაუყენოს მის მტრფიალე პატარა ქვეყნებს. **ქართველი მოსახლეობისთვის საკმაოდ რთული არჩევანი იქნება ნატო ან ერთსქესიანი ქორწინება. სოდომისა და გომორის ცოდვა იმდენად დეტალურად და მკაფიოდაა აღნიშნული ბიბლიაში, რომ მართლმადიდებელი საზოგადოება მას ვერასდროს მიემხრობა.**

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხშირად საკუთარ თავს დავით აღმაშენებელს ადარებს. ჟურნალ „ტაიმის“ რედაქციამ და თავად პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, შესაძლოა, არ იციან ასეთი ისტორიული ფაქტი, მაგრამ სააკაშვილს სკოლაში მაინც უნდა ჰქონდეს ნასწავლი, რომ დავით აღმაშენებელმა 1103 წელს რუის-ურბნისის კრება მოიწვია. კრებაზე მიღებული კანონები ძლიერი სახელმწიფოს შენებასა და ქართულ ეკლესიაში არსებული დარღვევების აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. კრების დროს შემოღებულ მუხლებს შორის არის მე-18 მუხლი, რომელსაც სრულად გთავაზობთ:

**„კანონი 18**

**ღმრთის გამამწარებელი უბილწესი საძაგლობა, სოდომელთა ცოდვა, არ ვიცით, როგორ შეეთვისა ამ მოდგმას. მან სულ ჩამოაშორა იგი და გააუცხოვა ღმერთისაგან. ვისთანაც მან განსასვენებელი პოვა, მათთვის ვადგენთ შემდეგს: მრავალგზის, მრავალი მოდგმის მიერ მრავალი და ურიცხვი ცოდვა ყოფილა ჩადენილი, როგორიცაა: მტრობა, შური, სიძულვილი, კაცისკვლა, მრუშობა, ცრუფიცობა, ბოლოს ყოველი ბოროტების საწყისი — კერპთმსახურება და თაყვანისცემის გადატანა დამბადებლიდან დაბადებულთა მიმართ. მაგრამ არც ერთი ამათგანის გამო არ აღელვებულა აუღელვებელი ღმერთი, როგორც თვითონ უთხრა აბრაამს: „სოდომისა და გომორის ღაღადება მოვიდა ჩემამდე და ჩამოვედი სანახავად, არის თუ არა მათი ღაღადებისამებრ მათი საქმეები“** ***(შდრ. დაბ. 18, 20-21).***

ამის შემდეგ ნახეთ, თუ რა მოხდა! კაცთათვის ღმრთისაგან სამსახურებლად გაჩენილი ნივთები თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ როგორ შეიცვლიან ბუნებრივ ძალას და უცხო ცოდვის აღსაგველად უცხო ქმედების უნარს შეიძენენ: მუდამ აღმა მოძრავი ეთერის ცეცხლის მსუბუქი ბუნება როგორც რაღაც სქელი და მძიმე, დაღმა ჩამოედინება და მძაფრი წვიმის საშინელებით ჩქეფს, გოგირდთან არეული, რათა დაფერფლოს მრავალი ადამიანის უკეთური სიბილწე. ხოლო ჰაერის ნაზი, თხელი და უფერული ბუნება, რომელიც ცოცხალ არსებათა სუნთქვისა და სიცოცხლის მიზეზია, შეიცვლის თავს ხშირი ალმურის სისქედ, ხელით საძიებელი სიბნელის ფერად და დამახრჩობელ კვამლად, ნიშნად რისხვისა.

ამასთან ერთად, მიწა — მყარი, მტკიცე და მასზე დამყარებულ სხეულთა მტვირთველი, ვეღარ იტვირთავს მათ საძაგელ სიბილწეს, პირველად შესძრავს თავის საფუძველს, სიღრმიდან ამოდუღებული ჰაერით ამოიტანს თავისი სიმტკიცის საფუძველს და მიწაში ჩააქცევს მათი მაღალი კოშკებისა და ტაძრების სიმაგრეს. შემდეგ გააღებს მანამდე გაუღებელ პირს და ჩაყლაპავს არა არსებებს, არამედ უკვე დამწვარ ძვლებსა და ოდესღაც ადამიანად ყოფილ რაღაც საწყალობელ ნეშტებს.

წყალიც უცხოდ და უჩვეულოდ გამოიყურება მათთვის და აღარ არის შვების მიმგვრელი და მოსახმარი. იგი მათი ნეშტის აღსახოცად მოედინება მათეული ქვეყნის მიწაზე, უფრო კი მათ საფლავად ქმნილ ჯოჯოხეთზე, ისე შეცვლილი ბუნებით სხვა წყლებისგან, როგორც ისინი აჭარბებენ სხვა ადამიანებს წრეგადასული სიბილწით.

**ამ ურჯულოებამ უმრავლესი ქვეყნების დამპყრობელი ასურასტანელთა სამეფო სპარსთა და მიდთა ტყვედ აქცია და სრულიად აღმოფხვრა სახსენებელი არა მხოლოდ მეფისა და ძალაუფლების მქონეთა, არამედ საერთოდ მათი კაცობისა. ამ ცოდვამ სომეხთა დიდი და მსოფლიოს ყველა მხარეში ხმაგავარდნილი მოდგმა, მათი სამეფოთი და მთავრებით, არა მარტო დაამხო და დაამდაბლა, არამედ სულ მოსპო კაცთა შორის მათი სახელი. დღეს ვერ იპოვი მათ შორის ვერც მეფესა და ვერც მთავარს, რომელსაც დაუმონებელი თავისუფლება ჰქონდეს, მთელი დედამიწა რომ მოიაროთ. ამ სიბილწემ სპარსელთა მაღალი და რომის სამეფოს მარად მოწინააღმდეგე სამფლობელო მხეცის ბუნების მქონე ავაზაკი კაცების თავდასხმებით მიწამდე დაამდაბლა და აქამდე მათი ძალადობის მორჩილად დატოვა.**

არ ვიცით, თუ საიდან შემოაღწია ამ უკეთურებამ ქრისტეს მოღვაწედ სახელდებულ ერში: „რა? ზიარება? იყო ბელიარისი ქრისტეს თანა?“ (II კორ. 6,15), რომ უცხო ტომთა ხელში ჩავარდნით და მათი მახვილის მოქმედებით ისრაელის ნეშტიღა დაგვრჩა. თუ დავრჩით იმავე უკეთურებაზე, ვაი ჩემდა, თუ დავდუმდი და აღარ ვთქვი ეს ძნელი სათქმელი, ყველასთვის რომ ცხადია. ჩვენც ხომ უნდა მოვერიდოთ მას.

ამისთვის ვამცნებთ ყველას — დიდსა და მცირეს, მდიდარსა და ღარიბს, მეფესა და მთავარს, აზნაურსა და მდაბიოს, მღვდელსა და არამღვდელს, მოწესესა და ერისკაცს, მოხუცს, ახალგაზრდას და შუახნის კაცს, ყველა თანამდებობას, დასს, ჯგუფს, ყველა ასაკს — განუდგეს ამ ყველა ვნებაზე უფრო საძაგელ სიბილწეს და ასე განვამტკიცებთ ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს სახელით: **ყველა მართლმადიდებელ ქრისტიან, ამ სიტყვათა მსმენელ სულს, რომელიც ამ ძეგლის წაკითხვის შემდეგ არათუ მარტო არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილწეს და საქმით არ მოიმოქმედებს ამას, არამედ თუნდაც ხუმრობით და სიტყვით იტყვის რაღაც საამისოს, ამის გამომხატველ და მიმსგავსებულ სიტყვას და საქმეს წარმოაჩენს, უთუოდ თავს დაატყდება ამ საწუთროში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამგდები რისხვა, გოგირდში არეული სოდომური ცეცხლის მსგავსად.**

ხოლო იმქვეყნად ამ ცოდვის ჩამდენს მიიღებს იგი, ვინც დადის უფლის წინაშე და სწვავს ირგვლივ ღმერთის მტრებს. ხორცის სიყვარული ღმრთის მტრობაა და ვინც გახრწნის ღმრთის ტაძარს, მას ღმერთი გახრწნის. ამასთან ერთად ჩვენგან, საღმრთო მონობის ღირსქმნილი უღირსი მონებისაგან, ვაი ჩვენდა, ისინი დაიმკვიდრებენ არა კურთხევას, არამედ საუკუნო შერცხვენასა და მხილებას.“

ასე ვრცლად და დეტალურად არის აღწერილი იმ მოვლენის მიუღებლობა, რომლის აპოლოგიასაც ეწევა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია. სტრატეგიული პარტნიორი ამაზე ბევრად უმნიშვნელო საკითხებშიც ერევა და საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი შეხედულების მიხედვით აიძულებს მოქმედებას. **ამის დასტურად ბიძინა ივანიშვილის მხოლოდ ერთი ფრაზაც კმარა, რომელიც მან სააკაშვილის არშემდგარ იმპიჩმენტთან დაკავშირებით თქვა: „ამერიკელები ამას ვერ გაგვიგებენ“! ამიტომ „ჩვენ მესამე პრეზიდენტი მაინც კულტურულად უნდა გავაცილოთ“!**

გაცილებამდე კიდევ ნახევარი წელია და საინტერესოა, დარჩება სააკაშვილი „აღმაშენებლად“ თუ ამერიკული „დროების“ მსხვერპლი გახდება?!

**მაია ჩუბინიშვილი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ორი დღის განმავლობაში მიდიოდა ჩემი დაკითხვა კალიფორნიაში, პარალელურად ორი ამერიკელი იურისტი თბილისში ჩამოვიდა და ჩემი ძმა დაჰკითხეს საკანში. იმ საადვოკატო ბიუროს ადეიშვილმა გადაუხადა მილიონ-ნახევრამდე დოლარი. ფანატიკურად იყვნენ განწყობილნი, ოღონდ „სიერა ოილისთვის" არ მიეცათ მილიონ ოთხასი ათასი და ამათ მისცეს."**

# ადეიშვილი, ებრაელი ბიზნესმენების მსგავსად, შვეიცარიელი ბიზნესმენის საქართველოში ჩამოტყუებასა და დაპატიმრებას გეგმავდა

**2011 წელს ებრაელ ბიზნესმენთა დაკავების ფაქტს საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. ბევრად დიდ სკანდალს გადაურჩა საქართველო 5 წლით ადრე, როდესაც, ადეიშვილის მითითებით, იგივე სქემა უნდა განხორცილებულიყო შვეიცარიელი ბიზნესმენის, კონცერნ „სიერა ოილ ინტერპრაიზის" პრეზიდენტის — თომას ექსელის წინააღმდეგ.**



ამერიკული ფირმა „დავ ბიზნესი" დაფუძნებულია ქართველი ბიზნესმენების — ძმებ ანდრო და დევი ჩხიკვიშვილების მიერ. შვეიცარიული კომპანია „სიერა ოილ ენტერპრაიზი" დაფუძნებულია ამერიკულ ფირმა „დავ ბიზნესისა" და შვეიცარიულ კონცერნ „მეისფილდის" მიერ. შვეიცარიულ კომპანია „სიერა ოილ ენტერპრაიზს", თავის მხრივ, დაფუძნებული ჰქონდა ამავე სახელწოდების მქონე ფილიალი თბილისში. **„სიერას" საქართველოში შემოჰქონდა ნავთობპროდუქტები, კერძოდ, მაზუთი „თბილსრესისთვის", თბილისის ოფისი კი აკონტროლებდა სახელმწიფოსა და შვეიცარიის კერძო კომპანიას შორის არსებული ვალდებულებების შესრულებას.**

პროგრამა თავიდან წარმატებით ხორციელდებოდა, მაგრამ საქართველოს მთავრობამ მეოთხე კონტრაქტის შემდეგ შეწყვიტა „სიერასთვის" ხელშეკრულებით ნაკისრი მაზუთის ღირებულების გადახდა. დავალიანებამ 750 ათასი დოლარი შეადგინა და, მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ქართულმა მხარემ დავალიანება არ დაფარა. 2000 წელს თბილისის ოფისი დაიხურა და მთელი აქტივები გადაეცა „სიერას" სათაო ოფისს შვეიცარიაში. კერძოდ, მის ხელმძღვანელსა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს — თომას ექსელს. **ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, მიემართა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის (მას შემდეგ, რაც დარიცხული პროცენტების ჩათვლით საქართველოს ვალმა მილიონ-ნახევარ დოლარს მიაღწა) და მოიგო იგი. ამ დროისთვის საქართველოში მაზუთის შემოტანის პროგრამასთან ძმებ ჩხიკვიშვილებს არანაირი შეხება აღარ ჰქონიათ — მთელ პროცესს წარმართავდა შვეიცარული მხარე.**

ძმები ჩხიკვიშვილები ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ. ერთ-ერთ ასეთ სეგმენტს წარმოადგენდა 90-იან წლებში მათ მიერ ჩამოყალიბებული სს „კედარი". 1999 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ საქართველოს მთავრობას, ეკონომიკური სიძნელეების გადალახვის მიზნით, ჩინური ხის საშრობი მანქანა-დანადგარების შესაძენად გამოუყო სამი მილიონი იუანი (დაახლ. 700 ათასი ლარი). ვინაიდან საქართველოდან ძირითადად ხორციელდებოდა დაუმუშავებელი (მათ შორის, გაუშრობელი) ხის მორის ექსპორტი, რაც უკარგავდა ქვეყანას უფრო მაღალი შემოსავლის მიღების შანსს, ჩინური გრანტის მიმღებად დამტკიცდა ეკონომიკის სამინისტრო. სწორედ მას უნდა გამოეცხადებინა ტენდერი და გრანტის ფარგლებში შეძენილი პროდუქცია ლიზინგით გადაეცა გამარჯვებულისთვის. ეს ნიშნავდა იმას, რომ პროდუქციაზე მესაკუთრის უფლებას იტოვებდა მმართველი ორგანო მისი ღირებულების სრულ ჩარიცხვამდე. გამარჯვებულს წინასწარ 10% ეძლეოდა, დანარჩენი თანხის გადახდა კი უნდა მომხდარიყო 7 წლის განმავლობაში (ყოველკვარტალურად თანაბარ ნაწილებად უნდა გადაეხადა).

ხსენებულ ტენდერში გაიმარჯვა სს „კედარმა" და 2001 წლის სექტემბერში გაფორმდა №1 ლიზინგის ხელშეკრულება ეკონომიკის სამინისტროსთან, რის შემდეგაც სს „კედარს" გადაეცა 748 ათას 477 ლარის ღირებულების დანადგარები — 100 კუბომეტრ ხის მასალაზე გათვლილი ოთხი საშრობი კამერა. ამუშავების პროცესში გაირკვა, რომ 100 კუბომეტრ ნედლეულს საშრობი არ აშრობდა. ანდრო ჩხიკვიშვილმა მიმართა ეკონომიკის სამინისტროს ნაკლულობის შესამოწმებლად, მაგრამ, იქიდან პასუხი რომ ვერ მიიღო, დანადგარებს ექსპერტიზა ჩაუტარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრში. **საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ჩინური გრანტის ფარგლებში გამოგზავნილი 100 კუბომეტრი საშრობები, სინამდვილეში 60 კუბომეტრ ხის მასალაზე მეტს ვერ აშრობდა, ანუ თითქმის ორჯერ ნაკლებზე იყო გათვლილი.** არადა, სს „კედარს" უკვე გადახდილი ჰქონდა 748 ათას 477 ლარის 10% და ხელშეკრულებაც გაფორმებული დარჩენილი ღირებულების 7 წლის განმავლობაში დაფარვაზე. **„კედარმა" დაიწყო დავა ეკონომიკის სამინისტროსთან და მალევე ამ დავამ სასამართლოში გადაინაცვლა. 2004 წლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სს „კედარმა" მოიგო პროცესი და განთავისუფლდა 748 ათას 477 ლარის გადახდისგან.** მრავაწლიანმა სასამართლო დავამ სერიოზულად აზარალა ბიზნესი, ამიტომ ჩხიკვიშვილებმა „კედარი" იმავე წელს გაყიდეს მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით. ასე დასრულდა სს „კედარის" საქმე.

2006 წელს კედარის საქმე ზურაბ ადეიშვილმა „გააცოცხლა". გთავაზობთ ამონაწერს ანდრო ჩხიკვიშვილის საბრალდებო დასკვნიდან:

**„ეკონომიკის სამინისტროსგან აღებული ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ, ანდრო ჩხიკვიშვილმა და მისმა პარტნიორებმა განიზრახეს თაღლითური გზით ქონებრივი უფლების მიღება ისე, რომ არ გადაეხადათ მიღებული მანქანა-დანადგარების საზღაური. ამ მიზნით, მათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრიდან მოიპოვეს ყალბი დასკვნა, თითქოსდა საქართველოს მთავრობის მიერ „კედარზე" გაცემული საშრობები აშრობდა 60 კმ-ს, ნაცვლად 100 კმ-ისა. ამ დასკვნით მათ მოიგეს სასამართლო პროცესი. 2006 წლის სექტემბერში იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ხელახლა ჩაატარა ექსპერტიზა და დაადგინა, რომ ხის საშრობი დანადგარების ტევადობა შეესაბამებოდა მის საპასპორტო მონაცემებს, რითაც გამოიკვეთა ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სიყალბე და 2004 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების მცდელობა. აღნიშნული ქმედებით ანდრო ჩხიკვიშვილმა სახელმწიფოს მიაყენა 748 ათას 477 ლარის ზიანი".**

## ანდრო ჩხიკვიშვილი: მე ვიყავი ადეიშვილის პირადი ტყვე

**გიორგი აბაშიძე, ანდრო ჩხიკვიშვილის ადვოკატი:**

— სს „კედარის" გაყიდვიდან 2 წლის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ სხვა მეპატრონის ხელში გადასულ დანადგარებზე ხელახლა დაუკვეთა ექსპერტიზა სამხარაულის ბიუროში. ახალ საექსპერტო დასკვნაში ჩაწერეს, რომ ხის საშრობი იტევდა 100 კუბომეტრს. დასკვნას ხელი მოაწერა სამხარაულის ექსპერტმა ნუგზარ ბელქანიამ. ანდრო ჩხიკვიშვილს წაუყენეს ბრალდება, რომ მან ეკონომიკის სამინისტრო და სასამართლო მოატყუა გაყალბებული საექსპერტო დასკვნით და რომ დანადგარები 100 კუბომეტრ ხის მასალაზე იყო გათვლილი და არა 60 კუბომეტრზე. **ჩვენ სასწრაფოდ მივმართეთ შვეიცარიის საწარმოთა ინსპექციის დამოუკიდებელ ექსპერტთა საერთაშორისო კომისიას (SGS-ს), რომლის დასკვნა მსოფლიოს ყველა სასამართლოსთვის უცილობელია. ასევე, უკრაინის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის ხის დამუშავების ტექნოლოგიების კათედრის გამგეს და მერქნის საერთაშორისო აკადემიასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს. ყველგან დაფიქსირდა, რომ 60 კუბომეტრზე მეტს არ აშრობდნენ ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადმოცემული დანადგარები. არც ერთი ეს დასკვნა საქართველოს პროკურატურამ არ გაიზიარა და სასამართლოზე წარადგინა სამხარაულის ექსპერტ ნუგზარ ბელქანიას, ფიზიკის ყოფილი მასწავლებლის, მიერ ხელმოწერილი დასკვნა.** ბელქანიას დასკვნამ გადაფარა საერთაშორისო კლასის ექსპერტთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები, რის საფუძველზეც ანდრო ჩხიკვიშვილი დააკავეს.

**ანდრო ჩხიკვიშვილი, დაზარალებული ბიზნესმენი:**

— პირველი, ვინც ვნახე ქალაქის პროკურატურაში, იმდროინდელი ქალაქის პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი გახლდათ: „შენ ხარ ანდრო ჩხიკვიშვილი? გადაიხადე მილიონები, თორემ დაგალპობ ციხეშიო".

**— რა მილიონებზე იყო საუბარი?**

— „კედარის" საქმე არავის აინტერესებდა. ღვინიაშვილი საქმის კურსშიც არ იყო ჩინურ საშრობ-დანადგარებთან დაკავშირებით. მათი ინტერესის ერთადერთ სფეროს წარმოადგენდა „სიერა ოილ ენტერპრაიზი". მე ჩამსვეს ციხეში, ჩემი ძმა კი გენერალური პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა კახა ჭუმბაძემ დაპატიჟა რესტორანში „მეტეხის ჩრდილი". ჭუმბაძეს თან ახლდა საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე კახა მაჭავარიანი. ჭუმბაძემ ჩემს ძმას აუხსნა, რომ, წლებია, საქართველოს მთავრობას აქვს „სიერასთან" დავა და საქართველომ სრულად გადაიხადა მასზე დაკისრებული თანხა. მაგრამ თაღლითური გზებით ეს ფული დანიშნულების ადგილას არ მოხვდა.

**— რას გულისხმობდა?**

— საქართველოს მთავრობას „სიერასთან" ჰქონდა რამდენიმე ეტაპიანი ხელშეკრულება. რომელსაც თავიდან პატიოსნად იხდიდა. შემდეგ შეწყვიტა გადახდა და 800 ათას დოლარამდე დარჩა გადასახდელი. სწორედ ამ თანხას დაედო პროცენტები და ავიდა მილიონ ნახევრამდე. 2000 წელს ჩვენ გავეყარეთ შვეიცარიელებს და ამის შემდეგ მათთან კავშირი არ გვქონია. გავიდა ექვსი წელი და უცებ ადეიშვილის კანტორა გამოხტა — აბა, ჩქარა ფულიო. რა ფული, ვფიქრობთ, ვისი ფული! ჰოპ და „კედარი". **მე ვიყავი ადეიშვილის პირადი ტყვე. იგი ჩემს საქმეს პირადად კურირებდა როგორც გამოძიების დროს, ისე სასამართლო პროცესის მსვლელობისას.** ყველა ეტაპზე სრულდებოდა უშუალოდ მისი მითითებები და განკარგულებები.

**დევი ჩხიკვიშვილი, ანდრო ჩხიკვიშვილის ძმა:**

— რესტორან „მეტეხის ჩრდილში" კახა ჭუმბაძემ გამომიცხადა, რომ საქართველოს მთავრობამ გადაურიცხა „სიერას" ფული, მაგრამ ეს ფული თბილისის ფილიალმა თაღლითურად მიითვისა და ახლა შვეიცარიელები იმიტომ ჩივიანო. მე ვუთხარი, მსგავსი საბუთები არ მაქვს მეთქი და, საბუთები მე მაქვსო. მომცა 850 ათასი დოლარის პირდაპირი გადარიცხვის ქვითრები შვეიცარიაში. გარდა ამისა, გადმომცა სია სხვადასხვა დროს განხორციელებული გადარიცხვებისა: აი, ჩვენ გადავრიცხეთ, თქვენ კი თაღლითები ხართ და მიითვისეთო. ამ გადარიცხვებს ვხედავდით პირველად. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, შვეიცარიის „სიერას" ოფისიც ამ სიას პირველად ხედავდა.

**— ანუ გადარიცხვების ყალბი ნუსხა გადმოგცეს?**

— გაყალბებული. მაგრამ, მაშინ პირველად რომ მანახეს, შვეიცარიელებთან გადავამოწმებ-მეთქი. მოკლედ, **ჭუმბაძე მეუბნება, — თუ გინდა, შენი ძმა გამოვიდეს, აიღე ეს საბუთები, წაბრძანდი შვეიცარიაში და ეს საკითხი დაარეგულირეო.** „კედარი" საერთოდ არ უხსენებია.

**— რას ნიშნავდა დარეგულირება?**

— „სიერას" ვალი 7 მილიონ დოლარამდე იყო ასული და ამ ვალზე უარი უნდა მეთქმევინებინა. თავის დროზე ტომას ექსელთან ძალიან ახლოს ვიყავი. საქართველოში ჩამომყავდა და ყოველთვე დავდიოდა ლონდონში დირექტორთა საბჭოს შეხვედრებზე. **ჩავედი ციურიხში და ვაჩვენე ჭუმბაძისგან გამოტანილი გადარიცხვების სია. ექსელი კინაღამ გაგიჟდა, ამას თქვენი პროკურატურა როგორ გატანთ, ეს გადარიცხვები ხომ არ არსებობსო?! დააჯინა თავისი ფინანსისტები, ამოიღეს საარქივო დოკუმენტაცია და გაირკვა შემდეგი: კახა ჭუმბაძემ მე რაც გამატანა, რომ თითქოს-** ▶

# «იუსტიციის ყოფილი მინისტრის ხელის ბიჭები დღემდე მაღალ თანამდებობებს ინარჩუნებენ»

**„მინიმუმ შვიდი პოლიციელი მაინც უნდა მიეცათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ცრუ ჩვენებისა და საქმის გაყალბებისთვის. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ჩემი შვილი და ოქროპირიძე არ გაამართლეს. მე დღეს ამ შვიდი პოლიციელის სახელსა და გვარს თამამად გისახელებთ და ვფიქრობ, ყველა მათგანი უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.“**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **და საქართველოს მთავრობას „სიერა ოილისთვის“ ფული ჰქონდა გადახდილი, ეს იყო 1997 წლის 83-ე კონტრაქტით გადარიცხული თანხა და არანაირი კავშირი მას არ ჰქონდა შემდგომ გადარიცხვებთან და დარიცხულ პროცენტებთან, ანუ ადეიშვილის კანტორამ ანგარიშის ნომრები იგივე დატოვა და გადარიცხვის თარიღები შეცვალა.** ეგონათ, რომ ამდენი ხნის გასვლის შემდეგ ამას ვერავინ გაშიფრავდა. გაგიჟდა ექსელი, ეს თქვენმა პროკურატურამ გააკეთაო? ვუთხარი, ტომას, მოდი ამას ნუ გავამწვავებთ, ძმა მყავს ციხეში-მეთქი. **საბოლოოდ მოვილაპარაკეთ, რომ საქართველოს მთავრობას უნდა გადაეხადა 800 ათასი დოლარი ძირი თანხისა და პლიუს ადვოკატების მომსახურება რაც დაუჯდა „სიერას“ — სულ მილიონ 400 ათასი დოლარი. დანარჩენ 5 მილიონ-ნახევარ დოლარზე კონცერნი უარს ამბობდა.**

ჩამოვედი საქართველოში, მივედი პროკურატურაში კახა ჭუმბაძესთან და ეგრევე მომახალა — თქვენ ვინ მოგცათ უფლება საქართველოს სახელით ლაპარაკისო. „მე გითხარით, რომ ეს საქმე უნდა დაარეგულიროთ, აქ ჩამოვიდეს ექსელიო, — ყვიროდა და შენობით მელაპარაკებოდა. — ჩამოიყვანეთ ტომას ექსელი და აქ ჩვენ მივხედავთო“. ამასობაში მე მომიწია ჩემი ბიზნესის საქმეზე ამერიკაში წასვლა. იქ მომაკითხეს ამერიკელმა იურისტებმა კალიფორნიის სასამართლოს ორდერით, მომიტანეს საქმე და ამიხსნეს, რომ იუსტიციის სამინისტრომ დაიქირავა. **ორი დღის განმავლობაში მიდიოდა ჩემი დაკითხვა კალიფორნიაში და პარალელურად ორი ამერიკელი იურისტი თბილისში ჩამოვიდა და ჩემი ძმა დაჰკითხეს საკანში. იმ საადვოკატო ბიუროს ადეიშვილმა გადაუხადა მილიონ-ნახევრამდე დოლარი. ფანატიკურად იყვნენ განწყობილნი, ოღონდ „სიერა ოილისთვის“ არ მიეცათ მილიონ ოთხასი ათასი და ამათ მისცეს.**

საბოლოო ჯამში, ამერიკელმა ადვოკატებმა ვერაფერს მიაღწიეს. საქართველოს მთავრობას მოუწია 7 მილიონი დოლარის სრულად დაფარვა. ჩემს ძმას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს, მაგრამ, ვინაიდან ჩემს ძმას არ მიუძღოდა ბრალი ამ საქმეში, პასუხისგებაში არ მიუციათ, სამაგიეროდ, გაასამართლეს სს „კედარის“ საქმესთან დაკავშირებით და 800 ათას ლარამდე გადაგვახდევინეს (ვითომდა ჩინური მანქანა-დანადგარების საფასური). ანდრო ხუთი წელი იჯდა ციხეში და ამ ხნის განმავლობაში უარს ამბობდა საპროცესო შეთანხმებაზე. ბოლოს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა დათანხმებულიყო და არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე გამოვიდა.

**ადეიშვილს უნდოდა, ჩვენს ოჯახს გადაეხადა „ენტერპრაიზის“ დავალიანება. ჩემი ძმის დაჭერის მიზანიც ეს იყო. ადეიშვილის ბრძანების უშუალო შემსრულებელი იყო მისი მოადგილე გიორგი ლაცაბიძე, ხოლო ლაცაბიძის დავალებებს კახა ჭუმბაძე ასრულებდა.**

**კახა ჭუმბაძე**, ყოფილი უდიდეს საქმეთა გამომძიებელი, ამჟამად — პროკურორი:

**— ბატონო კახა, დევი ჩხიკვიშვილის განცხადებით, თქვენ ადეიშვილის უშუალო მითითებით მოქმედებდით, როდესაც იგი შვეიცარიაში გააგზავნეთ, „სიერა ოილ ენტერპრაიზ“-თან მოსალაპარაკებლად?**

— ეს საქმე ჩემს წარმოებაში იყო დაახლოებით 7-8 წლის წინ. ახლა მე აღარც ეს საქმე მაქვს წარმოებაში, აღარც ის მახსოვს, რა მოხდა და როგორ მოხდა. ასე რომ, ვერაფერს გეტყვით „ენტერპრაიზთან“ დაკავშირებით.

**ნუგზარ ბელქანია**, სამხარაულის ბიუროს ყოფილი ექსპერტი:

**— ბატონო ნუგზარ, სს „კედარის“ საშრობ-დანადგარების თქვენ მიერ გაცემულ დასკვნაში გიწერიათ, რომ ისინი გათვლილია 100 კუბომეტრ ხის მასალაზე. ამ დროს, საერთაშორისო აკრედიტირების მქონე ექსპერტიზის ცენტრებს 60 კუბომეტრი აქვთ მითითებული...**

— ჩემ მიერ გაცემულ დასკვნაში შრობაზე არ არის საუბარი. ეს უნდა გაეკეთებინა შესაბამის სპეციალისტს, მაგრამ არ მოიძებნა საქართველოში ასეთი. ჩვენ წამოვაყენეთ მოთხოვნა, რომ მოწვეულიყო ტექნოლოგი შრობის სფეროში. სპეციალისტი ვერ მოიძებნა და მერე მოხდა იქ ჩარევა, ძალიან გვაჩქარებდნენ, როგორმე ის მაინც დაწერეთ, რამდენი ჩაეტევა ამ დანადგარებშიო, მაგრამ ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა შრობასთან.

**— მაშინ რატომ ჩასვეს ანდრო ჩხიკვიშვილი ციხეში?**

— არ ვიცი. 2-3 წლის შემდეგ გავიგე, რომ ციხეში იყო. ამაზე არც მიდიოდა დასაწყისში საუბარი და არც მეგონა, ამ კაცს თუ ციხეში ჩასვამდნენ.

**— კი მაგრამ, „კედარის“ წინასაექსპერტო დასკვნებს არ გაეცანით, სადაც ეწერა რომ დანადგარები სინამდვილეში 60 კუბომეტრს აშრობდა?**

— ჩემთვის არ წარმოუდგენიათ არანაირი წინასაექსპერტო დასკვნა და დოკუმენტაცია. იქ შედგა ცხრილი და ის ცხრილის შეკვეცილი სახით მოხვდა დასკვნაში.

**— რას ნიშნავს შეკვეცილი?**

— შეიძლება დანადგარში ჩაეტიოს 100, 200 და მეტი კუბომეტრი, მაგრამ სინამდვილეში 60-ზე მეტს არ აშრობდეს. ტევადობა სხვა არის, შრობა — სხვა. შრობაზე ექსპერტიზა არ ჩატარებულა იმიტომ, რომ ვერ მოიძებნა სპეციალისტი. მე კიდევ არ ვარ სპეციალისტი. იყო ბიუროში საუბარი იმაზე, რომ აუცილებლად უნდა მოეძებნათ ტექნოლოგი შრობაზე და რატომ არ მოიძებნა და რატომ არ ჩატარდა ექსპერტიზა, არ ვიცი.

**დღესდღეობით ანდრო ჩხიკვიშვილის საქმეს პროკურატურა იძიებს. ამ საქმეში მონაწილე პირები კი დღესაც მაღალ თანამდებობებს იკავებენ. კერძოდ, კახა ჭუმბაძე, გენერალური პროკურატურის ყოფილი საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი, დღეს პროკურორი გახლავთ. კახა მაჭავარიანი, გენერალური პროკურატურის ყოფილი საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე, დღეს მოსამართლეა. გიორგი ღვინიაშვილი, ქალაქის ყოფილი პროკურორი, დღეს პარლამენტარია. გიორგი ლაცაბიძე, ადეიშვილის ყოფილი მოადგილე, დღეს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეა.**

**თამარ ნაზღაიძე**

# პოლიციის მიერ დატერორებული ოჯახები თავიანთი ჯალათების ვინაობას ამხელენ

**„მთელი გორი ამ სტატიის გამოსვლას ელოდება. არ სჯერათ, რომ გავბედავ და იმ პოლიციელების სახელებსა და გვარებს დავასახელებ, რომელთაც უამრავი ადამიანის გაუბედურებაში მიუძღვით ბრალი“, — ეს სიტყვები გორის მე-5 საჯარო სკოლის ყოფილ სასწავლო ნაწილის გამგეს, ირმა პაპუაშვილს, ეკუთვნის. მისი თქმით, მას დასაკარგი არაფერი აქვს და თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ბოლომდე იბრძოლებს.**



**ირმა პაპუაშვილი**, დაკავებული დავით გვერდწითელის დედა:

— 2012 წლის 25 მარტს საკუთარი ავტომობილიდან გადმოსული ჩემი შვილი უცნობმა პიროვნებამ დააკავა და ხელბორკილი დაადო. ეს მოხდა ჩვენი სახლის წინ, ამილახვრის ქუჩაზე. სანამ მანქანაში ჩასვამდნენ, ჩემმა შვილმა დაინახა, როგორ მოუახლოვდათ მეორე პოლიციელი, რომელსაც ხელში „აზრეზი“ ეჭირა, და იკითხა, — „ეს სად წავიღოო“. პასუხად მიიღო, — „მანდ სადმე დააგდეო“, რის შემდეგაც **იარაღი დათოს მანქაში, წინა „კოვრიკზე“ დააგდეს. თვითონ უკან დასხდნენ, შუაში ჩემი შვილი მოიქციეს და საკუთარი მანქანითვე გაიტაცეს.** ამ ფაქტს რამდენიმე ადამიანი შეესწრო, მათ შორის — დავით ოგიაშვილი. ეს უკანასკნელი სასამართლოში მოწმედაც გამოიყვანეს, სადაც დაადასტურა დაკავების ფაქტი და ადგილი, მაგრამ სასამართლომ მისი ჩვენება არ გაითვალისწინა. ჩემს შვილს რამდენიმე საათის განმავლობაში ვეძებდი საპატრულოში, პოლიციაში, საავადმყოფოში. მხოლოდ მას შემდეგ შემატყობინეს მისი ადგილ-სამყოფელი, როცა განვაცხადე, რომ ჟურნალისტებს მივმართავდი და ამ ფაქტს მივცემდი გატაცების კვალიფიკაციას.

**— სად წაიყვანეს თქვენი შვილი?**

— ქალაქის პოლიციის სამმართველოში, სადაც ერთ ღამეში ოთხჯერ დაკითხეს. გაუსაძლისი ფიზიკური და მორალური ზეწოლის შედეგად პოლიციისთვის სასურველი ჩვენება მიიღეს. **სამმართველოშივე შედგა ოქმი, რომელშიც მითითებული იყო, რომ დავით გვერდწითელი დააკავეს არა საკუთარ სახლთან, არამედ სხვა ქუჩაზე; რომ საკუთარი მანქანით კი არ გაიტაცეს ხელბორკილდადებული, არამედ მაშინ, როცა გაურკვეველი მიმართულებით გარბოდა და თან დაკავების მომენტში პოლიციის მიერ მანქანაში ჩაგდებული გადაჭრილი თოფი შარვალში ჰქონდა გაჩრილი.** ამ უაზრო და აბსურდულ ბრალდებას კიდევ ერთი დეტალი მიაწერეს: თითქოს ჩემი შვილის მანქანაში, რომელიც, ოქმით, ცაბაძის ქუჩაზე იყო მიტოვებული, აღმოჩნდა სამი წლის წინ მოპარული მონიტორი. ზემოთ ხსენებულ ოქმს ხელს აწერდა სამი პილიციელი: ხვთისო თაყაძე, კობა კობალაძე და ლევან თოთლაძე; ასევე, ს. სვიანაძე, დ. დურგლიშვილი და გ. სამადაშვილი. ასე შეკერეს ჩემი 22 წლის შვილის წინააღმდეგ საქმე, რომელსაც მიუყენეს ყაჩაღობის მუხლი, რომელიც იარაღის ჩადებით იყო გამაგრებული.

**— როგორ მოიპოვეს ასე მოკლე ხანში თქვენი შვილისგან აღიარებითი ჩვენება?**

— ცემით რომ ვერ მიაღწიეს ვერაფერს, ძმით დააშანტაჟეს. კერძოდ, როდესაც ჩემი უფროსი ვაჟი თავისი ძმის მოსაკითხად მივიდა პოლიციის სამმართველოში, მესამე სართულზე დათოს „დაკითხვა“ მიმდინარეობდა. ერთ-ერთმა პოლიციელმა მას ფანჯრიდან დაანახა პოლიციის შენობაში შემავალი ძმა და უთხრა: „ხედავ შენს ძმას, ახლავე ამოვაყვანინებ და მეოთხე კაცად გვერდით მოგისვამთო. ან აღიარე ყაჩაღობა, ან შენი ძმაც შენს დღეში ჩავარდებაო“. პარალელურად წინ დაუდეს ნარკოტიკებით სავსე შეკვრა, რომელიც, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ჩემი უფროსი ვაჟის ჯიბეში აღმოჩნდებოდა. სწორედ ეს გახდა გარდამტეხი მომენტი, რის შემდეგაც ჩემმა შვილმა უთხრა: „მე არარსებულს ვერ შევთხზავ, დაწერეთ, რაც გინდათ, და ხელს მოგიწერთო“. სასწრაფოდ შემოუტანეს პოლიციისთვის სასურველი ტექსტი, რომელიც შემდგომში სუფლიორების მეშვეობით ტელეკამერების წინ რამდენიმეჯერ გაამეორებინეს. სუფლიორი კარნახობდა ყაჩაღობის მარშრუტებს, გეგმებს, სქემებს და ჩემი შვილიც იმეორებდა. შემდეგ რამდენიმე დუბლიდან „საუკეთესო“ შეარჩიეს და ორი დღის განმავლობაში ყველა სახელისუფლო არხი ატრიალებდა.

**პოლიციას არანაირი ბოჭკოვანი, დაქტილოსკოპიური და მეტალოგრაფიული ექსპერტიზა არ ჩაუტარებია, რომელიც დაამტკიცებდა იმ იარაღის კავშირს ჩემს შვილთან. მხოლოდ მოწმე პოლიციელების ჩვენებით იკვეთებოდა ჩემი შვილის კავშირი იარაღთან. არანაირი სხვა მიუკერძოებელი მოწმე ბრალდებას არ წარმოუდგენია.** მოგვიანებით სააპელაციო სასამართლოს დასკვნაში კი დაწერეს, რომ ოჯახმა თვითონ არ მოითხოვა ექსპერტიზაო. ამან მე და ჩემი ოჯახი მორალურად გაგვანადგურა. მე გორის მე-5 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა დავტოვე და შემდეგ ქალაქიდანაც წამოვედი.

**— ქალბატონო ირმა, როგორც ვიცი, ეს იყო ჯგუფური დაპატიმრებების სერია. კიდევ ვინ და რა ბრალდებით აიყვანეს თქვენს შვილთან ერთად?**

— ჩემი შვილის გატაცების პარალელურად სოფელ ბერბუკში დააპატიმრეს **ლევან ახალკაცი**. მას გზაზე დახვდა ორი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციელი, რომლებმაც სცადეს მისი მანქანაში შეთრევა. ახალკაცმა წინააღმდეგობა გაუწია. ამ დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა მას ბარძაყის არეში შპრიცით რაღაც ინექციის გაკეთება დაუპირა. ლევანმა მოასწრო, ამოიძრო შპრიცი და შორს მოისროლა. დარწმუნდნენ რა, რომ კარგად ვერ შეუყვანეს ინექცია, ხელბორკილდადებული ლევანი მანქანის უკანა სავარძელზე გულაღმა გადააწვინეს, ცხვირზე ხელის მოჭერით პირი გააღებინეს და რაღაც თეთრი ფხვნილი ჩააყარეს. სასწრაფოდ გააქანეს ნარკოლოგიურში, სადაც ნარკოტიკული თრობის ფაქტი დაუფიქსირეს. შემდეგ ბინაც გაუჩხრიკეს, სადაც თითქოს გადაჭრილი თოფი აღმოუჩინეს.

მესამე დაკავებული გახლდათ **ბელა ოქროპირიძე**, რომელიც ჩემი შვილის ამბის გასაგებად ჩემთან მოდიოდა ხოლმე. **იგი ჩემს სახლთან დააკავეს, ყველანაირი ჩხრეკის გარეშე ჩასვეს მანქანაში. იქ ოქმი შეადგინეს, რომლის მიხედვითაც ბელას ტყავის ქურთუკის ქვეშ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ამოუღეს 30 ვაზნით. შემდგომში არც ახალკაცს და არც ოქროპირიძეს აღიარებითი ჩვენება არ მიუციათ.** რაც შეეხება ჩემს შვილს, მან სასამართლო პროცესზე უარი განაცხადა პირვანდელ ჩვენებაზე, მიუთითა, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით მიაცემინეს იგი.

ვინაიდან პოლიციას არც ერთი აღიარებითი ჩვენება აღარ ჰქონდა, დღის წესრიგში დადგა მეოთხე კაცის დაკავების საკითხი. საამისოდ რეზერვში მყოფი, 23 წლის **რევაზ ამბროლაძე** აირჩიეს. დაკავების პროცესში მას, ისევე, როგორც დანარჩენებს, ვითომდა ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკი აღმოაჩნდა. ამ დროს ბიჭი სამხედრო ფორმაში იყო, პირდაპირ საჯარისო ნაწილიდან მოდიოდა, სადაც მონიტორულ კონტროლს გადიან ყოველ შესვლა-გამოსვლაზე. გორის პოლიციის სამმართველოში მას სიძის დაჭერით დაემუქრნენ და ასე მიიღეს მისგან აღიარებითი ჩვენება. სასამართლოზე ამბროლაძემაც უარყო პირვანდელი ჩვენება და განაცხადა, რომ ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით მიაცემინეს.

პოლიციელ კობა კობალაძეს, რომელიც სასამართლოზე ფიცის ქვეშ ამტკიცებდა, მე დავესწარი და გავჩხრიკე დავით გვერდწითელი და მისი მანქანიდან ამოვიღე მონიტორიო, სასამართლოს კითხვაზე „ამ ოთხი ბრალდებულიდან რომელია დავით გვერდწითელიო“, ჩემი შვილი ვერ ამოიცნო და თქვა: „მე რა ვიციო.“ კობალაძის ეს სიტყვები სასამართლოს ოქმში ამ სახით არ მოხვედრილა. მდივანმა ამის თაობაზე პასუხი ვერ გაგვცა. სააპელაციო სასამართლოზე კი კობალაძის, როგორც მოწმის, სახელი არსად გამოჩენილა რადგან განაცხადეს, რომ მონიტორის საკითხს არ განიხილავდნენ. **იმის გამო, რომ მთავარმა დამკავებელმა პოლიციელმა კობალაძემ ჩემი შვილი ვერ ამოიცნო, მას მოწმის სახით ვერსად ველარ გამოიძახებდნენ. ამიტომ პროკურატურა იძულებული გახდა, თვითონვე მოეხსნა ყაჩაღობის ბრალდება ოთხივე ბრალდებულისთვის.** საქმიდან ამოიღეს მონიტორი, რომელიც ყაჩაღობასთან კავშირის ერთადერთი რგოლი იყო. ჩემს შვილს ბრალად დაუტოვეს მხოლოდ იარაღის უკანონოდ შეძენა-ტარება. ესე იგი ეს ოთხი ბრალდებული, რომლებიც თითქმის მთელი წელი გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, როგორც ყაჩაღები, ისე ისხდნენ და წარმოიდგინეთ, რა დღეში იყვნენ, რას განიცდიდნენ, აღმოჩნდა, რომ თურმე სულაც არ ყოფილან ყაჩაღები.

მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** ამ ახალგაზრდებს წლები ასე „ჩამოურიგა“: ახალკაცს — 12,8, გვერდწითელს — 9,11, ოქროპირიძეს — 8,8 და ამბროლაძეს — 8. აპელაციაზე ოთხივე მსჯავრდებულმა შეიტანა განცხადება და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ დაგვხვდა **გიორგი ჩემია.** მან არ დააკმაყოფილა ჩემი შვილისა და ოქროპირიძის შუამდგომლობა გამამართლებელი განაჩენის თაობაზე. **ჩემს შვილს, ამინისტიის გათვალისწინებით, ოთხ-ნახევარი, ხოლო ოქროპირიძეს 3 წელი მიუსაჯა იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისთვის. დაკმაყოფილდა მხოლოდ ახალკაცისა და ამბროლაძის შუამდგომლობები. ისინი სასამართლოს დარბაზიდან სამართლიანად გაათავისუფლეს. გვერდწითელი და ოქროპირიძეც იმსახურებდნენ გამამართლებელ განაჩენს, რომლებიც კვლავ რჩებიან პატიმრობაში.**

**— ოთხიდან ორი რატომ გაათავისუფლა სასამართლომ?**

— ამის შესახებ მე ჩემი სუბიექტური მოსაზრება გამაჩნია. ამბროლაძისა და ახალკაცის წინააღმდეგ ბრალდების მხარეს არ გამოუყვანია მოწმე პოლიციელები სასამართლოზე, ხოლო გვერდწითელსა და ოქროპირიძეს „დამკავებელი“ მოწმე-პოლიციელები დაუპირისპირეს: ჩემს შვილს — ზემოთ ხსენებული პოლიციელები, ხოლო ოქროპირიძეს — მხოლოდ პოლიციელი **მიხეილ პაპელიშვილი.** მტკიცებულებად მხოლოდ მათი ჩვენებები მიიჩნიეს. ესენიც რომ გამოეშვათ, ამისათვის მინიმუმ შვიდი პოლიციელი მაინც უნდა მიეცათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ცრუ ჩვენებისა და საქმის გაყალბებისათვის. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ჩემი შვილი და ოქროპირიძე არ გაამართლეს. მე დღეს ამ შვიდი პოლიციელის სახელსა და გვარს თამამად გისახელებთ და ვფიქრობ, ყველა მათგანი უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

უსაფუძვლო ბრალდებით ჩემი შვილი და მისი მეგობარი ოქროპირიძე, უკვე წელიწადზე მეტია, სხედან ციხეში. გადაიტანეს საშინელი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა. მე და ოქროპირიძის დედა — დიანა შაბანოვა ვითხოვთ კანონიერ, სამართლიან გადაწყვეტილებას — გამამართლებელ განაჩენს.

ესაუბრა
**თამარ ნაზღაიძე**

საზოგადოებრივი აზრი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მომავალი პრეზიდენტი აუცილებლად რეალური ფიგურა უნდა იყოს. რა თქმა უნდა, მისი უპირველეს ფუნქციას საქართველოს ინტერესების დაცვა უნდა წარმოადგენდეს, პირველ რიგში, კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. ის უნდა იყოს ისეთი ფიგურა, რომელსაც, ერთის მხრივ, შეუძლია ყველა დონეზე წარმოადგინოს და, მეორე მხრივ, დაიცვას საქართველოს ინტერესები.“**

# პრეზიდენტი — რეალური ფიგურა თუ ბუტაფორია?

ამასწინათ ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა რუს კოლეგასთან შეხვედრა გაიხსენა. მას არ დაუმალავს, რომ უკანასკნელი შეხვედრისას ლავროვს პირდაპირ უთხრა: ყველაფერს, რაზეც ჩვენ გვექნება საუბარი, დაწვრილებით გადავცემ ჩვენს ამერიკელ პარტნიორებსო. იმაზე, თუ რამდენად კორექტული იყო თუნდაც ფორმალურად სუვერენული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრისგან აპელირება, რომ მეორე სუვერენული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრის დეტალებს მესამე სახელმწიფოს წარმომადგენლობას ჩაუკაკლავდა, დიპლომატებმა იმსჯელონ, მაგრამ ფაქტია, ზურაბიშვილს არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ლავროვმა ვიწრო წრეში განაცხადა — ამ ფარსს აზრი არ აქვს, თუკი რამე საკითხი დადგება, მირჩევნია, ისევ ამერიკელებს ვესაუბრო პირდაპირ, ქართველი შიკრიკი მინისტრების გარეშეო... ეგ იყო და მას შემდეგ ლავროვი ზურაბიშვილს არც შეხვედრია. ეს ბუნებრივიცაა, რუსებს ქართველების სახით პარტნიორები სჭირდებათ და არა შიკრიკი მინისტრები, ვინც რეალური დიალოგის, პრობლემათა გადაწყვეტის ნაცვლად რუს კოლეგებთან საუბრების ამერიკელი პარტნიორებისთვის დეტალური ანგარიშის წესით იქნება გართული.

მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატის თემა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ცხადია, რომ იმის მიხედვით, თუ ვის დაასახელებს „ქართული ოცნება“ პრეზიდენტობის კანდიდატად, გამოჩნდება, არის თუ არა ბიძინა ივანიშვილისთვის პრიორიტეტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აქვს თუ არა მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სოხუმთან, ცხინვალთან და მოსკოვთან რეალურ დიალოგებს?

„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლების გამოკითხვას თემაზე, თუ რა კრიტერიუმებით უნდა შეირჩეს მომავალი პრეზიდენტი და უნდა ჰქონდეს თუ არა მას კანონმდებლობით მინიჭებული, კონფლიქტურ რეგიონებთან უსუსური დიალოგების პასუხისმგებლობა.

ამჯერად ჩვენს რესპონდენტებს ვთხოვეთ, ეპასუხათ კითხვაზე:

**უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის შერჩევისას მთავარი კრიტერიუმი კანდიდატის შესაძლებლობა, მოაგვაროს ურთიერთობები კონფლიქტურ რეგიონებთან და უნდა ჰქონდეს თუ არა მას სოხუმთან, ცხინვალთან და მოსკოვთან შექმნილი ჩიხური ვითარების მკვდარი წერტილიდან დაძვრის პასუხისმგებლობა, თუ ავირჩიოთ ბუტაფორიული პრეზიდენტი, რომელიც მხოლოდ ფორმალური საკითხებით იქნება დაკავებული?**



## დალილა ხორავა: შეიძლება მომავალი პრეზიდენტი რომელიმე წინა ხელისუფლების წარმომადგენელიც კი იყოს



**დალილა ხორავა, აფხაზეთის მთავრობის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი:**

— რა თქმა უნდა, ის პიროვნება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტად იქნება არჩეული, უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მთლიანად იყოს ჩართული. შესაძლოა, ეს ადამიანი წინა რომელიმე ხელისუფლების წარმომადგენელიც კი იყოს. ჩვენი პრემიერის სიტყვებს მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ **შეიძლება მომავალი პრეზიდენტი რომელიმე წინა ხელისუფლების წარმომადგენელიც კი იყოს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად უღირსი ადამიანი იქნება. ყველა ხელისუფლებაში არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმეს ღირსეულად აკეთებენ.** მომავალი პრეზიდენტი, რაც მთავარია, აუცილებლად უნდა იყოს პატრიოტი, გამოცდილი პოლიტიკოსი. ამ შემთხვევაში არ გაუჭირდება იმ საკითხებისთვის თავის გართმევა, რაც თქვენ ჩამოთვალეთ. **მომავალი პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს კონფლიქტურ რეგიონებთან მოლაპარაკებების წარმოებაში**. მისი ამოცანა უნდა იყოს სწრაფვა იმისკენ, რომ მოგვარდეს ურთიერთობები აფხაზეთთან, ოსეთთან და, მგონი, ესაა აპრიორი ისეთი საკითხისა, რომელიც განხილვასაც კი არ საჭიროებს.

## მამუკა გიორგაძე: ბუტაფორიული პრეზიდენტი საქართველოს ვერაფერს მისცემს



**მამუკა გიორგაძე, „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე:**

— ყველა თანამდებობაზე სასურველია და აუცილებელიცაა აირჩეს პიროვნება, რომელიც რეალურად შეძლებს აქტიური როლის თამაშს ქართულ პოლიტიკაში. უპირველეს ყოვლისა, ის იქნება არბიტრი ქართულ საზოგადოებასა და მთავრობას შორის, იქნება საერთაშორისო ავტორიტეტი, შეძლებს აქტიური მონაწილეობის მიღებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. აქ, ჩემი აზრით, საკამათოც არაა, **ბუტაფორიული პრეზიდენტი საქართველოს ვერაფერს მისცემს და ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ რეალურად არსებულ სტრუქტურებში ბუტაფორიები და მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალური ფუნქციები მოვიაზროთ.** მომავალი პრეზიდენტი აუცილებლად რეალური ფიგურა უნდა იყოს. რა თქმა უნდა, მისი უპირველეს ფუნქციას საქართველოს ინტერესების დაცვა უნდა წარმოადგენდეს, პირველ რიგში, კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. ის უნდა იყოს ისეთი ფიგურა, რომელსაც, ერთის მხრივ, შეუძლია ყველა დონეზე წარმოადგინოს და, მეორე მხრივ, დაიცვას საქართველოს ინტერესები.

## გოგი თოფაძე: საქართველოსთვის ერთ-ერთი პრობლემატური და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არ შეიძლება მომავალი პრეზიდენტი ამაში უშუალოდ არ იყოს ჩართული



**გოგი თოფაძე, „ქართული ოცნების“ წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:**

— საქართველოს მომავალი პრეზიდენტი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ყველა საკითხის გადაწყვეტაში. **საქართველოსთვის ერთ-ერთი პრობლემატური და, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არ შეიძლება მომავალი პრეზიდენტი ამაში უშუალოდ არ იყოს ჩართული.**

დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება და მომავალი პრეზიდენტი შეხმატკბილებულად იმუშავებენ ამ საკითხის მოსაგვარებლად.

## ზაზა გაბუნია: პრეზიდენტისთვის მთავარი გამოწვევა დაკარგული ტერიტორიები იქნება

**ზაზა გაბუნია, ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე:**

— არ შეიძლება დღეს რომელიმე თანამდებობა ბუტაფორიული და სიმბოლური იყოს. თავისთავად, იმ პირობებში, რაშიც ახალი პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ, სწორედაც მიუღებელია ისეთი დემოკრატიული პრეტენზიების მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. **პრეზიდენტი არის მედიატორი, პოლიტიკაზე მაღლა მდგომი ფიგურა, რომლის მთავარი ფუნდამენტური გამოწვევა არის ის, რომ რთული, ჩიხური, თუ გნებავთ, კონფლიქტური, ან სტაგნაციის პირობებში არსებული სიტუაციიდან იპოვოს გამოსავალი. სადაც პრეზიდენტი არის არბიტრი, ის კარგად ართმევს ხოლმე თავს ასეთ საკითხებს, რადგან მას არ აქვს პარტიული კონიუნქტურის დაკვეთა — განმუხტოს სიტუაცია.** მითუმეტეს, საქართველოს პირობებში კონფლიქტს როცა ვახსენებთ, გვახსენდება დაკარგული ტერიტორიები. ამ მიმართულებით, პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, მთავარი გამოწვევა ექნება. კონსტიტუციურ მონარქიებშიც კი მონარქი არაა ბუტაფორიული, მას გარკვეული პოლიტიკური პრივილეგიები და ბერკეტები გააჩნია, მათ შორის პოლიტიკური კრიზისის დროს.

ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელშიც პოლიტიკური კრიზისი მოულოდნელობად არ შეიძლება ჩაითვალოს; **არამყარი, არასისტემური დემოკრატიის ქვეყანა ვართ, ამიტომ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ძირითადად იმ ფუნქციის მქონე უნდა იყოს — არ დაუშვას კონფლიქტური სიტუაცია და შესაძლებლობის ფარგლებში განმუხტოს იგი.** ის უნდა იყოს მაღალავტორიტე-

**„პრეზიდენტი ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომელიც, უპირველესად, სოხუმში, ცხინვალში, მოსკოვში ჩავა და სტუმრებს ჩამოიყვანს აქეთ... და შეძლებს საკითხის ადგილიდან დაძვრას. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.“**

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





## ლევან ჩიტაძე:
# აუცილებელია პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, სამინისტროებისა და პარლამენტის სისტემური მუშაობა

ტული ფიგურა, რომლის აზრს გაიზიარებენ იმის მიუხედავად, რომელი პარტიები არიან კონფლიქტის მხარეები.

**ლევან ჩიტაძე, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ წარმომადგენელი:**

— მე და ჩემი თანაგუნდელები ვთვლით, რომ საქართველოს ევროპული მომავალი არის ერთადერთი სწორი ალტერნატივა დღესდღეობით არსებულ სხვა საგარეო კურსებთან შედარებით, თუმცა მომავალში რა იქნება, ამის მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, ამიტომ საგარეო ვექტორის რა ტიპის ცვლილება გახდება საჭირო, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია. ამასთან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქვეყნის სამომავლო სტრატეგიული განვითარებისთვის ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანია (და ასეც უნდა იყოს) მისი საშინაო, საგარეო და გეოპოლიტიკური ინტერესები. **ვფიქრობთ, საქართველოსთვის სტრატეგიული ინტერესის საკითხებს წარმოადგენს: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სტაბილურობა, ძლიერი ეკონომიკა, დემოკრატია; შესაბამისად, თითოეული მათგანის მიღწევა სხვადასხვა ხერხითაა შესაძლებელი, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც ერთმანეთს ან სრულ თანხვედრაშიც კი იყოს.**

ამიტომმაც, თუ კი ჩვენი ნომერ პირველი ამოცანაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ამ ინტერესიდან უკვე გამომდინარეობს, რომ რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით აუცილებელია მნიშვნელოვანი საგარეო ცვლილებების განხორციელება. ამ კუთხით ყველაფერი რიგზე არ არის, უფრო მეტიც, ვთვლით, რომ წინა ხელისუფლებამ (რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს) რეალურად პრორუსული ინტერესები გაატარა და არა პროდასავლური. შესაბამისად, ახალ ხელისუფლებას, ასე ვთქვათ, მრავალი სავაჭრო საკითხი აქვს რუსეთთან, რაზეც კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელია. წინა ხელისუფლება ერთს ამბობდა — გმობდა და აკრიტიკებდა



რუსეთის ხელისუფლებას, მეორეს აკეთებდა — თითქმის ყველა სტრატეგიული ეკონომიკური სიმდიდრე მიჰყიდა რუსულ სახელმწიფო კომპანიებს, გასაჯაროებული შედეგი კი მესამე იყო.

**საქართველომ უნდა შეძლოს კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება როგორც რუსეთის ფედერაციასთან, ასევე სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან.** რუსეთის ფედერაციასთან მნიშვნელოვანი საკითხებია სუვერენიტეტის აღიარება, ტერიტორიული მთლიანობის ცნობა; აზერბაიჯანთან — საზღვრის დემარკაცია, შეთანხმება (საქართველოს სასარგებლოდ) გარეჯის საკითხთან დაკავშირებით, საინგილოში ქართული მოსახლეობისთვის ქართული ენისა და ისტორიის სწავლება საქართველოს ხელშეწყობითა და დაფინანსებით; სომხეთთან — საზღვრის დემარკაცია, წითელ ხიდთან არსებული გაურკვევლობის დარეგულირება, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის მაღალი სტანდარტების სწავლა-განათლების სისტემის დანერგვა; თურქეთთან — ეკონომიკური საკითხების დარეგულირება (ეკონომიკური ექსპანსიის თავიდან აცილების მიზნით), თურქეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობისთვის ქართულ-თურქული სკოლების გახსნა, ქართული ისტორიული ძეგლების რესტავრაცია-აღდგენა... ჩამოთვლილი საკითხები საკმაოდ რთული და ვრცელიც შეიძლება მოგვეჩვენოს. თითოეული უნდა განხორციელდეს საქართველოს ინტერესებისა და მეზობელი ქვეყნების ინტერესების დაცვით, ამისათვის კი აუცილებელია პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, სამინისტროებისა და პარლამენტის სისტემური მუშაობა. ამიტომაც, თითოეულ ამ პოსტზე შერჩეული პირები არჩეული კანდიდატები უნდა იყვნენ, ადეკვატურნი საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებისადმი.



## სოსო შატბერაშვილი:
# პრეზიდენტის უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს საქართველოსთვის ყველაზე მთავარი პრობლემის — ტერიტორიული მთლიანობის მოგვარება

**სოსო შატბერაშვილი, პოლიტიკოსი:**

— ბუტაფორიული თანამდებობის პირი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი პრეზიდიუმის საბჭოს თავმჯდომარე, ასევე რესპუბლიკებს ჰყავდათ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები, რომელთა მიზანი და მოვალეობაც იყო ხელისმოწერა რაღაც ჯილდოებსა და განკარგულებებზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ასეთი პრეზიდენტი არ გვჭირდება. **პრეზიდენტის უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს საქართველოსთვის ყველაზე მთავარი პრობლემის — ტერიტორიული მთლიანობის მოგვარება. ასე რომ, მე პირადად მხარს ვუჭერ ამ უფლებებით აღჭურვილ პრეზიდენტს.** ვერ გეტყვით, რომ მომავალი პრეზიდენტი რომელიმე წინა ხელისუფლების წარმომადგენელი არ იქნება, მაგრამ ვერც მარსიდან იქნება ჩამოფრენილი, არც ერთ წინა ხელისუფლებასთან რომ არაფერი აკავშირებდეს, მაგრამ დღეს ის თავისი მრწამსის ერთგული უნდა იყოს. ყველანაირად უნდა ეცადოს, სიტუაცია მოაგვაროს აფხაზეთთან, ცხინვალთან და რუსეთთან.

## ბადრი ნაჭყებია:
# ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის ქვაკუთხედი რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაა

**ბადრი ნაჭყებია, ექსპერტი, კონფლიქტოლოგი:**

— ეს უნდა იყოს მომავალი პრეზიდენტის კრედო, თქვენ ზუსტად დასვით საკითხი. **საქართველო რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაშია და მომავალ პრეზიდენტს სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, თუ რა გზებით შეეცდება, გადაწყვიტოს კი არა, დაძრას ადგილიდან პრობლემა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ეხება.** ქვაკუთხედი ამ პრობლემისა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაა. რასაკვირველია, იმ სიტუაციაში, როცა პრეზიდენტს ექნება გარკვეულწილად შეზღუდული შესაძლებლობები, ალბათ, პრიორიტეტი უნდა იყოს საგარეო კურსი, ასე ვთქვათ, კონფლიქტების დარეგულირების კუთხით.

**პრეზიდენტი ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომელიც, უპირველესად, სოხუმში, ცხინვალში, მოსკოვში ჩავა და სტუმრებს ჩამოიყვანს აქეთ... და შეძლებს საკითხის ადგილიდან დაძვრას. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.**

მოამზადა
**ლილი მიროტაძემ**

---

## გიგი უგულავა:
# ხელისუფლებას ისე ეშინია 19 აპრილის, მგონი, ცოტა ეპარებათ კიდეც

**გიგი უგულავას დათა ახალაიას განცხადება თავდაცვის ყოფილი მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის ეპოპეას და მის მოქმედებებს აგონებს. თბილისის მერის თქმით, აუცილებელია, ახალაიამ ამ წერილის ნამდვილობა თავად დაადასტუროს.**

**„დადასტურდება თუ არა წერილის ნამდვილობა, ეს დათა ახალაიას საქმეა, ეს ძალიან მაგონებს ოქრუაშვილის ბალადას, ახალი იმ წერილში არაფერი ეწერა, რაც ამ 7 თვის განმავლობაში გაზეთებში ან ტელევიზიაში არ თქმულა, ამიტომ შინაარსზე საუბარი არალოგიკურად მიმაჩნია, შინაარსი აბსურდულია. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ხუხაშვილის გუშინდელი გამოსარჩლება, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ რაღაც ორკესტრირებულ მოქმედებას აქვს ადგილი. ეს მხოლოდ ერთადერთი რამით იხსნება, ისე ეშინია ამ ხელისუფლებას 19 აპრილის, რომ ცოტა, მე მგონი, ეპარებათ კიდეც. მან ან უნდა დაადასტუროს, ან უნდა ჩამოვიდეს და, რაც უნდა, ის მოუყოლია. ძალიან ჰგავს ეს ოქრუაშვილის ეპოპეას“,** — აღნიშნა თბილისის მერმა.

უგულავას განცხადებით, დათა ახალაიას ყოფილი თანამშრომლები თანამდებობებს დღემდე ინარჩუნებენ და ისინი ახლა ოპოზიციას ებრძვიან.

**„ახალაიას თანამშრომლების 80 პროცენტი, თუ მეტი არა, ისევ იმ ადგილებზე სხედან და ახლა უკვე პოლიტიკური ოპონენტების დევნით არიან დაკავებულნი. ასე რომ, ამ ბრძოლაში, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ბევრს ნერვებმაც შეიძლება უმტყუნოს, ბევრი რაღაც გარიგებაშიც შეიძლება შევიდეს, ძალიან დასანანაია, თუ ეს ასე იქნება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ცხადია ეს ყველაფერი 19 აპრილს უკავშირდება, 19 აპრილამდე 5 დღეა დარჩენილი და საზოგადოებამ ხუხაშვილის თავში მოხარშული კიდევ ბევრი ავადმყოფობა შეიძლება იხილოს“,** — განაცხადა გიგი უგულავამ.

# «დათა ახალაიას, შესაძლოა, მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლები ჰქონდეს»

**იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე არ გამორიცხავს, რომ დათა ახალაიას სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტები მართლაც გააჩნდეს.**

როგორც ხმალაძემ ახალაიას 15 აპრილს გავრცელებულ განცხადებაზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, მაღალი რანგის თანამდებობის პირები ხშირად მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლებს აკეთებენ და „პირად სამალავებში ინახავენ“.

**„დათა ახალაიას თავისი თანამდებობიდან გამომდინარე ჰქონდა ძალიან დიდი ინფორმაცია, იცოდა ბევრი ისეთი რამ, რაც პირთა მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეს შეიძლებოდა სცოდნოდა. შესაბამისად, თუ დათა ახალაია დაიწყებს ჩვენებების მიცემას, ეს ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ არჩევნების შემდგომ ჟურნალისტები აჩვენებდნენ კადრებს, როცა სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების ტეროტორიაზე წვავდნენ რაღაც საბუთებს. მოგეხსენებათ, კვამლი უცეცხლოდ არაა და, თუ წვავდნენ, ე. ი. ჰქონდათ მისი განადგურების საფუძველი. ამავე დროს, არის სპეციფიკა, როცა მაღალი რანგის თანამდებობის პირები თავიანთთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლებს ამზადებენ და პირად სამალავებში ინახავენ. ასე რომ, რა იცი, რა მოხდება, რა იცი, ქარი საით დაუბერავს“,** — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

# მცირე განმარტება

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გავიდა წერილი, რომლის სათაურიც არის „კახა ბენდუქიძე — აგრარული სექტორის მესაფლავე“.**

აღნიშნული წერილიდან ამონარიდი გამოტანილია გარეკანზე **„ვწუხვარ ბიძინა ივანიშვილის გამო, რადგან მისი გარემოცვაც ფულის შოვნაზეა გადასული“.**

ვწუხვარ, რომ აღნიშნულ მასალაში ეს ფრაზა და ფრაგმენტი, რომელშიც სოფლის მეურნეობის დღევანდელი მინისტრი ბატონი დავით კირვალიძე აუგად არის მოხსენიებული, ეკუთვნით ჩვენი ინსტიტუტის უკვე ყოფილ თანამშრომლებს. მინდა ხაზი გავუსვა, რომ მუდმივად ვცდილობ განაწყენებული და უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლები დავარწმუნო, რომ **მხოლოდ ბატონების — ბიძინა ივანიშვილისა და დავით კირვალიძის კეთილი ნებითა და ძალისხმევით არის შესაძლებელი ვაზისა და ღვინის სამშობლოში 120-წლიანი მებაღეობა, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის გადარჩენა.**

**მურმან ქურიძე,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აუცილებელია, რომ დაღუპულთა მშობლებმა და ახლობლებმა დააყენონ ცხედრების ექსპერტიზის საკითხი, რადგან ჩვენი ჯარისკაცების უმეტესობას ზურგში მოხვდა ტყვია! რომ არა პატრიარქის თავგანწირული ნაბიჯი, ჩვენ იმ დახოცილ მეომრებსაც ვერ გამოვიყვანდით, რაც შევძელით. ხელისუფლებას ამ ცხედრების გამოტანაც არ უნდოდა ბრძოლის ველიდან, რადგან ეს უკვე მტკიცებულება იყო! ინფორმაცია მაქვს, რომ ყველა ოჯახს ჩამოუარეს და გააფრთხილეს, რომ, როგორც კი ექსპერტიზას ჩაატარებდნენ,**

## გენერალი წითელაშვილი:



# ყური მოვკარი ფრაზას: «დიდი მსხვერპლი იქნება, მაგრამ არა უშავს — ჩვენსას ხომ მივაღწევთ...»

# «ჩვენი ჯარისკაცების უმეტესობას ზურგში აქვს ნასროლი!»

**საქინფორმის სტუმარია გენერალი ტრისტან წითელაშვილი — აფხაზეთის ომის ვეტერანი, საბრძოლო ქვედანაყოფ „ავაზას“ მეთაური, აგვისტოს ომის მონაწილე და „ნაცმოძრაობის“ ყოფილი პოლიტპატიმარი.**

**— საზოგადოება დღეს, ძირითადად, წინა ხელისუფლების დანაშაულებზე ლაპარაკობს. უპირველესი ტერიტორიების დაკარგვაა. იყო ეს უგუნური თუ შეგნებული ქმედება, როდესაც ჩვენი მიწაწყლის 20% და ის კოდორის ხეობაც დავკარგეთ, რომლითაც, ფაქტობრივად, დე იურე ვფლობდით აფხაზეთს? აფხაზეთში საომარ მოქმედებებში თქვენ ჯერ კიდევ 1992 წლიდან მონაწილეობდით და 8 აგვისტოს წამოწყებულ პროვოკაციაშიც ქართულ მხარეს იბრძოდით. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ მოვლენებთან დაკავშირებით?**

— ცოტა უკან დავიხიოთ. სააკაშვილმა სხვადასხვა მიმართულებით ქვეყნის ნგრევა 2004 წლიდან დაიწყო. პირველი დარტყმა ეკლესიას მიაყენა. დაიწყო ხალხის ქუჩაში ჩახოცვა, ვითომ უკანონო ქონების ჩამორთმევა, დაარტყა ინტელიგენციას — „ჩარეცხილები უწოდა“ მათ, ვისზეც მთელი ჩვენი კულტურული სულიერება დგას.

ერთი სიტყვით, ხაზი გადაუსვა ყველაფერს, რაც ქართული და ეროვნულია. ეს გუნდი წინასწარ კარგად იყო მომზადებული სპეცსამსახურების მიერ. ეს არ იყო პოლიტიკური პარტია. ეს იყო „საერთაშორისო ვირუსი“, რომელსაც მთლიანად საქართველო და ქართველი ერი უნდა გაენადგურებინა! დააკვირდით სააკაშვილისა და მისი გარემოცვის აზროვნებას, მეტყველებას და დამოკიდებულებას გინდ ადამიანების, გინდ ქვეყნის საგანძურის და გინდ ეროვნული აზროვნების მიმართ...

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, ეს ბევრად ადრე, 2006 წელს დაიწყო. სადღაც ნაქეიფარი სააკაშვილი, მერაბიშვილი და თავთუხაშვილი სუფრიდან ადგნენ და, სააკაშვილის გადაწყვეტილებით (პიარისთვის მოუვიდა თავში აზრად), ცხინვალის მიმართულებით პირველი დაჯგუფება გადაისროლეს. მოგეხსენებათ, რა დიდი დარტყმები მივიღეთ, როდესაც ამით 1992 წლიდან არსებული სამშვიდობო ხელშეკრულება დავარღვიეთ.

**— ცნობილია, რომ მსგავსი ხელშეკრულება კოდორთან დაკავშირებითაც არსებობდა და იქ სახელისუფლო შენაერთები არ უნდა შესულიყვნენ.**

— გეთანხმებით, იქ იყვნენ სამშვიდობო ჯგუფები, რომლებიც, ამ ხელშეკრულების თანახმად, წესრიგს ამყარებდნენ და სიტუაციას ანეიტრალებდნენ როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. არც ცხინვალის და არც კოდორის მიმართულებით საბრძოლო შენაერთები არ უნდა შესულიყვნენ. **სააკაშვილმა, როგორც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიდან მოვლენილმა მოღალატემ, ამ ყველაფრის კეთება შეგნებულად, ეტაპობრივად დაიწყო. სისტემატური პროვოკაციებიც 2006 წლიდან დაიწყო, მოაწყო პროვოკაცია 2006 წელს, 2007 წელს. ცხინვალის მიმართულებით კი ამ პროვოკაციებმა სისტემატური ხასიათი 2007 წლის ბოლოს მიიღო.**

**— ამ ინფორმაციას საიდან ფლობთ, ბატონო ტრისტან?**

— რასაც ვამბობ, რეალობაა! იმის დოკუმენტებიც გვაქვს და ფირებიც, თუ როგორ ადიოდა კუდის სპეცრაზმის რამდენიმე ჯგუფი წვერიახოს მთაზე, სადაც კონფლიქტის დაწყებამდე ჩვენი სამშვიდობო კონტინგენტი იყო განლაგებული. ისინი იშლებოდნენ ორ ჯგუფად, ჩადიოდნენ როგორც ოსურ, ისე ქართულ სოფლებში და აწყობდნენ პროვოკაციებს კონფლიქტის გასაღვივებლად — თითქოს ქართულ სოფლებში ოსური და ოსურში, პირიქით — ქართული დაჯგუფება იყო შესული!.. ამ მიმართულებით რამდენიმე საათს მუშაობდნენ. შემდეგ ტოვებდნენ ტერიტორიას და ბრუნდებოდნენ თბილისში. ამ წინასწარ გაღვივებულ ხელოვნურ კონფლიქტებს სააკაშვილი შეგნებულად ქმნიდა, რათა შემდგომ, ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებზე გადასულიყო!

2008 წლის ივლისში უკვე დაიწყო მომზადება — კერძო ბანკებმა გორში თავიანთი ოფისები დაცალეს. გაჰქონდათ ყველა ფასეული ნივთი. სადღაც 25 ივლისს გორში ჩამოიტანეს 10 000 შავი სპეცტომარა ***(ცხედრების მოსათავსებელი. — საქინფორმი).*** ხელისუფლების მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის და საბრძოლო მოქმედებების ზონიდან მისი გამოყვანისთვის კი არანაირი მუშაობა არ მიმდინარეობდა. არადა, თუ ხელისუფლება საბრძოლო მოქმედებებს იწყებს ან დაწყებას აპირებს, ერთი თვით ადრე, და არა მარტო ბრძოლის ადგილას (მიმდებარე ტერიტორიაზეც, სიღრმეშიც და ზურგშიც) ახლომდებარე სოფლების და ქალაქების ევაკუაცია ხდება.

**— ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შემოჭრით დაიწყო პროვოკაცია, კონფლიქტი და აგრესია. თქვენი მონაყოლიდან კი ჩანს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება (რასაც სპეცტომრების ჩამოტანის მაგალითიც მოწმობს) იქით ემზადებოდა მსხვერპლისთვის, რაც შემდგომში რუსეთის მხარისთვის უნდა მიეწერა და მიაწერა კიდეც.**

— მოგახსენებთ: ცხინვალის მიმართულებით ქართულმა მხარემ ცეცხლი 2008 წლის 7 აგვისტოს გავხსენით. ამ დროისთვის ცხინვალი აბსოლუტურად დაცლილი იყო.

**— რუსეთის ტელევიზია აჩვენებდა ევაკუაციის ამ კადრებს. მათ იცოდნენ მოსალოდნელი კონფლიქტის შესახებ?**

— ოსურმა მხარემ თითქმის ორი კვირით ადრე გაიყვანა მშვიდობიანი მოსახლეობა ცხინვალიდან. ეს ბუნებრივია, რადგან ისეთი ინტენსიური მზადება, მილიტარიზაცია და რიტორიკა მიმდინარეობდა, რომ ამის შესახებ ოსურ მხარესაც ეცოდინებოდა.

8 აგვისტოს დილით უკვე ქალაქში ვიყავით. ბაზის ტერიტორიაც და ქალაქიც გვეკავა, მაგრამ ქალაქი ცარიელი იყო. დავიკავეთ რამდენიმე ოსური სოფელი, სადაც არავის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია — ისინი ცარიელი იყო. ვაკონტროლებდით სამაჩაბლოს ტერიტორიის რაღაც ნაწილს, რამდენიმე კილომეტრით სიღრმეშიც გადავიწიეთ და ამ ტერიტორიების გაკონტროლებაც დავიწყეთ.

8 აგვისტოს საღამოს ცეცხლის შეწყვეტისა და შეჩერების საერთო ბრძანება მივიღეთ, რამდენადაც სოფლებში, სადაც შემდგომ გადაადგილება მოვახდინეთ, ჩვეულებრივ რიტმში აგრძელებდნენ ცხოვრებას — იყვნენ ბავშვები, ქალები, მოხუცები და არავინ იყო ინფორმირებული ხელისუფლების მხრიდან საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესახებ! როგორც სამხედრო სპეციალისტი, თავიდანვე შეშფოთებული ვიყავი საერთო მდგომარეობით...

**— გინდათ თქვათ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა სახელმწიფოს მხრიდან დაუცველი და არაინფორმირებული დარჩა?!**

— საერთოდ, გენერალურ შტაბშიც და თავდაცვის სამინისტროშიც ასეთი შემთხვევებისთვის არსებობს მოსახლეობის ევაკუაციის გეგმა. მაშინაც კი, როცა პატარა სპეცოპერციას ატარებენ, მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობისგან დაცლა ხდება. ჩვენ კი ამხელა ფართომასშტაბიანი ოპერაციები დავიწყეთ და არაფერი კეთდებოდა მოსახლეობის დაცვისა და ინფორმირების კუთხით.

**— ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება თავისი მოსახლეობის შეგნებულ გენოციდზე წავიდა?**

— როდესაც ამ სურათს შევხედე, აღვშფოთდი. **თანამებრძოლებთან ერთად გამოვიძახეთ თავდაცვის რამდენიმე ოფიცერი და ჩამოვყალიბდით, რომ ყველაფერი სააკაშვილის მხრიდან შეგნებულად ხდებოდა! ამიტომ ჩვენ, როგორც სამშობლოს წინაშე ფიცის დამდებმა სამხედრო პირებმა, გადავწყვიტეთ, მიგველო ზომები ხალხის გადასარჩენად. ამისათვის, პირველ რიგში, წინა ხაზი უნდა გაგვემაგრებინა, ზურგში კი მოსახლეობის ევაკუაციაზე გვეზრუნა.**

ამიტომ წამოვედი შტაბში.

**— ოფიციალურად თუ განუცხადეთ ხელმძღვანელობას ამის თაობაზე?**

— ოფიციალურადაც განვაცხადე და მივმართე ყველას, რომ, სანამ ინტენსიურ საბრძოლო მოქმედებებზე გადავიდოდით, აუცილებელი იყო მოსახლეობის ევაკუაცია. რუსეთის მხრიდანაც უკვე სამი გაფრთხილება გვქონდა მიღებული საწყის პოზიციებზე დაბრუნებასთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში რუსეთი, ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერის მიხედვით, იწყებდა მოქმედებას. ხელშეკრულებაში ეწერა, რომ მოწინააღმდეგე მხარისგან ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, რუსეთის მხარეს სამშვიდობო კონტინგენტთან ერთად დამატებითი სამხედრო ძალის გამოყენების უფლება ეძლეოდა. ბუნებრივია, რუსეთმა ეს გამოიყენა და ხელშეკრულების ჩარჩოში იმოქმედა.

9 აგვისტოს დილით რუსეთის ქვედანაყოფებმა გადაადგილება დაიწყეს. ხელისუფლების მიერ ჩამოყვანილი სამხედრო კონტინგენტი კი აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო, მაგრამ მათი გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის გამოსაყვანად მაინც ხომ შეგვეძლო?! ამის სათქმელად ჩამოვედი შტაბში.

შტაბის ეზოში ცხონებული გენერალი ელგუჯა ბუცხრიკიძე დამხვდა, რომელსაც აფხაზეთის ბრძოლებიდან კარგად ვიცნობდი. ვუთხარი ჩემს ეჭვზე, რომ დიდი მსხვერპლის მიღების მიზნით ხელისუფლება სოფლებში მშვიდობიანი მოსახლეობის შეგნებულად დასატოვებლად ემზადებოდა. ცოცხალი ძალით დახმარება ვთხოვე, თვითონ კი შტაბში ავედი ხელმძღვანელობის სანახავად.

კართან მივედი, სადაც მართვა მიმდინარეობდა. მოპირდაპირე ოთახის კარი ღია იყო და კარგად ისმოდა ლაპარაკი. კარში იდგნენ: უგულავა, ბოკერია, გივი თარგამაძე (ეს, ვინც დავინახე), ყური მოვკარი ფრაზას: **„დიდი მსხვერპლი იქნება, მაგრამ არა უშავს — ჩვენ ჩვენსას ხომ მივაღწევთ!“.** ქართულ მოსახლეობაზე ლაპარაკობდნენ... მივხვდი, რომ შტაბის ხელმძღვანელობის გეგმა ჩემს ეჭვს ▶



ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მე ვიქნები ერთ-ერთი მთავარი მოწმე 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების გამოძიების განახლების შემთხვევაში, თუ როგორ დაიწყო სააკაშვილმა ეს პროვოკაცია და გაწირა იქაური მოსახლეობა!“**



ემთხვეოდა, რათა მერე ეყვირათ: „ტერიტორიები დავკარგეთ, რუსებმა მოსახლეობა დაგვიხოცეს, არიქა, გვიშველეთ!“.

ამის შემდეგ შტაბში აღარ შევსულვარ, რადგან **მივხვდი, რომ იქ რაღაც საშინელი პროვოკაცია იგეგმებოდა!** ჩამოვბრუნდი ეზოში და ელგუჯას ვუთხარი: „სასწრაფოდ წავიდეთ აქედან!“. გუჯამ 60 კაცი დამახმარა. მე რამდენიმე რეზერვისტი იქვე შევკრიბე და ამ ძალებით დავიწყეთ მუშაობა მოსახლეობის ევაკუაციაზე...

პარალელურად დაძრული იყვნენ რუსეთის საბრძოლო ქვედანაყოფები და მიმდინარეობდა ბრძოლები. რუსებთან ერთად პირველ, მეორე, მესამე ეშელონებში მოდიოდნენ როგორც ოსური, ისე ჩეჩნური და ჩრდილოკავკასიური შენაერთები. მიმდინარეობდა ტერიტორიების წმენდა! საშინელი სურათი იყო! შეიქმნა ქაოსი, არაორგანიზებულობა, საცობები, პანიკა. აღარ არსებობდა კავშირი ჯარსა და ხელმძღვანელობას შორის. **„ჰარისის“ სისტემის აპარატურამ, რომელიც ამერიკიდან ჩამოიტანეს, კავშირგაბმულობა ვერ უზრუნველყო და არ იმუშავა. კომუნიკაციის გაწყვეტამ გამოიწვია ის, რომ ქართული ქვედანაყოფები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს უხსნიდნენ ცეცხლს!**

**— ინფორმაცია გავრცელდა ჩვენივე მხრიდან მეომრებისა და რეზერვისტების დახოცვაზეც! სანდო წყაროს მოწმობით, მათ ხელმძღვანელობის დავალებით ესროდნენ ზურგში...**

— ზუსტად ასე იყო. ეს შეგნებულად გაკეთდა. **აუცილებელია, რომ დაღუპულთა მშობლებმა და ახლობლებმა დააყენონ ცხედრების ექსპერტიზის საკითხი, რადგან ჩვენი ჯარისკაცების უმეტესობას ზურგში მოხვდა ტყვია! რომ არა პატრიარქის თავგანწირული ნაბიჯი, ჩვენ იმ დახოცილ მეომრებსაც ვერ გამოვიყვანდით, რაც შევძელით. ხელისუფლებას ამ ცხედრების გამოტანაც არ უნდოდა ბრძოლის ველიდან, რადგან ეს უკვე მტკიცებულება იყო! ინფორმაცია მაქვს, რომ ყველა ოჯახს ჩამოუარეს და გააფრთხილეს, რომ, როგორც კი ექსპერტიზას ჩაატარებდნენ, მოუკლავდნენ მეორე შვილს და ა.შ.**, როგორც საერთოდ აკეთებდნენ...

ყველა გადმოსვენებული ცხედარი ექსპერტიზისა და დოკუმენტაციის გარეშეა დასაფლავებული. არავითარი საბუთი არ არსებობს! დღესაც შეიძლება ამ ექსპერტიზის ჩატარება! ვიმეორებ: **სააკაშვილს უნდოდა მსხვერპლი როგორც მშვიდობიან მოსახლეობაში, ისე სამხედრო მოსამსახურეებში, და ეს შესანიშნავად დაგეგმა.** ასეთი დავალება, როგორც ორმაგ აგენტს, მას გარედან — სპეცსამსახურებიდან ჰქონდა მიღებული.

დღეს ყველა ერთად უნდა დავდგეთ, გამოვიჩინოთ სიფხიზლე და ამ ადამიანს მის კრიმინალურ გუნდთან ერთად აღარ მივცეთ საშუალება, რომ თავისი ანტისახელმწიფოებრივი აზრებით ისევ დამოძღვროს ხალხი. **სააკაშვილთან ერთად კრიმინალია უგულავაც, წიკლაურიც, კაკო ბოხიძეც, ის საყვარელიძეც,** რომლის ხელშიც გაიარა ამ შეთითხნილმა სისხლის სამართლის საქმეებმა! „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის უმეტესობა, ლიდერიანად, საბრალდებო სკამებზე უნდა დასხდნენ, იქიდან გასცენ პასუხი ხალხსა და საზოგადოებას — რატომ ჩაიდინეს ესა თუ ის დანაშაული. **მე ვიქნები ერთ-ერთი მთავარი მოწმე 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების გამოძიების განახლების შემთხვევაში, თუ როგორ დაიწყო სააკაშვილმა ეს პროვოკაცია და გაწირა იქაური მოსახლეობა!**

მიკვირს იქაური მოსახლეობის, რომელსაც, ფაქტობრივად, საკონცენტრაციო ბანაკების მსგავსი საცხოვრებელი გეტოები შეუქმნა! როგორ უჭერენ მხარს სააკაშვილს, როგორ მიჰყვებიან ბასიშვილს, რომელიც არის კრიმინალი და უნდა გასამართლდეს?! ის დღესაც დადის იქაურ მოსახლეობაში და დაჭერით ემუქრება!

როდესაც 2008 წლის 12 აგვისტოს თბილისში ჩამოვედი, აქ, ფაქტობრივად, ყველაფერი დასრულებული იყო. სააკაშვილი „გამარჯვებას“ ზეიმობდა... ჩვენ კი ადგილებზე ცხედრების დაბინავებასა და პატრონობას ვუნდებოდით... მხოლოდ პატრიარქის ჩარევის შედეგად განეიტრალდა ვითარება და დარჩენილი (ხელისუფლებისგან მიტოვებული) ხალხი გამოგვიყვანეს...

შემდგომ, როგორც სამხედრო სპეციალისტმა, ყველაფრის მიზეზებზე დავიწყე მუშაობა. ჩემს კოლეგებსაც შევხვდი. ვმუშაობდი ჯარის სახეობებთან, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ.

**26 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე კუდის სპეცრაზმმა სახლში ჩამიტარა სპეცოპერაცია. მთელი უბანი ალყაში მოაქციეს. ტროლეიბუსების პარკში ამიყვანეს დასახვრეტად, რომ მათთვის სასარგებლო ჩვენება მიმეცა.** სასწაულმა გადამარჩინა — ნანგრევებში ლტოლვილების ნაკადი იყო შეფარებული და მათმა ორგანიზებულმა განგაშმა და წივილმა მიშველა!

მეორედ 30 აგვისტოს, ღამის 3 საათზე გამიყვანეს ვაჟა-ფშაველას ჩიხში და იქაც გამვლელების გამოჩენამ მიშველა. **ირაკლი ბათიაშვილისთვის, გოგა ხაინდრავასთვის, ემზარ კვიციანისთვის უნდა დამედო ხელი, თითქოს მე და ემზარ კვიციანი გორში განაწყენებულ ოფიცრებს ვაგროვებდით, რაშიც ზოგი პოლიტიკური პარტიაც გვიჭერდა მხარს და თითქოს თბილისზე წამოსვლას და ხელისუფლების დამხობას ვაპირებდით.** მე უნდა გამოვსულიყავი ტელევიზიით და ეს ყველაფერი მეთქვა. ამის შემდეგ იგეგმებოდა თბილისში მასობრივი სპეცოპერაციის ჩატარება და ყველა ოპოზიციური ლიდერის დაპატიმრება და გასამართლება. ამით ის უკმაყოფილება უნდა გადაეფარათ, რომელიც საზოგადოების მხრიდან უკვე მოდიოდა. რადგან ასეთი ჩვენების მიცემაზე უარი ვთქვი, ნარკოტიკი ჩამიდეს და ნარკოტიკების მოხმარება-გასაღების მუხლით მაინც დამაპატიმრეს...

ესაუბრა
**ბაია ამაშუკელი**
**„საქინფორმი“**

# გიორგი ლაბაძე: აგვისტოს ომისდროინდელი ხელისუფლებაც და გენშტაბიც საკუთარი ხალხის წინაშე დამნაშავეა

**აგვისტოს ომის შემდეგ ხუთი წელიწადი გავიდა, მაგრამ დავა იმის თაობაზე, თუ ვინ დაიწყო ომი და რა მოხდა სინამდვილეში, არ წყდება. თითქოს დაფარული არაფერია, მაგრამ ყოველთვის, როდესაც აგვისტოს ომზე ვიწყებთ საუბარს, რაღაც ახალი და თანაც დაშაულებრივი დეტალები იჩენს ხოლმე თავს. ახალმა მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ აგვისტოს ომის დეტალები გამოიძიოს და მტყუან-მართალი გამოააშკარაოს. ამ ამბავმა, შესაძლებელია, ქვეყნის პრეზიდენტი საბრალდებო სკამზეც კი დასვას, თუმცა ჯერ მოვლენებს ვერ დავასწრებთ, მაგრამ ფაქტი ერთია: საქართველოს უდანაშაულო მოსახლეობა ღირსია, სიმართლე იცოდეს აგვისტოს ომის შესახებ. სიმართლე უნდა იცოდეს იმ 15 ათასმა ჯარისკაცმა, რომელთაც პირად საქმეში „ცხინვალში სწავლების მონაწილეები“ უწერიათ, ალბათ, არიან იმის ღირსნი, იცოდნენ — წვრთვნებში დაკარგეს მეგობრები და თანამებრძოლები თუ ომში. „საქართველო და მსოფლიო“ ომის დეტალებზე საგურამოს ცალკეული კავშირგაბმულობის ბატალიონის ასეულის შეიარაღების უფროსს, სერჟანტ გიორგი ლაბაძეს ესაუბრა, რომელიც ბაჩო ახალიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა, იმ ბაჩო ახალაიამ, გაგანია ომის დროს პატიმრებს წამებაში სულს რომ ხდიდა, და სიტყვები „პატრიოტი“, „სამშობლო“ და „ჯარისკაცი“, სავარაუდოდ, საკვები ჰგონია.**



## «15 ათას ჯარისკაცს პირად საქმეში გვიწერია, რომ ცხინვალში საომრად კი არ ვიყავით, სწავლება გავიარეთ!»

**— გიორგი, როგორ დაიწყო აგვისტოს ომი, რა წინაპირობა იყო, იყავით თუ არა მზადყოფნაში?**

— მორიგე ვიყავი. 7 აგვისტოს დილით ბრძანება გასცეს და ომის დაწყება გამოაცხადეს. ჩვენ არ დავიჯერეთ, რადგან ამის არანაირი წინაპირობა არ ყოფილა, ყურმოკვრითაც კი არ გაგვიგია არაფერი, მაგრამ №1 ბრძანება უეჭველ ომს ნიშნავს და სხვა რა გზა გვქონდა, არ დაგვეჯერებინა! ყველანი ერთმანეთს ტელეფონებით დავუკავშირდით, ზოგი სახლში იყო წასული და ამიტომ უცბად ვერ მოხდა მობილიზაცია. ადგილიდან რომ დავიძარით, გზადაგზა ვრწმუნდებოდით ომის სინამდვილეში, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე გვეგონა, რომ წვთნა იყო.

ჩაგვიყვანეს კარალეთში, იქ გენშტაბისთვის მოვამზადეთ საველე მოწყობილობები, დაგვაწყებინეს სანგრების გათხრა, მაგრამ ვფიქრობდით, რომ ეს ყველაფერი პატარ-პატარა სროლები რომ იყო, იმისთვის სჭირდებოდათ, უბრალოდ, ტერიტორიის გასამაგრებლად. საღამოს თერთმეტი საათი იყო, რომ სარდალმა მამუკა ბალახაძემ მიიღო ბრძანება არტილერიის მზადყოფნაში მოყვანის თაობაზე, განლაგდა კავშირგაბმულობის მანქანები და **ღამის სამ საათზე დავიწყეთ ინტენსიური დაბომბვა. არტილერიიდან ცოტა ხანში სარდალს დაურეკეს და შეატყობინეს, რომ ტყვია-წამალი დაუმთავრდათ და შველას ითხოვდნენ. თავის მხრივ, სარდალმა კეზერაშვილს დაურეკა და უთხრა, რომ მძიმე ტექნიკით დახმარებოდნენ, რადგან მხოლოდ ავტომატების იმედად იყვნენ ჯარისკაცები დარჩენილები. ჩვენი ჯარისკაცები ტერიტორიას არ იცნობდნენ, არ იცოდნენ, სად შეიძლებოდა მტერი ჩასაფრებული ყოფილიყო, ამიტომ ტყვია-წამალი ძალიან მალე დაუმთავრდათ.**

**— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ დაზვერვას წინასწარ არ უმუშავნია?**

— რა დაზვერვას, **ომის დაწყების შესახებ არაფერი ვიცოდით.** მოკლედ, მძიმე ტექნიკის დახმარების გარეშე ჩვენმა ბიჭებმა ერთი სოფელი კიდევ აიღეს. გამთენიისას შეგვატყობინეს, რომ მინისტრი მოდისო. კეზერაშვილი რამდენიმე ჯიპის თანხლებით ჩამოვიდა, ჩვენც აქედან დაცვაში რამდენიმე ბიჭი წაგვიყვანეს **ლებს რომ ჩამოუტანიათ, უკვე ვადაგასული, უფრო ზუსტად, ძველი და ამერიკაში ჩამოწერილი გადამცემები ყოფილა. რუსეთის მხარემ მისი გათიშვა მარტივად მოახერხა.** ცხინვალის მისადგომებთან რომ ვიმყოფებოდით, სარდალმა მიიღო ბრძანება, რომ წინ წავსულიყავით. მოკლედ, ცხინვალში უნდა შევსულიყავით და აგველო. ცხინვალში შევედით, ვნახეთ, რომ მოსახლეობა ევაკუირებული იყო, ვერავის დაინახავდით, საქართველოში კი, მოსახლეობამ კი არა, ჯარისკაცებმაც არ ვიცოდით, რა ხდებოდა. ბოლო წუთამდე ვერ ვიჯერებდით, რომ ომი დაიწყებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ჯარისკაცებმა ყველაფერი გააკეთეს და მაგრად, ბოლომდე იბრძოლეს, საოცრებები ჩაიდინეს ბიჭებმა, მაგრამ რუსული ავიაციის ჩართვამ უკან დაგვხია.

**— როგორ, სარდალმა და გენშტაბმა ის არ იცოდა, რომ რუსეთი ავიაციას გამოიყენებდა?**

— როგორ გითხრათ, ახლა ვფიქრობ, რომ ჩვენებს, ალბათ, მხოლოდ პოზიციების გამაგრება სურდათ. შევიდოდნენ ცხინვალში და პოზიციებს გაიმაგრებდნენ. არ ელოდნენ, რომ ასეთი ამბავი მოჰყვებოდა. **რუ-**

და დავიძარით, სანამ ნიქოზამდე მივედით, გვესროლეს.

**— რამდენად მიზანშეწონილი იყო ფრონტის ხაზზე მინისტრის წასვლა, ეს შეცდომა ხომ არ იყო?**

— ალბათ, შეცდომა იყო, რადგან ის ძალიან შესამჩნევი იყო. მისი მანქანები სამიზნეს წარმოადგენდა. მისი მიზეზით, შეიძლებოდა მთელი ბატალიონი გაწყვეტილიყო. სერიოზული სროლა დაგვიწყეს, მინისტრი სასწრაფოდ გამოიყვანეს იქიდან და ჩვენ დავრჩით. **სროლები არ წყდებოდა, ჩვენ არ გვქონდა ინფორმაცია, თუ სად ვიმყოფებოდით, მერე აღმოჩნდა, რომ ცხინვალთან ვყოფილვართ. ყველაფერი გათიშული გვქონდა, გადამცემები უცბადვე გაგვითიშეს, ჩვენს ბატალიონს ჰქონდა ამერიკული გადამცემი „ჰარისი“, რომელიც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამერიკე-**

**სული ავიაციის ჩართვის შემდეგ სასწრაფოდ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უკან დაგვეხია. მახსოვს, გენშტაბის წევრები ერთმანეთს აფრინდებოდნენ, მანქანებში რომ ჩამსხდარიყვნენ. ჯარისკაცები აზრზე არ ვიყავით, რომ უკან დახევის ბრძანება იყო გაცემული, იმის ნაცვლად, რომ ჯერ ჯარი გამოეყვანათ და შემდეგ თვითონ გადაერჩინათ თავი, პირველები გამორბოდნენ. ჯარში საშინელი დაბნეულობა დაიწყო.** ბევრ მათგანს ომის თაობაზე ინფორმაცია მხოლოდ თეორიულად ჰქონდათ, თანაც იმას, რომ წინასწარ არაფერი ვიცოდით, ჯარისკაცები სიგიჟემდე მიჰყავდა. მიუხედავად ამისა, **ქართველმა ჯარისკაცებმა თავისი ვალი პირნათლად მოიხადეს. შორს წაგვიყვანს იმაზე საუბარი, თუ რას აკეთებდნენ ისინი და რა თავგანწირვით იბრძოდნენ.**

არ ვიცი ორ სახელმწიფოს შორის რომელია მტყუან-მართალი, მაგრამ ის ვიცი, რომ მაშინდელი, ანუ აგვისტოს ომისდროინდელი ხელისუფლებაცა და გენშტაბიც საკუთარი ხალხის წინაშე დამნაშავეა. ამის თქმის უფლებას ის მაძლევს, რომ მოქალაქეები, ადგილობრივი მცხოვრებლები არ დაიცვეს, ომის ხაზიდან არ გაიყვანეს, თუ ცხინვალიდან გაიყვანეს მოსახლეობა, ესე იგი ომის სამზადისი იყო და ეს მოწინააღმდეგემაც კი იცოდა, და ჩვენ კი, ჯარისკაცებიც, ისე წამოგვყარეს, რომ ბოლომდე ვერ ვიჯერებდით ომის რეალობას. წინასწარ რომ მოეწოდებინათ ჩვენთვის ინფორმაცია, ფსიქოლოგიურად მაინც მოვემზადებოდით და არ დაიბნეოდა ჯარი. როდესაც ომს იწყებ, დაზვერვა უნდა ჩავიდეს და თითოეული კენჭი სად დევს, ის უნდა იცოდე. **ტერიტორიის არცოდნამ, ძალიან დაგვაზარალა, უამრავი ტყვია-წამალი ტყუილად დავკარგეთ. მოკლედ, ჯარი ომს მოუმზადებელი შეხვდა, რაც, ვფიქრობ, დანაშაულია. ამ ყველაფერში კი მთავარი ის დეტალია, რომ 15 ათას ჯარისკაცს, რომლებიც ომში ვიყავით, ყველას პირად საქმეში გვიწერია, რომ ცხინვალში სწავლება გავიარეთ.**

**— რას ამბობთ? ესე იგი ეს ომი არ ყოფილა და ხელისუფლებამ ჯარისკაცების და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე და ტერიტორიები „სწავლებას“ შესწირა?**

— დიახ, ასე გვიწერია. ეს, ალბათ, იმიტომ გააკეთეს, ანუ აგვისტოს ომში მონაწილეობის ნაცვლად ცხინვალში სწავლების გავლა იმიტომ ჩაგვიწერეს, რომ შეღავათებით არ გვესარგებლა. მოგეხსენებათ, ომის მონაწილეებს გარკვეული შეღავათები ეკუთვნით, სწავლების მონაწილეებს კი — არაფერი...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დრო შეიცვალა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი გუნდი მოვიდა. იქნებ მათ მიეცეთ საშუალება, ისე წარმართონ ქვეყნის სვლა, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, ქარს არ გავატანოთ ის, რაც ჩვენს წინაპართ სისხლის ფასად მოუპოვებიათ. ამისათვის ყველა უნდა გავისარჯოთ. არ დაგვავიწყდეს სამი ღვთაებრივი საუნჯე: მამული, ენა, სარწმუნოება.“

# დეკანოზი ბიძინა გუნია: სოდომ-გომორის ცოდვა ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია

„საქართველო და მსოფლიოს“ თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **ბიძინა გუნია** ესაუბრება.

**— მოგეხსენებათ, აფხაზეთის ეპარქია საქართველოს სამოციქულო ეკლესიისგან გამოყოფას მოითხოვს. რუსეთის საპატრიარქო კი დღემდე ამ მოთხოვნაზე ცივ უარს აცხადებს. რა უნდა გაკეთდეს, როდესაც ერთ-ერთი ეპარქია დაუმორჩილებლობას აცხადებს?**

— არანაირი აფხაზეთის ეკლესია არ არსებობს! ჩვენთვის ცნობილია, რომ გარკვეული ჯგუფი აფხაზეთში ცდილობს, გამოეყოს საქართველოს დედაეკლესიას, მაგრამ ეს საკითხი მხოლოდ **კანონიკის სფეროში** უნდა გადაწყდეს. აქ პოლიტიკური წიაღსვლები უადგილო იქნება და მხოლოდ დაძაბავს მდგომარეობას. ამ სიტუაციაში ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი საქართველოს ეკლესიის პოზიციაა. უეჭველია, რომ არავითარი თანხმობა ან მხარდაჭერა ამ საკითხს ჩვენი მხრიდან არ ექნება.

არ მიგვაჩნია, რომ რუსეთის ეკლესია სერიოზულად ფიქრობს ე. წ. აფხაზეთის ეკლესიის საკუთარ იურისდიქციაში შეყვანაზე. დასტურად შეგვიძლია გავიხსენოთ აწ გარდაცვლილი უწმიდესი პატრიარქის — ალექსი II-ის ინიციატივით რუსეთის ეკლესიის მიერ მიღებული დადგენილება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში აღიარების შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ეკლესიის ნებართვის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდებს რუსეთის ეკლესიას, მით უმეტეს, რომ ამას არცერთი მართლმადიდებელი ეკლესია არ დაუჭერს მხარს.

**— უკანასკნელი წლების მანძილზე ბეჭდვით თუ სოციალურ მედიაში მართლმადიდებლობაზე და სასულიერო პირებზე უამრავი შეურაცხმყოფელი ტექსტი თუ ვიდეო გავრცელდა, მათ შორის უწმიდესის მისამართითაც... როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა მართლმადიდებლების რელიგიური გრძნობების დაცვა კანონით დარეგულირებული?**

— გავიხსენებთ ფსალმუნის სიტყვებს: **„დადვეს ცათა შინა პირი მათი და ენა მათი ეთრია ქვეყანასა ზედა“** (ფს. 72.9.). რა გაეწყობა. ქრისტიანული ეკლესიის არსებობის მანძილზე სისტემატიურად ხორციელდებოდა მართლმადიდებლობის დევნა სხვადასხვა ფორმით. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს ეკლესიასაც ეხება, მით უმეტეს, რომ ჩვენში მართლმადიდებლობა მოციქულთა მიერ იქნა ნაქადაგები, ხოლო მეოთხე საუკუნეში კი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ჩვენ არ გვაფრთხობს აღნიშული გარემოება და არც მდგომარეობა მიგვაჩნია საგანგაშოდ, რადგან ბრძანებს უფალი: **„...კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“**.

თქვენ მიერ დასახელებულ შეურაცხმყოფელ ფაქტებს, ალბათ ბევრი შეიძლება შეემატოს. ჩვენში ყოველივე ეს სიბრალულს იწვევს იმ პირთა მიმართ, რომელნიც ამ „აქციის“ თანამონაწილენი არიან. ერთი რამის მთქმელია ეს ყველაფერი. მათ თავიანთი გული და გონება ეშმაკის ასპარეზად აქციეს. ძალზე სამწუხაროა ყოველივე ეს და ამიტომაც ძალისხმევასა და ლოცვას არ დავიშურებთ ამ ადამიანთა სულების მოსაქცევად, მათ გადასარჩენად.

**— თუმცა აქ საუბარია ქვეყნის მართლმადიდებელი მოსახლეობის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე...**

— დიახ, არის მეორე მხარე — სამოქალაქო პოზიცია. ნამდვილად უნდა მიაქციოს ყურადღება სახელმწიფომ, სად იწყება ერთი პიროვნების თავისუფლება და სად იზღუდება მეორესი, სად არის ჭეშმარიტება და სად ცილისწამება, სად არის თავისუფალი სიტყვა და სად შეურაცხყოფა. ალბათ, ეს საკითხი შემდგომში, საზოგადოების ფართო განხილვის საგნად უნდა იქცეს.

რა თქმა უნდა, დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა ადამიანს აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, მაგრამ გამონათქვამებმა და აზრებმა არ უნდა მიიღოს შეურაცხმყოფელი თუ ცილისმწამებლური კამპანიის სახე.

რაც შეეხება საკითხს: **მართლმადიდებლების რელიგიური გრძნობების დაცვა კანონით უნდა იყოს თუ არა დარეგულირებული, ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა და მანვე უნდა მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება, ადამიანთა უფლებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით.**

**— გასაგებია, მაგრამ, რადგან უფლებებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გკითხოთ: გამუდმებით გვესმის პოლიტიკოსებისგან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომ ირღვევა რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების უფლებები. სამწუხაროდ, არ საუბრობენ იმაზე, რომ ყოველდღიურად მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დაუფარავად ლანძღავენ. სამწუხაროდ, არავინ საუბრობს ქრისტიანების უფლებების დარღვევაზე. მახსენდება ერთი ფაქტი: როდესაც ილიას უნივერსიტეტის ლექტორს, გიგი თევზაძეს, სტუდენტებმა სამლოცველოს გამოყოფა მოსთხოვეს, მან საპირფარეშოსკენ მიუთითა...**



«არ იქნება სწორი პოლიტიკური ნიშნით ვინმეს ანათემირება, თუნდაც პიროვნებას უმძიმესი დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი»

— დღევანდელი სახელმწიფოს მოწყობა უფლებას აძლევს ადამიანებს, შექმნან ორგანიზაციები, მათ შორის იმ უმცირესობამაც, რომელზეც თქვენ ისაუბრეთ. ამ ორგანიზაციების მიზანშეწონილობას კანონი უნდა არეგულირებდეს.

რაც შეეხება მართლმადიდებელთა პოზიციას, იგი უცვლელია. ჩვენ განვეშორებით ბოროტებას და ვამხელთ ყოველგვარ გადაცდომას, რასაც საბოლოოდ ადამიანი დაღუპვისკენ მიჰყავს.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ვცხოვრობთ საყოველთაო განდგომილების ეპოქაში და არც გვიკვირს თქვენ მიერ ზემომოხმობილი ფაქტები. თუმცა მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოება ჯეროვნად უნდა რეაგირებდეს მსგავს ქმედებებზე, რადგან ამ შემთხვევაში საქმე მოზარდი თაობის აღზრდას, ახალგაზრდობას, მათ მომავალს ეხება.

უმჯობესი იქნება, თუ სატელევიზიო არხები და ჟურნალგაზეთები უფრო ფართოდ გააშუქებენ მსგავს ფაქტებს და ამავე დროს კორექტულნი იქნებიან. ამით მოიგებს საზოგადოების ყველა ფენა, რადგან თეთრს თეთრი დაერქმევა, შავს კი — შავი.

**— მოგეხსენებათ, შარშან, მაისში ე. წ. გეების აღლუმის ჩაშლის შემდეგ ამერიკის ელჩმა მოუწოდა საქართველოს სახელმწიფოს, რომ აღლუმის არ ჩატარება სექსუალური უმცირესობის უფლებების დარღვევაა. ჩვენ ვნახეთ, რომ უმცირესობების მსვლელობა ამ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს მაინც გაიმართა. მოგეხსენებათ, პარლამენტმა რეზოლუცია მიიღო საგარეო კურსის უცვლელობასთან დაკავშირებით. უპრიანი ხომ არ იქნებოდა, ეს საკითხიც კანონის მიხედვით დარეგულირებულიყო?**

— ეკლესიის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია: **სოდომ-გომორის ცოდვა ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია.** ამდენად, როგორც რიგით მოქალაქეს შინაგანი პროტესტის გრძნობა, რა თქმა უნდა, მეც გამაჩნია. ამასთან, არსებობენ სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთა უფლებამოსილებაშიც შედის მსგავსი გამოსვლების შეზღუდვა, გნებავთ, დარეგულირება. თუმცა გადაწყვეტილების მიღებამდე სახელმწიფომ სხვათა საყოველთაოდ აღიარებული უფლებებიც უნდა გაითვალისწინოს, რათა მართლმადიდებელთა უფლებები არ აღმოჩნდეს „უმცირესობაში“.

არ გამოვიდეს ისე, რომ პირშერცხვენილნი აღმოვჩნდეთ ჩვენი წინაპრების წინაშე, რომ არაფერი ვთქვათ მომავალ თაობაზე. მე მახსენდება სულიწმინდის საყვირის, წმიდა იოანე ოქროპირის, ერთი შეგონება, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: **შვილო, თვალი მოარიდე მეძავს, მრუში მზერა წაბილწავს შენს სულს. ან კი ამის შემდეგ როგორღა შეხედავ თვალებში შენს მშობელ დედას, ან დას ან მეუღლეს? ამიტომ თვალი წმინდად დაიცავი.**

თუ მეძავისადმი ასეთი პოზიციაა გამოხატული, მით უმეტეს უნდა ვთქვათ სოდომგომორის ცოდვით მოწყლულთა მიმართ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანს ცოდვის ჩადენას ეკლესია ვერ აუკრძალავს, მას შეუძლია მხოლოდ გააფრთხილოს და შეაგონოს იგი. თუმცა ასევე ვუწყით უფლის შეგონებაც: **„თუალ გასხენ და არა ხედავთ, და ყურ გასხენ და არა გესმის, არა გიცნობიეს, არცა მოიხსენეთ“.**

იუდა უფლის სიახლოვეს იმყოფებოდა, ბევრი სიკეთის თანაზიარიც გახდა, მაგრამ მან პირადი არჩევანით განიშორა თავი უფლისგან. ადამიანები, რომლებიც ვახსენეთ, საკუთარი ნებით განეშორებიან უფალს და მამონას გზაზე დგებიან.

ამდენად, მნიშვნელოვანია, ყურად ვიღოთ უფლის სწავლება: **„...რომელთა განიშორნეს თავნი თვისნი შენგან იგინი წარწყმდენ, და მოსრენ ყოველნი რომელნი განგიდგეს შენგან“** (ფს. 72. 27).

**— ცხადია, პირადი ცხოვრების დაშლა არ შეიძლება, მაგრამ აქ საუბარია პროპაგანდაზე. თან ეს მოხდა უცხო სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში აშშ-ის, ელჩ ნორლანდის ჩარევით...**

— საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დარეგულირებული. მოგეხსენებათ ასევე, რომ საქართველოს კონსტიტუციით ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან.

ამდენად, ჩვენი პროტესტის ფორმა ასეთია: **ვამხელთ** და **მოვუწოდებთ**. არასდროს დაცხრება ეკლესია ცოდვილთა მხილებაში. რაც შეეხება ამერიკის ელჩს, მის მიერ ჩადენილი ქმედებების კომენტატორად მე ვერ გამოვდგები.

**— ეს თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებამ გააშუქა... თქვენი სულიერი ხედვით, რამდენად კანონზომიერია სხვა სახელმწიფოს ელჩის ჩარევა ერის სულიერ ცხოვრებაში?**

— საქმე ისაა, რომ ადამიანს ვერაფერი აიძულებს, გადაიხაროს ცოდვისკენ ან მის საპირისპიროდ იაროს, თუ მას საკუთარი არჩევანი არ უკარნახებს ამას. დღეს საქართველო უამრავი პრობლემის წინაშე დგას და არც არაკეთილმოსურნეთა რიგებია შეთხელებული, ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ.

კარგი იქნება, თუ სახელმწიფოს მესვეურნი გაითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის წარსულს, სულიერ ღირებულებათა სისტემას და არ უგულებელყოფენ მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნებს. დრო შეიცვალა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი გუნდი მოვიდა. იქნებ მათ მიეცეთ საშუალება, ისე წარმართონ ქვეყნის სვლა, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, ქარს არ გავატანოთ ის, რაც ჩვენს წინაპართ სისხლის ფასად მოუპოვებიათ. ამისათვის ყველა უნდა გავისარჯოთ. არ დაგვავიწყდეს სამი ღვთაებრივი საუნჯე: მამული, ენა, სარწმუნოება.

**— რადგან აშშ ვახსენეთ, აუცილებლად შეგეკითხებით: ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ აშშ-ის განსაკუთრებული აგრესიის სამიზნე არის მართლმადიდებლური სამყარო. რამ შეუწყო ხელი ამ მითის გაჩენას? თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

**— ბჟეზინსკის ცნობილ გამონათქვამს თუ გავიხსენებთ?**

— ასეთი გამონათქვამები მსოფლიოს ვერ შეცვლის. მსოფლიო ისტორია შემოტრიალდა მაცხოვრის განკაცებით. ასევე მნიშვნელოვანი მომენტი იქნება მისი მეორედ მოსვლაც. ამ ორ მოვლენაზე ბევრადაა დამოკიდებული ყველა სხვა მოვლენა.

აქ კვლავ დავძენთ, რომ საერო პირთა გამონათქვამები ვერ შეცვლის მსოფლიოს, ყოველივეს ღვთის განგება წარმართავს. რაც შეეხება სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენას, მათი არსებობა ადამიანთა ცოდვების გამო ღვთის მიერაა დაშვებული.

**— საუბარი მიმდინარეობს კოაბიტაციაზე. საზოგადოების აზრს მოგახსენებთ: ბოლო 9 წლის მანძილზე უამრავი ადამიანი უკანონოდ დააპატიმრეს, ბიზნესი წაართვეს, მოკლეს... ხომ არ იქნებოდა სწორი, ეკლესიას კონკრეტული პირები ანათემაზე გადაეცა? აქ საუბარი არ არის შურისძიებაზე, არამედ — შემაკავებელ ღონისძიებაზე...**

— როგორც სასულიერო პირს, მსურს, დღეს მიმდინარე კოაბიტაცია წარიმართოს დათმენის, ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობის (რისი შეწყნარებაც შეიძლება) კალაპოტში, რათა მოხდეს ძალაუფლების უმტკივნეულოდ გადაბარება. ამით მთელი საზოგადოება მოიგებს, ასე უფრო უმჯობესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

რაც შეეხება ანათემაზე გადაცემას, ანათემირება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ სახეზეა სულის წარმწყმედელი სწავლება და მისი გავრცელების საშიშროება არსებობს. ასე რომ, **არ იქნება სწორი პოლიტიკური ნიშნით ვინმეს ანათემირება,** თუნდაც პიროვნებას უმძიმესი დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი.

**— ანუ შესაძლებელია იაღოველთა სექტის წარმომადგენლები ან თუნდაც თეა თუთბერიძე, რომელიც გამუდმებით ეწევა პროპაგანდას, ანათემირებული იყვნენ?**

— იეღოველთა სექტის სწავლებაში რაიმე ახალი არ არის. თუნდაც, მათ მიერ ხატების უარყოფა „ძველი“ ცდომილებაა. ამ ცრუ სწავლებას 787 წელს მე-7 მსოფლიო კრებაზე გაეცა პასუხი. ვინც ამ სულისწარმწყმედელ სწავლებას დღესაც მისდევს, ღვთის მადლისაგან თვითონ განიშორებს თავს.

მართლმადიდებლების იარაღია წმინდა წერილი, ცხოველსმყოფელი ჯვარი, მხურვალე ლოცვა, მხი- ▶

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მათი თქმით, მათი სასულიერო პირებიც იხდიან თურმე თავის სამოსელს საზღვარზე და ისე შემოდიან ჩვენს ქვეყანაში, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენს საბაჟოზე ქართველები მუსლიმან საულიერო პირებს ასეთ რამეს არც კი შეჰკადრებენ.“**

◀ ლება. უნდა ვილოცოთ კონკრეტული პიროვნებებისათვის, თუნდაც ისინი მძიმე ცდომილებაში იმყოფებოდნენ.

თქვენს მიერ ნახსენები ადამიანის მიმართ არანაირი პიროვნული ურთიერთობა არ მაკავშირებს, მაგრამ შევნიშნავ, რომ მისი ქმედებები საზოგადოების დიდ ნაწილში აგრესიას იწვევს. მისი მიზანმიმართული მოქმედება, რა თქმა უნდა, აშკარა დაპირისპირებაა მართლმადიდებლობისადმი. ასეთ ქმედებებს არ მოაქვს მშვიდობა. ეს მისი არჩევანია, შეიძლება ცხოვრების გზაც, ჩვენი იარაღი კი ამ შემთხვევაში მხილებაა.

**— მამაო, კონკრეტულ ადამიანებში არაა საქმე, საუბარია იმაზე, რომ ამ ადამიანების უკან გარკვეული ძალები დგანან...**

— ამაზე ქართული პოეზიიდან გიპასუხებთ:

დიდი **შოთა** ბრძანებს — **„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა!“** ალბათ ასეთი ადამიანები არც თუ ისე ცოტანი არიან;

**ვაჟა ფშაველა** ბრძანებს — **„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადია ცელობა, ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა...“**

ვაგლახ, რომ ბევრს მგელობა სწადია და არც ფარავს ამას.

**— კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო: მეუფე იობი ჩვენს გაზეთთან მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ „დიპლომატია პოლიტიკოსების საქმეა. სასულიერო პირმა, მით უმეტეს იერარქმა, სადაც ხოა სათქმელი, ხო უნდა თქვას, სადაც — არა, — არა“! საააკაშვილისა და მეუფე კალისტრატეს ურთიერთობა ხომ არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სამღვდელოება ზედმეტად პოლიტიზირებულია?**

— არ მიმაჩნია მეუფე კალისტრატე ან რომელიმე სასულიერო პირი ზედმეტად პოლიტიზირებულად. ეს არის ჩვეულებრივი გამოვლენა საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობებისა. თქვენ იცით, რომ ბაგრატის ტაძრის აღდგენის საქმეში საქართველოს პრეზიდენტმაც შეიტანა გარკვეული წვლილი. ამდენად, მისი იქ მიბრძანება და მოლოცვის აკრძალვა ყოვლად გაუგებარი იქნებოდა.

როდესაც სახელმწიფოს მეთაური (ან თუნდაც ნებისმიერი საერო პირი) სასულიერო პირთან მიბრძანდება, რანაირი განწყობაც არ უნდა ჰქონდეს მის მიმართ მოძღვარს, მაინც პატივისცემით უნდა დახვდეს და ყურადღებით მოუსმინოს მას. და თუკი ეკრანზე ან სურათში ერთად გამოჩნდებიან პრეზიდენტი და თქვენ მიერ დასახელებული მეუფე, ან სასულიერო პირები გამოჩნდებიან საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში საერო პირებთან ერთად, ეს სრულებით არ ნიშნავს მათ პოლიტიზირებას.

არ დავივიწყოთ, რომ სასულიერო პირებიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და ისინიც სარგებლობენ გადაადგილებისა თუ სიტყვის თავისუფლების უფლებით. თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სასულიერო პირის მოსაზრება ამა თუ იმ საერო მოვლენაზე ეკლესიის პოზიციად არ უნდა აღვიქვათ, არამედ — მის კერძო მოსაზრებად.

**— ბოდიშს გიხდით, მამაო, მაგრამ ჩვენ მათი ის შეხვედრაც ვნახეთ, როცა მეუფე კალისტრატე პრეზიდენტს დავით აღმაშენებლად მოიხსენიებდა...**

— აკი გითხარით: სასულიერო პირი მოქალაქეცაა და სრული უფლება აქვს, ღიად დააფიქსიროს საკუთარი აზრი.

მიკვირს, მოძღვრების მიერ საერო თემებზე გამოთქმულ მოსაზრებებზე რატომ კეთდება ასეთი აქცენტი. ამ დროს, ხშირად არც ვისმენთ ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობლის ღვთივსულიერ შეგონებებს, სახარების განმარტებებს, ამბიონიდან წარმოთქმულ სულის სარგო უამრავ სიტყვას.

**— საზოგადოებაში მუდმივად იყო საუბარი იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ იყო ეკლესიის მიმართ კეთილგანწყობილი. საუბარი იყო მოსასმენ აპარატურაზე, ზეწოლაზე, იმაზე, რომ სინოდის სხდომებს კუდისა და სოდის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და ა.შ. ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვები დაგროვდა...**

— კომუნისტების პერიოდში იყო ასეთი საფრთხეები, მოსასმენ აპარატურას ვგულისხმობთ, და არ გამიკვირდება, ახლაც რომ ყოფილიყო მსგავსი მცდელობები. თითქოს საქართველომ 1991-92 წლებიდან დამოუკიდებლობას მიაღწია, მაგრამ მენტალიტეტი კვლავ ძველი დარჩა, ვერ გავთავისუფლდით სხვადასხვა ზეგავლენისგან, ის, რაც ტოტალიტარული სახელმწიფოს თანმდევია.

დღეს საქართველო ფეხზე დგება, მაგრამ პრობლემა, სულიერების თვალსაზრისით, კვლავ არსებობს. არავის ვსაყვედურობ, უბრალოდ, როგორც რიგითი მოქალაქე, ამას განვიცდი.

**— სასულიერო პირების, საზოგადოების მხრიდან ძალიან ხშირად არის საუბარი რუის-ურბნისის მსგავსი კრების ჩატარების აუცილებლობაზე....**

— რუის-ურბნისის მსგავსი კრების მოწვევის აუცილებლობას დღეს მე ვერ ვხედავ. თუმცა, თუ ამის აუცილებლობა ოდესმე დადგება, ღვთის განგებით გაიმართება კიდეც.

აღნიშნული საკითხი არა მგონია საზოგადოების ან მრევლის მოთხოვნის საფუძველზე იქნას გადაჭრილი. ეს ეკლესიის გადასაწყვეტი საკითხია და ბევრადაა დამოკიდებული წმინდა სინოდისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილებაზე.

ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანს თავისი კომპეტენცია გააჩნია. მაგალითად, რომ მკითხოთ, ამა თუ იმ ადამიანს უნდა გაუკეთდეს თუ არა გულის ოპერაცია, ამაზე კომპეტენტურ პასუხს ვერ გაგცემთ. ასევე, არის მთელი რიგი საკითხებისა, რაც ოდენ ეკლესიის კომპეტენციაა.

ასე რომ, ნუ დავაკონკრეტებთ და განსასჯელად ნუ გამოვიტანთ ისეთ საკითხებს, რომლებიც ეკლესიის წიაღში უნდა გადაწყდეს!

ესაუბრა
**ანა ქევხიშვილი**

# მამა არჩილი: სარფის საბაჟოზე მომთხოვეს, მღვდლის სამოსი გამეხადა და, როგორც ერის ადამიანი, ისე შევსულიყავი თურქეთში

**მაშინ, როდესაც საქართველოს (ძველი თუ ახალი) ხელისუფლება ბათუმში ახალი მეჩეთების აშენებაზე ფიქრობს, ქართველ სასულიერო პირებს თურქეთის საზღვარზე მღვდლის შესამოსელით არ უშვებენ. ბოლო წლებში რამდენიმე მსგავსი შემთხვევა უკვე დაფიქსირდა. ერთ-ერთი, ვინც რამდენიმე წლის წინ თურქეთში არ შეუშვეს, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი არჩილი (ბალდავანიძე) გახლდათ. თუმცა ეს ფაქტი არ გახმაურებულა და არც რეაგირება მოჰყოლია. „საქართველო და მსოფლიო“ მამა არჩილს დაუკავშირდა.**



**— მამაო არჩილ, რატომ არ შეგიშვეს თურქეთში, რა მოხდა საზღვარზე?**

— მრევლთან ერთად კაბადოკიაში მოსალოცად მივდიოდი. სარფის საბაჟოზე მომთხოვეს, მღვდლის სამოსი გამეხადა და, როგორც ერის ადამიანი, ისე შევსულიყავი თურქეთში, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. უცებ ჩემი წინაპრები გამახსენდა, რომლებიც სარწმუნოების შეცვლაზე უარს აცხადებდნენ და მოწამეობრივად აღესრულებოდნენ და მე მღვდლის ანაფორა როგორ უნდა გამეხადა?! ისევ უკან, ბორჯომში დავბრუნდი, სამწუხაროდ, ვერ მოვილოცე კაბადოკია. ორი საათის განმავლობაში ვისხედით საბაჟოზე და მათ დათანხმებას ვცდილობდით, მაგრამ უშედეგოდ.

**— მაინც რა გითხრეს, რა იყო თქვენთვის უარის თქმის საფუძველი?**

— მათი თქმით, მათი სასულიერო პირებიც იხდიან თურმე თავის სამოსელს საზღვარზე და ისე შემოდიან ჩვენს ქვეყანაში, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენს საბაჟოზე ქართველები მუსლიმან საულიერო პირებს ასეთ რამეს არც კი შეჰკადრებენ.

**— როგორ ფიქრობთ, რაიმე საფრთხე დაინახეს საბაჟოს თანამშრომლებმა?**

— არ ვიცი, რა საფრთხე დაინახეს. ალბათ, მიზეზი ის გახდა, რომ მათ ქვეყანაში მართლმადიდებლური სიწმინდეების მოსალოცად მივდიოდით. ბოლო წლებში ბევრი ქართველი დადის როგორც კაბადოკიაში, ასევე ტაო-კლარჯეთში და როგორც ჩანს, ზოგიერთს ეს აღიზიანებს და შესაძლოა, ამაში გარკვეულ საშიშროებასაც ხედავს. მას შემდეგ სხვა სასულიერო პირები იმყოფებოდნენ და გაუშვეს უპრობლემოდ, რა მოხდა ჩემთან დაკავშირებით, არ ვიცი. როგორც ჩანს, ზოგჯერ უშვებენ, ზოგჯერ — არა. ვფიქრობ, ის საბაჟოს თანამშრომელი ნამდვილი მორწმუნე მუსლიმანი რომ ყოფილიყო, უფრო გამიშვებდა.

**— საბაჟოს თანამშრომელი ამგვარ გადაწყვეტილებას თვითნებურად, თურქეთის ხელისუფლების გარეშე მიიღებდა? თუ აცნობეთ ეს ფაქტი ხელისუფლებას და ოფიციალურად უნდა ჩაერიოს თუ არა მსგავს შემთხვევებში ხელისუფლება?**

— როდესაც არ მიშვებდნენ, შექმნილი სიტუაციის თაობაზე შევატყობინეთ თურქეთის საკონსულოს, რომელმაც ნება დამრთო, შევსულიყავი თურქეთში, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც არ შემიშვეს. **ჩვენ ქართული საკონსულოს წარმომადგენლებსაც დავუკავშირდით, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.**

ოფიციალურად ხელისუფლებისთვის არ მიმიმართავს, მაგრამ, რადგან საკონსულო ჩაერია, სავარაუდოდ, ხელისუფლებაც შეიტყობდა.

## «თურქეთის საკონსულოში ისიც კი იკითხეს ჩემზე, რა აცვია და ჯვარი ხომ არ უკეთიაო»

**— საპატრიარქოს თუ აცნობეთ მომხდარის თაობაზე?**

— არა, არც საპატრიარქოსთვის მიცნობებია.

**— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კვლავ დაიწყო საუბარი საქართველოში მეჩეთის მშენებლობის თაობაზე. თქვენ რას ფიქრობთ, უნდა აშენდეს თუ არა ახალი მეჩეთი?**

— სიმართლე გითხრათ, საქართველოში ბევრი მეჩეთია და საკმარისია. მე ვიმყოფებოდი ზემო აჭარაში მოსალოცად და იქ ბევრი მეჩეთი ვნახე, გავიცანი ქართველი მუსლიმანებიც, რომლებმაც საკმაოდ თბილად მიმიღეს.

**— საქართველოს პრემიერმინისტრის განცხადებით, ეკლესიაში პრობლემები არსებობს...**

— ადამიანები ვართ და პრობლემები ყველგან არის, თუმცა კონკრეტულად რა იგულისხმა პრობლემებში პრემიერმა, ვერ გეტყვით.

**— თუნდაც ის ფაქტი, რომ სასულიერო პირებს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვთ და ამას ბევრი არც მალავს, გარკვეულ დაპირისპირებას იწვევს...**

— სასულიერო პირსაც გააჩნია საკუთარი შეხედულება მიმდინარე მოვლენებისადმი. სანამ სასულიერო პირი გავხდებოდი, მანამდეც ჩემი პოლიტიკური მრწამსი მქონდა, ეროვნულ მორაობაშიც აქტიურად ვიყავი ჩართული და, სადაც ჩემს ერს ვჭირდებოდი, ყოველთვის იქ ვიდექი. სამწუხაროდ, ადრე უფრო ვატყობდი ხალხს ერთმანეთის სიყვარულს, მაგრამ, რაც სამოქალაქო ომი მოხდა თბილისში, თითქოს ყველაფერი გაუფერულდა. ამ მოვლენებმა ძალიან იმოქმედა ჩემზე, ძალიან განვიცადე. ლექსების წერაც კი დავიწყე, 1999 წელს კი მღვდლად ვეკურთხე.

მრევლში ხელისუფლების როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეებიც არიან, ამიტომ სასულიერო პირებს სიფრთხილე გვმართებს. ჩემი მრევლისთვის პირდაპირ არასდროს არაფერი მიგრძნობინებია, ყველას თავისი არჩევანი აქვს.

**— ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე რას ფიქრობთ? როგორც ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ ხშირად ეკლესიის საქმიანობაში ჩარევაში, სასულიერო პირებსაც საყვედურობდნენ საერო საქმეებში აქტიურობის გამო...**

— ასეთი ფაქტები ხდებოდა, მაგრამ არჩევნებამდე უფრო იყო მსგავსი შემთხვევები. მაგალითად, როდესაც ბორჯომში „ქართული ოცნების“ ოფისის კურთხევა მთხოვეს, ჩვენს ერთ-ერთ მამაოს დაურეკეს, რათა გადმოეცა ჩემთვის, „ქართული ოცნების“ ოფისში არ მივსულიყავი. ამიკრძალეს იქ მისვლა. არადა, რომ არ მივსულიყავი, ეს იმის დადასტურება იქნებოდა, რომ ხელისუფლების შემეშინდა და ამის მერე ასე შეშინებულს რომელიმე წმინდანის მოწამეობრივ ღვაწლზე ამბიონიდან როგორ უნდა მექადაგა?! ამიტომ, რა თქმა უნდა, მივედი და ვაკურთხე.

**— მამაო, რა ვითარებაა ამჟამად ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიაში?**

— ეპარქიაში უკვე 23 სასულიერო პირი ვართ, რაც მეუფე სერაფიმეს დამსახურებაა. სანამ მეუფე ჩამობრძანდებოდა, ბორჯომში მხოლოდ ორი ტაძარი იყო, ახლა კი, ღვთის წყალობით, ბევრი ეკლესია-მონასტერი გაიხსნა, რომლებშიც აღესრულება ღვთისმსახურება. მე პირადად, ბორჯომის ტაძრის გარდა, ორ ეკლესიაში — სოფელ ტბასა და მზეთამზეში — ვმსახურობ.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რელიგია

**„ყველა ის ადამიანი, რომელიც 19 აპრილს აპირებს იმ შეკრებაზე მისვლას, უნდა ჩაუღრმავდეს საკუთარ საქციელს და დარწმუნებული ვარ, გააცნობიერებს, რომ არ უნდა უზნეობის, გარყვნილების, სიბოროტის გვერდით დადგომა!“**



# ირინა ენუქიძის მოძღვარი 19 აპრილს «ნაცმოძრაობის» აქციაზე მისვლის მსურველებს აფრთხილებს!

დეკანოზი გრიგოლი (გოგიჩაძე):

## «ნაციონალური მოძრაობა» სატანური სექტაა, რომელიც ფაშისტური მეთოდებით ცდილობდა ერის გადაგვარებას და მოსპობას

**— მამაო გრიგოლ, ამ რამდენიმე ხნის წინ აჭარაში შიმშილით გარდაცვლილი ბავშვის გამო საზოგადოების „ნაციონალურმა“ ნაწილმა ხელი ეკლესიისკენ გაიშვირა და უმაღლ სასულიერო პირები დაადანაშაულა უმოქმედობაში, თუმცა მე კარგად მახსოვს, ამ ორიოდ წლის წინ თქვენ შეშფოთებული მიმართავდით მაშინდელ ხელისუფლებას სოფელ ვარიანში შიმშილით გარდაცვლილი ჩვილის გამო...**

— ღმერთმა დაგლოცოთ! შიმშილით გარდაცვლილი ბავშვი გაიხსენეთ — იგი ზუბაშვილების მესამე შვილი იყო და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი ბავშვს მოზრდილი ადამიანის საკვებით კვებავდა, რაც წლინახევრის ბავშვის ორგანიზმისთვის დამღუპველი აღმოჩნდა. მე, როგორც შემეძლო, დავეხმარე, თბილისში წამოვიყვანე, საავადმყოფოში მოვათავსე, მაგრამ მისი გადარჩენა მაინც ვერ მოხერხდა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი ტრაგედია იყო... **როცა აჭარაში გოგიტა აბაშიძე გარდაიცვალა, ზოგიერთმა ახალი ხელისუფლებისკენ, ეკლესიისკენ, სასულიერო პირებისკენ გამოიშვირა თითი და ამ ჩვილის სიკვდილში ბრალი დაგვდო. მე მინდა განვაცხადო, რომ ეკლესია ყოველთვის ეხმარებოდა და დღესაც ეხმარება გაჭირვებულ ადამიანებს, მაგრამ ბევრჯერ ეს დახმარება სხვათათვის უხილავი და დაფარულია.** სამწუხაროდ, ქვეყანაში იმდენად ბევრი გაჭირვებულია, რომ, რა თქმა უნდა, ყველას ვერ ვწვდებით... როცა სააკაშვილის ხელისუფლება და მისი მომხრეები თითს იშვერენ ახალი ხელისუფლებისა და ეკლესიისკენ, მათ გავახსენებ **2011 წლის გაზაფხულს, როცა „მაესტროს“ ეთერში ხმამაღლა განვაცხადე, რომ საქართველოში ბავშვები შიმშილით არ უნდა იხოცებოდნენ და მოვუწოდე საქართველოს ხელისუფლებას, ასევე ადგილობრივ, რეგიონულ მთავრობას, რომ მრავალნი არიან გაჭირვებულნი, მაგრამ არც ისე ბევრია მრავალშვილიანი ოჯახი და მათ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ-მეთქი. ეს სიუჟეტი „მაესტროს“ ეთერში ერთი კვირის განმავლობაში ტრიალებდა. ამის გამო არა მხოლოდ „ნაციონალური“ ხელისუფლება, არამედ მათი მომხრე სასულიერო პირებიც განსაკუთრებით დამიპირისპირდნენ. დღეს რომ სააკაშვილი „გულამოსკვნილი“ ცრემლებს ღვრის, მაშინ რატომ არ ატეხა განგაში? ხომ კარგად იცოდა, რომ საქართველოში ბავშვი შიმშილით გარდაიცვალა? რატომ მაშინ არ შეშფოთდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები?** თუმცა უფრო მართებულია, მათ „ანტინაციონალური მოძრაობა“ ვუწოდო, რადგან მათი არც ერთი ნაბიჯი არ ყოფილა ნაციონალური, ეროვნული! შეიძლება ამ მარხვაში ძალიან გამაღიზიანებელია ზოგიერთისთვის, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ისინი იყვნენ ანტიეროვნული სექტის წევრები, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ქართველი კაცის სულის ძახილს! **მაგრამ, მადლობა უფალს, ხელისუფლება შეიცვალა და მჯერა, ეს ის მთავრობა იქნება, რომელიც ქართველი ერის და წინა ხელისუფლების მიერ უმოწყალოდ დახოცილი ბიჭების მშობლების იმედებს გაამართლებს. მე ირინა ენუქიძის მოძღვარი ვიყავი და, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთადერთი შვილი მოუკლეს, ღრმად მწამს, ის დღეს მაინც ძალიან ბედნიერი იქნებოდა სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის გამო! მას, ბევრისგან განსხვავებით, ყოველთვის სჯეროდა, რომ ხელისუფლება შეიცვლებოდა!**

**— მამაო, „ნაციონალურ მოძრაობას“ განა მორალური უფლება აქვს, მხარდაჭერისკენ მოუწოდოს ქართულ საზოგადოებას? და საერთოდ, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მათი ხელისუფლებაში დაბრუნება?**

— იცით, დღეს მოდიან ის სასულიერო პირები, რომელნიც მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტები იყვნენ და მახსენებენ, როგორ ვაფრთხილებდი, ვთხოვდი მათ, არ მიეცათ ხმა „ნაციონალური მოძრაობისთვის“, არ მიეღოთ მონაწილეობა მათ ხელისუფლებაში მოყვანაში. ბევრისთვის ცნობილი იყო, რომ ისინი მოსვლისთანავე უამრავ უბედურებას დაატრიალებდნენ ქვეყანაში — ერშიც და ეკლესიაშიც და ძალიან კარგად იცით, გამალებულნი ებრძოდნენ ეკლესიას და პატრიარქს!... ვისაც თვალნი აქვს და ხედავს და ყურნი ასხენ და ესმის, ვისაც ღვთისგან ჯანმრთელი გონება აქვს, არა მგონია, მან „ნაციონალების“ შეძახილი რამედ ჩააგდოს! არავის არ უნდა ჰქონდეს მათი იმედი! ყველამ ვიცით, მათი „საქმენი საგმირონია“. **ცხრა წლიწადი იყვნენ ქვეყნის სათავეში და რა გააკეთეს ერისთვის სასიკეთო? გადავხედოთ უახლოეს წარსულს. მათ მიერ ჩადენილი რომელი ერთი სიბოროტე გავიხსენო? — დაშინებული, დაშანტაჟებული საზოგადოება!! ყველა სფეროში ჩანერგეს საშინელება, ურწმუნოება, ულმერთობა, გარყვნილება. მარტო მე რაც გადამხდა, იცის სოფელ ვარიანის, ასევე გორის მოსახლეობამ — არა ერთგზის ტერორი, მუქარა, დაშინება, მაგრამ, მადლობა უფალს, გადავრჩი!**

...მადლობა უფალს, ერს გამოუჩნდა ადამიანი, რომელმაც გადაშენების პირას მყოფი ქვეყანა, რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად უნდა იხსნას. მას გვერდით უნდა დავუდგეთ, რომ ჩამორეცხოს ერს ის საშინელი ლაქა, რომელიც „ნაციონალებმა“ თავიანთი ცხრაწლიანი ავადმყოფური მმართველობისას გაუჩინეს...

**— მამაო, დღეს ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში არიან პოლიტიკური ძალები, რომელნიც თავის დროზე ეკლესიის მიმართ საკმაოდ არასახარბიელოდ იყვნენ განწყობილნი...**

— მე მჯერა, რომ მათ ძალიან ადრე გააცნობიერეს თავიანთი შეცდომა და განუდგნენ იმ დანაშაულებრივ რეჟიმს...

**— მამაო, „ნაციონალური მოძრაობა“ 19 აპრილის აქციას ხსნის იმით, რომ გამოთქვას პროტესტი ახალი ხელისუფლების მიმართ, რომელმაც მათ მიერ არჩეულ „დასავლურ კურსს გადაუხვია“...**

— კურსი, რომელიც მათ აირჩიეს, იყო ანტიდასავლური, ანტიადამიანური, ანტიქართული! ეს იყო სატანური კურსი! როდესაც ერთი ადამიანი დაიჭირეს (უდანაშაულოდ და ასეთები, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი იყო), ციხის უფროსმა უთხრა, ჩვენთან უნდა ითანამშრომლო და გარკვეულ პირებს რაღაც უნდა დააბრალოო. ამ ბიჭმა კი უპასუხა, რომ მე მორწმუნე კაცი ვარ, ისეთი არაფერი დამიშავებია, რომ ამხელა ცოდვაში ჩამაგდოთ და ძალიან გთხოვთ, ამას ნუ დამაძალებთო. მას კი ძალიან უკმეხად და უხეშად, არაადამიანური მეთოდებით უპასუხეს, რომ შენ ქურდული სამყაროს წარმომადგენელი ხარო. ქრისტიანობა პირდაპირ გვეუბნება: „არა ცილ სწამო მოყვასსა შენსაო“, მაგრამ მათთვის ხომ წმინდა არაფერი არსებობდა!..და რადგან ამ ბიჭმა უარი თქვა ცილისწამებაზე, ციხის უფროსმა დამცინავად გასცა ბრძანება: „გაუშვით საქათმეშიო!“.. ადამიანის, კაცის ღირსების შელახვაზე მუშაობდნენ, ეს სიამოვნებას ანიჭებდათ! ასეთი „პატრიოტები და დემოკრატები“ იყვნენ ისინი! და ეს ხალხი დღეს ხმამაღლა, უსირცხვილოდ აცხადებს, რომ ერი უნდა „გადაარჩინოს?!“

**...ხმამაღლა გაჰკივიან, — რუსები ჩვენი მტრები არიან, დაგვბომბესო! ქართველ კაცს ის ურჩევნია, ბრძოლის ველზე დაეცეს, ვიდრე მისივე მოყვასის მიერ გახდეს პატივაყრილი და სულიერად მოკლული! არაა ძნელი მისახვედრი, ვინ უფრო დიდი ზიანი მოუტანა ერს — მათ ხომ ერის დიდი ნაწილი სულიერად დაააავადეს და წლები დასჭირდება სულიერ გაცოცხლებას!..**

**...დღეს ისინი გამოდიან და ამბობენ, რომ უნდათ „დასავლური კურსი“, სინამდვილეში კი ყველამ ვიცით, ამ „მედასავლეთეების“ უკან ვინ დგას და რა სახეები იმალება!**

...კიდევ ერთხელ ვიტყვი — „ნაციონალური მოძრაობა“ სატანური სექტაა, რომელიც ფაშისტური მეთოდებით ცდილობდა ერის გადაგვარებასა და მოსპობას! ისინი მათ მიერ ზომბირებულ ადამიანებს უბნევენ გონებას და საზარელი ცოდვის თანაზიარს ხდიან. მაგრამ არიან ფულით მოსყიდულნიც, როგორც ერში, ასევე სასულიერო პირებშიც, ვინც მათ გუნდრუკს უკმევს და თავად უარეს დანაშაულს სჩადის! როგორც უნდა დავმალოთ, ფაქტი სახეზეა!..

**— მამაო, სასულიერო პირები ახსენეთ... დღეს რა პოზიცია უკავიათ იმ სასულიერო პირებს, რომლებიც იმიტომ გდევნიდნენ, რომ ირინა ენუქიძის გვერდით იდექით, სააკაშვილის ხელისუფლებას გუნდრუკს არ უკმევდით და პატრიარქის კურთხევით, სამების საპატრიარქო ტაძარში ბიძინა ივანიშვილის ოჯახისთვის საჯანმრთელო პარაკლისს იხდიდით?**

— ვფიქრობ, დღეს ისინი ნანობენ... მე ასე მინდა მჯეროდეს...

...ბიძინა ივანიშვილმაც განაცხადა, რომ ეკლესიაში არის პრობლემები და მე ვეთანხმები მას, თუმცა არ მესმის იმ დიდი თუ პატარა სასულიერო იერარქების, რომელთაც არ უნდათ ამის აღიარება... **„ნაციონალურმა ხელისუფლებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ შეელახა როგორც ერის, ისე ეკლესიის მთლიანობა!.. ყველა ღონე იხმარა სასულიერო პირების გადასაბირებლად და დასაშანტაჟებლად — ზოგს ძველი ცოდვები გაუხსენეს, ზოგს — ადამიანური სისუსტეები, თუმცა, ღვთის წყალობით, იყვნენ და არიან ისეთი ძლიერი, სუფთა სასულიერო პირებიც, რომელთაც ვერც ვერაფერი მაკომპრომიტირებელი უპოვეს და ვერც გატეხეს... ამიტომაც იყო, მათი ფიზიკური ლიკვიდაცია არაერთგზის სცადეს, მაგრამ, დიდება უფალს, ვერ მიაღწიეს საწადელს! მაგალითისთვის მეუფე იობიც კმარა!**

...დღეს მიხარია, რომ მაშინ შემეძლო ჩემი მოკრძალებული მადლიერება გამომეხატა ბატონი ბიძინას მიმართ მისსავე აშენებულ სამების საპატრიარქო ტაძარში... იმ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ლოცვა, რომელიც თავის ოჯახს, თავის მონაპოვარს სწირავს სამშობლოს, საკუთარ ერს, ვფიქრობ, ის მცირედია, რაც მე შემეძლო გამეკეთებინა. მით უფრო, რომ წინ გვედო ბადრი პატარკაციშვილის, გურამ შარაძის, ირინა ენუქიძისა და სხვათა სიცოცხლე, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ გაბედეს გალაშქრება. განა რა გარანტია გვქონდა, რომ იმავეს ბატონ ბიძინას არ უპირებდნენ?..

...შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთი გადამწყვეტი არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდა და მწამს, ამ დღის წმინდანთა — ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთა ლოცვა შეეწია საქართველოს და დამარცხდა ბოროტება! საბურთალოზე, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ღვთის შეწევნით ვაგებთ ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ტაძარს და იმედი მაქვს, უფალი ინებებს, რომ ამა წლის 1 ოქტომბრისთვის, სააკაშვილის რეჟიმის დამარცხების ერთი წლის იუბილეზე ვაკურთხებთ მას!

**— მამაო, როგორ მიმართავთ იმ ადამიანებს, რომლებიც 19 აპრილს აპირებენ აქციაზე წასვლას?**

— ჩვენი ერის სისხლხორცეული ნაწილი ჯერ კიდევ დგას ამ ბოროტი ძალის გვერდით და ვერ მიმხვდარა, რომ ერი დგას საბედისწერო არჩევანის წინაშე; უნდა გავაკეთოთ არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას, ზნეობასა და უზნეობას შორის... ყოველი ადამიანის წინაშე არა მხოლოდ 19 აპრილს, არამედ ყოველდღე დგას ეს საკითხი! ყველა ის ადამიანი, რომელიც 19 აპრილს აპირებს იმ შეკრებაზე მისვლას, უნდა ჩაუღრმავდეს საკუთარ საქციელს და დარწმუნებული ვარ, გააცნობიერებს, რომ არ უნდა უზნეობის, გარყვნილების, სიბოროტის გვერდით დადგომა!

...მე მათ, როგორც სასულიერო პირი, ვთხოვ, ილოცონ, მარხვის დღეებია და ბოროტი განსაკუთრებით იბრძვის ადამიანთა სულების წარსაწყმედად. ვეცადოთ, ამ ბოროტმა ძალამ ფესვი არ გაიდგას ჩვენს სულებში! და **თუ 19 აპრილს შეუერთდებით, იმ ბოროტების თანაზიარნი გახდებით, რასაც ისინი მთელი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში სჩადიოდნენ!..**

...მუქარის ნაცვლად, მადლობა გადაუხადონ ახალ ხელისუფლებას და პირადად ბატონ ბიძინას, რადგან რომ არა ეს ადამიანი, ცხრა წლის განმავლობაში ნაწამები ერი მათ საზარელ განაჩენს გამოუტანდა!..ჯერ კიდევ არ ჩაუვლია ამ საფრთხეს. ჩვენ ვცდილობთ, რომ ის გაწამებული, პატივაყრილი პატიმრები ვანუგეშოთ, რომ შურისძიების წყურვილი რამენაირად ჩავაქროთ მათში და, თუ ყოფილი ხელისუფლება ისევ გააგრძელებს ჩვეულ რიტორიკას, არავინ უწყის, ეს რით დამთავრდება!

ღვთის რისხვას ნუ მოიწევენ თავზე და გვაცალონ, მშვიდობიანად ჩავაბაროთ ის ცხრაწლიანი სისხლით და უსამართლობით სავსე ეპოქა წარსულს...

**— დაგვლოცეთ, მამაო...**

— ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ! აღდგომა სიხარულისა გაგვითენოს უფალმა! ამინ!

ესაუბრა **შორენა სიხარულიძე**

„ამ მიწაზე არავის შემოვუშვებთ. წარმოიდგინეთ, ხალხს ზედ სახლი რომ უდგას, ისეთი ფართობებია გასხვისებული, ფაქტობრივად, ეზოები გაგვიყიდეს. არ ვიცი, რა მოხდება...“

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სისხლი დაიღვრება და ამ მიწებს არავის დავუთმობთ!»

## ქართულ მიწა-წყალს კახა ბენდუქიძის ანტიქართული გეგმის მიხედვით ყიდიან!

**წინა კვირას გორის რაიონის სოფელ დიცში ინდოელ ფერმერებთან ადგილობრივი მოსახლეობის დაპირისპირებაზე როცა ვწერდით, წყაროზე დაყრდნობით, აღვნიშნეთ, რომ ბოლო დროს მსგავსმა ინციდენტებმა შიდა ქართლის სხვა სოფლებშიც პერმანენტული ხასიათი მიიღო. დავინტერესდით და, ინფორმაციის კვალდაკვალ დეტალებს რომ ჩავუღრმავდით, მდგომარეობა იმაზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ზემო ზეღდულეთი, შინდისი, დვანი, ხელთუბანი — ეს ის სოფლებია, რომლებშიც სააკაშვილის დანაშაულებრივმა ხელისუფლებამ ბენდუქიძის ღიად დეკლარირებულ პოლიტიკას, სოფლის მეურნეობა ფეხზე დავიკიდოთო, ხორცი შეასხა. შესაბამისად, ამ სოფლებში მიწის საუკეთესო, ყველაზე ნაყოფიერი ნაკვეთები უცხოელებზე გაიყიდა. საინტერესო კი ისაა, რომ თითოეული ნაკვეთის გასხვისებისას აქაც, ისევე, როგორც დიცის შემთხვევაში, ადგილობრივებისთვის არავის არაფერი უკითხავს.**



ზოგადად, კახა ბენდუქიძის „ფენომენზე“ აქამდეც ბევრი დაგვიწერია და ახლა ამაზე საუბარი მხოლოდ დროის დაკარგვა იქნება. რაც შეეხება **იმ ავადსახსენებელ საკონსტიტუციო ცვლილებას, რომელიც სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს მიიღო, აუცილებლად უნდა შევეხოთ,** რადგან სწორედ ამ ცვლილების შემდეგ დაიწყეს „ნაცმოძრაობის ქორებმა“ ჯიბეგასქელებულ უცხოელებზე გამწარებული ნადირობა და მიწასმიჯაჭვული გლეხების მიზანმიმართული აყრა სოფლებიდან.

შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებამდე **საქართველოში უცხოელს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის საკუთრებაში ქონა 6 თვეზე მეტი ვადით არ შეეძლო. 6 თვის შემდეგ კი ის ვალდებული იყო, შენაძენი გაესხვისებინა.**

„მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტში შეტანილმა ცვლილებებმა ეს შეზღუდვა მთლიანად მოხსნა, რის შედეგადაც **ფართობების შესყიდვაზე უცხოელსაც ისეთივე უფლებები მიენიჭა, როგორიც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს.** ამის შემდეგ სააკაშვილის მიერ მისი რეფორმების მთავარ სიამაყედ გამოცხადებულ მომსახურების სააგენტოებში მართლაც წამის უსწრაფესად ხდებოდა უცხოელ ფულიანებზე ნაკვეთების გადაფორმება. დღეში რამდენიმე აუქციონიც კი ტარდებოდა. ცალკე პირდაპირი მიყიდვის წესითაც ასხვისებდნენ სავარგულებს, თუმცა ასეთი სქემა, ძირითადად, „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებული პირების, არჩევნების დამფინანსებლების, ანუ იგივე ე. წ. მეწველი ძროხების მიმართ გამოიყენებოდა. შეგახსენებთ, რომ **ხელისუფლება ამ სპეკულანტობას მოსახლეობისგან ფარულად, შეიძლება ითქვას, საიდუმლოდ ეწეოდა; ხოლო სიმართლე რომ ირკვეოდა, ამ დროს უკვე გლეხს საქმე ჰქონდა იურიდიულად მართალ, წელგამართულ ფერმერთან, რომლის უკანაც სახელმწიფო იდგა. ცხადია, გლეხი უსამართლობის მანქანასთან ვერაფერს აწყობდა, მაქსიმუმ ორ-სამდღიანი პროტესტის შემდეგ ადგილობრივების უკმაყოფილება ცხრებოდა.** ასე გამოაცალა ქართველ ხალხს ხელიდან სააკაშვილის კრიმინალურმა ბანდამ, ბენდუქიძის ხელმძღვანელობით, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სტრატეგიული ობიექტების უდიდესი ნაწილი. უბედურება კი ისაა, რომ ეს პროცესი დღემდე ინერციით გრძელდება.

**„საქართველო და მსოფლიო“ შიდა ქართლის რამდენიმე სოფლის ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელებს დაუკავშირდა და მიწის გასხვისების კონკრეტულ ფაქტებზე ესაუბრა.**

**მირიან მაზმიშვილი, სოფელ შინდისის ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი:**

— მიწების საკითხი ჩვენთან, დიდი ხანია, ხალხს სერიოზულ პრობლემად ექცა, მაგრამ დღემდე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს ეს ყველაფერი. აი, მაგალითად, ორი კვირის წინ კიდევ ერთმა მესაკუთრემ გაყიდა ჯერ სამი, შემდეგ კი ექვსი ჰექტარი. ასეთი ფაქტები ძალიან ხშირია და უკვე აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ. მანამდე აღნიშნული ფართობები ეკუთვნოდა შპს „შინდისს“ და ჩვენ დავტოვეთ ეს მიწები სარეზერვო ნაკვეთებად, რათა მოსახლეობის გაზრდის შემთხვევაში დეფიციტი არ ყოფილიყო. მერე არ ვიცი, როგორ და რანაირად მოხდა მისი ოფიციალურად გადაფორმება, მაგრამ **შარშან ჩამოვიდა თბილისიდან რომელიღაც კორპორაცია, რომელიც, სავარაუდოდ, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, ფონდს ეკუთვნოდა და გამოგვიცხადა, ეს მიწა ჩვენიაო. მილიონები ჩადეს მის დამუშავებაში, თუ არ ვცდები, ბოსტნეულის მოყვანას აპირებდნენ, მაგრამ სინამდვილეში ტყუილად დახარჯეს ამხელა თანხა, არანაირი ბოსტნეული მათ არ მოუყვანიათ.** საძოვარი რომ საძოვარია, არ დაგვიტოვეს, მოსახლეობა შებოჭილია, საქონელი ვერ გაუშვიათ გარეთ და მოსავალი ვერ მოუყვანიათ. აი, ასეთ გაჭირვებაში ვართ...

**— დღესაც იმ კორპორაციის მფლობელობაშია ეს მიწები?**

— არა, ახლა უკვე გვედავებიან არაბები, რომლებიც თავის დროზე შემოიყვანა სამართველოს ყოფილმა უფროსმა ზაქრო მაზმიშვილმა. ჯერჯერობით მათ მხოლოდ 9 ჰექტარი აქვთ ნაყიდი და როგორც ვიცი, კიდევ აპირებენ მიწების შესყიდვას. იმავე ზაქრო მაზმიშვილს 18 ჰექტარი უნდა მიეყიდა მათთვის, მაგრამ დროულად გავიგეთ და მთელი გორის რაიონი ფეხზე დადგა.

**— არაბებმა რა გააშენეს ამ ნაკვეთებზე?**

— ჯერ არაფერი, ეს მოხდა სულ რაღაც ერთი კვირის წინ.

**— როცა ნაკვეთები აუქციონზე გაიტანეს, ვინმე თუ იყო თქვენთან მოსული და თუ გითხრეს, რომ მიწა იყიდებოდა?**

— კაციშვილი ჩვენთან არ მოსულა. ჩვენ ეს გავიგეთ მაშინ, როცა უკვე მიწა ოფიციალურად გაყიდული იყო. არაფერი ამ კორპორაციამ არ დატოვა, **ქარსაფარი ზოლებიც კი მოხნეს და სულ გაასწორეს. გარდა ამისა, შარშან, პრეზიდენტის ბრძანებულებით, 55 ჰექტარი გაიყიდა პირდაპირი გაყიდვის წესით. არც ეს გაუგია არავის, ფარულად, ჩვენს ზურგს უკან გააკეთეს ყველაფერი.**

**— და ვის მიყიდეს ეს 55 ჰექტარი?**

— ვინმე ივანე გოგლიძეს, რომელიც, თუ არ ვცდები, გორელია.

**— რას აკეთებს ან რას აპირებს ადგილობრივი მოსახლეობა, გაყიდული მიწების დასაბრუნებლად?**

— მოსახლეობა გაგიჟებულია. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გავჩერდებით. მიწა თუ არ გვექნება, სოფელში ცხოვრებას რა აზრი აქვს? ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დავიბრუნოთ, ყველანაირად ვიბრძოლებთ.

**თემურ ჩაგელიშვილი, სოფელ ძლევიჯვრის ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი:**

— ამჟამად ჩვენთან უმძიმესი მდგომარეობაა. ხალხს ვალები აქვს, ზოგმა ბანკიდან გამოიტანა ფული და ყველაფერი მიწაში ჩადო, ამ დროს ვისია ეს მიწები და ვის დარჩება საბოლოოდ, გაურკვეველია. გვეუბნებიან, დაგიბრუნებთო, მაგრამ ჯერ დაბრუნებისა არაფერი ისმის. რა იქნება, კაცმა არ იცის, ფაქტობრივად, ჰაერში ვართ...

**— ეს გაურკვევლობა თავისთავად კითხვებს აჩენს. ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს გამოგიცხადონ, ვერ დაგიბრუნებთ, მიწა გაყიდულიაო?**

— ამჯერად ჩვენ 40 ჰექტარს გვედავებიან, რომლის მფლობელიც დღემდე უცნობია, მაგრამ ჩვენ არაფრის დამთმობი არ ვართ. **ეს მიწები გაყიდულია კანონდარღვევით და ის უნდა დაუბრუნდეს ხალხს. თუ არა და, აქ ძალიან ცუდი რამ მოხდება.**

**— კანონდარღვევით გასხვისებაში რას გულისხმობთ?**

— **თავის დროზე ჩვენთან მოვიდა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია ბურჯანაძე და გვითხრა, მიწას გადმოგცემთო. ფულიც მოვაგროვეთ, მზად ვიყავით, ფართობი გამოგვესყიდა, მაგრამ უცებ ვგებულობთ, რომ თურმე ის უკვე გაყიდულია.** აი, ასე მოგვატყუეს და გაგვაბითურეს ადგილობრივი მოსახლეობა. არანაირი ახსნა-განმარტების, ყურადღების ღირსად არ ჩაგვთვალეს.

**— იქნებ იმ უცხოელმა უფრო ძვირი გადაიხადა და ამიტომ მიჰყიდეს?**

— საქმეც ისაა, რომ ძვირი არ გადაუხდიათ. ჩვენ მათზე მეტიც ვაძლიეთ, მაგრამ მაინც არ მოგვყიდეს. არ ვიცი, რატომ; ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობას ეს არ აინტერესებს, გლეხს მიწა სჭირდება. არც ერთი ჩვენგანი არ გაჩერდება, ნებისმიერ ფასად, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ამ მიწებს დავიბრუნებთ.

**რობინზონ ბერიანიძე, სოფელ ზეღდულეთის წარმომადგენელი:**

— ჩვენთან 73 ჰექტარია გასხვისებული, რომელიც ადრე იყო საძოვარი. შემდეგ ამათ, წინა ხელისუფლებას ვგულისხმობ, ეს ფართობი გადააქციეს ჯერ ვითომ სახნავ-სათესად, მერე კი გაყიდეს აუქციონზე. გარდა ამისა, **100 ჰექტარი, რომელიც ადგილობრივებს იჯარით გვქონდა აღებული, იძულებული გაგვხადეს, დაგვეთმო და ცალკე იმითაც ფული გააკეთეს. როგორ, რანაირად გაფორმდა ეს ყველაფერი, ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს. არაფერში ჩაგვახედეს.**

**— 73 ჰექტარი, რომელიც ადრე საძოვარი იყო, ამჟამად ვისზეა გასხვისებული?**

— მიწა იყიდა ვინმე თამაზ მღებრიშვილმა 7000 ლარად და შემდეგ გაყიდა 75000 დოლარად ინდოელებზე. ეს მღებრიშვილი, როგორც მე გავიგე, არის ვანო მერაბიშვილთან დაახლოებული პირი, ჩინოვნიკი და სწორედ ამ გავლენიანი ხალხის საშუალებით შეძლო მან ეს ყველაფერი.

ახლა რაც შეეხება ინდოელებს, მათაც ძალიან დიდი ფული ჩადეს, დაამუშავეს მიწა, მაგრამ, რაც გეგმა ჰქონდათ, იმდენი მოსავალი ვერ მიიღეს და ახლა ისინიც გაყიდვაზე ფიქრობენ. აუქციონიც გამოუცხადებიათ უკვე და მიდის თურმე ვაჭრობა...

**— ამ დროს მოსახლეობა რას აკეთებს?**

— რას აკეთებს და მოსახლეობა ამდგარია. ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ **ამ მიწაზე არავის შემოვუშვებთ. წარმოიდგინეთ, ხალხს ზედ სახლი რომ უდგას, ისეთი ფართობებია გასხვისებული, ფაქტობრივად, ეზოები გაგვიყიდეს. არ ვიცი, რა მოხდება, აქ სისხლი დაიღვრება და ამ მიწებს არავის დავუთმობთ.**

**— კონკრეტულად რისი გაკეთება შეგიძლიათ?**

— თავის დროზე, როცა უცხოელები შემოდიოდნენ, მე ტრაქტორს ჩავუვარდი და ნაკვეთში აღარ ვუშვებდი. მაშინ სააკაშვილმა განაცხადა, მიკვირს, იმ გლეხს ტრაქტორმა რატომ არ გადაუარაო. აი, ასეთი უბედურება გვაქვს გამოვლილი, მაგრამ ამის მიუხედავად, კიდევ ვიმეორებ: ჩვენ არ გავჩერდებით. სისხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, რაც ჩვენია და კანონით გვეკუთვნის, მაინც დავიცავთ და შევინარჩუნებთ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. მიმდინარე სამართლებრივი პროცესის კვალდაკვალ პროკურატურას ადრე თუ გვიან უთუოდ მოუწევს ზემოაღნიშნულ საკითხებზე მუშაობა. მიწისა და სტრატეგიული ობიექტების ხელაღებით გასხვისების დანაშაულებრივი სქემის გაშიფვრა, ცხადია, იოლი არ იქნება, მაგრამ, რაც უფრო დროულად შეუდგება გამოძიება ამ ჩახლართულ საქმეს, სამართალიც მით ადრე იზეიმებს და გლეხსაც ამოსუნთქვის საშუალება მიეცემა.**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, წინა 9 წლის განმავლობაში 437 232 პირმა შეიცვალა ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი. ადამიანთა უმეტესობა საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. 437 ათასი კაციდან 423 ათასი (96,8 პროცენტი) ქართველი იყო. ამრიგად სოფლები ქართველი მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად იცლება.**

# დემოგრაფიული სიკვდილის ქრონიკები

**საქართველოში დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულად მძიმეა. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა შობადობა, გაიზარდა მოკვდაობა და შესაბამისად მნიშვნელოვნად დაიკლო მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ, განსაკუთრებით ქართველებით დასახლებულ რეგიონებში. ნაციონალურმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენი ერი არც გამრავლებულიყო და არც განათლებულიყო. ამჟამად მეტად ძნელია გამოსავლის პოვნა, თუ ქვეყანაში საგანგებო ღონისძიებები არ განხორციელდა, თუ ერმა მთელი ძალისხმევა არ მომართა ამ მეტად მტკივნეული ეროვნული პრობლემის მოსაგვარებლად. უნდა შევძლოთ, რომ ერი ერმა გადაარჩინოს.**

## ანზორ თოთაძე: ქართველი ერის კვდომის ტემპმა ნაციონალური კატასტროფის მასშტაბი მიიღო

დასასრული. დასაწყისი იხ. №12-13 (199-200)

**საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული მხარეების სოფლის მოსახლეობის წილი შესაბამისი რეგიონის მოსახლეობაში საგრძნობლად მაღალია. მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში — 80,8 პროცენტი, კახეთში — 79,4 პროცენტი, გურიაში 73,6 პროცენტი და ა.შ. ამასთან, ქალაქების მოსახლეობაც სოფელს არის მიჯაჭვული. ამიტომ ხალხის კეთილდღეობისა და გამრავლებისათვის ქართულ სოფელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.**

სოფლად დემოგრაფიული მოვლენების მიმდინარეობაზე ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, შემდეგ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, უკანასკნელ წლებში უაღრესად ინტენსიური გახდა არა მარტო გარემიგრაციული, არამედ შიდამიგრაციული პროცესებიც. სოფლის მოსახლეობა მაინც უპირატესად შიდამიგრაციულ პროცესებშია ჩართული. 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, წინა 9 წლის განმავლობაში 437 232 პირმა შეიცვალა ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი. ადამიანთა უმეტესობა საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. 437 ათასი კაციდან 423 ათასი (96,8 პროცენტი) ქართველი იყო. ამრიგად სოფლები ქართველი მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად იცლება. აღნიშნულ 9 წელიწადში საქართველოში საცხოვრებელი შეიცვალა მხოლოდ 4 309 აზერბაიჯანელმა (შიდა მიგრაციაში მონაწილე მოსახლეობის მხოლოდ 1,0 პროცენტმა) და 3 967 სომეხმა (0,9 პროცენტმა).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე **აუცილებელია ყოველმხრივ გააზრებული, აწონ-დაწონილი და ეფექტური დემოგრაფიული ღონისძიებების განხორციელება, რათა ქართული სოფელი ყველა იმ სიკეთით შევინარჩუნოთ, რომელთაც იგი ქვეყნის ცხოვრებაში ასრულებს და ასე იდეალიზებულია ქართველი ხალხის მიერ.** ასე რომ, **საქართველოს ხსნა სოფლის ეკონომიკურ და შესაბამისად მის დემოგრაფიულ აღორძინებაში მდგომარეობს.**



### გლობალიზაცია, დემოგრაფიული პრობლემები და საფრთხეები

ადამიანებისთვის ეროვნული ინტერესები, ეროვნული თვითმყოფადობა მათი ცხოვრების, ადამიანური არსებობის მთავარი ღირებულება იყო და არის. საქართველო მსოფლიო ან თუნდაც ევროპული ლიდერი სახელმწიფოს როლს ვერასოდეს იკისრებს, იგი ვერც ნედლეულისა და რესურსების მომწოდებელი რამდენადმე მიშვნელოვანი ქვეყანა გახდება.

ამდენად, მუდმივად ცვლად და მობილურ საზოგადოებაში უნდა შევძლოთ ჩვენი საკუთარი თავის პოვნა, საკუთარი ინტერესების დაცვა, რასაც ძირითადად ჩვენი ინტელექტუალური, სულიერი და მატერიალური მზაობა განაპირობებს. მაგალითად, როგორც უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მიუთითებს, მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებაში ჩვენს ქვეყანას გააჩნია ინტელექტუალური რესურსი და „ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში“.

დღეს უკვე არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია იცხოვროს ერთიანი მსოფლიო პროცესებიდან იზოლირებულად, მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი ისწრაფვის შეინარჩუნოს სპეციფიკური თვისებები, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ფასეულობების სახით. ამ მხრივ, მიუხედავად ოპტიმისტური ფონისა, გარკვეულწილად მაინც ჩანს ეროვნულ ფასეულობებზე უარის თქმის, იმ ნიშან-თვისებების თანდათანობით წაშლის საშიშროება, რისთვისაც ღირს ერის სიცოცხლე. ადამიანებს აწუხებთ იმის შეგრძნება, რომ თავიანთი ერის წარსულის ყველა დიდება, მათი სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და ეროვნული სიამაყის გამოვლინების პერიოდები თუ გამონათებები შეიძლება დავიწყებას მიეცეს. „ხსოვნის მქონე შთამომავლობა“ ვერ ურიგდება ამ საკმაოდ მტკივნეულ, მოსალოდნელ პროცესს, როდესაც ერის წარსული და თვითმყოფადობა, ფაქტობრივად, უპატრონოდ, უმემკვიდროდ დარჩენილი ისტორიის კუთვნილება ხდება. სხვა ერთიანი, გლობალური, ეროვნულობისაგან განძარცული სულიერი ფასეულობები იკავებს ცხოვრების სცენას.

ამ სფეროში მოსალოდნელი და, იქნებ, გარდაუვალი გლობალიზაციის პროცესი სულიერი, კულტურული ღირებულებებით ურთიერთგამდიდრების ნაცვლად, ეგებ საბოლოოდ ვერ შეძლებს თავის თავში დაიტიოს სხვადასხვა ხალხის მიერ შექმნილი მეტნაკლებად ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები. უკვე ახლაც იგრძნობა სულიერი ცხოვრების გაერთფეროვნება, რომლის აუცილებლობას, უფრო სწორად დამკვიდრებას, გლობალიზაციის პროცესი საბოლოოდ კიდევ უფრო მწვავედ წარმოაჩენს. ადამიანთა ცხოვრებაში დაისადგურებს ინფანტილიზმი და სხვა, შეიძლება ადამიანთა მოდგმისათვის უაღრესად საშიში განვითარების ტენდენციები.

ასეთ პირობებში **იქმნება იმის საშიშროება, რომ შეიძლება ადამიანი მორალს იმდენად დასცილდეს, რომ მისთვის მთავარი გახდეს პრინციპი „ყველაფერი ნებადართულია“. ამ შემთხვევაში მას მიაჩნია, რომ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის ყოველგვარი ტვირთი მოხსნილი აქვს და თავისუფლებას იგი ხშირად იღებს უფლებისა და მოვალეობის გარეშე.**

**გლობალიზაციის პროცესში მეტად მწვავედ დგება დემოგრაფიული პრობლემები, მით უმეტეს მცირერიცხოვანი ერისთვის.**

თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს თავისი დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, უზრუნველყოს გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შეხამება. ეს თანამედროვე მსოფლიოში ურთულესი პრობლემაა. ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება უაღრესად არათანაბარზომიერად მიმდინარეობს და ცალკეული სახელმწიფოები საკმაოდ შეშფოთებულიც არიან თავიანთი დემოგრაფიული მომავლით. უკვე ცალკეული ერების გულისტკივილი გაისმის იმაზეც, რომ რეალური საფრთხის წინაშე დგას მათი გადაგვარება და ფიზიკური უწყვეტობა. დღეს, ასეთი საფრთხის წინაშე დგას საქართველოც. თუკი მსოფლიოსათვის საინტერესოა სხვადასხვა კულტურა, მაშინ უნდა შევინარჩუნოთ ამ კულტურის მატარებელი ეთნოსები. კულტურის გლობალიზაციას არ უნდა ემსხვერპლოს კაცობრიობის ეთნიკური მრავალფეროვნება. უფალმა „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ და ჩვენც მოვალენი ვართ გლობალიზაციის პროცესში შევინარჩუნოთ ეს ჰარმონია, თუ გვინდა შევინარჩუნოთ კულტურათა მრავალფეროვნება, მაშინ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ეთნოდემოგრაფიული მრავალფეროვნება.

მსოფლიო გლობალიზაციას უწინარესად ის აინტერესებს, რომ მსოფლიო ეკონომიკურ „ლანდშაფტში“ ესა თუ ის სივრცე უკაცრიელი, აუთვისებელი არ იყოს. ამასთან, მისთვის მთავარია სამუშაო ძალის არა ეთნიკური კუთვნილება, მისი ეროვნული ნიშან-თვისებები, არამედ სამუშაო ძალა როგორც ასეთი, მისი პროფესიული, საქმიანი თვისებები. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მოსახლეობის გამრავლების რეჟიმი მას იმდენად აინტერესებს, რამდენადაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ესა თუ ის რაოდენობა ამ ეკონომიკური სივრცის ათვისებას, ამ ეკონომიკურ სივრცეში არსებული მისთვის საჭირო რესურსების მოძრაობაში მოყვანას. შეიძლება უფრო მეტიც ითქვას — ეთნიკური წარმომავლობა გლობალიზაციას საერთოდ არ აინტერესებს. სამაგიეროდ ეროვნული სახელმწიფოები ამ პრობლემას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებენ. გლობალიზაციის პროცესში საქართველოს სახელმწიფომაც თავისი ეროვნული და დემოგრაფიული პრობლემები გლობალისტიკის მიერ წამოჭრილ ურთულეს პრობლემებს უნდა შეუხამოს.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოში, მძიმე დემოგრაფიული ვითარების მოსაგვარებლად კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა გვმართებს. ერთშვილიანი ოჯახების ზრდის კვალობაზე არა მარტო შობადობა მცირდება, არამედ საკმაოდ მყარი ნიადაგი ექმნება ჩვენი ეროვნული სულიერების მსხვრევას, ქართული სულიერი სამყაროს გადაგვარებას. ცხოვრება ლხინისა და ჭირის მონაცვლეობაა და ოჯახში ერთი შვილის ყოლის პირობებში ჩვენ მარტოსულს ვზრდით, მას არავინ ჰყავს ლხინისა და ჭირის გამზიარებელი ახლო ნათესავი, უჭირს ცხოვრების ტვირთის ზიდვა, პირადი ოჯახური პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად მოხუცი მშობლების მოვლა-პატრონობა. ქართული ტრადიციული ოჯახი, რომელიც არა მარტო რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებას გულისხმობს, არამედ იმ ურთიერთობებსაც, რომელმაც ქართველი ხალხის სულიერი სამყარო გაამდიდრა და ეროვნული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ნიშან-თვისებები შემოგვინახა, სულ უფრო კრიზისს განიცდის. შობადობის შემცირების პირობებში იზრდება დედისერთათა რიცხვი, და, მაშასადამე, იმ ადამიანების რაოდენობაც, რომლებსაც არ ჰყავთ დედმამიშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ზედმეტად ნათქვამი არ იქნება, რომ ამის შედეგად ისპობა ქართული სულიერი სამყარო, ჩვენი თვითმყოფადობა. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებმა მსოფლიო თითქოს დააპატარავა. გლობალიზაციის პროცესში თუ არ შენარჩუნდა ეროვნული ფასეულობები, ადამიანი დაპატარავდება, დაჩიავდება და მარადიული კითხვა ადამიანის არსის, რაობისა და დანიშნულების შესახებ სულიერი და ზნეობრივი დაცემის სფეროში ჰპოვებს პასუხს. არაფერს არ ექნება ფასი, თუ გაქრებიან ეთნოსების ნიშან-თვისებების მატარებელი ადამიანები, ხოლო ჩვენ თუ სწორი გზა ვერ მოვნახეთ, თუ მხოლოდ პირად კეთილდღეობას დავუქვემდებარეთ ჩვენი აზრები და მოქმედება, მაშინ ზედმეტია ფიქრი ეროვნული სახელმწიფოს აშენების, ქართველი ერის გამრავლების, ქართული სულიერების დაცვისა და შენარჩუნების შესახებ.

**გლობალიზაციის, ისე როგორც საბაზრო ეკონომიკის, კანონები დაუნდობელია. ისე არ უნდა გავიხადოთ საქმე, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საქართველო, როგორც მხოლოდ ტერიტორია, როგორც მხოლოდ მოგების წყარო აინტერესებდეთ.** ჩვენ უნდა შევძლოთ ამ მეტად ცვალებად სამყაროში ეროვნულობა შევინარჩუნოთ, გლობალიზაციიდან ავიღოთ ის, რაც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს გამოადგება.

ქართველმა ხალხმა გაუძლო კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ ქარტეხილებს და შეძლო „განსაცვიფრებლად ხანგრძლივი არსებობა დედამიწის ყველაზე სახიფათო ადგილას“ (ი. გოგებაშვილი). თუ გვინდა, მართლაც, სახიფათო, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრ უმშვენიერეს მიწაზე სიცოცხლის გაგრძელება, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარი — უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემები უნდა მოვაგვაროთ.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო მოსალოდნელი დემოგრაფიული საფრთხეებია:**

**1. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება;**

**2. შობადობის კრიზისულ ზღვრამდე დაცემა;**

**3. მოკვდაობის საგრძნობი გაზრდა;**

**4. წინა ორი ტენდენციის შედეგად, როცა არსებითად იმდენივე იბადება, რამდენიც კვდება, მოსახლეობის ბუნებრივი მატების თითქმის შეჩერება და ფაქტობრივად დეპოპულაციის პროცესის დაწყება;**

**5. მოსახლეობის დაბერება;**

**6. შიდა და გარე მიგრაციული პროცესების ფართო მასშტაბები;**

**7. აფხაზეთიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან 300 ათასამდე განდევნილი;**

**8. ბავშვთა მოკვდაობისა და მკვდრადშობადობის საკმაოდ მაღალი დონე;**

**9. უმუშევრობის მაღალი დონე;**

**10. შრომისუნარი-** ▶

**დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებათა სისტემაში უპირველეს საჭიროებად მიგვაჩნია სახელმწიფოს ჩარევა დემოგრაფიული პროცესების მსვლელობაში.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანი მოსახლეობის შემცირება;**

**11. დეფორმირებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა;**

**12. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილის მკვეთრი შემცირება;**

**13. ნეგატიური დემოგრაფიული პროცესებისა და შესაბამისი საფრთხეების ალბათობის მნიშვნელოვნად ზრდის ისეთი არასასურველი ტენდენცია, როგორიცაა ქორწინებათა რიცხვის საგრძნობი შემცირება და განქორწინებათა ზრდა;**

**14. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, დემოგრაფიული პროცესების უმართავობა, სპონტანური, იშვიათი, უსისტემო და სერიოზული რეალური შედეგების არმქონე ღონისძიებები, სახელმწიფო სტრატეგიის, პოლიტიკისა და პროგრამების არარსებობა;**

**15. სახელმწიფოსა და საზოგადოების უმეტესი ნაწილის გაუცნობიერებლობა, გულგრილობა, ნიჰილიზმი და რეალურ ქცევებსა და ცხოვრებაში გაუთვალისწინებლობა, თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით რა სერიოზული, საგანგაშო დემოგრაფიული საფრთხეები არსებობს საქართველოში.**

ამრიგად, ქვეყანაში თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციას აქვს სისტემური კრიზისის ხასიათი. ამ სისტემის შემადგენელი ნაწილებია: შობადობის კრიზისულ ზღვრამდე შემცირება, მოკვდაობის ზრდა, ზოგიერთ რაიონში მოსახლეობის შემცირებული გამრავლება ანუ როდესაც მომდევნო თაობა წინა თაობაზე ნაკლებია, დეფორმირებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება, ჯანმრთელობის გაუარესება, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები, „ტვინების გადინება", დიდი რაოდენობით განდევნილი მოსახლეობა. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დაბალია დემოგრაფიული პროცესების მართვა. უაღრესად შეზღუდულია სახელმწიფო რესურსები ასევე სისტემური ეკონომიკური კრიზისის შედეგად.

## რა უნდა გავაკეთოთ

დემოგრაფიული პრობლემები აღიარებულია თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარ ხუთ გლობალურ პრობლემათა შორის. ასეთ პრობლემებად მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს მიაჩნია მშვიდობის შენარჩუნება, ყოფილ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა, კაცობრიობის უზრუნველყოფა ენერგიის წყაროებით, გარემოს დაცვა და დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა.

მსოფლიო მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპების ფონზე, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, საწინააღმდეგო ვითარებაა. კლებულობს მოსახლეობის რაოდენობა, მეტად არასახარბიელოა დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლები და ამდენად, სულ უფრო მწვავდება დემოგრაფიული პრობლემები. დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ დემოგრაფიული ვითარება პირდაპირ და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, მის ეროვნულ უსაფრთხოებას.

უმწვავესი დემოგრაფიული ვითარებაა საქართველოშიც, საფრთხე ემუქრება ქვეყნის ფიზიკურ არსებობას. ისე, როგორც ყოველგვარი მწვავე პრობლემა, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაც შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი სოლიდარობა არ იგრძნობა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის. წლების განმავლობაში არც ხელისუფლება ზრუნავდა პრობლემის სამკურნალოდ ფიზიკური გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე მდგარი ერის გადასარჩენად.

დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებათა სისტემაში უპირველეს საჭიროებად მიგვაჩნია სახელმწიფოს ჩარევა დემოგრაფიული პროცესების მსვლელობაში. პირველ რიგში ქვეყანაში უნდა გამოცხადდეს საგანგებო კრიზისული დემოგრაფიული ვითარება და შემუშავდეს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დემოგრაფიული პროგრამები, სადაც მთავარი აქცენტი მიმართული იქნება შობადობის ამაღლებაზე და ორიენტირი იქნება, პირველ რიგში, სამბავშვიანი ოჯახი.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ? — სამწუხაროდ, ქვეყანაში ნაციონალური ხელისუფლების მართველობის პერიოდში არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა არ ტარდებოდა. მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის დროული და გონივრული გატარებითა და მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით კი შეიძლება გარკვეულწილად დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება, შემდეგ კი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაც, რასაც ადასტურებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პრაქტიკა.

„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დემოგრაფიული პრობლემებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. მიმდინარე წლის 1 ივლისიდან მშობიარობის ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს, უფასო იქნება, აგრეთვე, ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მშობიარობის შემდეგ ქალის მკურნალობა, გაუმჯობესდება მშობიარობისას შვებულებისა და ანაზღაურების სისტემა, სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგდება მოსწავლეებს და, რაც მთავარია, შეიქმნა საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდი, რომელიც ძირითადად ყოველთვიურ დახმარებას გაუწევს ოჯახს მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაში. დახმარების ოდენობა საარსებო მინიმუმის ტოლი იქნება. საქართველოში ნორმა გახდება სამბავშვიანი ოჯახი, რაც მოსახლეობის გამრავლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

# ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტების ცხელი ათეული

**სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახალი ე.წ. კვარტალური ნუსხის შემუშავების პროცესშია, რომელშიც კოლიბაქტერიებით დაბინძურებული საკვები პროდუქტებია ჩამოთვლილი. ხსენებულ ნუსხაში სხვადასხვა სახეობის ხორცპროდუქტის ჩამონათვალია მოყვანილი და, ცენტრისვე ინფორმაციით, ხორცპროდუქტებში კოლიბაქტერიების არსებობა ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა.**




მაშ, ასე! როგორ გამოიყურება 2013 წელს ქართულ სარეალიზაციო ქსელში შეძენილი იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის მავნებელია:

1. შპს „დიდგორი 2010"-ის მიერ წარმოებული შერეული „ფარში" (იყიდება „ნუგეშის" ჯიხურებში) დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით; 2. შპს „მარგეს" გაყინული ხინკალი დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით; 3. შპს „ბოკოლას" ხორციან პელმენში აღმოჩნდა კოლიბაქტერიები (პროდუქტი შემოწმდა მესამედ. პირველი ორი შემოწმება განხორციელდა 2012 წლის ივლისსა და სექტემბერში. ორივე ჯერზე კოლიბაქტერიებით დაბინძურება დაფიქსირდა); 4. შპს „ვეჯინის" თევზი „ქაშაყი მარილიანი" — აღმოჩნდა კოლიფორმები და საფუარის სოკო; 5. შპს „მითანას" ძეხვი „მოხარშული" — აღმოჩნდა კოლიფორმები; 6. შპს „ნიკორა ტრეიდი"-ს სოსისი „რძიანი" — აღმოჩნდა კოლიფორმები; 7. შპს „სმარტ-რუსთაველი"-ის კალმახის ფილე გასუფთავებული — აღმოჩნდა კოლიფორმები: 8. შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკეს" სოსისი „ვაკის საქონლის" — აღმოჩნდა კოლიფორმები („იოლის" გასტრონომიამ ამასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომ მან უკვე გააფრთხილა ვაკის ხორცპროდუქტების ქარხანა, — თუკი მისი პროდუქცია უვნებელი არ იქნება, „იოლის" გასტრონომია მას გაყიდვაში აღარ მიიღებს).

## «მითანას», «ვაკის» და «ნიკორა ტრეიდის» რომელი პროდუქტები აღმოჩნდა ჯანმრთელობისთვის საშიში

ალნიშნული ჩამონათვალის გარდა, ახლახან განხორციელებული შემოწმებების შედეგებზე სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **ლია თოდუა** გვესაუბრება:

**— ჩვენმა ორგანიზაციამ სასურსათო ქსელში შეიძინა ორცხობილა „ბარნი", რის შემდეგაც მოხდა ეტიკეტის შესწავლა. კვების ექსპერტის განმარტებით, პროდუქტში შემავალი ყველა კომპონენტი, მართალია, დასაშვებია ბავშვთა კვებისთვის, მაგრამ ერთადერთი კომპონენტის — პალმის ზეთის გადაჭარბებული რაოდენობით მიღება არ არის სასურველი ბავშვებისთვის.**

— 2013 წლის მარტში „ნატურალ +"-ს, არაჟნის ნატურალურობის შემოწმების მიზნით, მივმართეთ. შევიძინეთ შპს „ნატურალ+"-ის ორი დასახელების არაჟანი: „ნატურალ +" (15%-იანი) და „სვანური არაჟანი" (25%-იანი). ორივე დასახელების არაჟანს შემადგენლობაში მითითებული აქვს, რომ პროდუქტი დამზადებულია მცენარეული ცხიმის გამოყენებით. არაჟნები გადავიტანეთ გამჭვირვალე ერთჯერად კონტეინერებში და ჩავაბარეთ ლაბორატორიას მათში საერთო ცხიმისა და ცხიმოვან ფაზაში რძის ცხიმის შემცველობის დასადგენად. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხების მიხედვით, არაჟან „ნატურალ +"-ში საერთო ცხიმის შემცველობა 16,5%, ხოლო რძის ცხიმის შემცველობა — 0%; ხოლო „სვანურ არაჟანში" საერთოდ ცხიმის შემცველობა 28.5%-ია და რძის ცხიმს საერთოდ არ შეიცავს, ანუ არც ერთი ეს პროდუქტი არაჟანი არ არის.

**— ეს კანონდარღვევაა?**

— საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, სერიოზული კანონდარღვევაა, ვინაიდან რძის პროდუქტის დასახელებით არ შეიძლება გაიყიდოს პროდუქტი, რომელიც რძის ცხიმს საერთოდ არ შეიცავს. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა ამ მოთხოვნას არ ითვალისწინებს.

**როგორ შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობაზე იმოქმედოს კოლიბაქტერიებით დაბინძურებულმა საკვებმა?**

**შოთა ჩხეიძე, ნატოს ექსპერტი კვების უსაფრთხოების საკითხებში:**

— კოლიბაქტერიების, ანუ ნაწლავის ჩხირის ჯგუფი აერთიანებს მიკროორგანიზმების 100-მდე სახეობას. ბევრი დაავადება შეიძლება გამოიწვიოს კოლიბაქტერიებით ან მათ მიერ გამომუშავებული ტოქსინებით დაბინძურებული საკვების მოხმარებამ. ესენია: ნაწლავური ინფექციები, შარდსადენი გზებისა და სასქესო ორგანოების დაზიანება, ბაქტერიული, მენინგიტი და სხვა თანმდევი დაავადებები. კოლიბაქტერია იგივე ნაწლავის ჩხირია და მისით მოწამვლა შესაძლოა ხასიათდებოდეს სხვადასხვა სიმპტომით — გულისრევით, მუცლის ტკივილით, ტემპერატურის აწევით, სისუსტით ან უმადობით. მძიმე შემთხვევების დროს შესაძლებელია განვითარდეს სეფსისიც.



**თამარ ნაზღაიძე**

რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ, საზოგადოება, ვალდებული ვართ, წინ აღვუდგეთ ამ პროცესს; ეს საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზეა ასაყვანი და გლობალიზაციის ამ ცუნამს, რომელიც წალეკვით ემუქრება ჩვენთვის ძვირფას ფასეულობებს, შემაკავებელი ჯებირები უნდა დავუხვედროთ“.**

# ზურაბ კვარაცხელია: ეს კეთილშობილი პიროვნებებიც კი, სამწუხაროდ, ძველი სტერეოტიპებით აზროვნებენ

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზურაბ კვარაცხელიამ და მისმა თანამებრძოლებმა მას შემდეგ, რაც პარლამენტს აცნობეს, რომ ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე აინტერესებდათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელის — ქალბატონ გუჩა კვარაცხელიასა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელის — ავთანდილ არაბულის მოსაზრებები, საჭიროდ ჩათვალეს თბილისში ჩასვლა და მათთან შეხვედრა.**


ზურაბ კვარაცხელია


გუჩა კვარაცხელია


ავთანდილ არაბული

— მეტად მძიმე საუბარი თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა, — **ამბობს ბატონი ზურაბი.** — მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ საკითხებზე ჩვენი მოსაზრებები დაემთხვა კიდეც ერთმანეთს, საბოლოო კონსესუსამდე მაინც ვერ მივედით. მე შევეცადე გულწრფელად, ამომწურავად და, რაც მთავარია, ზოგადეროვნული პრინციპებიდან გამომდინარე, ამეხსნა მათთვის ამ ტიპის დეპარტამენტის შექმნის მიზანშეწონილობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ჯერჯერობით მზად არ არიან, ადეკვატურად გაითავისონ და გაიზიარონ ეს ინიციატივა. აშკარაა, რომ ეს ადამიანები რაღაც დოზით მაინც ძველი სტერეოტიპებით აზროვნებენ.

**— ბატონო ზურაბ, რაში გამოიხატებოდა მათი ძველი სტერეოტიპული აზროვნება?**

— ვიქნები ობიექტური: ისინი უდავოდ განიცდიან გულისტკივილსაც და ჩემთან საუბარში გულწრფელად შეწუხდნენ ტ. ფუტკარაძისა და კამპანიის ანტიმეცნიერული და საზიანო პოზიციის გამო. უფრო მეტიც, შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს და მთხოვეს, ფუტკარაძესთან ერთ კონტექსტში ისინი არ მომეხსენიებინა, თუმცა ვიმეორებ: ეს კეთილშობილი პიროვნებებიც კი, სამწუხაროდ, ძველი სტერეოტიპებით აზროვნებენ და მათი კონტრარგუმენტები ჩემთვის მეტად არადამაჯერებელი და მიუღებელი იყო. მაგალითად, მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ენების ოთხმოცი პროცენტი გაქრობის გზაზეა, ეს გლობალიზაციამ მოიტანა და ამას უკვე აღარაფერი ეშველებაო. ამას კატეგორიულად არ დავეთანხმე და ვუპასუხე, რომ **ჩვენ, საზოგადოება, ვალდებულნი ვართ, წინ აღვუდგეთ ამ პროცესს; რომ ეს საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზეა ასაყვანი და, ხატოვნად რომ ვთქვათ, გლობალიზაციის ამ ცუნამს, რომელიც წალეკვით ემუქრება ჩვენთვის ძვირფას ფასეულობებს, შემაკავებელი ჯებირები უნდა დავუხვედროთ.**

**— ბატონო ზურაბ, თქვენ რა მიგაჩნიათ ამ პრობლემის — ენების წალეკვის, გაქრობის შემაკავებელ ჯებირებად და რას გთავაზობენ აღნიშნულ უწყებათა ხელმძღვანელები?**

— ამის გაკეთება ხალხის მიერ არჩეული ეროვნულობისა და დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა. ბოლოს და ბოლოს ამაში დამეთანხმნენ, მაგრამ აქვე გამოთქვეს ეჭვი ჩვენ მიერ შემოთავაზებული სტრუქტურის ქმედითუნარიანობათა მიმართ. რა თქმა უნდა, ეს უსუსური არგუმენტაციაა და ამის უარყოფა არ იყო ძნელი საქმე და ამის შემდეგ ქალბატონმა გუჩამ და ბატონმა ავთანდილმა, როგორც იქნა, აღიარეს, რომ მათ არ მოსწონდათ სახელწოდება „ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი“; რომ, რაღაც თვალსაზრისით, მათ ეს აშინებთ, თუმცა დამაჯერებლად ვერ ხსნიან, რატომაა ეს საშიში. შემომთავაზეს, „ქართველური ენები“ შეცვლილიყო „ქართული ენით“. რა თქმა უნდა, ვუპასუხე, რომ ეს პრინციპული საკითხია, რომ სახელწოდებაში დევს ღრმა შინაარსი, რომ სწორედ აქ დევს ვალდებულება, რომელიც უნდა აიღოს სახელმწიფომ ჩვენს ენობრივ ტრიადასთან მიმართებაში.

**— თქვენი აზრით, ამ მოსაზრებას რისი განხორციელებაც თქვენ გინდათ, ჰყავს მოწინააღმდეგენი?**

— რა თქმა უნდა, არიან ამ თემის რადიკალიზაციის მომხრეებიც და ჩვენი ინიციატივა, ასე ვთქვათ, არის ოქროს შუალედი, პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი. მათვის არ დამიმალავს და აქაც ვიტყვი: აბა, დავფიქრდეთ, თუ დეპარტამენტი შექმნის სპეციალურ კომისიას, რომელიც შეიმუშავებს კონცეფციას, პროგრამას, თუ დაისახება ღონისძიებათა კომპლექსი ამ ენების გადასარჩენად, განა ეს ზოგადეროვნული და მამულიშვილური ქმედება არ იქნება?

**— ბატონო ზურაბ, კონკრეტულად როგორია ამ იდეის განხორციელების მეთოდები და გზები?**

— შემიძლია სხვადასხვა მეთოდი და გზა შემოგთავაზოთ. მაგალითად, თუ სკოლებში ვასწავლით ქართველურ ენათა საფუძვლებს, თუ ვასწავლით უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში, ტელერადიოეთერში, თუ სისტემატიურად გავაკეთებთ, ვთქვათ, ასეთი ტიპის გადაცემებს: შევისწავლოთ ქართული ენა, შევისწავლოთ მეგრული ენა, შევისწავლოთ სვანური ენა ან კიდევ: თუ რეგულარულად მომზადდება გადაცემები ფოლკლორზე, ეთნოგრაფიაზე, საერთოდ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე, განა ეს უფრო არ შეკრავს ეროვნულ სხეულს? **არ უნდა დავაყენოთ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, პირიქით — უნდა წავახალისოთ და ხელი შევუწყოთ იმ ადამიანებს, რომლებიც წერენ მეგრულად და სვანურად. განა ამით უფრო არ შევუწყობთ ხელს ჩვენი ენობრივი კულტურის გადარჩენა-განვითარებას?**

მე მათ ვთხოვე, პარლამენტისთვის არ მიეწოდებინათ უარყოფითი მოსაზრებები. მითხრეს, რომ იფიქრებდნენ ამის თაობაზე. იმედი მაქვს, ისინი მართლაც ყველაფერს კარგად აწონ-დაწონიან, მოიფიქრებენ. აქვე ბარემ იმასაც ვიტყვი, ღმერთო შეგცოდე და მეჩვენება, რომ **ზოგიერთი ენათმეცნიერისთვის გამქრალი თუ გაქრობის წინაშე მდგარი ენების სპეციალისტობა უფრო საინტერესოა, ვიდრე მათ გადასარჩენად შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლა. გულს იმით ვიმშვიდებ, რომ ენათმეცნიერთა უმეტესობისთვის უმთავრესი მაინც საკუთარი კეთილსინდისიერებაა.**

მე კვლავ დაჟინებით მოვუწოდებ ხელისუფლებას, მხარი დაუჭიროს ჩვენს ინიციატივას და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო საზოგადოებას ვთხოვ, გაითავისოს ამ ინიციატივის უაღრესად დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ესაუბრა
**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# ზუგდიდში მცხოვრებ დევნილთა ჯგუფებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ თავიანთი კანდიდატურების გაყვანა სურთ

**ზუგდიდში ჩასახლებული დევნილები ძალზე „მნიშვნელოვანი“ საქმით არიან დაკავებულნი. ამჟამად რამდენიმე ჯგუფი იმისათვის იბრძვის, რომ როგორმე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გამოთავისუფლებულ „პოსტზე“ თავისი კანდიდატურა გაიყვანოს.**

დევნილები იმდენ ჯგუფად არიან დაყოფილნი, რამდენი კანდიდატურაცაა წარდგენილი: „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრ **დავით ფაცაციას**, აფხაზეთის მთავრობის ყოფილ ჯანდაცვის მინისტრ **დალილა ხორავას**, შევარდნაძის ხელისუფლების შინაგანი ჯარის ყოფილ სარდალ **გია შერვაშიძის**, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ **ვახტანგ ყოლბაიას** მომხრეები და მხარდამჭერები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად საპროტესტო აქციებს, ბრიფინგებსა და შეხვედრებს მართავენ, აგროვებენ ხელმოწერებს, რათა თავიანთ კანდიდატურებს ხელი შეუწყონ, დაიკავონ ეს თანამდებობა. თუ რამდენად გამოადგება ამ კანდიდატებს მათი მომხრეების მხარდაჭერა, ძნელი სათქმელია, თუმცა ყოველივე ეს დევნილებში იწვევს უთანხმოებას, განხეთქილებას და დაპირისპირებას, განსაკუთრებით ის დევნილები ღიზიანდებიან, რომლებიც საერთოდ არ ერევიან ამ პროცესებში, არც ერთ დაჯგუფებას არ მეკუთვნებიან და მიიჩნევენ, რომ კონკრეტული პიროვნების შეცვლა არაფერს შეცვლის, **აუცილებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეორგანიზაცია.**

ზუგდიდში მოქმედი აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელს, მურმან მალაზონიას, მიაჩნია, რომ დევნილები არა ამ პრობლემით, არამედ უფრო საჭირბოროტო საკითხებით უნდა იყვნენ დაკავებულნი. **„ჩემი ორგანიზაციისა და ჩემი მეგობრების პოზიციაა, რომ გავემიჯნოთ ამ პროცესებს. მიზანშეწონილად არ მიმაჩნია აქციების, შეხვედრების ჩატარება რომელიმე კანდიდატურის მხარდასაჭერად. უფრო სწორი იქნება, შევკრებილიყავით და გვემსჯელა იმ საკითხებზე, რომლებიც მრავლად არსებობს ჩვენ გარშემო. თუ ვინ დაიკავებს შემოთავაზებული კანდიდატებიდან მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას, არაა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, უნდა მოხდეს ამ სტრუქტურის რეორგანიზაცია, რათა ეს სტრუქტურა მართლაც გახდეს დევნილთა ინტერესების გამტარებელი და არა ხელისუფლების მაამებელი. ამის შემდეგ მხარს დავუჭერთ იმ პიროვნებას, რომელიც წარმოადგენს სამოქმედო პროგრამას, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის მთავრობის მუშაობას. ეს პიროვნება უნდა იყოს წონადი, რომელიც ავტორიტეტით ისარგებლებს დევნილებში“,** — განაცხადა **მურმან მალაზონიამ.**

აფხაზეთის მთავრობა რომ ცენტრალური ხელისუფლების დანამატია და არ გამოხატავს დევნილთა ინტერესებს, 1 ოქტომბრის არჩევნებმაც დაადასტურა.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი



# კბილაშვილი ჟვანიას საქმეში ახალ მნიშვნელოვან სიახლეზე საუბრობს

**მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას გირგვლიანის, რობაქიძის, ზურაბ ჟვანიასა და სხვა გახმაურებული საქმეების გამოძიების მიმდინარეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ თითოეული საქმის გამოძიება მალე დასრულდება.**

„ინფო 9“-ის ინფორმაციით, კბილაშვილის თქმით, გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ოლეგ მელნიკოვი დაკითხულია და გამოძიების საბოლოო დასკვნა, სავარაუდოდ, მაისში გახდება ცნობილი. როგორც კბილაშვილმა განაცხადა, ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებას სიმშვიდე და სიფრთხილე სჭირდება. **„ჟვანიას საქმეს მშვიდი და წყნარი გამოძიება სჭირდება და ჩვენ, სწორედ ასეთ გარემოს ვუქმნით გამომძიებლებს. ამ ეტაპზე არის საგულისხმო სიახლე, თუმცა თავს შევიკავებ დაკონკრეტებისგან, რადგან ეს გამოძიებას ხელს შეუშლის“,** — აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.



**ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ კოაბიტაციას გვთავაზობენ, გვირჩევენ, შევეგუოთ და დავემორჩილოთ უკანონობის, უსამართლობისა და უზნეობის ზეობას, ჩაგვჩიჩინებენ, ვიცხოვროთ ისე, როგორც თავად ცხოვრობენ გეიპარადების შემყურენი.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოაბიტაცია თუ ამორალიზმი?

**„ყოველ ხეს, რომელსაც კარგი ნაყოფი არ მოაქვს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ“** *(მათე 7, 19)*



**ჩვენში კიდევ ერთი სიტყვა „კოაბიტაცია“ (თანაცხოვრება, თანაარსებობა) პოპულარული გახადეს. თანაცხოვრება, თანაარსებობა ქართველ კაცს არ ესწავლება. ათასწლობით მტრებით გარემოცული იბერიული მოდგმა მამაცურად უმკლავდება მრავალრიცხოვანი დუშმანის შემოსევებს, ინახავს საკუთარ თვითმყოფად კულტურას, ცხოვრების წესს, ტრადიციებს და ამავე დროს კაცთმოყვარულად ეპყრობა მის მიწაზე დამკვიდრებულ, ხიზნად მოსულ უცხო თესლს — აძლევს მიწას, უყოფს ლუკმას, დახმარების ხელს უწვდის ჭირსა თუ ლხინში... მაშ, რატომ მოგვიწოდებენ დასავლელი „მეგობრები“ კოაბიტაციისკენ? რას ნიშნავს კოაბიტაცია, მათი გაგებით, და სად მიჰყავს ადამიანი მათებურად გაგებულ კოაბიტაციას?**

გერმანელი ფილოსოფოსი **ოსვალდ შპენგლერი** ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გულისტკივილით წერდა „ევროპის დაისზე“. მისი შეხედულებით, **დასავლეთის, ანუ ფაუსტური კულტურა X საუკუნეში იღებს დასაბამს და ამ კულტურის შემდეგ დადგება დრო დოსტოევსკისეული, ანუ მართლმადიდებლური კულტურისა.**

**მხოლოდ ესღა იხსნის კაცობრიობას გადაგვარებისგან.**

დასავლურმა კულტურამ ადამიანი გახადა ყველაფრის საზომი, ანუ ადამიანი ღმერთად გამოაცხადა. მისთვის ყველაფერი ნებადართულია; სიკეთეც და ბოროტებაც მხოლოდ ის არის, რასაც თავად მიიჩნევს სიკეთედ და ბოროტებად. ასეთ კულტურაში უარყოფილია აბსოლუტური ფასეულობები და გაბატონდა ადამიანისეული შეფარდებითი ფასეულობები.

სერბი არქიმანდრიტი **იუსტინე პოპოვიჩი** დასავლური კულტურისგან შობილ ადამიანს ამგვარად აღწერს: **„დარჩა მხოლოდ ნამსხვრევები ადამიანისა, მხოლოდ სხეულებრივი ჩენჩო, რომლისგანაც განუდევნიათ სული. მართალია, ეს ჩენჩო დახვეწილია, გარანდულია, ელვარებამდეა გაპრიალებული, მაგრამ ის მაინც ჩენჩოა მხოლოდ და მეტი არაფერი. ევროპულმა კულტურამ სულისგან განძარცვა, გაანივთიერა, გაამატერიალურა ადამიანი, რაღაც საშინელ მანქანად გადააქცია იგი; და აი, ევროპული კულტურა ახლა ურჩხულისმაგვარ საზარელ მანქანად წარმოდგება ჩვენ წინაშე, რომელიც შთანთქავს ადამიანებს და ნივთებად გადაამუშავებს მათ. და ფინალიც ამისა მძიმე და ტრაგიკულია: ადამიანი უსულო საგნად ქცეულა უსულო საგნებს შორის“** (არქიმანდრიტი იუსტინე, „მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი“, წიგნში „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, ტ. 5. თბ. 1995, გვ. 118).

თანამედროვე დასავლელი ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები ობიექტურად ასახავენ ადამიანის ბედს იმ საზოგადოებაში, რომელშიც ღმერთისგან დაწესებული აბსოლუტური ფასეულობები ხელოვნურად შეცვალეს დემოკრატიის მანტიაში შენიღბული ფსევდოკულტურით, ადამიანის არსის საწინააღმდეგო მორალით.

დღეს უკვე აღარავის უკვირს ერთსქესიანთა ქორწინება, სოდომ-გომორის ცოდვის გზით სიარული. საოცარია, რომ **ამ სატანისტურ მორალს მხარს უჭერს თვით კათოლიკური ეკლესია, რომლის წიაღში ჯვარს წერს ერთმანეთზე ნამეტნავად შეყვარებულ მამაკაცებს!**

„დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო“!

როგორც პრესით შევიტყე (არ მინდა დავიჯერო), **ამერიკის პრეზიდენტმა ახლახან პედერასტებს აშშ-ის არმიაში სამსახურის ნება დართო, იმ არმიაში, რომელშიც ყოველწლიურად 19000 ამერიკელ სამხედრო მოსამსახურე ქალი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება!**

ასევე პრესისა და ტელევიზიის საშუალებით შევიტყვე, რომ **რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა რუსი ბავშვების უცხოეთში გაშვილება, მდიდარ ამერიკელ ჰომოსექსუალისტთა ოჯახების რუსი ბავშვებით უზრუნველყოფა, ანუ უმანკო ბავშვთა ფიზიკური და სულიერი დაღუპვა!**

ისიც შევიტყე, რომ რუსეთში გამოჩნდნენ საკმაო რაოდენობის „კეთილისმყოფელნი“, რომლებიც მთავრობის ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ. ბავშვთა ამერიკაში გაშვილებას ამართლებენ იმით, რომ ეს ბავშვები მატერიალურად უზრუნველყოფილნი იქნებიან. სულ არ ანაღვლებთ ამგვარ „ოჯახებში“ გაშვილებული ბავშვების მომავალი, მათი ფსიქიკური და ზნეობრივი სიჯანსაღე.

სირცხვილი თქვენ, ასეთო „კეთილისმყოფელებო“!

ფრანგმა ფილოსოფოსმა და მწერალმა **ჟან პოლ სარტრმა,** გააანალიზა რა თანამედროვე ევროპელი ადამიანის გაუცხოების პროცესი, სასოწარკვეთით წამოიძახა: **„ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით!“.**

ეს ის თავისუფლებაა, რომელიც ადამიანს ათავისუფლებს მორალისგან და, ფაქტობრივად, ცხოველზე უარეს არსებად აქცევს, რომლისთვისაც ყველაფერი ნებადართულია!

ამგვარი თავისუფლება იწვევს გრძნობების დევალვაციას, ადამიანურ ურთიერთობათა დეჰუმანიზაციას, ანგრევს ოჯახურ და ნათესაურ კავშირებს. გაუცხოებული ადამიანი მზად არის ჩაიდინოს არა მარტო მსუბუქი ანტისაზოგადოებრივი ქცევები, არამედ მასობრივი, უმოტივო მკვლელობებიც კი, რასაც ევროპაში მყოფი ჩვენი თანამემამულე გოგონაც შეეწირა.

ამერიკელი სოციოლოგი **გ. პარსონსი** წერს: **„ზოგადი და საერთო ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის მდგომარეობას ჩვენს საზოგადოებაში, წარმოადგენს გაუცხოება“** („Вопросы философии“ №16, 1968).

დასავლური კულტურისგან შობილი გაუცხოება იწვევს ადამიანის ფსიქიკის ნგრევას. როგორც ფსიქოლოგი ხინკლე აღწერს, ამგვარ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანი შეპყრობილია შიშით, იმყოფება მუდმივ დაძაბულობაში, განიცდის იმედის გაცრუებას, შფოთს, ცხოვრების უაზრობას... **თანამედროვე ბავშვი, რომელიც შიზოიდურ კულტურაში იზრდება** (ხინკლე დასავლურ კულტურას შიზოიდურს უწოდებს), **საეჭვოა, ჩამოყალიბდეს გაწონასწორებულ, ინტეგრირებულ პიროვნებად.**

გაუწონასწორებელი, არაორგანიზებული პიროვნება ძნელად ეგუება თანამედროვე რთულ ცხოვრებას, ამიტომ ის ხშირად ჩადის დანაშაულს, ლოთობს, იღებს ნარკოტიკებს, ეწევა გაუკუღმართებულ სექსს, ხდება ნევროტიკი და ფსიქოპათი (Гезела Дж. Хинкле, „Социология и психоанализ“ წიგნში Г. Геккер и А.Басков „Современная социологическая теория“, М. 1961 с. 678).

დასავლური შიზოიდური კულტურის სავალალო შედეგებს სტატისტიკა აფიქსირებს.

**აშშ-ში ყოველ 24 წუთში ხდება მკვლელობა, ყოველ 7 წუთში — გაუპატიურება, ყოველ 10 წამში — ძარცვა... 24 მილიონი ადამიანი ნარკომანია, რომელთაგან ყოველწლიურად 5 ათასი კვდება... თავისებურ ნარკომანიად იქცა ეროტომანია, პორნოგრაფია... ე.წ. სექსის ინდუსტრია კი მილიონობით ახალგაზრდა ამერიკელს რყვნის** (ჟურნალი „Time“ 23 March 1981. წიგნში В. Пазенок „Апология аморализма...“. М. 1982 с. 46).

მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ამერიკაში გამომავალი ჟურნალი აღწერს 30 წლის წინანდელ მდგომარეობას. ვფიქრობ, საჭირო არ არის, გავეცნოთ აშშ-ის დღევანდელი კრიმინოგენური სტატისტიკის საშინელებებს.

ამერიკელი ფილოსოფოსი **ო. ტოფლერი** წერს, რომ ამერიკას სულს უხუთავს გაურკვეველი დამოკიდებულება ღმერთისადმი, რელიგიისადმი, ოჯახისადმი, პიროვნებისადმი... „Но от этой свистопляски страдают не одни Соединонные Штаты. Процесс массовой переоценки ценностей охватил все технически развиыте страны“ (წიგნში В. Пазенок „Апология...“ с. 43).

არა მგონია, მეცნიერების განვითარება, ახალი ტექნოლოგიები, ქვეყნების ტექნიკური განვითარება თავად იყოს **ზნეობრივი დეგრადაციის მთავარი მიზეზი.**

მთავარი მიზეზი მსოფლიოს უხილავი ხელისუფლების სურვილია, გარდაქმნას და აკონტროლოს ადამიანის ცნობიერება, თავის ნებას დაუმორჩილოს არა მარტო ინდივიდები, არამედ მსოფლიო ხალხები მეცნიერების განვითარებით, ახალი ტექნოლოგიებით, ტელევიზიით, კომპიუტერით, ათასგვარი გასართობი სანახაობის მეშვეობით, რომლებიც თავისებურ ნარკოტიკებად აქციეს.

**მასონი გლობალისტები მილიარდობით დოლარს ხარჯავენ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იყენებენ გულუხვად დაფინანსებულ ათასგვარ სატანისტურ სექტებს, მაგრამ მათ შორის მთავარი დამრტყმელი ძალა მასონური ეკუმენიზმია.**

მასონური ეკუმენიზმის მთავარი მიზანია რელიგიების გაერთიანება და „მსოფლიო თანამეგობრობის“ შექმნა. ეს არის კაცობრიობის მომზადება ანტიქრისტეს აღსაყდრებისთვის. ერთი მსოფლიო ხელისუფლება, ერთი ფული, ეროვნული სახელმწიფოების, ერებისა და ეროვნული კულტურის გაქრობა... **ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია შიზოიდური კულტურის დანერგვა, ტვინის გამორეცხვა, სპექტაკლის საზოგადოება, ამორალიზმი!**

საუბედუროდ, ქართველი ერი ამ ოცი წლის მანძილზე ამგვარი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ **ჩვენზე, როგორც ბოცვერებზე, ექსპერიმენტებს ატარებენ.**

დიდი უზნეობაა, როცა ბოროტეულს არ ებრძვი, მასთან თანამშრომლობ, მასთან თანაარსებობ და მშვიდობიანად ცხოვრობ. **თუ ეკუმენიზმი საყოველთაო „სიყვარულსა და შემწყნარებლობას“ ქადაგებს, კოაბიტაციაც იმავეს მოგვიწოდებს — ყოველგვარ უკეთურობასთან თანაცხოვრებას, თანაარსებობას, რაც ბიბლიის, სახარების სწავლებას ძირეულად ეწინააღმდეგება.**

**კოაბიტაცია მოგვიწოდებს: ვიცხოვროთ და ვიარსებოთ ბოროტეულთან!**

ბიბლია გვასწავლის: **„ბოროტეული თავისი უკეთურობის გამო მოიკვეთება“** (იგავნი სოლომონისა 14, 32).

თუ ბოროტს წინ არ აღუდექი, მაშინ მასთან წილნაყარი ხარ და შენი უკეთურების გამო შენც მოიკვეთები.

კოაბიტაცია ჩვენგან მოითხოვს: ბოროტმოქმედს ნუ დევნი და ნუ დასჯი!

ბიბლია გვასწავლის: **„რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას“** (ეკლესიასტე 8, 10).

კოაბიტაცია მოგვიწოდებს: ნუ იბრძვით სამართლიანობის აღდგენისთვის!

ბიბლია გვასწავლის: **„არ არის კარგი მიკერძოება ბოროტეულის მიმართ მართლის გასამტყუნებლად სამსჯავროზე“** (იგავნი სოლომონისა).

კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობაზე ამერიკელი სოციოლოგი **მარტინ ლეპსეტი** წერს: **სამხედრო გადატრიალებით და რევოლუციებით მოსული რეჟიმები ვერ ახერხებენ კანონიერებისა და სამართლიანობის მოპოვებას მოსახლეობის ფართო ფენებში ხუთი და მეტი თაობის მანძილზე** (Мартин Лепсет „Политическая социология“ წიგნში „Американская социология“, М. 1972 с. 207).

**ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ კი კოაბიტაციას გვთავაზობენ, გვირჩევენ, შევეგუოთ და დავემორჩილოთ უკანონობის, უსამართლობისა და უზნეობის ზეობას, ჩაგვჩიჩინებენ, ვიცხოვროთ ისე, როგორც თავად ცხოვრობენ გეიპარადების შემყურენი.**

ავიწყდებათ ან არ იციან ის, რომ ევროპაში შპენგლერისეული დაისი კი არა, უკვე ბუშისეული შუაღამეა!

ძია სემებო და ბლანჟოსანო ბატონებო! დიდი ქართველი პოეტის სიტყვებით გიპასუხებთ:

**„რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შევეკვრი ზავითა“;**

ეს იმ პოეტის სიტყვებია, რომლის შედევრებით ამორალიზმის წყვდიადით გულაკვნესებული „კარგი ევროპელები“ (კონსტანტინე გამსახურდიას ტერმინია) აღშფოთებულ სულს იმშვიდებენ!

ჩვენ მიერ არჩეულნო, ჩვენო კარგო უმრავლესობის დეპუტატებო!

მე მიკვირს თქვენი! გეტყობათ, მრავალ თქვენგანს კოაბიტაცია, ალბათ, ხელს აძლევს! რატომ ხმას არ აიმაღლებთ? რასღა ელოდებით? ნუთუ აღარ გესმით პატარა კახის ხმლის ავი სიმღერა და ოჟა ჯურხაის ფარის ჟრიალი, შავჩოხიანო ვაჟებო! იმღერეთ შავლეგო და ნუ დაემსგავსებით გეიპარადის მონაწილე ტატუირებულ ევროამერიკელს!

**კოაბიტაციით მიღწეული მშვიდობა გსურთ?** აი, რას გვასწავლის ამგვარი მშვიდობის შესახებ **წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი: „ყოველნაირი მშვიდობა როდია — საღმრთო მშვიდობა! რამეთუ არსებობს მშვენიერი უთანხმოებაც და არსებობს დამღუპველი ერთსულოვნებაც. უნდა გვიყვარდეს მხოლოდ ჭეშმარიტი მშვიდობა, კეთილმიზანდასახული და ღმერთთან მიმდევანებული, რადგან როცა საქმე აშკარა უკეთურებასთან გვაქვს, მაშინ ცეცხლსა და მახვილსაც არ უნდა ვრიდოთ, არც დროისა და ხელმწიფეთა მოთხოვნებს დავემორჩილოთ, მით უმეტეს — არამც და არამც არ უნდა ვეზიაროთ მზაკვრულ დვრიტას, არ უნდა ვემთხვიოთ სენშეყრილს!“**

იბერიულო მოდგმავ!

გვახსოვდეს ვისი გორისანი ვართ!

მედგრად ვიდგეთ ერთად და წინ აღვუდგეთ შინაური და გარეშე მტრების მზაკვრულ მცდელობას, ქართველი ერი გადააგვარონ და მდიდარი უცხოელების პირისფარეშთა უწიგნურ მასად გადააქციონ, საქართველო კი — საროსკიპოებისა და კაზინოების ბინძურ ბუდედ, სადაც ხუთი მილიონი მიშას ტურისტი ხუთ მილიონ სიბილწეს დატოვებს!

**სამშობლო საფრთხეშია! დავიცვათ ქართული პატიოსნება და ღირსება!**

**თენგიზ კუბლაშვილი,**
**უზენაესი საბჭოს დეპუტატი,**
**წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარიის ყოფილი პედაგოგი**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**RAND-ი თავისი ნაშრომების ნაწილს ამერიკის 96 და უცხოეთის 45 ბიბლიოთეკაში აგზავნის, მაგრამ მისი პროდუქციის ნახევარი მხოლოდ დამკვეთისთვისაა ხელმისაწვდომი. ეს კომპანიას განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად აქცევს არა მხოლოდ კლიენტების, არამედ სპეცსამსახურებისთვისაც, პოლიტიკოსებისთვისაც, ჟურნალისტებისთვისაც.**

# Think Tanks

**ცნობილია, რომ საუკუნეების წინაც პოლიტიკოსები და მმართველები, ისევე, როგორც ოპოზიციონერები ან, ვთქვათ, საქმოსმები, სარგებლობდნენ მრჩეველთა, ანუ იმ ბრძენთა მომსახურებით, რომელთაც შეეძლოთ სიტუაციის შეფასება, მისი განვითარების შესაძლო ვერსიების აღწერა, მისი გადაწყვეტის ვარიანტების შემუშავება და ამ ყველაფრის გასაგებ ენაზე გადმოცემა. და, როგორც წესი, სახელმწიფო და პოლიტიკური ოპერაციები მით უფრო წარმატებული იყო, რაც უფრო აქტიურად მოუხმობდნენ მათი ავტორები ინტელექტს და რაც უფრო მიმზიდველად წარმოაჩენდნენ დასახულ ამოცანებსა თუ მათი გადაჭრის გზებს.**

ინტელექტის უგულებელყოფა, ისევე, როგორც იმ უპირატესობების გაუცნობიერებლობა, რომელთაც ჰუმანიტარული ტექნოლოგიები იძლევა, ხშირად კრახით ასრულებდა ერთი შეხედვით ძალზე პერსპექტიულ გეგმებს. ადრე თუ გვიან ხალხთა ის ბელადებიც კი, რომლებსაც გენიოსებად მოიხსენიებდნენ, აღმოაჩენდნენ ხოლმე, რომ თავად ისინი და მათი კადრები ყველაფერს არ წყვეტენ, მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობა კი არასაიმედოა. მართვის ხელმისაწვდომი მექანიზმები არასაკმარისია როგორც სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, ასევე მძიმე შეცდომების თავიდან ასაცილებლად. ეს დიდწილად იმის გამოა, რომ აპარატული სისტემები ზღუდავს შესაძლებლობებს ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანების წესებისა და იერარქიის მარწუხებში მოქცევით. დამარცხების გამოცდილებამ ძალებს, რომელთაც საკუთარი ინტერესების განხორციელება სურდათ, დაანახა საკუთარი დაინტერესება ხარისხიანი ინტელექტუალური მომსახურებით. ეს გახდა იმ განსაკუთრებული სტრუქტურების შექმნის საბაბი, რომელთა მომსახურებასაც, უკვე მრავალი წელია, ყიდულობენ პოლიტიკური, სამხედრო და საქმიანი წრეების გამოჩენილი წარმომადგენლები. ეს არის think tanks — „აზრების ფაბრიკა“.

ინტელექტუალურ ცენტრებში ცხადია, ხშირად ლაყბობენ ათასგვარ ინტელექტუალურ თემაზე, მაგრამ ძირითადი საქმე, რითაც იქ არიან დაკავებულნი, სავსებით ინდუსტრიალურია და გულისხმობს იმ პროდუქტის წარმოებას, რომელსაც დამკვეთები, ანუ ბაზარი ელოდება. ყველა სხვა საწარმოს მსგავსად, გონებრივი ცენტრები აწარმოებენ საქონელს, რომელსც ფასი ედება მისი ხარისხისა და მყიდველისთვის ვარგისიანობის შესაბამისად. ეს ყველაფერი დროთა განმავლობაში სერიოზულად მოქმედებს ფასწარმოებისა და კაპიტალწარმოების ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, როგორიც მწარმოებლის ბრენდი, ანუ მომხმარებლებში ამ მწარმოებლის მიმართ ჩამოყალიბებული აზრია.

ეს საცალო პროდუქტია, ყველა ეგზემპლარი უნიკალურია და ხშირად გასაიდუმლოებულიც. აზრების ფაბრიკები, როგორც წესი, დაკეტილ კარს მიღმა მუშაობენ, ამ მუშაობის შედეგები კი მყიდველს ზედმეტი ხმაურის გარეშე გადაეცემა. ამ წარმოების პროდუქტს საზოგადოება ხანდახან ხედავს კიდეც, მაგრამ მხოლოდ გამოყენების შემდეგ.

ასეთია სტრატეგიების ბაზრის სპეციფიკა. მეტი სიცხადისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმანიტარულ-ტექნოლოგიურ ინდუსტრიებში დაკავებული ყველა პროფესიონალი და კომპანია არ მოღვაწეობს აზრების ფაბრიკაში. მაგალითად, სარეკლამო და პიარკომპანიები, გამოყენებითი მარკეტინგის სფეროს მუშაკები, საარჩევნო და ლობისტური კამპანიების შტაბები აზრების ფაბრიკების პროდუქტის მომხმარებლები და, შესაბამისად, მყიდველები არიან.

„აზრების ფაბრიკასთან“ ყველაზე ახლოს დგანან ფირმები, რომლებიც კვლევით და კონსალტინგურ მომსახურებებს ყიდიან, მაგრამ ყოველთვის არც ისინი შეიძლება ჩაითვალოს think tanks-ის წარმომადგენლებად.

„აზრების ფაბრიკა“ არის კვლევითი ორგანიზაციის განსაკუთრებული, ინოვაციური სახეობა, რომელიც აშშ-ში XX საუკუნეში შექმნეს ძირითადად სამხედრო უწყებებისთვის კვლევების ჩატარების მიზნით. სწორედ სამხედროები იყვნენ სტრატეგიების შემმუშავებელი, „კონტრაქტის მიხედვით, კონსალტინგის“ პირველი მყიდველები.

„აზრების ფაბრიკისთვის“ დამახასიათებელია მოღვაწეობის ორგანიზების განსაკუთრებული სტილი: ისინი არ არიან შეზღუდულნი რომელიმე ადმინისტრაციის საზღვრებით, ანუ არ წარმოადგენენ სახელმწიფო უწყებებს ან მათ ქვეგანყოფილებებს, ჰყავთ მსხვილი სახელმწიფო, კორპორატიული და სხვა ტიპის დამკვეთები, კონტრაქტით ნაკისრები აქვთ ინფორმაციის გაუვრცელებლობა, ჰყავთ კონტრაქტების საფუძველზე ჩამოყალიბებული ექსპერტების კადრი, აქვთ კავშირები წამყვან უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო და კვლევით კოლექტივებთან, ახორციელებენ ბაზარზე ძვირადღირებული კონსულტირების ტექნოლოგიების, კვლევებისა და რეკომენდაციების წინ წაწევას, პერიოდულად ამზადებენ ანგარიშებს კონკრეტულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით.



კორპორაცია RAND, პიტსბურგი, პენსილვანია

**RAND-ში შეიქმნა «მოქნილი რეაგირების», «ხიდების გადების», «კონტრძალის» და სხვა კონცეფციები, რომლებიც შემდეგ კარგად აითვისეს ამერიკის ადმინისტრაციებმა და საკუთარ «დოქტრინებად» გაავრცელეს**

ეს კერძო ორგანიზაციებია, რომლებიც ასრულებენ ფედერალური უწყებების ან შტატების დაკვეთებს, თუ ეს მომგებიანია, მაგრამ მათ ბუღალტერიაში ვერასდროს ნახავთ ფინანსირების სტრიქონებს. დამკვეთები მათ ამოცანებს უსახავენ და ხშირად შოკში არიან, როდესაც კვლევების შედეგებსა და რეკომენდაციებს იღებენ. მათი ხედვა ცვლის პოლიტიკას.

**„აზრების ფაბრიკებს“ აქვთ პოლიტიკური ორიენტაცია. ისინი შეიძლება იყვნენ მემარჯვენეები, ცენტრისტულები ან მემარცხენეები, მაგრამ ხშირად ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რისთვის შეიქმნა ესა თუ ის გონებრივი ცენტრი და ვინაა მისი პროდუქტის მყიდველი.** როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ინოვაციას სტარტი კონსერვატორებმა, ანუ „ისტორიულმა მემარჯვენეებმა“ მისცეს. პროფესიონალი სამხედროები, როგორც წესი, მემარჯვენეებად ითვლებიან, რადგან მათი სამსახურის საფუძველი სწორედ კონსერვატიული ღირებულებებია. **პირველი „აზრების ფაბრიკის“ დამკვეთები კი სამხედროები იყვნენ. კონკრეტულად ეს იყო აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა. ყველაფერი ამით დაიწყო.**

სპეციალისტების აზრით, კორპორაცია RAND-ი (ამერიკული სტრატეგიულ-კვლევითი ცენტრი „კვლევა და შემუშავება“) მემარჯვენე ორიენტაციისაა, ანუ სამხედრო-სამრეწველო ისტებლიშმენტს განეკუთვნება.

პროექტი დაიწყო 1946 წლის 2 მარტს, როდესაც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს ავიაკომპანია Duglas-თან. სამხედრო-საჰაერო ძალების პირველმა და ისტორიაში ერთადერთმა ავიაციის გენერალმა ჰენრი არნოლდმა ის ოფიციალურად დააარსა.

**შეთანხმების საგანი იყო DUGLAS-ში სისტემური ანალიზი და აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების, ასევე სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის განვითარების პროგნოზირება.** ეს ინტერესი გასაგებია სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებისა და იმ კოსმოსური ნაწილების შექმნის წინ, რომელთაც რამდენიმე წლით ადრე უნდა განესაზღვრათ როგორც ავიაციის მომავალი, ასევე სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია. თუ როგორ იმოქმედა მსოფლიო პოლიტიკაზე სამხედრო ტექნოლოგიებმა, ცნობილია. და RAND-ში მომუშავე მკვლევარებმა ამ ყველაფერში არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულეს.

ორგანიზაცია მალე დამოუკიდებელი გახდა. ეს შესაძლებელი გახდა ფორდის ფონდის წყალობით. მან მომავალი ძლევამოსილი კორპორაციის დამაარსებლებს ჯერ 100 ათასი დოლარის, შემდეგ კი მილიონიანი კრედიტი მისცა. პროექტის ეფექტურობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ 1952 წელს კრედიტი გრანტად გადაკეთდა.

**პირველ წლებში RAND-ის ბიუჯეტი 3 მილიონ 750 ათას დოლარს შეადგენდა, რაც იმ პერიოდში საკმაოდ დიდი თანხა იყო. 1970 წელს კი ბიუჯეტი 27 მილიონამდე გაიზარდა. ათწლედის ზღვარზე მისი აქტივების ღირებულებამ 440 მილიონს გადააჭარბა.**

წესდების მიხედვით, კომპანია კონტრაქტს გააფორმებდა ნებისმიერ კლიენტთან, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა სამხედრო ავიაციის ინტერესებს. ატომური ენერგიის კომისია და აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალები დიდი ხნის მანძილზე ერთადერთი კლიენტები იყვნენ, მაგრამ 50-იანი წლების დასასრულამდე კომპანიას უფრო მეტი კლიენტის მომსახურებისთვის საკმარისი კადრებიც არ ჰყავდა.

მაგრამ 1959 წელს RAND-მა შეთანხმება გააფორმა პენტაგონის კონსულტანტ Advanced Research Projects Agency-სთან (ARPA). შეიმუშავა რა მეთოდიკა „დაგეგმვა-პროგრამირება-საბიუჯეტო დაფინანსება“, რომელსაც ეყრდნობოდა თავდაცვის მინისტრის, რობერტ მაკნამარეს, წარმატებული სამხედრო რეფორმები, აიმაღლა რეიტინგი. ამან, ცხადია, RAND-ი ახალი კლიენტებით უზრუნველყო. ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ეროვნული ჯანდაცვის ინსტიტუტი და საერთაშორისო განვითარების სააგენტო. გარდა ფორდის ფონდისა, მან ფული მიიღო როკფელერისა და კარნეგის ფონდებიდან. 1969 წლის ანგარიშში იმ გარიგებების ჩამონათვალში, რომელთა ღირებულებამ 50 ათას დოლარს გადააჭარბა, აღმოჩნდა ნასა და რამდენიმე სამინისტრო.

**RAND-მა მსოფლიოს მრავალი ბრწყინვალე გონება აჩუქა ან მიჰყიდა. მათ შორის 30 ნობელის ლაურეატი იყო, მაგრამ ეს არცაა გასაკვირი, RAND-ი ხომ დიდ პრობლემებს აგვარებს. ამ ამოცანის შესასრულებლად მის თანამშრომლებს ყველანაირი პირობა აქვთ, თვით სახელმწიფო საიდუმლოებებთან წვდომის ჩათვლით. RAND-ში შეიქმნა „მოქნილი რეაგირების“, „ხიდების გადების“, „კონტრძალის“ და სხვა კონცეფციები, რომლებიც შემდეგ კარგად აითვისეს ამერიკის ადმინისტრაციებმა და საკუთარ „დოქტრინებად“ გაავრცელეს.** ▶

მოკლედ

## გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 70-მდე პატიმარი შიმშილობს

**საქმეების გადახედვის მოთხოვნით, გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამუდამო პატიმრობამისჯილი 70-მდე მსჯავრდებული შიმშილობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა, ირაკლი კორძაიამ, განუცხადა, მსჯავრდებულები საკუთარი საქმეების გადახედვას მოითხოვენ.**

**„მათი პრეტენზიები სასჯელაღსრულების სისტემას არ უკავშირდება. პატიმრებს სურთ, რომ მათი საქმეების გადახედვა მოხდეს, რაც საგამოძიებო უწყების პრეროგატივაა. ჩვენ უზრუნველყოფთ მოშიმშილეების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, თუმცა საგამოძიებო სტრუქტურა ჩვენი საქმე არაა და პროკურატურა ისე მოიქცევა, როგორც საჭიროდ ჩათვლის“,** — განაცხადა კორძაიამ.

მისივე განმარტებით, მოშიმშილეები ასევე პაემნების საკითხის გადახედვასაც მოითხოვენ, რაზეც სასჯელაღსრულების სამინისტრო მუშაობს.

**„ეს თემა მოგვარებადია და ამაზე ვმუშაობთ“,** — აღნიშნა კორძაიამ.

**სამუდამო პატიმრობა მისჯილმა 70-მდე მსჯავრდებულმა შიმშილობის აქცია გუშინ გამოაცხადა.**



## „აზრების ფაბრიკა“ არა მხოლოდ აწარმოებს და ყიდის ცოდნას, არამედ აყალიბებს მასზე დაკვეთასაც. მათ, ერთის მხრივ, კავშირები აქვთ მათთან, ვინც დიდ გადაწყვეტილებებს იღებენ და მათ განხორციელებას მართავენ; მეორე მხრივ კი — მოაზროვნეებსა და კონცეპტუალისტებთან. ისინი იდეებს შეფასებებად, პროგნოზებად, გეგმებად და პოლიტიკური კურსის ვარიანტებად აკონვერტირებენ.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ RAND-ში ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს. მას აქვს 11 განყოფილება: თავდაცვის პრობლემები, მართვის პრობლემები, რესურსების ანალიზი, საინჟინრო მეცნიერებები, მეცნიერებები გარემოს შესახებ, სოციალური მეცნიერებები, ფიზიკა, სისტემების შესწავლა, მათემატიკა, IT და ეკონომიკა. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ცოდნის გაზიარებისა და ხარისხიანი პროდუქციის შექმნის მიზნით.

RAND-ის სამუშაო მაღალშემოსავლიანი წარმოების სახეობაა. დღეს მთავარი საქონელი ინტელექტია, სტრატეგიების კოლექტიური წარმოება გადახდისუნარიანი დამკვეთისთვის. „აზრების ფაბრიკებში„“, როგორც სამრეწველო კომბინატებში, მუშაობენ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები — სოციოლოგები, ბიოლოგები, ელექტრიკოსები... და ქმნიან არა გამოყენებით შედეგს, მაგალითად, „იდეალური ჯარისკაცის“ სქემას, არამედ, მარტივად რომ ვთქვათ, ამგვარ ჯარისკაცზე ცოდნის ნაკრებს და მის აღწერილობას დამკვეთისათვის გასაგებ ენაზე.

სხვათა შორის, **RAND-ი თავისი ნაშრომების ნაწილს ამერიკის 96 და უცხოეთის 45 ბიბლიოთეკაში აგზავნის, მაგრამ მისი პროდუქციის ნახევარი მხოლოდ დამკვეთისთვისაა ხელმისაწვდომი. ეს კომპანიას განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად აქცევს არა მხოლოდ კლიენტების, არამედ სპეცსამსახურებისთვისაც, პოლიტიკოსებისთვისაც, ჟურნალისტებისთვისაც.** სწორედ RAND-ის სეიფებში ინახებოდა პენტაგონის დოკუმენტები, რომლებიც შემდეგ „ვიეტნამის დოსიეს“ სახელწოდებით გამოქვეყნდა და დიდი სკანდალი გამოიწვია.

ხდებოდა ისეც, რომ „აზრების ფაბრიკები“ ტერორისტების შეტევების ობიექტები ხდებოდა. მაგალითად, 1976 წელს აფეთქებას ემსხვერპლნენ ვაშინგტონის „Institute for Policy Studies (IPS)“-ის თანამშრომლები. ეს კომპანია 1963 წელს შეიქმნა ჯონ კენედის ადმინისტრაციის მრჩევლების, პოლიტოლოგების: მარკუს რასკინისა და რიჩარდ ბარნეტის მიერ. პროექტისათვის ფული გაიღეს უნივერმაღების ქსელმა Sears, Roebuck and Company-მ და ბანკირმა ჯეიმს ბარბურგმა, რომელიც ადრე International Manhattan Company-ს პრეზიდენტი და Bank of Manhattan-ის მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე იყო. თუმცა მის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფინანსური შესაძლებლობები, არამედ ისიც, რომ მას დიდი გავლენა ჰქონდა დემოკრატიული პარტიის უმაღლეს ეშელონებში. იგი პრეზიდენტ რუზველტის მრჩეველი იყო, მეორე მსოფლიო ომის წლებში კი — გენერალ-მაიორი უილიამ დონოვანის სპეციალური თანაშემწე.



ვერბურგმა ყურადღება მაშინ მიიქცია, როდესაც საერთაშორისო საკითხთა სენატის კომიტეტში განაცხადა: „მოგვწონს თუ არა ეს, მსოფლიო მმართველობა მაინც იქნება“.

დღეს მისი ფულით შექმნილი ინსტიტუტი შეიმუშავებს სტრატეგიებს უსაფრთხოების, ომისა და მშვიდობის (ანგარიში „აშშ-ის უშიშროების გაერთიანებული ბიუჯეტი“, რომელშიც აღწერილია ბალანსირებული სამხედრო ხარჯების, სხვა ქვეყნების დახმარების უპირატესობები და შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები), საერთაშორისო პოლიტიკის (პროექტი „ახალი ინტერნაციონალიზმი“. ამოცანა: ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოლიტიკის წარუმატებლობის მიზეზების გამოვლინება და იძულებითი სტაბილურობის ნაცვლად სამართლიანი მსოფლიოსაკენ მიმავალი გზების შეთავაზება), სოციალური სამართლიანობის, სოციალური განვითარების და ეკონომიკის მიმართულებით.

**კვლევითი და პროგრამული მოღვაწეობის გარდა, რომლებიც მიმართულია ამერიკელი ლიბერალების ნაწილის სტრატეგიის ფორმირებისკენ, IPS-ი გავლენას ახდენს როგორც ამერიკელი მემარცხენეების, ასევე ზოგადად ამერიკის პოლიტიკურ ენაზე.**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობაში შედის მოაზროვნე, ლინგვისტი, ფსიქოლოგი და ანარქიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი **ნაომ ხომსკი**. მაგრამ პრაქტიკულად, **ფრაზა „დავაბრუნოთ დემოკრატია“ საყოველთაო დებატების სამყაროში სწორედ IPS-ის სარკმლიდან გამოფარფატდა. ეს იქცა იმ ადამიანების დევიზად, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამერიკამ დაკარგა მსოფლიოში დემოკრატიის საყრდენის ფუნქცია, რადგან, როგორც ზემოხსენებული ორგანიზაციის ერთ-ერთ მოხსენებაში წერია, „ქვეყანა გადადის თავისი გზიდან, როდესაც კარგავს უნარს, დაინახოს, რომ ადამიანების მოთხოვნები და სურვილები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული უსაფრთხოების მუდამ გაუმაძღარი მოსაზრებები“.**

მაშ ასე, RAND და IPS მთავარი „აზრების ფაბრიკებია“ სტრატეგიის ბაზრის კონსერვატიულ და ლიბერალურ სექტორებში. მათ მრავალი კონკურენტი ჰყავთ, რომლებიც კონტრაქტებისა და გავლენისთვის იბრძვიან. და ამ ბრძოლებში ხანდახან ისინი იმარჯვებენ, ვინც ცენტრისტულ პოზიციაზე დგანან, ანუ არ არიან დაკავშირებულნი არც კონსერვატორულ ისტებლიშმენტთან და არც ლიბერალურ გარემოსთან. ეს შესაძლებელს ხდის დაკვეთების მიღებას ხან ძალოსნებისგან და ხანაც პაცეფისტებისგან.

ამგვარ პოზიციებზე მდგარ „აზრების ფაბრიკებს“ შორის მნიშვნელოვანი ფიგურაა ბრუკინგსის ინსტიტუტი, რომელსაც სახელი ამ კომპანიის დამაარსებლის, **მილიარდერ რობერტ ბრუკინგსის** საპატივცემულოდ ჰქვია.

ბრუკინგსმა სახელისუფლო სტრუქტურებისა და მეურნეობების კვლევების მნიშვნელოვნება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში სამხედრო მრეწველობის საბჭოში მუშაობისას დაინახა. **ამ სამუშაომ შთააგონა, შეექმნა კერძო ორგანიზაცია, რომელიც გააანალიზებდა სახელმწიფო პოლიტიკას ნაციონალურ დონეზე, რაც გააკეთა კიდეც.**

მისი ერთ-ერთი პირველი მსხვილი პროექტი იყო რუზველტის ადმინისტრაციასთან კონტრაქტი, რომელიც დიდი დეპრესიის მიზეზების ძებნას ითვალისწინებდა. ამ თემაზე მუშაობა იმით დამთავრდა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გაროლდ მოულტონმა „ახალ კურსს“ შეუტია. მან დაინახა, რომ ეს კურსი აშშ-ის, როგორც თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ქვეყნის აღორძინების შესაძლებლობებისადმი საფრთხეს შეიცავდა.

**ბრუკინგსის ინსტიტუტი ცდილობდა, არ გადაეხვია დევიზისთვის „ხარისხი. დამოუკიდებლობა. დაბანდება“, რაც ზოგჯერ პრობლემების საბაბი ხდებოდა. მაგალითდ, რიჩარდ ნიქსონის მმართველობის პერიოდში ინსტიტუტი პრეზიდენტის მტრების სიაში აღმოჩნდა, ნიქსონის მრჩეველი კი მის გადაწვასაც აპირებდა, ოღონდ კი არეულობაში „მავნე დოკუმენტები“ მოეპარა.**

**ეს უკანასკნელი გეგმა ჩაიშალა და ინსტიტუტი ახლაც ახორციელებს თავის მისიას, რომელსაც ამერიკული დემოკრატიის გაძლიერებაში, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ამაღლებაში, უსაფრთხოებისა და ყველა ამერიკელისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაში, თანამშრომლობაზე დამყარებული საერთაშორისო სისტემის შექმნაში ხედავს.**

„აზრების ფაბრიკები“ სტრატეგიების ბაზარზე მუდამ მოგებულები არიან. საქმე ისაა, რომ სტრატეგიის შემუშავება არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ. ხშირად მისი შემუშავება ბევრით არ უსწრებს წინ მის განხორციელებას, მათი დაწყებული პროექტები კი, შესაძლოა, გაგრძელდეს მანამ, ვიდრე არ დასტულდება ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური განვითარების მთელი ფაზები.

ამგვარი მრავალწლიანი ფაზების მაგალითები უხვადაა აშშ-ის ისტორიაში. მაგალითად, დიდი დეპრესია, ორი მსოფლიო ომი, ომისშემდგომი ბუმი, ომი ვიეტნამში, ცივი ომი, ახალგაზრდული ამბოხი, 70-იანი წლების ენერგეტიკული კრიზისი და ახალი ეკონომიკური კრიზისიც. ხანდახან ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და მათ გადასაჭრელად მუშაობაც სხვადასხვა სფეროს მოიცავს. და „აზრების ფაბრიკების“ კონტრაქტები გრძელდება, რაც სულ ახალ-ახალი ორგანიზაციული, ადამიანური და ინტელექტუალური რესურსების მოზიდვას ითხოვს. **„აზრების ფაბრიკის“ ამოცანა არა მატერიალური შემადგენლების შექმნაა, არამედ იმ პოლიტიკის შექმნა, რომელშიც რაღაც მატერიალური შემადგენლისთვის გამოყენება მოიძებნება.**

**„აზრების ფაბრიკა“ არა მხოლოდ აწარმოებს და ყიდის ცოდნას, არამედ აყალიბებს მასზე დაკვეთასაც. მათ, ერთის მხრივ, კავშირები აქვთ მათთან, ვინც დიდ გადაწყვეტილებებს იღებენ და მათ განხორციელებას მართავენ; მეორე მხრივ კი — მოაზროვნეებსა და კონცეპტუალისტებთან. ისინი იდეებს შეფასებებად, პროგნოზებად, გეგმებად და პოლიტიკური კურსის ვარიანტებად აკონვერტირებენ.** ხშირად ეს გამომყენებლები არიან ეკონომიკური, კორპორატიული და სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებმაც იციან, რომელი ბრძოლის ველზე უნდა გამოიყენონ აზრების ტანკები.

terra-america.ru

### «აზრების ფაბრიკის» ამოცანა არა მატერიალური შემადგენლების შექმნაა, არამედ იმ პოლიტიკის შექმნა, რომელშიც რაღაც მატერიალური შემადგენლისთვის გამოყენება მოიძებნება

RAND CORPORATION



## ვიქტორ ჯაფარიძე: ნაძირალა ხაჩიძისგან განსხვავებით, მე ნათესავების ფასი ვიცი

**„როგორ არ რცხვენია ნაძირალა გოგა ხაჩიძეს ჩემს ნათესავებზე ლაპარაკი!“ — ასე შეაფასა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ვიქტორ ჯაფარიძემ მისი კოლეგის, გოგა ხაჩიძის, განცხადება, თითქოს მესტიაში ყველა ვაკანტურ თანამდებობაზე მისი ახლობლები ინიშნებიან.**

„ნაძირალა გოგა ხაჩიძეს გადაეცით, რომ მესტიაში ჯაფარიძეების 200 ოჯახი ცხოვრობს. მამაჩემს ძმა საერთოდ არ ჰყავდა. დედაჩემს კი მხოლოდ ერთი მკვიდრი ბიძაშვილი ჰყავს. სხვათა შორის, ეს პირი მესტიის პოლიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა და სწორდ გოგა ხაჩიძის მთავრობამ მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლა სამსახურიდან, რომ ჩემი ახლობელი იყო. ეს ნაძირალა გოგა ხაჩიძე იმ ნაძირალა მთავრობის წევრია, რომელმაც ჩემი რძალი, ნელი ნავარიანი, იმიტომ დააკავა, რომ ჩემი მხარდამჭერი და ახლობელი იყო. გოგა ხაჩიძე იმ ნაძირალა მთავრობის წევრია, რომელმაც მესტიაში „ბართლომეს ღამე“ მოაწყო, რომელმაც ჩემი ალალი მამიდაშვილი, 69 წლის კაცი უმიზეზოდ დააპატიმრა. მას არ აქვს უფლება, ილაპარაკოს. მისგან განსხვავებით, მე ჩემი ნათესავების ფასი ვიცი“, — განაცხადა ვიქტორ ჯაფარიძემ და იქვე დასძინა, რომ გოგა ხაჩიძეს საკადრის პასუხს პარლამენტში გასცემს.

მისივე ინფორმაციით, კახა ჟორჟოლიანი, რომელიც მესტიის გამგებელია, მისი ნათესავი კი არა, არამედ მისი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო. როგორც ჯაფარიძემ „თაიმერს“ განუცხადა, ერთადერთი ახლობელი, რომელიც მესტიაში თანამდებობაზეა დანიშნული, მისი დისშვილია.

„ჩემმა დისშვილმა დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრის ხარისხი მიიღო ლატვიაში, არის დოქტორანტი. სხვათა შორის, გადაეცით იმ ნაძირალა ხაჩიძეს, რომ ჩემი დისშვილი მისი ფაშისტი პრეზიდენტის სტიპენდიანტია“, — დასძინა ვიქტორ ჯაფარიძემ.



## ჩერგოლეიშვილმა დათა ახალაიას მანიაკი უწოდა

ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი და უშიშროების საბჭოს მდივნის მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი კუდის ყოფილი უფროსის, დათა ახალაიას მიერ facebook-ით გავრცელებულ გუშინდელ განცხადებას facebook-ის საკუთარ გვერდზე შემდეგი კომენტარით — „სისტემა უნდა დაინგრესო, ამ მანიაკმა“ ეხმაურება.

როგორც ჩერგოლეიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს, ახლა ამის დრო არაა. **„მე ვფიქრობ, რომ ახლა ამის დრო არაა, მაგრამ დათა ახალაია, როგორც ჩანს, არ მეთანხმება“.**

ჩერგოლეიშვილს განათლების მინისტრის მოადგილემ დავით ზურაბიშვილმა შემდეგი წინადადებით უპასუხა: **„ისე, ორმოცდაათ ზურაბიშვილს მირჩევნია ერთი ახალაიაო, რომ ამბობდი — ეგ თუ მანიაკია, მე როგორ ვერ მიტან, ხო აზრზე ხარ?“. „ორმოცდაათი იქნები თუ ასი, რა მნიშვნელობა აქვს დათო?“,** — პასუხობს ჩერგოლეიშვილი.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**11 სექტემბრის საქვეყნოდ ცნობილი გმირი უილიამ როდრიგესი ამ ტერაქტის დროს გადარჩენილთაგან მრავალის მსგავსად დარწმუნებულია, რომ შენობების მართვადი გაცამტვერების მტკიცებულებები ზესაიდუმლო მასალებია. გვამების, საოფისე ავეჯისა და შენობების მასის ნახევრის აორთქლება კი ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ შენობები ააფეთქეს.**

# რა ბედი ეწიათ 9/11-ის გამქრალ მსხვერპლთ



**მსოფლიო სავაჭრო ცენტრის კატასტროფული განადგურებიდან ლამის 12 წლის შემდეგ ქალაქ ნიუ იორკის მმართველობამ, როგორც იქნა, შეიწუხა თავი კითხვით: რა შეიძლებოდა დამართნოდა ტერაქტების შედეგად გამქრალ 1116 ადამიანს?**



ისტორიის მანძილზე ყოველთვის, როდესაც კი ამა თუ იმ მიზეზით შენობების ჩამონგრევა ხდებოდა, ნანგრევების ქვეშიდან დაღუპულთა ყველა ცხედარი მეტ-ნაკლებად მთელი ამოჰქონდათ. როგორც წესი, შენობის ჩამონგრევის შედეგად ადამიანები ნანგრევებში იჭყლიტებიან, მაგრამ არ იფანტებიან წვრილ ნაწილაკებად და მითუმეტეს არ ქრებიან უკვალოდ.

მიუხედავად ამ ჭეშმარიტებისა, 9/11-ის შედეგად ჩამონგრეული შენობების ნანგრევებში სასწაულებრივად გაუჩინარდა ათასზე მეტი ადამიანის გვამი. მიუხედავად მთელი ნანგრევების საგულდაგულოდ გადაქექვისა, ვერ იქნა აღმოჩენილი ამ ათასი ადამიანიდან თუნდაც ერთის კანის ნაგლეჯი, ფრჩხილის ნამტვრევი ან ძვლის ნამსხვრევი.

მაგრამ ეს ერთადერთი საიდუმლო არაა. ცოტა რამ დარჩა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის იმ 1634 ბინადრისგანაც, რომლებიც მთლად უკვალოდ არ გამქრალან. ნაპოვნი და დნმ-ის ანალიზის წყალობით იდენტიფიცირებულ ადამიანთა ნარჩენების დიდ ნაწილს უწვრილესი, მტვრადქცეული ნაწილაკების სახე ჰქონდა და არა მთლიანი ან თუნდაც დასახიჩრებული ცხედრებისა.

მაინც რა დაემართა სამ ათას ადამიანს ტყუპების 110-სართულიანი და სულ რაღაც ათწამიანი გაცამტვერების პროცესში? პასუხი: მათ დაემართათ ის, რაც საოფისე ავეჯს, დოკუმენტების შესანახ კარადებს, ტელეფონებს, კომპიუტერებს და ცათამბჯენებში არსებულ სხვა დანარჩენ ინვენტარს. ვერ იქნა ნაპოვნი ვერც ამ ობიექტების ნარჩენები. ისინი, ისევე, როგორც დახოცილთა სხეულები, 100-მიკრონიანი მტვრის შემადგენლებზე უფრო წვრილი ნაწილაკების ნარევად იქცნენ, რომელიც ნელ-ნელა გაიფანტა ოკეანისკენ და ასევე ნელ-ნელა დაილექა მის ფსკერზე. **როგორც ერთ-ერთმა მძებნელ-მთხრელმა აღნიშნა, საოფისე ინვენტარის ყველაზე მსხვილი ნაწილი, რომელსაც კი კატასტროფის ეპიცენტრში მიაგნეს, ტელეფონის კლავიატურის ნამცეცა ნამსხვრევი იყო.**

მას შემდეგ, რაც მომხდარიდან 11 წელზე მეტი გავიდა, ნიუ იორკის მთავრობამ აღიარა, რომ მომხდარში რაღაც საიდუმლო იმალება. 9/11-ის დროს დაღუპულთა ოჯახებისთვის მიძღვნილ სამახსოვრო ჩანაწერში ნიუიორკელმა ჩინოვნიკმა კეისი ჰოლოუეიმ განაცხადა, რომ 1 აპრილიდან ქალაქის მთავარმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა ფრეშ-კილზის ნაგავსაყრელზე სტატენ-აილენდში დაიწყო მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ნარჩენების ხელახალი გაფილტვრა და რომ ამით ქალაქის მმართველობა 1116 დაკარგული მსხვერპლიდან თუნდც ნაწილის აღმოჩენასა და იდენტიფიცირებას იმედოვნებს.

სამწუხაროდ, რაიმე მნიშვნელოვანის პოვნის ძალზე მცირე შანსია. სხვა თუ არაფერი, ტყუპი ცათამბჯენების ნამსხვრევების მასა მთელი ცათამბჯენების მასის ნახევარს შეადგენს (სხვათა შორის, გაურკვეველია ისიც, თუ სად წავიდა მასის მეორე ნახევარი) და ის უკვე საგულაგულოდ გადათხარეს ტრაგედიის შემდგომ პერიოდშივე.

ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, ეძებონ ნანგრევებში მსხვერპლთა ნაწილები, ძალიან ჰგავს იმას, ჯორჯ ბუშს რომ მუხლებსა და იდაყვებზე დაყრდნობილს იატაკზე ფორთხვით ეძებნა მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც ვერც ამ პოზაში ფორთხვით იპოვეს ერაყში.

**ის, რომ უკვალოდ გაქრა მსხვერპლთა ცხედრები, საოფისე ავეჯი და ტყუპი ცათამბჯენების მასის ნახევარი, მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ცათამბჯენები კი არ ჩამოინგრა, არამედ აფეთქდა. ამით მშვენივრად აიხსნება ის ფაქტიც, რომ, როგორც 2006 წელს აღმოაჩინეს, მეზობელი შენობის — დოიჩე-ბანკის სახურავი მთლიანად მოფენილი იყო ადამიანთა ძვლების უწვრილესი ფრაგმენტებით. უბრალო გრავიტაციულ კოლაფსს, რომელიც საფუძვლად უდევს ოფიციალურ სახელისუფლო დასკვნებს, ადამიანთა ჩონჩხები დაემსხვრია და მეზობელი შენობების სახურავებზე გაეტყორცნა.**

9/11-ის მსხვერპლთა ოჯახების წევრების უმეტესობას სჯერა, რომ იმ საბედისწერო დღეს ტყუპი ცათამბჯენები ნამსხვრევებად ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებამ აქცია. რობერტ მაკილვეინი, რომლის შვილიც ამ ტერაქტს შეეწირა, ირწმუნება, რომ დაღუპულთა ოჯახების წევრთა დაახლოებით ნახევარი დარწმუნებულია: ცათამბჯენები აფეთქებულ იქნა სხვათა დროშის ქვეშ მიმდინარე ტერაქტის მომენტში. **11 სექტემბრის საქვეყნოდ ცნობილი გმირი უილიამ როდრიგესი ამ ტერაქტის დროს გადარჩენილთაგან მრავალის მსგავსად დარწმუნებულია, რომ შენობების მართვადი გაცამტვერების მტკიცებულებები ზესაიდუმლო მასალებია. გვამების, საოფისე ავეჯისა და შენობების მასის ნახევრის აორთქლება კი ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ შენობები ააფეთქეს.**

**ჩამონგრეული შენობების ნანგრევებში სასწაულებრივად გაუჩინარდა ათასზე მეტი ადამიანის გვამი. მიუხედავად მთელი ნანგრევების საგულდაგულოდ გადაქექვისა, ვერ იქნა აღმოჩენილი ამ ათასი ადამიანიდან თუნდაც ერთის კანის ნაგლეჯი, ფრჩხილის ნამტვრევი ან ძვლის ნამსხვრევი**

სხვათა შორის, ტერაქტის შედეგად მხოლოდ დაღუპულები და შენობის ნახევარი არ გამქრალა, სხვა მნიშვნელოვანი მაგრამ სასწაულებრივად გამქრალი სამხილების ჩამონათვალი უფრო გრძელია. მაგალითად, გაქრა ამერიკის ხელისუფლების 80-ზე მეტი ვიდეო, რომლებზეც აღბეჭდილი იყო პენტაგონზე დარტყმის მომენტი და რომელთაგან ზოგიერთი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ტერაქტიდან ორიოდ წამში „ამოიღოს“. გამოქვეყნდა მხოლოდ რამდენიმე კადრი, რომლებზეც ჩანს მხოლოდ პენტაგონის აფეთქება, მაგრამ არ ჩანს უზარმაზარი ავიალაინერი.

**საერთოდ გაქრა 100 ათასი კილოგრამი წონის სამგზავრო ბოინგ-757, რომელიც, როგორც მიიჩნევენ, პენტაგონს შეეჯახა. ამ 100-ტონიანი ლაინერის ნამსხვრევები არსად ჩანს, ცხადია, აორთქლდა თვითმფრინავის ბარგიცა და მგზავრების ცხედრებიც, მათი კვალი არსად გამოჩენილა პენტაგონის იმ სამი ზონის გასუფთავებისას, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ სამიზნეებად იქცნენ.**

არსად ჩანს თავად 100-ტონიანი ბოინგიც, რომელიც თითქოსდა მცირე სიღრმის კრატერის რბილ გრუნტში ჩაეფლო პენსილვანიის შენკსვილში. არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ვარდნის სავარაუდო ადგილას მიწიდან ამოიღეს ლაინერის ნამსხვრევები და ის, რაც მგზავრებისა და მათი ტვირთისგან დარჩა.

ავიახაზებს არ გააჩნიათ მგზავრთა ოფიციალური სია, უსაფრთხოების კამერების ჩანაწერები, ბილეთების ყუები ან ავიახაზების თანამშრომელთა ჩვენებები, რითაც დადასტურდებოდა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტებში ბრალდებული 19 ახალგაზრდა არაბი ნამდვილად იყვნენ ამ თვითმფრინავში.



არ არსებობს ფედერალური საავიაციო სააგენტოს პირადი შემადგენლობის აუდიოჩანაწერები, რომლებშიც ისინი ერთმანეთს 11 სექტემბრის მოვლენების შესახებ ამცნობენ. ეს ჩანაწერები დაუყოვნებლივ იქნა ამოღებული სააგენტოს ინსპექტორების მიერ, რომლებმაც მასალები წვრილად დაკუწეს და ერთმანეთისგან შორიშორს მდგომ სანაგვეებში ჩაყარეს.

**არ არსებობს იმ თვითმფრინავების „შავი ყუთების“ ჩანაწერები, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობებს შეეჯახნენ. ამერიკის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ფრენის შესახებ ინფორმაციის ფიქსაციის ეს მოწყობილობები საერთოდ ვერსად იპოვნეს, მაგრამ ვიდრე ამ მითს შეთხზავდნენ, პირველ განცხადებებში ნათქვამი იყო, რომ „შავი ყუთები“ იპოვეს და გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა წაიღეს.**

არ არსებობს ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომელსაც ხელისუფლება იშველიებს — ხანგრძლივი წამების და 9/11-ის გონებრივად ჩამორჩენილი სულის ჩამდგმელის — აბუ ზუბეიდისა და მისი „მომხრეების“ მიერ სცენარის შესაბამისი ცრუ ჩვენების დაწერის ამსახველი აუდიო და ვიდეო მასალა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აღიარებს, რომ ეს ჩანაწერები უკანონოდ გაანადგურა. სამაგიეროდ, მათ შესახებ ანონიმური ცნობები მოდის 11 სექტემბრის ტერაქტების შემსწავლელ კომისიაში და ეს არის ერთადერთი სამხილი თვითმფრინავების 19 გამტაცებლის შესახებ შეთხზული ვერსიის გასამართლებლად.

არ არსებობს თუნდაც სიმართლესთან ოდნავ მიახლოებული და ნამუსიანი განმარტება იმისა, რომ სამხედრო საჰაერო ძალებმა ნაადრევად გაავრცელეს ცნობა სავაჭრო ცენტრის მე-7 შენობის ნგრევის შესახებ. ასევე არავის განუმარტავს ლარი სილვერსტაინის აღიარება იმის თაობაზე, რომ მან გაანადგურა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მეშვიდე შენობა და ამას ცალსახად კონტროლირებადი ხასიათი ჰქონდა.

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში მტკიცებულებების არარსებობა დანაშაულის მტკიცებულებაა. ეს ეხება 1116 გაუჩინარებულ ადამიანსაც.

აშშ-ის ხელისუფლება ახლა ლეგიტიმურობის სრულ არარსებობას ეჯახება.

mixednews.ru

**ამერიკაში წელს ხარჯები 85 მილიარდი დოლარით უნდა შემცირდეს, შემდეგ კი 2021 წლამდე ყოველწლიურად 104 მილიარდი დოლარით შემცირდება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტრუქტურული კრიზისი — სასოწარკვეთილი კაპიტალიზმი ხსნას მარქსისგან ელის



**უკანასკნელი წლების მოვლენათა თითქმის ფანტასმაგორიულმა დინებამ შეძრა მსოფლიო საზოგადოება. მსოფლიო სივრცეში მოთამაშეებმა თითქოს როლები გაცვალეს: ჩაქრა სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიო ლიდერის, ამერიკის, ვარსკვლავი — ქვეყანა ახლა მსოფლიოში უდიდესი მოვალეა, რომელსაც კისერზე ლოდივით ჰკიდია ყველა შესაძლო დეფიციტი, წარმოუდგენლად მაღალი ქრონიკული უმუშევრობა, სოციალური უთანასწორობის გამწვავებული ტენდენციები, ლამის ჩარეცხილი საშუალო ფენა და დეფოლტის ზღვარზე მდგარი ფისკალური გარღვევა.**




ამ ყველაფერმა დასაბამი მისცა მრავალრიცხოვან დისკუსიებს კაპიტალიზმის შემდგომ ბედთან დაკავშირებით და ამ დისკუსიებს ისეთი წამყვანი გამოცემები შეუერთდნენ, როგორებიც არიან „Financial Times“, „Bloomberg Businessweek“, „The Wall Street Journal“ და სხვები. უნდა აღინიშნოს, რომ „Financial Times“-მა ამ თემისთვის მიძღვნილი სტატიების ციკლი დაიწყო რუბრიკით „კაპიტალიზმის მომავალი“, სამი წლის შემდეგ კი რუბრიკა „კაპიტალიზმის კრიზისად“ გადააკეთა. თუმცა ამ სტატიების უმეტესობა არც ანალიზის სიღრმით გამოირჩევა და არც თავად კრიზისის სტრუქტურული ხასიათის აღიარებით, რაც სულაც არაა გასაკვირი, რადგან ავტორთაგან მრავალს ცოტა ხნის წინ მაღალი თანამდებობა ეკავა ამერიკისა და ბრიტანეთის სახელმწიფო ფინანსურ სისტემაში და თავადაც მონაწილეობდნენ მსოფლიო კრიზისის გაჩენის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ავტორები პერიოდულად აქვეყნებენ ხელისუფლებების მიერ დაშვებული შეცდომებისა და კაპიტალიზმის გადარჩენისთვის საჭირო ზომების ჩამონათვალს, როგორც ჩანს, არ აქვთ იმედი, რომ მათ რჩევებს ვინმე გაითვალისწინებს და ბოლოს იმით ინუგეშებენ თავს, რომ კაპიტალიზმს თანდაყოლილი მოქნილობა ახასიათებს, კრიზისი კი თავად დაიძლევა, რადგან კაპიტალიზმი „კაცობრიობის ყველაზე ბრწყინვალე ქმნილებაა“.

სხვათა შორის, 2012 წელს დავოსში გამართულ ფორუმზე კაპიტალიზმის კრიზისის თემამ პირველად გადაფარა გლობალიზაციის მიერ მსოფლიო ხალხთათვის მოტანილი სიკეთეების აღწერა. როგორც ბრიტანელმა პარლამენტარმა და ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ედმილიბდენმა მოგვიანებით აღნიშნა, დავოსში ამ ფორუმისათვის უჩვეულო თემა განიხილეს: შეესაბამება თუ არა XX საუკუნის კაპიტალიზმი XXI საუკუნის საზოგადოებას. მისი აზრით, ამ კითხვაზე პასუხი იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც ის, გაბედავენ თუ ვერა პოლიტიკოსები, რომ გამოწვევა ესროლონ არსებულ მანკიერ ეკონომიკურ მოდელს.

გაჩაღებულ დისკუსიაში ჩაერთო ცნობილი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანიც, რომელმაც ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორ რიჩარდ ლეიარდთან ერთად Financial Times-ში „საღი აზრის მანიფესტი“ გამოაქვეყნა. ამ სტატიაში ავტორები შეეცადნენ, გულახდილი და მართალი პასუხი გაეცათ კრიზისის არსისა და მის გაჩენის მიზეზების შესახებ კითხვებზე. კრუგმანმა ამ ყველაფერზე საკუთარ წიგნში „ლიბერალის კრედო“ ისაუბრა და დამაჯერებლად გააკრიტიკა აშშ-ის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარი მრავალი სტრუქტურული ცვლილება. დასკვნა ასეთი იყო: უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე ამერიკა დაუბრუნდა უთანასწორობის იმ მაჩვენებელს, რომელიც ადრეული ინდუსტრიალიზმის ყველაზე ცუდ წლებში იყო, ეკონომიკური ზრდის სიკეთეებით ისარგებლეს მხოლოდ მდიდარი უმცირესობის წარმომადგენლებმა. მანიფესტის მთავარი თემაა იმ ტანდემის კრიტიკა, რომელიც ატლანტიკის ორივე მხარეს გამოიხატება მსხვილი ბიზნესისა და ხელისუფლების კავშირებში, მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის გატარებაში ინვესტიციების, დეფიციტისა და ვალების შემცირების ხარჯზე.

ზოგიერთმა კომენტატორმა მოახერხა, ისე მიეღო მონაწილეობა დისკუსიაში, რომ ფაქტობრივად არაფერი ეთქვა კაპიტალიზმის იმ სტრუქტურულ კრიზისზე, რომელიც დღეს ვითარდება. ამ საკვანძო საკითხისთვის ცუდად შენიღბული თავის არიდების მაგალითი გახდა ჯონ კეის სტატია სათაურით „როდესაც კაპიტალიზმი და კორპორატიული ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგო ხდება“. ავტორმა პრაქტიკულად მთელი მსჯელობა დაიყვანა „კრეატიული დესტრუქციის“ თეზისამდე, რომელიც მონოპოლიის აპოლოგეტმა ეკონომისტმა ჯოზეფ შუმპეტერმა წამოაყენა.

სხვათა შორის, **დღეს მრავალ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში კვლავ მოდაში შემოვიდა კარლ მარქსი. თვით ჟურნალმა BLOOMBERG BUSINESSWEEK-მაც კი ერთ-ერთ ნომერში მის მემკვიდრეობას ორგვერდიანი სტატია მიუძღვნა და თანამედროვე კოსტიუმში გამოწყობილი კარლ მარქსის პორტრეტიც დაბეჭდა.** მაგრამ იმისათვის, რომ მკითხველს რედაქციის პოზიციასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვები არ გასჩენოდა, სტატიას ახლდა ეპიგრაფი: **„ეკონომიკურმა კრიზისმა ფილოსოფოსის იდეები კვლავ აქტუალური გახადა, მაგრამ მსოფლიოს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მარქსი ცდებოდა“.** სტატიის ავტორმა სწორედ იმით დაიწყო, რომ მარქსის მთავარი წინასწარმეტყველება არ ასრულდა — არ ყოფილა პროლეტარიატის არანაირი დიქტატურა. მარქსი დიდი პოლიტეკონომი იყო, მაგრამ უფრო ადრე გარდაიცვალა, ვიდრე კაპიტალიზმი თავის მონოპოლიურ, მით უფრო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ფაზაში შევიდოდა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, **სტატიის ავტორი აღიარებს, რომ მარქსს დღეს თაყვანისმცემელთა ახალი კოჰორტა ჰყავს, მაგალითად ვატიკანის ოფიციოზმა L'Osservatore Romano-ში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სოციალური უთანასწორობის მარქსისეული ანალიზი ადიდა. Bloomberg Businessweek-მა კი საბოლოოდ დაასკვნა: სულაც არაა აუცილებელი ჩე გევარას გამოსახულებიანი მაისურის ჩაცმა და „მაკდონალდსისათვის“ ქვების სროლა იმის აღიარებისთვის, რომ თანამედროვეობის წინაშე მდგარი გამოწვევების დასაძლევად მარქსის იდეები შესწავლას და, შესაძლოა, გამოყენებასაც კი იმსახურებს.** კაპიტალიზმის მრავალი მომხრე აკეთებდა ამას: წარსულში — ჯოზეფ შუმპეტერი, ახლა — ნიუ იორკის უნივერსიტეტის ეკონომისტი ნურიელ რუბინი ან უმსხვილესი შვეიცარიული ბანკის „UBS“-ის ლონდონური განყოფილების მთავარი ეკონომიკური მრჩეველი ჯორჯ მაგნუსი.

**svom**

# ამერიკა: ქამრების შემოჭერა გრძელდება

**აშშ-ის ბიუჯეტის სეკვესტრის გამო გაუქმდა ალიასკაზე მეორე სამხედრო სწავლებები, მაგრამ ეკონომიის ზომები მხოლოდ სამხედროებს არ ეხებათ, მან მოიცვა პროგრამები და პროექტები, რომელთაც არმიასა და ფლოტთან არანაირი შეხება არ აქვს. ხარჯების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, ხელისუფლება ციხეებიდან უშვებს პატიმრებს და თეთრ სახლში ექსკურსიებსაც კი აუქმებს.**




ტაქტიკური სწავლებები „ჩრდილოეთი მხარე“, რომელიც ყოველ ორ წელიწადში იმართებოდა ალიასკაში, ხარჯების იძულებითი შემცირების გამო გაუქმდა. სწავლებები ტარდებოდა სამხედროების მოსამზადებლად რეალური საბრძოლო დავალებების შესრულების მიზნით, მათ შორის კრიზისებზე სწრაფი რეაგირებისთვის. მაგრამ ვინაიდან ეს სწავლებები კვლავაც რჩება აშშ-ის ინტერესების დაცვის „განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილად“, ალიასკაზე სამხედრო სარდლობა იმედოვნებს, რომ საბიუჯეტო პრობლემების გადაჭრისთანავე ის კვლავ აღდგება.

მანამდე პენტაგონმა უფულობის გამო გააუქმა აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების სწავლებები „წითელი დროშა“.

საქმე ისაა, რომ 1 მარტიდან ძალაში შევიდა ფედერალური ბიუჯეტის სეკვესტრის შესახებ გადაწყვეტილება. **ამერიკაში წელს ხარჯები 85 მილიარდი დოლარით უნდა შემცირდეს, შემდეგ კი 2021 წლამდე ყოველწლიურად 104 მილიარდი დოლარით შემცირდება.**

**სეკვესტი აშშ-ს აიძულებს, შეკვეცოს სამხედრო ხარჯები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც, პენტაგონის დაფინანსება კი უპრეცენდენტოდ შეიკვეცება. მხოლოდ მიმდინარე წელს ეს შეკვეცა 41 მილიარდ დოლარს მოიცავს, არმია შემცირდება მეორე მსოფლიო ომის დონემდე, სამხედრო-საზღვაო ფლოტს კი მხოლოდ 230 გემი დარჩება, ანუ იმდენივე, რამდენიც 1915 წელს ჰქონდა.** შეწყდება ორი ავიამზიდის სარემონტო სამუშაოები, გაუქმდება ახალი საბრძოლო გემების შეკვეთები. სამხედრო საჰაერო ძალები გადადებს საბრძოლო მანქანების კაპიტალურ რემონტს, შეჩერდება უხილავი გამანადგურებლის და ახალი სტრატეგიული ბომბდამშენების პროექტებზე მუშაობა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა უკვე გამოაცხადა, რომ სეკვესტრი „უკვე ახდენს დამანგრეველ გავლენას აშშ-ის სამხედრო ძალების მზაობაზე. სამხედრო უწყებებმა შეამცირეს ოფიციალური ვიზიტები, სამხედრო ობიექტების დაფინანსება, ახალი თანამშრომლების მიღება კი საერთოდ შეწყდა. **ათასობით სამოქალაქო თანამშრომელი უხელფასო შვებულებაში წავა,** მინისტრის განცხადებით, შემცირება მნიშვნელოვნად იმოქმედებს სამხედროების მომზადებაზე.

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხარჯები 2,6 მილიარდით შემცირდება.** მნიშვნელოვნად დაზარალდება ამერიკის საგარეო პოლიტიკის ბერკეტებიც. **გამოძიების ფედერალური ბიუროს ხარჯები 550 მილიონი დოლარით მცირდება,** თანამშრომლებს უხელფასო შვებულებები ელით, გადაიდო მონაცემთა ბაზის მოდერნიზაცია და დღის წესრიგიდან ამოიშალა თვალთვალის უახლესი საშუალებების შეძენა.

**15 ივნისიდან ქვეყანაში იკეტება 149 საკონტროლო-გამშვები პუნქტი.**

ხარჯების შემცირება კიდევ უფრო მძიმე იქნება შტატების დონეზე. **ოჰაიო დაკარგავს განათლების სუბსიდირებიდან 25,1 მილიონ დოლარს, რაც 350 მასწავლებლის განთავისუფლებას განაპირობებს. ჯორჯიის შტატი ვაქცინაციაზე უარს ეტყვის 4180 ბავშვს, ტეხასში უხელფასო შვებულებაში გავა თავდაცვის სამინისტროს 52 ათასი სამოქალაქო თანამშრომელი.**

სრულად ან ნაწილობრივ დაიკეტება 398 ეროვნული პარკი, შემცირდება სამეცნიერო და კვლევითი პროგრამების დაფინანსება.

**vz.ru**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გერბერტ უელსი:**
**მე არასოდეს შევხვედრივარ უფრო გულწრფელ, წესიერ, პატიოსან ადამიანს. მასში არაფერია შავი და ბოროტი. სწორედ ამ თვისებებით უნდა აიხსნას მისი უზარმაზარი ძალაუფლება რუსეთში.**




## ტელეკომპანია HTB-ს ფილმის საგაზეთო ვარიანტი

# სტალინი ჩვენთანაა

**იგი იყო ადამიანი, რომელმაც ათწლეულობით წინასწარ განსაზღვრა ქვეყნის ბედი. ის იყო ლიდერი, რომელმაც თანამედროვე ევროპის სახე შექმნა. მისი სახელი დაუკავშირეს სასტიკ დანაშაულობებს და დიად გამარჯვებებს. მისი ადგილი ისტორიაში ამოშალეს, მისი პიროვნება მითების გალავნით შემორკალეს, რომლის იქით რეალობა დაიკარგა.**
**ფილმის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ მათი ნაწარმოები არ უნდა ნახონ იმათ, ვისაც სტალინი ყველა დროისა და ყველა ხალხის გენიად მიაჩნიათ, არც იმათ, ვისაც იგი ჯოჯოხეთის მოციქული ჰგონიათ. ეს ფილმი არის მცდელობა ბელადის ისეთად წარმოჩენის, როგორიც სინამდვილეში იყო, შავ-თეთრი მითების გარეშე. რატომაა იგი დღემდე ჩვენთან და ზოგიერთებს დღესაც მის თაყვანისმცემლებად მოაქცევს, სხვებში კი სიძულვილს იწვევს? ამ კითხვებზეც იპოვით პასუხებს HTB-ს მრავალსერიან მონათხრობში.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-12 (197-199)





### მეორე სერია (მესამე ნაწილი)

ფანტასტი გერბერტ უელსი თავის დროზე ლენინს კრემლში ეწვია და მას კრემლის მეოცნებე უწოდა, დაწერა წიგნი „რუსეთი უკუნეთში“. უელსი 1934 წელს კვლავ ჩავიდა მოსკოვში:

— ვაღიარებ, რომ სტალინს ერთგვარი ეჭვით ვუდგებოდი და აკვიატებული აზრით ვაფასებდი. მის შესახებ ჩამოყალიბებული მქონდა აზრი, როგორც უკიდურესად ფრთხილ, თავის თავში ჩაკეტილ ფანატიკოსზე, დესპოტზე, ძალაუფლების შურიან და ეჭვიან მონოპოლიზატორზე. მეგონა, რომ შევხვდებოდი შეუბრალებელ და მკაცრ დოქტრინიორს, თვითკმაყოფილ ქართველ მებრძოლს, რომლის სული არასოდეს სრულად არ ამოსხლეტილა მშობლიური მთების ხეობებიდან.

ყველა მოარული ხმა, ყველა ეჭვი სამუდამოდ გამიქრა რამდენიმე წუთით მასთან საუბრის შემდეგ.

მე არასოდეს შევხვედრივარ უფრო გულწრფელ, წესიერ, პატიოსან ადამიანს. მასში არაფერია შავი და ბოროტი. სწორედ ამ თვისებებით უნდა აიხსნას მისი უზარმაზარი ძალაუფლება რუსეთში.



ბრიტანელი ინტელექტუალი, მსოფლიოში ცნობილი მწერალი და სასწავლებლიდან გარიცხული სემინარიელი საუბრობენ როგორც თანასწორნი. ეს იმდენად თვალშისაცემია, რომ ხანდაზმული უელსი, მას დასაკარგი არაფერი აქვს, საუბარს გულწრფელი აღიარებით ამთავრებს:

— ამჟამად მსოფლიოში მხოლოდ ორი პიროვნებაა, ვის აზრსაც ანგარიშს უწევენ მილიონები: თქვენ და რუზველტი. მე ჯერ არ შემიძლია იმის შეფასება, რაც თქვენს ქვეყანაში გააკეთეთ, მაგრამ მე უკვე ვნახე ჯანმრთელი ადამიანების ბედნიერი სახეები. ოციან წლებთან შედარებით კონტრასტი საოცარია.

სტალინი ცვლის საგარეო პოლიტიკასაც. წარსული კონფრონტაციისა და მსოფლიო რევოლუციისათვის ბრძოლის გაგრძელების ლოზუნგის ნაცვლად, იგი მინიმუმამდე ამცირებს კომინტერნის გავლენას, საბჭოთა კავშირი ერთა ლიგაში შეჰყავს და ხელს აწერს ანტიგერმანულ თავდაცვით შეთანხმებებს საფრანგეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან.

პირველი ხუთწლედების წარმატებებისა და ჩავარდნების ტალღაზე სტალინი ახერხებს ახალი კონსტიტუციის მიღებას, სადაც სიტყვაც არ არის თქმული მსოფლიო რევოლუციაზე, სამაგიეროდ ჩამოყალიბებულია საყოველთაო, ფარული და ალტერნატიული არჩევნების პრინციპულად ახალი სისტემა.

**იური ჟუკოვი,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, წიგნის „სხვანაირი სტალინი“ ავტორი:**



— საჭირონი იყვნენ განათლებული ხელმძღვანელები. არითმეტიკის უცოდინარი ადამიანი ვერ უხელმძღვანელებდა მშენებლობას, მით უფრო, მშენებლობის დამთავრების შემდეგ ვერ გააკონტროლებდა ისეთ მძლავრ საწარმოებს, რომლებიც მაშინ მწყობრში დგებოდა. სტალინს ესმოდა, რომ ეს არ იყო ამ ადამიანების ბრალი, რომლებიც ხელისუფლების საშუალო დონეებზე მოხვდნენ. სწორედ ამ დროს. ომის წინ ავიდნენ უმაღლეს საფეხურებზე კოსიგინი, უსტინოვი და სხვები — ახალგაზრდები უმაღლესი ტექნიკური განათლების დიპლომებით. ალტერნატიული არჩევნები შეიძლება გამხდარიყო ხანდაზმულთა წასვლის უსისხლო გზა, იმ ადამიანების, რომელთაც აღარ შეეძლოთ ეხელმძღვანელათ, გაძღოლოდნენ ახალ, დიდ საქმეებს.



ოცდაათიანი წლების შუაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაუბრუნდათ ე. წ. ლიშენცებს, კლასობრივი პრინციპით საარჩევნო ხმაჩამორთმეულ ადამიანებს. ახალმა კონსტიტუციამ ყველა საბჭოთა მოქალაქე თანაბარი უფლებებით აღჭურვა: მათ შეუძლიათ აირჩიონ და იყვნენ არჩეულები. უწინ მუშის ერთი ხმა სამი გლეხის ხმას უდრიდა. ახლა ყველა თანასწორია — ყოფილი თავადიდან უბრალო კოლმეურნემდე. უწინ ხმას შეკრებებზე ხელის აწევით აძლევდნენ, ახლა — ურნებში ჩაყრილი ბიულეტენებით.



მაგრამ ამ მომენტისთვის უკვე შედგენილია დასახვრეტთა სიები.

რა მოხდა?

დავუბრუნდეთ 1935 წლის დასაწყისს. ამ დროისთვის ჯერ არავინ იცის, როგორ დამთავრდება ყველაფერი.

კიროვის მკვლელობისთვის დახვრეტენ ნიკოლაევს და იმათ, ვინც მასთან ოდესმე იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ასამდე ადამიანს, დახვრეტენ ნიკოლაევის ქარაფშუტა ცოლს — მილდა ბრაულეს.

ზინოვიევს და კამენევს, რომელთა გავლენაზეც მიუთითებდა ნიკოლაევი, 10-10 წელიწადი აქვთ მისჯილი. სტალინი დასახვრეტად ვერ იმეტებს ყოფილ ამხანაგებს. ისინი კი მონდომებითა და სიამოვნებით აბეზღებენ ერთმანეთს.



### ზინოვიევის დაკითხვის ოქმიდან, 1935 წელი

გამომძიებელი ეკითხება ზინოვიევს:

— მოდით, დავუბრუნდეთ ჩემს შეკითხვას კამენევის შესახებ.

— კამენევი ჩემზე ნაკლებად როდი იყო მტრულად განწყობილი ხელმძღვანელობის მიმართ... კამენევს ეკუთვნის ფრთიანი ფორმულირება, რომ მარქსიზმი ამჟამად არის ის, როგორიც სურს სტალინს. ტროცკის მოწოდება სტალინისადმი ოპოზიციური დამოკიდებულების შესახებ, შეიძლება გავიგოთ, როგორც მოწოდება ტერორისადმი. ჩემი და კამენევის კონტრრევოლუციური საუბრები, რომლებსაც ვაწარმოებდით მისი ძმის — როზენფელდის თანდასწრებით, ეთანაბრებოდა სტალინის ფიზიკურად მოსპობას.

ზინოვიევი ციხიდან აღიარებით წერილებს ამაღლებულ სტილში წერს. მას და კამენევს მიაჩნიათ, რომ ისინი კვლავ გუნდში არიან:



— მე იქამდე მივდივარ, რომ დიდხანს, დაკვირვებით ვუცქერ თქვენსა და პოლიტბიუროს წევრების პორტრეტებს გაზეთებში და ვფიქრობ: ძვირფასებო, ჩაიხედეთ ჩემს სულში. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მე თქვენი მტერი აღარ ვარ, რომ თქვენი ვარ სულით და ხორცით, რომ მე ყველაფერი შევიგნე და მზად ვარ, გავაკეთო ყველაფერი, რათა დავიმსახურო თქვენი პატიება და შეწყნარება.

ზინოვიევი ციხეში თავისი წიგნის ასობით გვერდს წერს. წიგნის სახელწოდებაა „დამსახურებული განაჩენი“. თუმცა მისი მკითხველების წრე კრემლის კედლებს არ გასცდება.

ზინოვიევსა და კამენევს მალე დახვრეტენ.



სასამართლო პროცესზე ისინი დაასახელებენ ბუხარინის, სტალინის ძველი მეგობრის გვარს, რომელსაც, მცირეთა მსგავსად, უფლება ჰქონდა, შენობით მიემართა სტალინისთვის. ბუხარინი სტალინს ტროცკის დამარცხებაში ეხმარებოდა, მაგრამ ოციანი წლების ბოლოს მათი გზები გაიყარა. ბუხარინმა სტალინის კოლექტივიზაციას ავანტიურა უწოდა და მიიჩნია, რომ დაჩქარებული ინდუსტრიაც საჭირო არ არის.



ხელისუფლებისთვის ბრძოლა რომ გააქტიურდა, სტალინი შერისხულ ბუხარინს პარიზში მივლინებით გააგზავნის კარლ მარქსის ბიბლიოთეკის საყიდლად. თანაც გააგზავნეს ახალგაზრდა, 16 წლის ცოლთან ერთად — 47 წლის მგზნებარე ბოლშევიკი ბუხარინი ვერ დაელოდა ამ გოგონას სრულწლოვანებას, ვერ მოითმინა.

იმ პერიოდში საბჭოთა კავშირიდან არავინ არასოდეს ცოლთან ერთად საზღვარგარეთ მივლინებით არ გაუგზავნიათ. სტალინი თითქოს მიანიშნებს — არ დაბრუნდე!

მაგრამ ბუხარინი მზადაა, უცოლოდაც გაემგზავროს პარიზში, იქ მარტოც შეძლებს კარგი დროის გატარებას.




— მე გთავაზობ, გადაწყვეტილება შენი მისაღებია, — ეუბნება სტალინი ბუხარინს და დასძენს, — დასანანია, რომ ჩვენ ერთმანეთს ველარ ვუგებთ.

ბუხარინი მალე ბრუნდება პარიზიდან და ვოროშილოვს გასამართლებული კამენევის შესახებ მიწერს: ადამიანებს შორის უსაზიზღრესია, მძორია.

ერთი წლის შემდეგ, როცა მეორე პროცესზე კამენევსა და ზინოვიევს დახვრეტას მიუსჯიან, ბუხარინი დაწერს: ძაღლების დახვრეტით საშინლად გახარებული ვარ!

მან იცის, რომ პროცესზე მისი გვარიც ამოტივტივდა.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახალხო კომისრის პირადი ქონების აღწერა 150 პუნქტზე მეტს შეიცავს და წარმოდგენილია ფუფუნების ნივთების, ძვირფასი ტანსაცმლის, ანტიკვარიატის სახით. აქვეა დიდი რაოდენობით ნაღდი ფული და შემნახველი სალა როს წიგნაკები, პორნოგრაფიული ფოტოების კოლექცია — 1409 ცალი, უცხოური პრეზერვატივები — 115 ცალი, თერთმეტი პორნოგრაფიული ფილმი.




**ნიკოლაი ბუხარინი:** „კამენევსა და ზინოვიევს სურდათ ხელისუფლება, ისინი მიიწევდნენ ხელისუფლებისკენ. მე საშინლად ვისწრაფოდი ხელისუფლებისკენ?! რას ამბობთ, ამხანაგებო! მე ყოველთვის, უკანასკნელ წუთამდე ვიდგები ჩვენი პარტიის დასაცავად, ჩვენი ხელმძღვანელობის, სტალინის დასაცავად! მე არ ვამბობდი, რომ საშინლად მიყვარს სტალინი 1928 წელს. ახლა კი ვამბობ, სულითა და გულით მიყვარს!“

ძველ მეგობარს ეს მონანიება ვერ უშველის, მიუხედავად იმისა, რომ სტალინი პლენუმზე დაჟინებით მოითხოვს, ბუხარინის ხანგრძლივი ვადით გადასახლებისთვის ღიად ეყარათ კენჭი. უმრავლესობა დახვრეტის მუხლს დაუჭერს მხარს.

1937 წელს იგი აღიარებს დანაშაულს და სტალინს სულისშემძვრელ წერილს მისწერს:



— მიმაჩნია, რომ დასჯილი ვარ იმ წლებისთვის, როცა ნამდვილად გებრძოდი. თუ გსურს იცოდე, ყველაზე უფრო მთრგუნავს ის ფაქტი, რომელიც შენ შეიძლება დაგავიწყდა კიდეც. ერთხელ, ალბათ, 1928 წლის ზაფხულში, შენთან ვიყავი და შენ მითხარი:

— იცი, რატომ ვმეგობრობ შენთან? შენ არ ძალგიძს ინტრიგა.

მე გიპასუხე, რომ ასეა.

ამ დროს კი მე დავრბოდი კამენევთან...

გინდა, დაიჯერე, გინდა, ნუ დაიჯერებ, რომ ეს ფაქტი თავში მიდევს როგორც იუდეველის პირველქმნილი ცოდვა. ღმერთო ჩემო, რა სულელი ვიყავი! ახლა კი პასუხს ვაგებ ჩემი ღირსებითა და მთელი სიცოცხლით.

ამისთვის მაპატიე, კობა!

ვწერ და ვტირი.

მე უკვე აღარაფერი მჭირდება. შენ თვითონ იცი, რომ უფრო ვიუარესებ მდგომარეობას ამ ყველაფრის დაწერით. მაგრამ არ შემიძლია გავჩუმდე და არ გითხრა უკანასკნელი მშვიდობით!..




ძველი ბოლშევიკების ამ ბრძოლაში დანდობას ადგილი არ აქვს. ამ ბრძოლაში ყველაზე ძველი და ყველაზე ახლობელი ადამიანების გვარები ფიგურირებს.

ბუხარინი, რომელსაც ეკუთვნის ფრაზა — რევოლუციაში პირველი იმარჯვებს ის, ვინც მეორეს თავს გაუხეთქავს, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ლენინის მემკვიდრე ალექსეი რიკოვთან ერთად დაიხვრიტება.

მანამდე კი, სამი წლით ადრე, კრემლში გაიმართება ჩუმი საუბარი, რომელსაც დიდი ხმაური მოჰყვება.

1935 წელი. მოსკოვი კრემლი.



დამლაგებელი კონსტანტინოვა, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, ხვეტავს ხელისუფლების დერეფნებში დაგებულ ნოხებს, მომსახურების სათავსოში კოლეგა ავდეევას ესაუბრება.

პატაკებში, რომლებიც არქივებში ინახება, ეს დიალოგები სიტყვასიტყვითაა დაფიქსირებული.

— ამხანაგი სტალინი კარგად ჭამს, მუშაობით კი ცოტას მუშაობს. მის ნაცვლად სხვები მუშაობენ, ამიტომაც არის ასეთი მსუქანი. მოსამსახურეებიც ჰყავს და ყოველგვარი სიამოვნებაც აქვს.

— სტალინმა თავისი ცოლი მოკლა. რუსი არ არის. სომეხია თუ ვიღაცა. ძალიან საშიშია, ყველას ცუდი თვალით უყურებს. ყველა კი მას ემსახურება: ერთი კარს უხსნის, მეორე წყალს აწვდის.

ასე ჭორიკნობენ და არ იციან, რომ მათი ნაყალბევი ქვეყნის ისტორიას შეცვლის: როგორც მიღებული იყო, საუკეთესო მეგობრები კრემლის კომენდატურაში დაასმენენ, იქიდან მიაწვდიან „ზემოთ“, იქ კი გაეცინებათ — რა უნდა მოსთხოვო გაუნათლებელ სოფლის ქალებს?!




მაგრამ ყველაფერი რამდენიმე თვეში შეიცვლება, მაშინ, როცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გენრიხ იაგოდა დაიწყებს გამოძიებას „კრემლის შეთქმულების“ საქმის, კოდური სახელწოდებით „გორგალი“ — სტალინსა და მის უახლოეს წრეზე თავდასხმის შესახებ. ამ წრეში შედიან ვიაჩესლავ მოლოტოვი, სერგო ორჯონიკიძე, ლაზარ კაგანოვიჩი და კლიმენტ ვოროშილოვი. 1935 წელს სწორედ ამ ადამიანებზე იყო დამოკიდებული ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება.



დამლაგებლებით დაიწყებენ გამოძიებას და სახელმწიფოს პირველ პირებამდე მივლენ. გამოწეულ ძაფს გამოჰყვება მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკი და 1937 წელს დაიწყება რეპრესიების ხანმოკლე პერიოდი, რომელსაც ჯერ „ეჟოვშჩინას“ უწოდებენ, შემდეგ „სტალინურ რეპრესიებს“.

თავიდან, როცა იაგოდა გორგალის ძაფს გამოსწევს, სისხლის მდინარეები არ ჩანს. მაგრამ იქამდე სულ ერთი ნაბიჯია და სახალხო კომისარმა არ უწყის, რომ ეს მორევი მასაც ჩაითრევს.

სანამ კრემლის მოსამსახურეებზე დოსიეები იაგოდას ჩაკეტილი აქვს, სტალინი დაიბარებს აბელ ენუქიძეს, რომელსაც დავალებული ჰქონდა არჩევნების ახალი კანონის დამუშავება; როგორც ვიცით, არჩევნები უნდა ყოფილიყო ალტერნატიული, საყოველთაო და ფარული.



სტალინი საყვედურობს ენუქიძეს, რადგან მის მიერ წარმოდგენილ პროექტში მინიშნებულიც კი არ არის ის სამი ძირითადი მომენტი, რომლებსაც დემოკრატია საბჭოთა კავშირში ახალ საფეხურზე უნდა აეყვანა. ენუქიძეს მიაჩნია, რომ რევოლუცია ქვეყანაში დამთავრებული არ არის და ამიტომ ყველასთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება საჭირო არ არის.

სტალინი პოულობს ახალ ავტორებს. მას სჭირდება არჩევნები ახალი ელიტის წამოსაწევად და მასზე დასაყრდნობად.

ამ დროს კი შეთქმულების შესახებ ხმებში სულ უფრო და უფრო ეხვევა კრემლი. სტალინის პირველი ცოლის ძმა ალექსანდრე სვანიძე მას პირადად მოახსენებს, რომ შეთქმულების სათავეში თავად აბელ ენუქიძე და კრემლის კომენდანტი რუდოლფ პეტერსონი დგანან.



სტალინი ავალებს სახალხო კომისარ იაგოდას, დაადგინოს — შეეფერება თუ არა სინამდვილეს ეს მოარული ხმები.

ზედაპირზე ამოტივტივდება კრემლის დამლაგებელთა ჭორიკნობა. აქედან კი გორგალის ძაფს იაგოდა კრემლის ბიბლიოთეკამდე გაჭიმავს, სადაც მუშაობდა ქალბატონი როზენფელდი — კამენევის ძმის ცოლყოფილი, რომელიც წარმოშობით თავადის ქალი იყო. მისი მეგობარი მუხანოვა თავადების ძველი გვარიდანაა. მამისი თეთრგვარდიელი ოფიცერია. იაგოდა ამტკიცებს, რომ ისინი სტალინის წინააღმდეგ ტერაქტს ბიბლიოთეკაში ამზადებენ.

მაგრამ სტალინს იაგოდასი აღარ სჯერა: სახალხო კომისარს თვალყურს ადევნებს პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე ნიკოლაი ეჟოვი. იგი გამოწვლილვით სწავლობს ოქმებს და სტალინს მოახსენებს: იაგოდა ტყუის! ვიღაცას აცილებს დარტყმას. როგორც ჩანს, პირადი ინტერესი ამოძრავებს.



მალე იაგოდას დააპატიმრებენ. დაკითხვების დროს იგი აღიარებს, რომ იცოდა კიროვის შესაძლო მკვლელობის ამბავი, მაგრამ არ აღუკვეთია. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე კიროვის ბინასთან ნიკოლაევს დააკავებენ და ჯიბეში პისტოლეტს აღმოუჩენენ, აცნობებენ სახალხო კომისარიატს და... დაკავებულს გაათავიუფლებენ. მართალია თუ არა ეს ვერსია, ვერასოდეს გავიგებთ.



დაპატიმრებული იაგოდას აგარაკზე ჩეკისტები ჩხრეკას ჩაატარებენ და დარწმუნდებიან, რომ მეშჩანური ყოფით გახრწნას მშრომელთა ხელისუფლების უმაღლეს დონემდე მიუღწევია. სახალხო კომისრის პირადი ქონების აღწერა 150 პუნქტზე მეტს შეიცავს და წარმოდგენილია ფუფუნების ნივთების, ძვირფასი ტანსაცმლის, ანტიკვარიატის სახით. აქვეა დიდი რაოდენობით ნაღდი ფული და შემნახველი სალა როს წიგნაკები, პორნოგრაფიული ფოტოების კოლექცია — 1409 ცალი, უცხოური პრეზერვატივები — 115 ცალი, თერთმეტი პორნოგრაფიული ფილმი.

ეს უკანასკნელი არა მარტო სახალხო კომისრის მორალური სახის მაჩვენებელია, არამედ იმაზეც მიგვანიშნებს, რომ აგარაკზე მას აქვს ამ კინოფირების სადემონსტრაციო აპარატი ხმის გადამცემით. გაიხსენეთ, რომ ეს ყველაფერი ხდება 1937 წელს, როცა ქვეყნის ბევრ დასახლებულ პუნქტში, კლუბებში კინოპროექტორები თვალითაც არ ენახათ.

იაგოდას დახვრეტენ.




სახალხო კომისრად კი მის მოთვალთვალეს — ნიკოლაი ეჟოვს დანიშნავენ. სტალინს მიაჩნია, რომ იგი პატიოსანი პარტიელია, მტრებისგან ქვეყნის დაცვას შეძლებს.



იწყება ყველაზე უფრო სისხლიანი, მადლობა ღმერთს, მოკლე პერიოდი საბჭოთა ისტორიის — ორ წელიწადზე ნაკლები, სახელწოდებით „ეჟოვშჩინა“.

**1936 წელი.** საკ. კპ(ბ) ცეკას პლენუმზე საარჩევნო კანონს თითქმის ერთხმად იღებენ. მაგრამ ალტერნატიული არჩევნები არ იქნება, პლენუმი უარყოფს, რადგან პარტიული კომიტეტების მდივნები განაცხადებენ, რომ ალტერნატიული არჩევნების დრო ჯერ არ დამდგარა. გარშემო ძალიან ბევრი მტერია. ეჟოვი ცეცხლზე ნავთს დაასხამს: მტრები ჩვენს შორისაც არიან, აქ — დარბაზში.

დარბაზს ხმაური გადაუვლის.



მომდევნო მომხსენებელს სტალინი არ დაელოდება. სტენოგრამა მის გაღიზიანებულ ირონიულ რეპლიკას დააფიქსირებს:

— ყველა მტერი ჩამოთვალეთ, თუ კიდევ დარჩა?!

— დარჩნენ! — უყვირიან დარბაზიდან.

არავითარი ირონია! ეს უკვე თითქმის მუქარაა.

მეორე დღეს რეგიონების ხელმძღვანელები სტალინს ეწვევიან. მისაღების აღრიცხვის ჟურნალში მათი გვარებია ჩაწერილი.

კიდევ ერთი დღე და სტალინი იძულებული ხდება, მიიღოს მათ მიერ შემოთავაზებული თამაშის წესები, თორემ იგი შეიძლება ოპორტუნისტად, რევოლუციის მტრად გამოაცხადონ.

ცეკას პლენუმზე თითქმის პანიკური განწყობილება დაისადგურებს, როცა პროექტის ავტორი იაკოვლევი დაიწყებს ლაპარაკს ათასწლეულში პირველი ალტერნატიული, ფარული და საყოველთაო არჩევნების შესახებ.



სტენოგრამაში დაფიქსირებულია მისი სიტყვები:

— არ ივარგებს, კენჭისყრამ გადაწყვიტოს, საბჭოში შევა კომუნისტი თუ მტერი.

კალინინი:

— ვოროშილოვი გვთავაზობს საქმე ომით დავამთავროთ.

იაკოვლევი:

— ეს კენჭისყრაზე უკეთესია. აქ უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს. ჩვენები გამარჯვებას შეძლებენ.

ასე, თითქმის ხუმრობით დაწყებული კამათი პატიოსანი არჩევნების შესახებ მალე მართლაც ომით დამთავრდება.

**გაგრძელება იქნება**

ტელესერიალის საგაზეთო ვარიანტი
მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ქოლგით ხტომა

**ალბათ, ყველას ახსოვს საბავშვო ზღაპარი მერი პოპინსის შესახებ, რომელიც ქარისა და ქოლგის დახმარებით გადაადგილდებოდა. ახლა ამ გმირს რეალური მიმდევრები ჰყავს, რომლებიც ქოლგების მეშვეობით ექსტრემალურ ნახტომებს აკეთებენ.** ერთ-ერთი მათგანი ამერიკელი ექსტრემალი ერიკ რონერია — ის პირველი ადამიანია, რომელმაც საჰაერო ბუშტიდან გადმოხტომისას პარაშუტის ნაცვლად ჩვეულებრივი, ბაღის ქოლგა გამოიყენა და ამასთან, ცოცხალი გადარჩა. გადმოხტომისას ქოლგა ექსტრემალს ხელში ეკავა. მან ჰაერში გაჩერება 20 წამის განმავლობაში შეძლო. ამის შემდეგ ქოლგის კარკასი დაიშალა, ხოლო ქსოვილის გუმბათი წნევისგან გაიხა. მიუხედავად საბოლოო წარუმატებლობისა, ერიკმა მაინც მოახერხა პარაშუტის გახსნა და მიწაზე მშვიდობით დაეშვა.



## სერფინგი თხილამურებით

**43 წლის კალიფორნიელმა ჩაკ პატერსონმა წყნარი ოკეანის უზარმაზარ ტალღებზე საგანგებოდ წყლისთვის ადაპტირებული გლუვი თხილამურებითა და სათხილამურო ჯოხებით ისრიალა.**

უჩვეულო სანახაობა სანტა-ბარბარას სანაპიროზე მოეწყო. კალიფორნიელმა საათში 30 მილი სიჩქარე განავითარა. პატერსონი წყალში სკუტერზე გამობმული თოკით შეიყვანეს. მოთხილამურე ტალღის ქიმზე თოკისგან გათავისუფლდა.

ჩაკი კალიფორნიაში ტახოს ტბაზე გაიზარდა. იგი ბავშვობიდან ყინულოვანი მთების მწვერვალებს ლაშქრავდა. ამჯერად კი წყლის სტიქიას დაუპირისპირდა. მისი თქმით, ტალღის თავზე სრიალისას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ძალიან რბილ თოვლზე სრიალებდა.

**„არა მგონია, მსოფლიოში ეს ვინმე სხვასაც გაეკეთებინა, ჩემთვის ეს გართობის კიდევ ერთი საშუალებაა“,** — განაცხადა სერფერმა.

## მამაკაცმა სკოლა 86 წლის ასაკში დაამთავრა

**ომის ვეტერანმა მამაკაცმა სკოლა 86 წლის ასაკში დაამთავრა. ყველაზე ხანშიშესული მოსწავლისთვის დიპლომის გადაცემის ცერემონიას სკოლის ყველა მოსწავლე და ვეტერანის ნათესავები დაესწრნენ.**

როგორც ჯეიმს ლივინგსტონი აცხადებს, 1940-იან წლებში, როდესაც მეცხრე კლასში იყო, იძულებული გახდა, სწავლა მიეტოვებინა და მუშაობა დაეწყო, რათა ოჯახს დახმარებოდა. მას 6 და-ძმა ჰყავდა. 1945 წელს ომის დროს მსახურობდა ფილიპინებზე, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა.

შინ დაბრუნების შემდეგ ვეტერანმა ელექტრიკოსად დაიწყო მუშაობა.

**„დავქორწინდი, ოჯახი შევქმენი, სტაბილური სამსახური მქონდა და სკოლის დამთავრებაზე არც მიფიქრია. სწავლის დასრულების სურვილი ჩემმა შვილიშვილებმა გამიჩინეს“,** — აცხადებს ჯეიმსი.

ლივინგსტონი მელისონის სკოლას დაუბრუნდა და 2-წლიანი კურსი გაიარა.

**„როდესაც კლასში შემოვიდა, თავდაპირველად ჩვენი ახალი მასწავლებელი მეგონა. გავოგნდი, როდესაც გავიგე, რომ ბაბუა ჩვენს კლასში სასწავლებლად შემოვიდა“,** — აცხადებს ჯეიმსის თანაკლასელი პატრიცია აისჰოვერი.

მისივე თქმით, ამ ორ წელიწადში ვეტერანი მოსწავლე ყველას შეუყვარდა. განსაკუთრებით კი მის თანაკლასელებს, მათ ომის ამბების მოსმენა უყვარდათ. ახლა ჯეიმს ლივინგსტონს სრული საშუალო განათლება აქვს.





## ბიჭი უდაბნოში ლინზების სითხის სმამ გადაარჩინა

**ბრიტანელი სემ ვუდჰედი ავსტრალიის უდაბნოში უწყლობით სიკვდილს კონტაქტური ლინზების შესანახი სპეციალური სითხის წყალობით გადაურჩა. იგი სითხეს სამი დღე სვამდა.**

18 წლის ახალგაზრდა კონტინენტზე ფერმაში სეზონური სამუშაოსთვის თებერვლის დასაწყისში ჩავიდა. იგი დასვენების პირველ დღეს სარბენად გაემართა. ვუდჰედმა თან ზურგჩანთა და რამდენიმე საათის სამყოფი წყალი წაიღო.

**„შევცდი და ტყის გავლით ყველაზე მოკლე გზა ავირჩიე, უკვე ნახევარი საათის შემდეგ მივხვდი, რომ გზა ამერია და გარემოს ვერ ვცნობ“,** — ყვება ახალგაზრდა.

ჰაერის ტემპერატურა, სადაც სემი დაიკარგა, 40 გრადუს ცელსიუსს აღწევდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მან გააცნობიერა, რომ წრეზე დადის და გზის გაგნებას დამოუკიდებლად ვერ ახერხებს.

მეორე დღეს წყურვილის გამო ჰალუცინაციები დაეწყო. მაშინ მოზარდმა გაიხსენა, რომ ზურგჩანთაში მშობლების გატანებული კონტაქტური ლინზების შესანახი ერთჯერადი სითხე ედო.

**„თავიდან ეჭვი შემეპარა, შეიძლებოდა თუ არა მისი გამოყენება, მაგრამ ეს უკეთესი იყო, ვიდრე არაფერი. რამდენიმე ცალი დავლიე და მაშინვე უკეთ გავხდი“,** — იხსენებს სემი.

მისი დაკარგვით შეშფოთებულმა დამსაქმებლებმა სამაშველო სამსახურს შეატყობინეს, რომლებმაც რაიონში სამაშველო ვერტმფრენი გაგზავნეს.

დაქანცულ მოზარდს ცაში მოტორის ხმა ესმოდა, მაგრამ მის ადგილსამყოფელს მრავალრიცხოვანი ბუჩქები და ხეები მალავდა.

**„მაშინ ტანსაცმელი გავიხადე და მათი დახმარებით სიგნალი SOS დავწერე, ეს ჩემი გადარჩენის ერთადერთი იმედი იყო“,** — აღიარა ვუდჰედმა.

ბიჭი 15 თებერვალს იპოვეს. ვერტმფრენის პილოტმა მიწაზე დაფენილი სემის სპორტული შარვალი შენიშნა, რომელსაც ქარი არხევდა.

**„ლინზების სითხე რომ არა, ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი. საკუთარი შარდის დალევა ვცადე, მაგრამ ეს იმდენად აუტანელი იყო, რომ ამ იდეაზე უარი ვთქვი“,** — ამბობს სემი.



## უხუცესი ძაღლი

**მსოფლიოში უხუცესი ძაღლი 22 წლის დეისია, რომელიც ბრიტანეთში, გლოსტერშირის საგრაფოში ცხოვრობს.**

მას უკვე მიანიჭეს „ბრიტანეთის ყველაზე მხცოვანი ძაღლის“ ტიტული. 22 წლის დეისი თავს კარგად გრძნობს და სიბერეს არ ნებდება. ძაღლის პატრონმა მარკ ფინჩმა ძაღლი სახლში 1993 წელს მიიყვანა, მაშინ დეისი 2 წლის იყო.

ექსპერტების თქმით, ძაღლის 22 წლის იუბილე ადამიანის ცხოვრების 100 წლის ექვივალენტია, შესაბამისად, მას ტორტი მიართვეს, რომელზეც 100 რიცხვის აღმნიშვნელი სანთელი ანათებდა. დეისი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია და ძაღლისთვის განკუთვნილი საჭმელი არასდროს უჭამია. დეისი იმავე სადილის ულუფას მიირთმევს, რომელსაც დიასახლისი ოჯახისთვის ამზადებს.

**„მისი საყვარელი საჭმელი შემწვარი ქათამი და კარტოფილია. დეისი არაა პრეტენზიული და ნებისმიერ სადილს გემრიელად მიირთმევს. წლების განმავლობაში მას ჩვენთვის ბედნიერება მოაქვს. მას სეირნობა არასდროს უყვარდა. ურჩევნია, სახლში ითამაშოს ან ეძინოს“,** — ამბობს ოჯახის დიასახლისი.



## ყველაზე ცივი დასახლებული ადგილი

**იანვარში იაკუტიის ამ სოფელში დიდი ხნის განმავლობაში მყარად ფიქსირდება მინუს 50 გრადუსი ცელსიუსით. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ამ დასახლებულ პუნქტს მსოფლიოში ყველაზე ცივი ადგილის სახელი აქვს. ოიმიაკონის ისტორიაში ყველაზე დაბალი ტემპერატურა -71,2 გრადუსი დაფიქსირდა.**

სოფელი მდინარე ინდიგირკის მარცხენა სანაპიროზეა. იქ 500-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ეს ადგილი ირმების მწყემსთა დასასვენებელი პუნქტი იყო. თუმცა, საბჭოთა მთავრობას მომთაბარეები უმართავებად მიაჩნდა და მათ „მოსარჯულებლად“ ეს დასახლება მუდმივად აქცია. ბედის ირონიით, სიტყვა **ოიმიაკონი** გაუყინავ წყალს ნიშნავს — იქვე ახლოს მდებარე ცხელი წყაროს პატივსაცემად.

ოიმიაკონი უფრო ცნობილია, როგორც ერთ-ერთი „სიცივის პოლუსი“ პლანეტაზე — რაიონი ყველაზე დაბალი ტემპერატურით. ზღვის დონიდან 741 მეტრზე მდებარე ოიმიაკონის მკაცრ ველზე მუდმივად ცხოვრობს ხალხი. მიუხედავად საშინლად ცივი ზამთრისა, ზაფხულში აქ ხშირად არის +30 გრადუსი ტემპერატურა. გარდა ამისა, ეს მხარე ცნობილია თეთრი ღამეებით, რომლებიც წელიწადის თბილ დროებში ფიქსირდება.

**აქ იშვიათად ხარობს რამე — ადგილობრივი მცხოვრებლები ძირითადად ხორცს მიირთმევენ — ირმისას და ცხენისას.** სოფელში ერთადერთი მაღაზიაა, მოსახლეობის უმრავლესობა კი ირმის მწყემსებად, მონადირეებად და მეთევზეებად მუშაობს. გასათბობად შეშის ღუმელს იყენებენ. თანამედროვე პირობებს იქ ძნელად შეხვდებით. ერთადერთი ადგილობრივი სკოლა იკეტება მხოლოდ მაშინ, როცა ტემპერატურა მინუს 52 გრადუსზე დაბლა ჩამოდის. ეს სოფელი ორი დღის სავალზეა ქალაქ იაკუტსკიდან — რეგიონის დედაქალაქიდან. გზას ოიმიაკონისკენ „ძვლების გზა“ უწოდეს.

რიგითი პრობლემები, რომლებსაც ოიმიაკონელები ყოველდღე ხვდებიან, არის ავტოკალმებში მელნის გაყინვა, ელემენტებისა და აკუმულატორების სიმძლავრის დაკარგვა, ასევე ტრანსპორტის პრობლემა: ბევრი ადგილობრივი მცხოვრები მთელი დღე ამუშავებს მანქანას, რადგან შიშობს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის სამუდამოდ გაიყინება.



კიდევ ერთი პრობლემა მიცვალებულთა დაკრძალვაა. ასეთ ყინვაში გაყინული მიწის გათხრა ნამდვილი საოცრებაა, ამას შეიძლება სამი დღე დასჭირდეს. მიწას ჯერ ცეცხლით ათბობენ და მომავალი ორმოს ნაპირებზე გახურებულ ნახშირებს ალაგებენ.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში დაახლოებით 1200 ბავშვია შიდსის ვირუსით ინფიცირებული. მათ ეს დაავადება მუცლად ყოფნისას, დაბადებისას ან რძით კვებისას გადაეცათ. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ვითარება გაცილებით რთულია.**



# ექიმებმა შიდსით დაავადებული ბავშვი განკურნეს

**მისისიპის შტატის ექიმები მედიცინის ისტორიაში შევიდნენ მას შემდეგ, რაც შიდსით დაავადებული 2 წლის ბავშვი განკურნეს. პაციენტს ეს დაავადება დაბადებიდანვე სჭირდა. ეს არის პირველი დადასტურებული შემთხვევა, როცა მცირეწლოვანი პაციენტი შიდსისგან განიკურნა.**



როგორც ექიმები აცხადებენ, პაციენტს ამჟამად მედიკამენტები აღარ სჭირდება, მისი ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება და ძალიან დაბალი შანსია იმისა, რომ მისგან ვინმე შიდსით დაავადდეს.

ექიმებმა და მეცნიერებმა დაზუსტებით ჯერაც არ იციან, რატომ გამოდგა მკურნალობა წარმატებული, მოულოდნელმა გამარჯვებამ გაზარდა იმედი, რომ მსგავსი თერაპიით ექიმები მომავალშიც შეძლებენ ახალშობილების განკურნებას.

პაციენტის ვინაობა რომ არ გამჟღავნებულიყო, ექიმებმა არც სქესი დააკონკრეტეს და არც სახელი, მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ჩვილი მისისიპის შტატში დაიბადა და იქვე ცხოვრობდა. მისისიპის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის თანამშრომელმა, დოქტორმა ჰანა გეიმ, რომელიც ბავშვს მეთვალყურეობდა, ბრიტანულ გაზეთ The Guardian-ს განუცხადა, რომ ეს არის შიდსით დაავადებული ბავშვის განკურნების პირველი შემთხვევა. პაციენტი ჯანმრთელია და ტესტები ვირუსზე უარყოფით შედეგს აჩვენებს, თუმცა არის ალბათობა, რომ მცირეოდენი დოზა ჯერ კიდევ დარჩენილია ორგანიზმში.

**„ერთი წლის განმავლობაში მას წამალი არ მიუღია და სისხლი თავისუფალია ვირუსებისგან, როგორც ამას ყველაზე მგრძნობიარე ტესტები აჩვენებს,** — განაცხადა ჰანა გეიმ. — **ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ ბავშვს ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება ექნება, ხოლო ეს გამოცდილება მომავალში ანალოგიურ შემთხვევებში დაგვეხმარება“.**

ახალი წამლებისა და მკურნალობის მეთოდების გამოგონებასთან ერთად შიდსით დაავადებული ბავშვების როდენობა განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად მცირდება. შიდსით ინფიცირებულ ორსულ ქალებს ანტირეტროვირულ წამლებს აწვდიან, რათა სისხლში ვირუსის რაოდენობა შემცირდეს. ახალშობილებსაც მკურნალობის კურსს უნიშნავენ, რათა დაავადების მიღების ალბათობა მინიმუმამდე დავიდეს. ამ სტრატეგიით დედიდან შვილზე შიდსის გადაცემის შემთხვევები 98%-ით მცირდება.

დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში დაახლოებით 1200 ბავშვია შიდსის ვირუსით ინფიცირებული. მათ ეს დაავადება მუცელში ყოფნისას, დაბადებისას ან რძით კვებისას გადაეცათ. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ვითარება გაცილებით რთულია. 2010 წლის მონაცემებით, სუბსაჰარულ აფრიკაში 14 წლამდე ასაკის 387,500 ბავშვი გადიოდა ანტირეტროვირულ მკურნალობას. მათი უმეტესობა ინფექციით დაიბადა. იმავე რეგიონში იმავე ასაკის 2 მილიონ ბავშვს სჭირდება წამლები.

რაც შეეხება მისისიპის შემთხვევას, დედამ არ იცოდა, რომ დაავადებული იყო, ამიტომ ბავშვის ინფიცირების ალბათობაც მკვეთრად მაღალი იყო. ექიმებმა ბავშვის მკურნალობა დაბადებიდან 30 საათის შემდეგ დაიწყეს. ტრადიციულად ეს გულისხმობს თხევადი წამლის შპრიცით შეყვანას ორგანიზმში. მაგრამ ექიმებმა გადაწყვიტეს, მიემართათ უფრო აგრესიული მეთოდისთვის და გამოეყენებინათ სამი სხვადასხვა სახის წამალი, რადგან დედას ორსულობის დროს მკურნალობა არ ჰქონდა გავლილი. რამდენიმე დღის შემდეგ ტესტმა აჩვენა, რომ ბავშვი დაინფიცირებული იყო. ექიმებმა წამლების მიწოდება განაგრძეს და იმედი ჰქონდათ, რომ ეს შედეგს გამოიღებდა.

თერაპიის დაწყებიდან 1 თვეში შიდსის დონე იმდენად დავარდა, რომ ტრადიციული ტესტები ვირუსის აღმოჩენას ვერ ახერხებდნენ. დედა-შვილი რეგულარულად სტუმრობდა კლინიკას მომდევნო წელი, თუმცა შემდეგ თანდათან შეამცირეს ვიზიტები და ბოლოს საერთოდ შეწყვიტეს. 18 თვის ასაკიდან პაციენტს წამლები აღარ მიუღია და ექიმებს მხოლოდ 2 წლის ასაკში ეწვია.

**„პაციენტი 5 თვე არ გვენახა,** — ამბობს გეი. — **23 თვის ბავშვი რომ მოიყვანეს, ვიფიქრე, რომ შიდსის დონე სერიოზულად იქნებოდა აწეული“.** თუმცა რამდენიმე სხვადასხვა ტესტმა აჩვენა, რომ შედეგი უარყოფითი იყო, რამაც ექიმები განაცვიფრა. ყოველი შემთხვევისთვის ჩაატარეს უფრო მგრძნობიარე ტესტებიც, მაგრამ პასუხი აქაც იგივე აღმოჩნდა.

**ექიმების ჯგუფი მიიჩნევს, რომ განკურნების მიზეზი იყო ე.წ. აგრესიული მეთოდი – რამდენიმე ძლიერმოქმედი წამლის (ტიპიური ნევირაპინი, ასევე ზიდოვუდინი და ლამივუდინი) ერთდროული მიწოდება და თერაპიის დაბადებიდან მალევე დაწყება. წამლებმა შეაჩერა ვირუსების გამრავლება აქტიურ იმუნურ უჯრედებში, ასევე სისხლის თეთრ უჯრედებში, სადაც შიდსის ვირუსი წლობით ინახება ხოლმე.**

მიუხედავად ამ წარმატებისა, ჰანა გეი ყველას აფრთხილებს, რომ შიდსით დაავადებულებმა წამლების მიღება სიცოცხლის ბოლომდე უნდა განაგრძონ და მხოლოდ ამ შემთხვევის გამო არ შეწყვიტონ მიღება, რათა შემდეგ ნახონ, არის თუ არა ისევ ვირუსი მათ ორგანიზმში. მეცნიერები აღნიშნული შემთხვევის კვლევას აგრძელებენ, რათა წარმატების ზუსტი მიზეზები დაადგინონ.

შიდსისგან განკურნების კიდევ ერთი შემთხვევა წარსულშიც დაფიქსირდა — სანფრანცისკოელმა ტიმოთი რეი ბრაუნმა ძვლის ტვინი გადაინერგა დონორისგან, რომელსაც შიდსის წინააღმდეგ ძლიერი იმუნიტეტი ჰქონდა. მას შემდეგ 5 წელი გავიდა და ბრაუნს წამლის მიღება არ დასჭირვებია.



# ავტომობილი, რომელიც ყავაზე მუშაობს

**ავტომობილი, რომელიც საწვავის ნაცვლად ყავის გამოყენებულ მარცვლებს იყენებს, ცოტა ხნის წინ გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. მანქანამ 105 კმ/სთ სიჩქარით გაიარა. მისი მფლობელი 42 წლის ბრიტანელი მარტინ ბეიკონია.**

მარტინმა Ford-ის 1989 წლის ავტომობილი შეიძინა და მასში სპეციალური მოწყობილობა ჩაამონტაჟა.

მოწყობილობა ღუმელისგან შედგება, რომელიც ნახშირით ცხელდება და რომელშიც კოფეინის დაპრესილი ნაფქვავი იწვის. საბოლოოდ, ის წყალბადსა და ნახშირბადს გამოყოფს.

შემდეგ ბუნებრივი აირი ელექტრომოწყობილობაში გადის, რომელიც ავტომობილის ძრავს ამუშავებს.

ასეთი მანქანის აწყობა ყველას შეუძლია. ამასთან, ის ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს.



# 8 წლის ბიჭი 61 წლის ქალზე დაქორწინდა

**ახლახან ზიმბაბვეში უცნაური საქორწინო ცერემონია გაიმართა. 8 წლის სანელეი მაზილელამ 61 წლის ელენა საბანგუზე იქორწინა.**

ქორწილის ცერემონიას სიძისა და პატარძლის 100-მდე ნათესავი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ელენას ხუთი შვილი და მისი პირველი მეუღლეც. ნეფე-პატარძლის სიტყვებით, ცხოვრების ერთმანეთთან დაკავშირება მათ ბიჭის გარდაცვლილი ბაბუის სულმა „სთხოვა“. სწორედ მისი სახელი დაარქვეს 8 წლის საქმროს, სანელეის.

ელენა საბანგუმ წინაპრებისადმი პატივისცემის ნიშნად მეორედ გათხოვებაზე თანხმობა განაცხადა. ამასთან, მის პირველ მეუღლეს პროტესტი არ გამოუთქვამს არც ელენას მეორედ გათხოვებაზე და არც იმაზე, რომ მისი კონკურენტი არასრულწლოვანი ბიჭია.

**„მე ვუთხარი დედაჩემს, რომ მინდოდა დაქორწინება. საცოლედ ელენა ამოვირჩიე, ვინაიდან ძალიან მომწონს და ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ის გახდა ჩემი ცოლი. თუმცა ახლა სკოლაში სწავლას გავაგრძელებ და, როდესაც გავიზრდები, ცოლად ვინმე უფრო ახალგაზრდას მოვიყვან“,** — განაცხადა 8 წლის ახალდაქორწინებულმა სანელეიმ.

# პირველი სუში-ჩემპიონატი

**იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში სუშის მომზადების მსოფლიოში პირველი ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობა ბელგიის, მოლდოვას, სინგაპურის, შვედეთის, რუმინეთის, უკრაინის, ურუგვაისა და აშშ-ის მზარეულთა გუნდებმა მიიღეს. სულ 2 000 ულუფა სუში მომზადდა.**

კონკურსი ოთხ ეტაპად ტარდებოდა. მზარეულებს კომისიასთან სუშის ყველაზე უცნაური რეცეპტები გაჰქონდათ.

ამასთან, საკმაოდ არასტანდარტული პროდუქტები გამოიყენებოდა. მაგალითად, შვედები ტრადიციული ორაგულის გარდა გოგრის მუსს იყენებდნენ, რუმინელები კი — ნივრის სოუსს და რუმინულ ყველს. მოლდოვას წარმომადგენლებმა რეცეპტში გარეული იხვის ხორცი შეიტანეს, ურუგვაელებმა კი ცხიმიანი ლორი დაამატეს.

**„მზარეულების ოსტატობის დონე გასაოცარია“,** — ამბობს კონკურსის ორგანიზატორი და სუში-ინდუსტრიის ვეტერანი მაკაესი კაზატო. სპეციალისტი დასძენს, რომ ჩატარებული ღონისძიება შესანიშნავი შესაძლებლობა გახდა ეჩვენებინათ სტუმრებისთვის **„თუ როგორი ფორმების მიღება შეუძლია სუში-ხელოვნებას“.**



**კონკურსს დაახლოებით 2 000 სტუმარი ესწრებოდა. გამარჯვებული კი შვედეთის გუნდი გახდა.**

## პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ

# ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის შესახებ

**საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ფერმერთა ორიენტაცია, მათი დამოკიდებულება და მოტივაცია ეკონომიკურ მექანიზმსა და ტექნოლოგიურ სიახლეებზე, რაც მოითხოვს ახლებურ აზროვნებას და კადრების კვალიფიკაციის სისტემატიურ ამაღლებას, სწავლების უწყვეტი ციკლის დამკვიდრების თვალსაზრისით. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა იმის საშიშროება, რომ სოფლის მეურნეობას, მისი გაძღოლის მთელ სისტემას ეცლება მეცნიერული საფუძვლები, თითქმის გაწყდა კავშირი მეცნიერებასა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას შორის. ამას ემატება ისიც, რომ მოიშალა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ფერმერთა აღზრდის, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება საკითხი ფერმერთა და სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.**

ამ მიმართულებით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას მდიდარი გამოცდილება გააჩნია. აკადემიის საერთო კოორდინაციითა და ხელმძღვანელობით 1997 წლიდან 7-8 წლის განმავლობაში საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებდა ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სწავლებაში ჩართული იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ყველა დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელთა მეცნიერ-თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ამ პროცესში. მათ შედგენილი ჰქონდათ სპეციფიკური სასწავლო პროგრამები, რომელთა მიხედვითაც ტარდებოდა სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობები.

**აღნიშნული გამოცდილება წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ამჟამადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და თანადგომით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ახლადჩამოყალიბებულ ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში.**

ეს საკითხი განსაკუთრებული აქტუალობით დგება იმის გამოც, რომ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში უკვე თითქმის აღარ ისწავლება აგროტექნიკაზე, ზოოტექნიკაზე, აგროინჟინერიაზე, აგრარულ ეკონომიკასა და ბიზნესზე წმინდად ორიენტირებული ტრადიციული დისციპლინები და ის საგნები, რომლებიც აუცილებლად სჭირდება დღევანდელ ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

**ფერმერთა და სპეციალისტთა მომზადება-გადამზადებითი ფორმის სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, რაც უწყვეტი სწავლების პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს, სრულიად ახლებურ, მომავალზე ორიენტირებულ მიდგომებს, ფორმებსა და მეთოდებს უნდა ეყრდნობოდეს.**

სწავლების აღნიშნული სისტემა უნდა მოიცავდეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ, დარგობრივ, რეგიონულ, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ, საინფორმაციო, ინფრასტრუქტურულ, ბიზნესური ეკონომიკისა და სამართალმცოდნეობის ასპექტებს.

**ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის მიზანი უნდა იყოს:**

— სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე და მუშაობის მსურველ სპეციალისტთა და ფერმერთა მრავალმხრივი მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება, რომელიც დაეყრდნობა მომავალზე ორიენტირებულ, უწყვეტი სწავლების პრინციპებზე აგებული და ინფორმაციული ტექნოლოგიებით გაჯერებული სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, დარგობრივ-რეგიონულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ საფუძვლებს, გრძელვადიან მარკეტინგულ სტრატეგიას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიერ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და დანერგვას, ეკონომიკური მექანიზმის სწორად გამოყენებას და ამ გზით წარმოების მდგრად განვითარებასა და პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან და დინამიურ ზრდას, მთელი აგრარული სექტორის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებას.



**ცენტრის ძირითადი სასწავლო მიზნები და ამოცანები:**

— სწავლების უწყვეტი პრინციპების შესაბამისად, ახლებური, პროგრესული ფორმებისა და მეთოდების შემოღება და დანერგვა;

— ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და ნორმატიულ-საცნობარო კრებულების პერიოდული გამოცემა;

— ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით აგროწესების კრებულების მომზადება და გამოცემა;

— სოფლად მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტთა ფართო ფენის მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება;

— საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო-რესურსული და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, მისი დონისა და ეფექტიანობის ამაღლება;

— სოფლის მეურნეობის მტკიცე საწარმოო-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა და მისი მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება;

— თითოეული რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ურთიერთშეწონასწორებული გამოყენება;

— მთიანი რეგიონების საწარმოო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესება ბარის რეგიონებთან ინტეგრაციის გზით.

**სწავლების ფორმა და თემატური მიდგომა:**

ცენტრში შეიძლება შემოღებული იყოს როგორც 3-თვიანი (წელიწადში 2 შეკრება), **ისე 6-თვიანი სწავლების ფორმა, სახელმწიფო დაფინანსების საფუძველზე.** ცენტრის მსმენელები, დასწრებული სწავლების ფორმით, შეისწავლიან ისეთ დისციპლინებს, რომლებიც უკავშირდება სოფლის მეურნეობის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ კომპლექსს, პროდუქციის გადამუშავების სისტემას, სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციას, მენეჯმენტს, მარკეტინგს, დარგობრივ-რეგიონულ საწარმოო-რესურსულ პოტენციალს, ინფრასტრუქტურას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

**კვლევითი და საგანმანათლებლო-მეთოდური საქმიანობა:**

პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-თანამშრომლები (ფერმერებთან და სპეციალისტებთან შესაძლო ურთიერთკოორდინაციით) **ცენტრში დაამუშავებენ სანიმუშო, სხვადასხვა ეკონომიკურ-ორგანიზაციული და საწარმოო-ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრაქტიკულ პროექტებს** (შესაძლოა, მათი მიზნობრივად დანერგვა). **მოამზადებენ სახელმძღვანელოებს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს, მეთოდურ მითითებებს, ჩაატარებენ სადისკუსიო შეხვედრებს და კონფერენციებს**.

**მეცნიერული და გამოყენებითი საშუალებებით უზრუნველყოფა:**

პროგრესული ხედვის შესაბამისად, ცენტრში უნდა შედგეს სასოფლო-სამეურნეო და სარეველა მცენარეთა ჰერბარიუმი (რაც ამჟამად, ალბათ, აღარც კი არსებობს), ნიადაგების, სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების, სამექანიზაციო აგრეგატებისა და სხვა სპეციფიკის მუზეუმები, საგანგებო ბიბლიოთეკა, კინოთეკა, კომპიუტერული კლასი.

ცენტრს უნდა ჰქონდეს აგროტექნიკური, ზოოტექნიკური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის მონაცემთა ბანკი, ცენტრმა უნდა გამოსცეს საგანგებო მრავალტომეული — „აგრარული მეცნიერების საგანძური“ ასეთი ხასიათის გამოცემა საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა.

**ორგანიზაციული უზრუნველყოფა:**

ფერმერთა და სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო იქნება:

— მისი მმართველობითი სტრუქტურის დამუშავება და კადრებით დაკომპლექტება;

— სასწავლო პროგრამების შედგენა და სპეციფიკური ჯგუფებისთვის განაწილება;

— პედაგოგიური პერსონალის შერჩევა და განაწილება;

— სასწავლო ბაზის შერჩევა-მოწყობა და აუდიტორიების თანამედროვე ტექნიკური და ინფორმაციული ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვა;

— ინტერნეტის ქსელის შექმნა და მისი ადმინისტრირება.

**ცენტრი იქნება პროგრესულ საფუძვლებზე აგებული, მეცნიერებისა და წარმოების დამაკავშირებელი და ურთიერთშეწონასწორებული ინტეგრირებული ფორმა, რომელმაც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს აგრარული მეცნიერების განვითარებაში, სწავლების ახლებური სისტემის დანერგვაში, ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიციური ფენის მომზადებაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მოდერნიზაციაში და ღრმა კვალი უნდა დაამჩნიოს მას, ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებას.**

**გივი ჯაფარიძე**,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი – აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;

**ომარ ქეშელაშვილი**,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

**ალექსანდრე ჯაფარიძე**,
ეკონომიკის მაგისტრი




## განცხადება

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (პ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009